...ართველო ბეჭედია ბაჯა... ...ლისი – შიგ ჩას...

®

www.tbiliselebi.ge

28 აპრილი – 4 მაისი

ფასი 1,50 ლარი * №17



გვ. 71

რისი დამსხვრევა უწევს ქეთი ორჯონიკიძეს და რა არ შეუძლია მას სიყვარულის გარეშე

გვ. 74

რაში ეხმარება ნინი წიკლაურის განცდა და ტკივილი ლევან ჯავახიშვილს

გვ. 70

რის გამო გადააბიჯა საკუთარ თავს თამუნა შავერდაშვილმა და რატომ ეხსნება მას სიყვარულის დაწყებისას და დამთავრებისას მუსიკალური მუზები



გვ. 19

როგორია რეალურ ცხოვრებაში რბილი ლ-ებით მოლაპარაკე „რძალი" „TV 11-დან" და ვისთან ერთად ცხოვრობს ის



რა უნდა მსახიობ ზუზუს „შეგმას" და რატომ იცვლის ის სახლებს

გვ. 22



გვ. 23

რატომ ელოდებოდა თორნიკე შენგელია ორი წელი ზაზა ფაჩულიასთან შეხვედრას მოედანზე და რატომ აიღო სამოდელო კარიერაში ტაიმაუტი სალომე ჯუღელმა



ვის ეშინია მეგრელასი და როგორ აგნევს ის ცნობილ ადამიანებს

გვ. 75

**მშვიდობიან კვირას გისურვებთ!**

**„ჩემი ერთ-ერთი პროექტია „დავიწყებული მეფე“, რომელიც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ კოდების გახსნას და დემნა ბატონიშვილსა და შოთა რუსთაველს შორის არსებული კავშირის სავარაუდო შესაძლებლობას. მსოფლიო საზოგადოების მეტი ყურადღება რომ მივიქციოთ და კინოინდუსტრიაში მაღალ საფეხურზე გადავიდეთ, მეტი პროფესიონალიზმი შევიძინოთ, გადავწყვიტე, ფილმი ერთ დუბლში გადავიღო, რაც ძალიან რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. ეს იქნება 105-წუთიანი ფილმი, ერთი გაუჭრელი უწყვეტი კადრით, რაც დღეს მსოფლიო რეკორდია კინოინდუსტრიაში. ფილმში სიუჟეტი იწყება სასტუმროს სცენით და შემდეგ გადადის ისტორიაში – დროში მოგზაურობა განდობილთა სპეციალური სამაჯურების დახმარებით. ჩვენ ვნახავთ, როგორ წერს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“. ფილმში იქნებიან გიორგი მესამე, დავით მეხუთე, ტამპლიერი რაინდები, სტალინი, ჰიტლერი, პარალელები გაკეთდება სხვადასხვა ეპოქას შორის,” – ამის შესახებ ჯერ კიდევ 2010 წელს მესაუბრა ფილმმეიკერი, რეჟისორი ნიკა ხომასურიძე. მან მართლაც დაამყარა მსოფლიო რეკორდი და 105-წუთიან უწყვეტ კადრად „დავიწყებული მეფე“ გადაიღო, საინტერესო სცენარითა და სირთულეებით. ფილმის პრემიერა ცოტა ხნის წინ კინოთეატრ „ამირანაში“ გაიმართა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.**

# რა რისკს ვერ აკონტროლებდა ნიკა ხომასურიძე და როგორ გადაიღო მან ერთ უწყვეტ კადრად 105-წუთიანი ფილმი და დაამყარა რეკორდი

**ნიკა ხომასურიძე**: უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებდა იმ ხალხის შეფასებები, რომლებსაც კინო ესმით და ამ საქმეში კომპეტენტურები არიან. ისინი უფრო სხვა კუთხით შეაფასებდნენ, მათ იციან იმ სირთულეების შესახებ რასაც შეიძლება ჩვეულებრივი მაყურებლისთვის დიდი დატვირთვა არ ჰქონდეს. ყველამ თქვა: ეს რამდენი „გიჩალიჩიაო“.

**– ალბათ 4 წლის წინ, როდესაც განაცხადე, რომ მსოფლიო რეკორდის დამყრებას აპირებდი და უწყვეტ კადრად გინდოდა 105-წუთიანი ფილმის გადაღება, ბევრს ეს წარმოუდგენლად მიაჩნდა.**

– ამის დაჯერება, რა თქმა უნდა, რთულია მანამდე, სანამ არ განახორციელებ. მაგრამ, სცენარის წერის დროს ყველაფერი გავითვალისწინე, ყველა დეტალი უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს. რეპეტიცები სამ ნაწილად დავყავით. პირველი იყო – სასტუმრო, მეორე – გზა, რომელიც ძალიან რთული იყო და მესამე – პავილიონი, რომელიც ისე აეწყო, რომ კამერას სცენიდან სცენაზე ევლო, კარგად მომხდარიყო გადასვლები. სიტყვით გადასვლა ხდებოდა ყველა სცენაზე. თან, ისტორიული სცენებია და შედარებით იოლი საყურებელი, სხვა უწყვეტკადრიანი ფილმებისგან განსხვავებით. რამდენიმე ვნახე და ძირითადად, ერთი პერიოდია, ერთი ჩაცმულობა. ჩვენს ფილმში კი ყოველ 5 წუთში იცვლება სცენა, ინტერიერი; დიზაინი სხვაა, კოსტუმები, სცენა, შინაარსი – სხვა; მსახიობები იცვლებიან და ადამიანი ველარ გრძნობს – ეს უწყვეტი კადრია თუ ჩვეულებრივად მიდის. ანუ, თვალი არ იღლება, რაც უწყვეტ ფილმს ახასიათებს. მიხარია, რომ ამის გაკეთება შევძელით – ეს ყველასთვის დიდი გამოწვევა იყო. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა სტედიკამის ოპერატორისთვის, რომელსაც 2 საათი ჰქონდა კამერა ჩამოცმული და ისე დადიოდა, ასევე – ფოკუს ფულერისთვის. დაყენებული კამერის დროს რთულია ფოკუსის ზუსტად დაყენება, უწყვეტ კადრში კი მთლიანი ფილმი ფოკუსშია – ამ მხრივაც უდიდესი სამუშაოა გაწეული. მსახიობებსაც ერთი დუბლი ჰქონდათ: როგორც ითამაშებ – ისე ითამაშებ. როდესაც ასეთ ფილმს იღებ, უფრო მეტ გამოცდილებას იძენ. იცი გადაღების მენეჯმენტის დეტალები, რაც შემდეგ გჭირდება იმისთვის, რომ რეალობა სწორად გაიაზრო. ასევე, ჯგუფთან მუშაობის დიდი გამოცდილება შევიძინე – 2 საათის განმავლობაში უწყვეტად გაუწიო მენეჯმენტი 130 ადამიანს, ეს დიდი სტრესი, ნერვიულობა იყო და იმავდროულად, ძალიან კარგიც. ასევე, კარგი იყო ფანტაზიისთვის. როდესაც სცენიდან სცენაზე გადადიხარ, ბევრს ფიქრობ: როგორ გადახვიდე და რაც უფრო ბევრს ფიქრობ, მით უფრო ავითარებს გონებას. ყველა დეტალი უნდა გამეთვალისწინებინა, რომ სცენიდან სცენაზე გადასვლა ბუნებრივი ყოფილიყო და მაყურებელი არ შეეწუხებინა.



**ადრე თუ გვიან, დროში გადასვლაც მოხდება. ეს ხდება და ამაში გასაკვირი არაფერია. შანსი ყოველთვის არის, მთავარია, ამას როგორ გამოიყენებ**

**– როგორც მითხარი, ყველაზე რთული გზის გადაღება იყო, სადაც მთავარ გმირს ავტომობილით მისდევენ, ესვრიან.**

– საკმაოდ რთულია, რადგან ყველაზე მეტი რისკია და ამ რისკს ჩვენ არ ვაკონტროლებდით. წარმოიდგინეთ, შენთან ერთად ათასობით ავტომობილი მოძრაობს, მაგრამ შეძლებისდაგვარად, ყველაფერი კარგად გავთვალეთ – დაბრკოლებების გადალახვის ჩვენებური მეთოდი გვქონდა და გაამართლა. გეგმაში მაქვს, რომ შემდეგში „დავიწყებული მეფე“ გადავიღო, როგორც ჩვეულებრივი ფილმი ცნობილი მსახიობების მონაწილეობით. 11 კაცი იყო ლოს-ანჯელესიდან ჩამოსული, ჩემი სკოლელები, ერთად ვიმუშავეთ. ფაქტობრივად, ნაგვისგან გავაკეთეთ ნახევარი პავილიონი. ადგილზე მოპოვებული ძველი რკინებით, დაჟანგებული ნაწილებისა და ხეებისგან ნელ-ნელა ავაწყვეთ ყველაფერი, რომ ფინანსები დაგვეზოგა. ახლა უკვე დიდ პროექტზე დავიწყებთ მუშაობას, ზაფხულში გადავიღებთ ექვთიმე თაყაიშვილზე ფილმს. აპრილის ბოლოს ქასთინგი გამოცხადდება.

**– როგორი იქნება სცენარი, რაზე გააკეთებთ აქცენტებს, რა ეტაპს მოიცავს ფილმი ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებიდან?**

– რამდენიმე ეპიზოდი იქნება მისი ცხოვრებიდან. ერთი იქნება შეხვედრა ნინო პალტარაცკაიასთან ილია ჭავჭავაძის სახლში, მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერის პოვნა, შეხვედრა ნოე ჟორდანიასთან და კიდევ სხვადასხვა ცხოვრებისეული დეტალი. ანუ, ფილმის 90 პროცენტი ეხება პერიოდს 1921 წლიდან 1945 წლის ჩათვლით. ძირითადად, მისი ჩანაწერებით ვისარგებლეთ და ვინც სცენარი წაიკითხა, ყველამ უმაღლესი შეფასება მისცა. ექვთიმეზე ფილმის გადაღება სულ მინდოდა. „დავიწყებულ მეფეშიც“ განდობილი გიორგის მრგვალ ოთახში, ის ქართველები არიან, ვისზეც მინდა ფილმის გადაღება. ექვთიმე თაყაიშვილი ჩემთვის საამაყო ადამიანია. პირველად მის შესახებ რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმიდან გავიგე. რამდენიმე წელია, ლაშა კანკავასთან ერთად, ამ სცენარზე ვმუშაობთ, რომელმაც უკვე მიიღო დასრულებული სახე. ახლა ვიწყებთ ფინანსების მოძიებას და გადაღების დაწყებას. ასეთი ფილმები სჭირდება ქვეყანას. ისეთ გმირს როგორიც ექვთიმეა, ყველა ქვეყანა ინატრებდა. მასზე კარგი ფილმის გადაღება აუცილებელია და ჩვენ ამას მაქსიმალურად ვეცდებით.

**– ვინ წარმოგიდგენია ექვთიმეს როლზე?**

– რამდენიმე ვარიანტია, ახლო მომავალში ჩამოვყალიბდები. ფილმი ან ინგლისურად იქნება, ან ქართულად და კიდევ რამდენიმე ენაზე. რაც მთავარია, ეს ფილმი მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოს, შეაფასონ, გაიცნონ ქართველი გმირი, დიდი მამულიშვილი. თან, ფილმში უდიდესი ეპოქა გაცოცხლდება. ამიტომ, მაქსიმალურად ვეცდებით, ყველაფერი კარგად გავაკეთოთ. რაც მთავარია, ვიმუშავებ ძალიან გამოცდილ ჯგუფთან ერთად. ითამაშებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მსახიობები: ქართველები – ქართველების როლს, უცხოელები – თავის შესაფერის როლს. ექვთიმეს როლი მინდა, ქართველმა ითამაშოს. ასევე, აღვნიშნავ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ფილმზე მომუშავეთა ხელფასიდან 10 პროცენტი ილია ჭავჭავაძის ძეგლის აღდგენას მოხმარდება – ასე გვაქვს დაგეგმილი. ილია ეხმარებოდა ექვთიმეს და ახლა ექვთიმე დაეხმარება ილიას.

**– „დავიწყებულ მეფეს“ მინდა, დავუბრუნდეთ. გარკვეული მისტიკური და ფანტასტიკური სცენებია ამ ფილმში. თუნდაც, დემნა ბატონიშვილის ბეჭზე გამოხატული არწივი, რომელიც იზრდება და გარკვეულ საიდუმლოს ატარებს. ასევე, სამაჯურები, რომლითაც დროში, სხვადასხვა ეპოქაში მოგზაურობაა შესაძლებელი.**

– ხომ არის ლეგენდა, რომ ნამდვილ ბაგრატიონებს ბეჭზე არწივი ეხატათ. მე ეს პირადად არ მინახავს, მაგრამ ამ ლეგენდის მიხედვით გავაკეთე. თან, მისტიკურია: არწივი, სისხლი, გრაალი. სამაჯური ბორჯღალიანია და გაძლევს იმის საშუალებას, რომ დროში გახვიდე. ბორჯღალი დროის სიმბოლოა: მზე, დრო, რომ ტრიალებს ქმნის ხვრელს, რასაც სხვა დროში გაჰყავხარ.

**– ფილმებით კი მოგზაურობ დროში, მაგრამ რეალობაში, რომ გქონდეს საშუალება, რომელ დროში იმოგზაურებდი?**

– დიდგორის ომში მივდივარ. დიდგორის ბრძოლის ნახვა მინდა ძალიან. არა, დიდგორს ფილმს რომ გადავიღებთ, მაშინ ვნახავ, მაგრამ მანამდე მინდა ერთი თვალით მაინც დავინახო, თუ ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მივიღებ. სიამოვნებით დავრჩებოდი იმ ეპოქაში. ის იყო ნამდვილი საქართველო. ასევე, აუცილებლად წავიდოდი არგონავტების ეპოქაში და მედეას ვეტყოდი: არ გააკეთო, არ გააკეთო, მერე ცუდად შემოგვიბრუნებენ-მეთქი. კიდევ მაინტერესებს გავიგო, ვინ წერდა „ვეფხისტყაოსანს“. ორჯერ კი აქვს ნახსენები რომ „რუსთველია“, მაგრამ რა ჰქვია, ვინ არის, არ ვიცით. აი, ეს სამი რაღაც მაინტერესებს. ძალიან მიყვარს ფილმი „ივან ვასილის ძე იცვლის პროფესიას“ და კიდევ ასეთი ფილმია „თაიმ ლაინ“. გეგმაში მეც მაქვს დროში გადასვლა. ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია. ჩემი ფილმებიც დროშია, რადგან მიზიდავს ეს სფერო – თანამედროვეობის გადაღებას, მირჩევნია სხვა დროში წავიდე და ეპოქა შევქმნა. ეს ჩემთვის უფრო საინტერესოა. ადრე თუ გვიან დროში გადასვლაც მოხდება – ეს ხდება და ამაში გასაკვირი არაფერია. შანსი ყოველთვის არის, მთავარია, ამას როგორ გამოიყენებ.

**ნათია უტიაშვილი**

# მომხმარებელი ფინანსური სახსრების დაბანდებას დეველოპერული კომპანიის – „$m^2$-ის“ ობლიგაციებში შეძლებს

## „$m^2$-ის“ ობლიგაციის შეძენა ნიშნავს, ამუშაოთ თქვენი ფული უკეთესად

დეველოპერული კომპანია „$m^2$“ მაღალ ხარისხზე და მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული კომპანიაა. „$m^2$“ არის ნოვატორი როგორც ფართების ოპტიმალური დაგეგმვის, ასევე სამშენებლო პროცესის წარმოების თვალსაზრისით. კომპანია ყოველთვის საინტერესო პროექტებსა და სიახლეს სთავაზობს თავის მომხმარებელს. ამჯერად, დაინტერესებული პირები ფინანსური სახსრების დაბანდებას დეველოპერულ კომპანია „$m^2$-ის“ ობლიგაციებში შეძლებს.



**ირაკლი ბურდილაძე** *(„$m^2$-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე)***:** თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ „$m^2$-ის“ ობლიგაცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც დეველოპერული კომპანია „$m^2$“ გთავაზობთ. ობლიგაცია კონკრეტული ვადით გაიცემა და შესაძლებლობას აძლევს მის მფლობელს, ვადის ბოლოს ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი მიიღოს. „$m^2$-ის“ ობლიგაციები ამერიკულ დოლარშია დენომინირებული და ერთი წლის ვადა აქვს. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება 1 000 ამერიკული დოლარია და მომხმარებელს მაღალ წლიურ საპროცენტო განაკვეთს – 9.5 პროცენტს (გადასახადებით დაბეგვრამდე) სთავაზობს. ობლიგაციის დამატებითი უპირატესობა მისი გასხვისების შესაძლებლობაა. „$m^2$-ის“ ობლიგაციების მთლიანი გამოშვება 5 მილიონი ამერიკული დოლარია. ობლიგაციების განთავსების აგენტი „საქართველოს ბანკის“ შვილობილი საბროკერო კომპანია – „ბიჯი კაპიტალია“. ობლიგაციის გამოშვებით დეველოპერული კომპანია „$m^2$“ ახდენს მისი დაფინანსების წყაროს დივერსიფიკაციას და, ამასთანავე, საქართველოში ამკვიდრებს თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკას.

აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ კომპანია „$m^2$“ ამ ეტაპზე მუშაობს კიდევ ერთ ინოვაციურ პროდუქტზე, რომელიც სულ მალე გახდება ცნობილი. ეს გახლავთ თბილისში არსებული გარემონტებული ოროთახიანი ბინები, აღჭურვილი სამზარეულოთი და ჩაშენებული სამზარეულო ტექნიკით, საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასად – სულ რაღაც 29 ათას დოლარად.

**სოფი ლორია**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მეითეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ფეხმადლიანები

## საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში

გასულ კვირას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის ერთწლიანი მუშაობა შეაჯამა და **უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსადმი საზოგადოების დამოკიდებულებაც გაზომა**.



მათ შორის, იმითაც დაინტერესდა, **ჩვენს მოსახლეობას პარლამენტის კვლავ თბილისში ხილვა უნდა თუ ქუთაისზეც ყაბულსაა.**

აღმოჩნდა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით **გამოკითხულთა 66 პროცენტს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თბილისში ურჩევნია** და **მხოლოდ 20 პროცენტისთვის ქუთაისია საპარლამენტო ქალაქი** (დანარჩენებს ეს საკითხი არ აინტერესებთ ან ორივეზე თანახმა არიან).

თუ საკითხს **დემოკრატიის პრინციპით მივუდგებით**, სადაც გადამწყვეტი უმრავლესობის ნებაა, **ფაქტია, რომ პარლამენტის ადგილი თბილისშია**, მაგრამ **„არც მამაცთა ნებაზეა რბოლა"** და **არც საზოგადოებრივ აზრზე პარლამენტისთვის ადგილმდებარეობის შეცვლა** – ამ **გადაწყვეტილების მიღებას საკონსტიტუციო ცვლილება სჭირდება**, რისთვისაც, თავის მხრივ, **დეპუტატთა ხმების ორი მესამედია აუცილებელი.**



**იდეის ავტორი** „ნაციონალები" **კი კვლავაც ქუთაისის ვერსიაზე დგანან** და იმ **ჩვენებას „აწვებიან", რომ საპარლამენტო ქალაქად ქცევა ქუთაისს ააყვავებს**.

ხოლო **ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით აყვავებულისა ქუთაისს არაფერი ეტყობა**, მაგალითად, უმცირესობის წევრმა ქ-ნმა **გოგორიშვილმა შემდეგნაირად ახსნა: როდესაც გამუდმებითაა საუბარი ქუთაისიდან პარლამენტის თბილისში გადმოტანაზე, ეს პროცესს აფერხებსო.**

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ჩვენებური პარლამენტის წევრებს ზღაპრული გმირებივით სიარულისას ქუსლებიდან ოქროს მონეტები არ სცვივათ** (ან იქნებ სცვივათ კიდეც?!), **გაუგებარია, მათმა ყოფნამ რა უნდა ააყვავოს?!** ხოლო, მეორე მხრივ, **თუ ქ-ნი გოგორიშვილის ლოგიკას გავყვებით** (სადაც პარლამენტის წევრია, იქ კეთილდღეობა და სინათლეა) და იმასაც გავიხსენებთ, რომ **დეპუტატები აქტიურად აცდენენ საპარლამენტო და საკომიტეტო სხდომებს** (ანუ „ტყუილად ვაჭმევთ პურსა"), გაცდენილი საათები ამ ფეხმადლიანებისთვის მეკვლეობით ხომ არ აგვენაზღაურებინა?! საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაშიც ჩაეთვლებოდათ.

# მონატრებული

ის, **როგორც გვპირდებოდა, არ ჩამოვიდა**, მაგრამ **იმით დაგვამშვიდა: ჩემი გული თქვენ გეკუთვნითო.** და **თუმცა ძალოვანების „სკაიპით" დაკითხვის შეთავაზებაზე წიხლი უკრა** (ჩემი დონის პოლიტიკოსი „სკაიპით" ჩვენებას მხოლოდ სასამართლოს თუ მისცემსო! – ), **საკუთარი ბიბლიოეკის გახსნის** (რაკი მიზანი ფრიად კეთილშობილური იყო) **პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებისთვის ხმის მისაწვდენად,** დიახაც რომ, **თანამედროვე ტექნიკური პროგრესის მიღწევა – „სკაიპი" გამოიყენა.** გამოიყენა და **მონატრებულ აუდიტორიას ჩვეულ სტილსა და მანერაშიც ესაუბრა.**



**ბიბლიოთეკის გახსნა ფრიად დასაფასებელი ჟესტია** (მით უფრო, თუ პრეზიდენტყოფილს ვერწმუნებით, **ისინი საკუთარი დანაზოგით შეგვიძინა**), თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ბ-ნი **სააკაშვილის მმართველობისას,** სახელდობრ, **თბილისის ცენტრალური ქუჩებიდან წიგნის მაღაზიები სრულიად აღიგავა პირისაგან მიწისა** (მათ მიერ დაკავებულ ფართებში სავაჭრო და ჭამა-სმის ობიექტები გაიხსნა) და, ზედაც, **სოფლების ბიბლიოთეკები დაიკეტა** (სხვათა შორის, **ბიბლიოთეკების ლიკვიდაციისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო**), რბილად რომ ვთქვათ, **გაუგებარია, რატომ გვიმალავდა პრეზიდენტობისას წიგნებისადმი ეგზომ ცხოველ სიყვარულს?!** მაგრამ, იქნებ, მართლაც, „სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი"...

## „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი"

# ექსპერიმენტული პოლიტიკა

## „შენ დაუკარ"

**მან უკვე დაიმკვიდრა ადგილი ქართულ მღელვარე პოლიტცხოვრებაში** როგორც **ყველაზე აქტიურმა ფეისბუქმომხმარებელმა,** თუმცა მხოლოდ **ამ ტიპის პოპულარობას არ დასჯერდა** და ხელი **ექსპერიმენტულ პოლიტიკასაც მიჰყო.** ჰოდა, **რაკი მიჰყო, ხალხის რჩეულ გოგა ხაჩიძის მიერ youtobe-ზე ატვირთული ექსპერიმენტიც იხილა ფართო საზოგადოებამ.**

ექსპერიმენტის მიზანი, **როგორც თავად ჩამტარებელი შენიშნავდა, კოლეგის, ბ-ნი ხმალაძის ბრალდების გაქარწყლება იყო**, რომ თითქოს **„ნაციონალური მოძრაობა"** მაშინ, **როცა ეს შეეძლო, არჩევნებს,** არც მეტი, არც ნაკლები, „კოკა-კოლის" მეშვეობით აყალბებდა. სახელდობრ, ბ-ნი **ხმალაძე ბრძანებდა, რომ მარკირების სითხეს ზემოხსენებული სასმელი სითხე შლიდა.** ამის საპასუხოდ, ბ-ნმა **ხაჩიძემ მარკირებული სითხით დასხურებული თითი „კოკა-კოლით" სავსე ჭიქაში ჩაყო** და „აღმოაჩინა", რომ **„კოკა-კოლა" მარკირების კვალს ვერ შლის.** იმ მარტივი მიზეზით, რომ **მაყურებლისთვის უცნობი დარჩა, იყო თუ არა მარკირების სითხე მართლაც მარკირების სითხე** (წესითა და რიგით, თვით ხალხის რჩეულსაც კი მისი მოპოვება რაღაც მანქანების გარეშე გაუჭირდებოდა) და **არც არავის შეუმოწმებია ექსპერიმენტის ჩატარების სიზუსტე,** ეს ჩემ მიერ **პოლიტიკურად წოდებული ექსპერიმენტი უფრო ილუზიონისტის საჩვენებელ გამოსვლად დარჩა.**



თუმცა **იგი** (ანუ ბ-ნი ხაჩიძე) **ამაზე არ შეჩერებულა და სულ ახლახან მოსმენების ფაქტის გამომზეურებაც გადაწყვიტა,** ამჯერად **„თანამზრახველთან"** და თანაგუნდელთან, კოლეგა ბ-ნ ჯაფარიძესთან **დუეტში.** დეპუტატებმა **ტელეფონით პრემიერ-მინისტრის სახლთან აქციის მოწყობა „დაგეგმეს",** ხოლო შემდეგ ბ-ნმა **ხაჩიძემ იმავე ფართო საზოგადოებას პრემიერის სახლთან მოფუსფუსე 5-ოდე პოლიციელიც „ჩააკარტოჩკა",** რის შედეგადაც დაასკვნა, რომ **მათი იმ კონკრეტულ ადგილას და იმ კონკრეტულ დროს შეჯუჩება,** სწორედაც რომ, მისი **ტელეფონის მოსმენის ფაქტს ადასტურებდა.**

არ დავმალავ, მეტად **მისასალმებელია, როდესაც ხალხის რჩეული ასე კრეატიულად უდგება პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლის ფუნქციას,** თუმცა, თუ **ამ კონტროლის ილუზიონისტურ კომპონენტებს გავიხსენებთ** და იმ საფრთხესაც დავუმატებთ, რომ, **ჯერაც მოქმედი კანონით, ჩვენი პირადი ცხოვრება მოსმენებისგან ისეთივე დაუცველია,** როგორც ბ-ნი **ხაჩიძის თანამოაზრეების ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო,** ჩნდება ეჭვი, რომ **ხალხის რჩეულის ექსპერიმენტები სწორედ ძალოვანთა წისქვილზე ასხამს წყალს** და **პრობლემის გაშარჟებაში ეხმარება – იქნებ იმიტომ, რომ** ძაღლი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ყოფილი ხელისუფალი)** ძაღლის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში – **მოქმედი ხელისუფლის) ტყავს მაინც არ დახევს.**

# ტერიტორიებწართმეულის იმედები

## ანუ „ფენტეზიდან“ – კრიტიკულ რეალიზმამდე

თუკი **ერთი წლის წინათ რფ-სა და უკრაინას შორის საომარი მოქმედებები უმეტესობისთვის „ფენტეზის“ ჟანრს განეკუთვნებოდა, აღმოჩნდა**, რომ ეს **სავსებით რეალურია**. და თუმცა **ჯერჯერობით რფ-ს თავისი სამხედრო მანქანა სრული სვლით არ აუმოქმედებია** და **დასავლეთიც,** შეშფოთების გამომხატველი განცხადებების პარალელურად, **ჯერჯერობით მხოლოდ „ნატოს“ წევრი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებითაა დაკავებული**, ჩრდილოელი საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი **ლავროვი მიიჩნევს, რომ დასავლეთი უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას მხარს უჭერს არა მისდამი რწმენის, არამედ პრინციპის გამო** (ანეკდოტური პათოსით: „ქურდების დედაც ვატირე, პრინციპის საქმე იყოო“).



რაც მთავარია, **ჩვენც ამ უაზრო „პრინციპულობაში“ მოგვაყოლა**. მომყავს ციტატა: „ისინი უკვე, როგორც იტყვიან, პრინციპის გამო ცდილობენ თავისი პროექტის ბოლომდე მიყვანას. **დასავლეთმა უკვე გააკეთა ფსონი კიევზე და ახლა უკვე ძნელია უკან დახევა ისევე, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში მოხდა**.“

მეორე მხრივ, **ჩვენთვის მოსკოვს თაფლაკვერიც აქვს მომარჯვებული** (რაკი იცის, რომ **ტერიტორიებწართმეულის იმედი არათუ ბოლოს, საერთოდ არასდროს არ კვდება**!). კერძოდ, გასულ კვირას დსთ-ის ქვეყნების ახალგაზრდა დიპლომატების ფორუმზე გამოსვლისას ბ-ნმა **ლავროვმა შენიშნა, რომ არც „იუჟნაია ოსეტია“ და არც აფხაზეთი ყირიმის გზაზე შედგომას არ აპირებენ.** მომყავს ციტატა: **„ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ასეთი განწყობების შესახებ არაფერი მსმენია.“**

მაგრამ ფაქტია, რომ **ცხინვალელებს ეს განწყობა კარგა ხანია, აქვთ** (და, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე მგონია, რომ ბ-ნ ლავროვსაც მშვენივრად სმენია – ), მეტიც, **სოციალურ ქსელებშიც აქტიურად გამოთქვამენ მსგავს სურვილს.** თუმცა, **თუ გავიხსენებთ, რომ რფ-ში სოციალური ქსელების აკრძალვასაც გეგმავენ,** ბ-ნი **ლავროვის საინფორმაციო შიმშილი იქნებ იმით არის გამოწვეული, რომ სოციალურ ქსელებს ბოიკოტი** „დოსროჩნად“ **გამოუცხადა?!**

# ევროჩინოვნიკთა ცვენა

## „ტანგო ვ ტროიომ“

იმის პარალელურად, რომ **უკრაინა გახლეჩის პირასაა, ჩვენთან ევროჩინოვნიკთა ცვენაა** (თვით **ვარსკვლავთცვენაზე ამო სანახავი**) და **ინტენსივობა,** საქმეს ისეთი პირი უჩანს, **ივნისამდე არ შეჩერდება.** ასე მაგალითად, გასულ კვირას **საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები ჩვენს პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ,** შემდეგ კი თავიანთი მოსაზრებები ჩვენც გაგვიზიარეს (პრესკონფერენციაზე).



სახელდობრ, ბ-ნმა **შტაინმაიერმა** (გერმანიის ნომერ პირველმა დიპლომატმა) **დაგვამშვიდა**, „რუსეთში ძალიან კარგად ესმით, რომ საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება არ აყენებს ეჭვქვეშ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებს“, **ერთი ისაა,** დასძინა – **მგონიო.**

თუმცა **მთლად ზუსტი პასუხიც ვერ გაგვცა კითხვაზე, თუ როგორ აპირებენ შეშფოთებული ევროჩინოვნიკები რუსეთის დარწმუნებას**, რომ ჩვენი, მოლდოველებისა და უკრაინელების **ევროკავშირთან დაახლოება ჩრდილოეთს საფრთხეს არ შეუქმნის.**

მომყავს ციტატა ბ-ნი შტაინმაიერის პასუხიდან: „ასოცირების შეთანხმება, რომელსაც ივნისის ბოლოს მოეწერება ხელი, არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული. **ჩემს რუს კოლეგებთან გარკვევით, მკაფიოდ გამოვხატავ ჩემს პოზიციას**.“



**ევროჩინოვნიკები იმედოვნებენ,** რომ **საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ჩახუტება რუსეთ-საქართველოს შორის ვაჭრობის პროცესს ხელს არ შეუშლის** (პათოსით: **ეს ის შემთხვევაა, როდესაც მესამე ზედმეტი არ არის?!).** მაგრამ, **თუ გავიხსენებთ ბ-ნი შტაინმაიერის სიტყვებს: „მე მგონი, რომ ეს ძალიან კარგად ესმით რუსეთშიც**“, კვლავაც **რიტორიკულად რჩება კითხვა: რომ ვერ გაგვიგონ?!**

# ჩრდილოურად შეფრთხიალებულები

## რფ-ს პასპორტი ჩემსას სჯობია?!

მას შემდეგ, რაც **რფ-მ მსოფლიოს მცხოვრებთა გასაგონად განაცხადა,** რომ თითქმის ყველა მსურველს, **ეთნიკური რუსიდან დაწყებულს და საბჭოთა კავშირში დაბადებულით დამთავრებულს, ან ისეთს, ვისაც**, თუნდაც, **ფანტაზია აკავშირებდა სოციალისტურ სამყაროსთან,** გულუხვად **დაურიგებდა რუსულ პასპორტებს**, საქართველოშიც გამოჩენილან მრავლად რუსეთის მოქალქეობის მსურველები.

საქართველოს **საგარეო უწყებამ**, თავის მხრივ, **გააფრთხილა ეს ჩვენი რუსეთზე გულშეფრთხიალებული მოქალაქეები**, რომ, თუკი **იმ მოქალაქეობას მიიღებენ, ამ მოქალაქეობას დაკარგავენ**. თუმცა **გარეფეელობის მსურველები იმედოვნებენ,** რომ, როცა **რფ-ელობას გაინაღდებენ**, შემდეგ **საქართველოს პრეზიდენტს ორმაგი მოქალაქეობის თხოვნით მიმართავენ** და სამშობლოსთან კავშირს მაინც შეინარჩუნებენ (მოგეხსენებათ, საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას და მხოლოდ გამონაკლისის სახით აქვს პრეზიდენტს მისი მინიჭების უფლება). ჩვენი **საგარეო უწყების შეშფოთება საფუძვლიანია**, რადგან, **თუ ყირიმის მაგალითით ვიმსჯელებთ, რუსეთის მოქალაქე ნიშნავს,** რომ, ადრე თუ გვიან, **ისინი რეფერენდუმს მოაწყობენ გამოყოფის, ან**, სულაც, **პირუკუ პროცესისთვის.** მანამდე კი, თუ ამის საჭიროება შეიქმნა, **მათ დასაცავად რუსეთის ჯარიც უმალ მათთან გაჩნდება**.



ამის პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ **განსაკუთრებით ძალუმად რუსულ პასპორტებს ჯავახეთში მიეძალნენ**, შესაბამისად, **ახალ სეპარატისტულ საფრთხეზეც ავლაპარაკდით,** თუმცა, **საბოლოოდ, ირკვევა, რომ რფ-ელობის მსურველთა შორის სწორედ ეთნიკური ქართველები ჭარბობენ**, ძველქართული ისტორიული, გნებავთ, უკვდავი მოტივით: **„კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია



**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გასულ კვირას საპარლამენტო პროექტის პრეზენტაცია გამართა, რომელზეც ხალხის რჩეულებსა და სხვა დაინტერესებულ საზოგადოებას მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი წლის კვლევის შედეგები გააცნო. შედეგები მრავალმხრივია, მათ შორის, ეხება პარლამენტის წევრთა სამეწარმეო საქმიანობებსა და მათ მიერ შევსებული საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების სიზუსტესაც. დაწვრილებით კვლევის შესახებ ორგანიზაციის პროექტების ხელმძღვანელი ლევან ნატროშვილი გვესაუბრება.**

# პარლამენტის რამდენი წევრი და მათი ოჯახის წევრი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, რა ბიზნესების წილებს ფლობენ ისინი და რატომ არ ემთხვევა რეესტრისა და მათ მიერ შევსებული დეკლარაციების მონაცემები ერთმანეთს

**– რა ტიპის დაკვირვებას ეფუძნება თქვენი კვლევა?**

– გვაქვს ჩვენი ოფისი პარლამენტში, რომელიც საკმაოდ აქტიურია. ვესწრებით პარლამენტისა და კომიტეტების სხდომებს, პერიოდულად ვაკეთებთ ანალიზს სფეროების მიხედვით, თვალს ვადევნებთ პარლამენტის მუშაობას. ასევე, პარლამენტიდან გამოვითხოვეთ სტატისტიკური ინფორმაცია და შევუკვეთეთ კვლევა, რომელიც ეხებოდა საზოგადოების განწყობას ზოგადად პოლიტიკური პროცესებისადმი და მათ შორის, პარლამენტისადმი. გამოიკვეთა ბევრი საკითხი: რამდენი კანონი განიხილა პარლამენტმა, ვინ იყო ყველაზე აქტიური დეპუტატი სიტყვით გამოსვლებისას პლენარულ სხდომებზე, ვინ იყო ყველაზე აქტიური საკანონმდებლო ინიციატივების კუთხით. ასევე, განვიხილეთ პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან. ზოგადად, პარლამენტის წევრებს არ ეკრძალებათ წილების ფლობა, უბრალოდ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, აქვს თუ არა რამე ბიზნესთან კავშირი პარლამენტის წევრსა თუ მისი ოჯახის წევრს. 150-დან გამოვლინდა 48 დეპუტატი, რომლებიც ან რომელთა ოჯახის წევრები ფლობენ ამა თუ იმ ბიზნესის წილებს.

**– განვუმარტოთ მკითხველს, რომ კანონი მათ აძლევს ამის უფლებას.**

– ეს ქმედება კანონიერია, თუმცა პარლამენტში აღმოჩნდა სამი ადამიანი, რომლებიც პარლამენტის წევრობის პერიოდში ფიქსირდებოდნენ დირექტორებად, რაც აკრძალულია პარლამენტის წევრისთვის, რადგან, კანონით, მათ არ შეუძლიათ კომპანიის უშუალო მართვაში მონაწილეობა. ესენი არიან: გიორგი თოფაძე, ზვიად კვაჭანტირაძე და თამაზ ავდალიანი. ზვიად კვაჭანტირაძე საჯარო რეესტრის უკანასკნელი ჩანაწერით დღემდე სააქციო საზოგადოება „გოლდენ ფლის გრუფისა“ და შპს „უნიონ კრედიტის“ დირექტორია. გიორგი თოფაძე 2013 წლის 18 ივნისამდე იყოს შპს ყაზბეგი 2005-ის, ხოლო 2013 წლის 19 ივნისამდე – შპს „ყაზბეგი-ნაყინის“ დირექტორი. ამ პერიოდში თოფაძე უკვე იყო პარლამენტის წევრი. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა თამაზ ავდალიანის ჩანაწერებშიც, რომელიც 2013 წლის 10 იანვრამდე შპს „ასკო ლტდ-ის“ დირექტორი იყო, მაშინ როდესაც იგი პარლამენტის წევრი 2012 წლის 21 ოქტომბერს გახდა.



**საინტერესო შედეგი იყო, რომ გამოკითხულთა ერთი პროცენტი ენდობა ბიძინა ივანიშვილს, როგორც პარლამენტის წევრს, თუმცა ის პარლამენტის წევრი არ არის**

**– ეს ინფორმაცია დგინდება რეესტრის ჩანაწერებით და არა იმ დეკლარაციებით, რომლებსაც საჯარო მოხელეები და პარლამენტის წევრები ავსებენ სავალდებულო წესით?**

– ეს უკვე სხვა საკითხია, დეკლარაციებზე მოგვიანებით ვისაუბრებ. რადგან ამ სამ ადამიანს უფიქსირდება კომპანიების მართვაში მონაწილეობა, პარლამენტის საპროცედურო კომიტეტმა უნდა დაადგინოს, მართლაც ასრულებდნენ დირექტორის ფუნქციას თუ ეს უბრალოდ ტექნიკური პრობლემა იყო. ჩვენ ვესაუბრეთ სამივეს და ამბობენ, რომ არც ახსოვთ ამ კომპანიების არსებობა, თუმცა ფაქტია, რომ ოფიციალურად დირექტორებად ირიცხებიან. მეორე ნაწილია არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობის კვლევა. აღმოჩნდა 9 დეპუტატი , რომლებსაც დეკლარაციებში არ ჰქონდათ მითითებული ის წილები, რასაც ფლობენ. მაშინ, როდესაც კანონი მათ არ უკრძალავთ წილების ფლობას, მაგრამ თავიანთ დეკლარაციებში არ აქვთ შეტანილი ეს ინფორმაცია.

**– კონკრეტულად პარლამენტის რომელ წევრებზეა საუბარი?**

– პარლამენტის 43 წევრს ან მისი ოჯახის წევრს 2012 წლის ოქტომბრიდან ჰქონდა ან ისევ აქვს ბიზნესაქტივები. მათგან 28, ანუ 67 პროცენტი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, 9 – საპარლამენტო უმცირესობის, ხოლო 6 არც ერთს არ ეკუთვნის. ერთმანეთს შევუდარეთ პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები და საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზის ჩანაწერები, რის შედეგადაც გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პარლამენტის წევრის მიერ დეკლარაციაში მითითებული კომპანიების სია არასრული იყო. კერძოდ, წალენჯიხის მაჟორიტარმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ლევან ქარდავამ 2013 წლის დეკემბერში შევსებულ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მხოლოდ ერთი კომპანია – შპს „მ.დ. ჯგუფი“ მიუთითა. პარლამენტის წევრის განცხადებით, მას კომპანიისგან მოგება არ მიუღია. საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერების მიხედვით, შპს „მ.დ. ჯგუფის“ გარდა, ლევან ქარდავა შპს „მაგანა-2004-ს“ და შპს „გრუპპო ვიას“ მესაკუთრეა. მას ეკუთვნის შპს „საქართველოს ინოვაციური ნანოტექნოლოგიების“ 20-პროცენტიანი წილიც. საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ლევან ქარდავამ კუთვნილი კომპანიების ნაწილი გაასხვისა: 2012 წლის 30 ოქტომბრამდე პარლამენტის წევრს ეკუთვნოდა შპს „ტელეარხი 25-ის“ 50-პროცენტიანი წილი. 2013 წლის მარტში კი მან გაასხვისა შპს „ოილ პროში“ მისი კუთვნილი 50-პროცენტიანი წილი, ხოლო 2013 წლის ივნისში – შპს „გეომაგინვესტპრომის“ 25-პროცენტიანი წილი. წალკის მაჟორიტარი დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ რევაზ შავლოხაშვილი, რომელიც მანამდე პარლამენტში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენდა, შპს „საბა 2005-ის“ 50-პროცენტიან წილს ფლობს, რის შესახებაც არც 2013 წელს და არც 2014 წელს შევსებულ დეკლარაციებში არ განუცხადებია. თამაზ ყაჭეიშვილს, დეპუტატს „ქართული ოცნებიდან“, 2013 წელს შევსებულ დეკლარაციაში არ უხსენებია თავისი 25-პროცენტიანი წილი შპს „ხარისხში“. რეესტრში არსებული მონაცემებით კი, იგი შპს „საქართველო-გერმანიის ერთობლივ საწარმო ეკოში“ 5-პროცენტიან წილსაც ფლობს. ასევე, „ქართული ოცნების“ დეპუტატ თამაზ შიოშვილსაც არ განუცხადებია თავის დეკლარაციებში შპს „სპენიშქლეის“ 35-პროცენტიანი წილისა და შპს „მემორექსის“ 30-პროცენტიანი წილების შესახებ. ასევე, უმრავლესობის წევრ გიგა ბუკიას არ ჩაუწერია თავის მიერ შევსებულ დეკლარაციაში, რომ მისი შვილი შპს „იუ-სი-ემ“-ის 50-პროცენტიანი წილის მფლობელია. ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ 2013 წლის 2 აპრილამდე შპს „ბიოსფერო +“-ის 20-პროცენტიანი წილის მფლობელი იყო, რის შესახებაც მას არც ერთ დეკლარაციაში არ განუცხადებია.

**– მათ კანონი არ უკრძალავს წილების ფლობას, რატომ არ უნდა შეჰქონდეთ თავიანთ დეკლარაციებში ეს ინფორმაცია?**

– აქ არის ერთი პრობლემა: კანონში არ არის სანქცია იმის საწინააღმდეგო, თუ საჯარო მოხელე არასწორად, არასრულად, არაზუსტად შეავსებს დეკლარაციას. ერთადერთი სანქცია ეხება იმას, თუ დროულად არ შეავსებ დეკლარაციას.

**– არავინ ამოწმებს დეკლარაციის შინაარსობრივ სიზუსტეს.**

– არავინ აკონტროლებს, რადგან, რომ გააკონტროლო კიდეც, არ არსებობს სანქცია, ვერანაირ ღონისძიებას ვერ გაატარებ. კანონში არ არის მითითებული უწყება, ვისაც ეს დაევალებოდა. ვახტანგ ხმალაძემ პრეზენტაციისას აღნიშნა, რომ რიგ ქვეყნებში არსებობს სტრუქტურები, რომლებიც არა მხოლოდ დეკლარაციის სიზუსტეს ამოწმებს, არამედ იმ საწარმოებშიც, რომელთა წილი პარლამენტის წევრს მინდობილი აქვს მესამე პირისთვის, მიდის და აკვირდება, ხომ არ ესწრება პარლამენტის წევრი კომპანიაში შეხვედრებს, ხომ არ იღებს მონაწილეობას მართვაში. ჩვენს შემთხვევაში ასეთი დარღვევების გამოვლენისას მორალის მხრივ თუ გამტყუნდება საჯარო მოხელე ან პარლამენტის წევრი.

**– როდესაც საჯარო მოხელეების ქონების შესახებ ვწერ მასალებს, ვითვლი მათ მიერ აღებული კრედიტების რაოდენობასაც. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს იმდენი კრედიტი აქვს აღებული, მისი ჩინოვნიკური ხელფასი აშკარად ვერ ეყოფა მათ გასტუმრებას. არის შემთხვევები, როდესაც გასავალი აჭარბებს შემოსავალს. აი, ასეთი მარტივი საკითხების შემოწმებაც შეუძლებელია და სახელმწიფო მოხელეების სინდისზე უნდა ვიყოთ მხოლოდ დამოკიდებული?**

– თვითონ პარლამენტის წევრებმაც იციან, რომ რაღაც სტრუქტურა უნდა არსებობდეს ქვეყანაში, რომელიც უფლებამოსილი იქნება, გადაამოწმოს მათ მიერ შევსებული დეკლარაციები.

**– ჩემი აზრით, ამა თუ იმ ბიზნესში წილის ფლობა, რასაც არ კრძალავს კანონი, უკვე ნიშნავს, რომ ის კონკრეტული პარლამენტარი იმ კონკრეტული ბიზნესის ლობისტია. მათ მიერ წილების დამალვა სწორედ ამას ხომ არ უკავშირდება?**

– საზოგადოებამ ამის შესახებ უნდა იცოდეს და უნდა არსებობდეს რაღაც სტრუქტურა, რომელიც, როგორც მინიმუმ, შემთხვევითი შერჩევის წესით მაინც გადაამოწმებს დეკლარაციაში შეტანილი ფაქტების სიზუსტეს, რადგან ათასობით დეკლარაციის შემოწმება შეუძლებელია, მაგრამ რაღაც ფილტრი უნდა იყოს, თუმცა ჯერჯერობით ამაზე არ ყოფილა საუბარი, აპირებენ თუ არა მსგავსი სტრუქტურის შექმნას.

**– გამოკითხვამ რა აჩვენა? რა წარმოდგენა აქვს ჩვენს საზოგადოებას უმაღლეს კანონმდებლებზე?**

– კითხვები ეხებოდა როგორც პარლამენტარების ცნობადობას, ისე ნდობას. კარგი იყო ის, რომ გამოკითხულთა 82 პროცენტი იცნობს და-

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**მამა ევსტათი**, *შიო მღვიმის მამათა მონასტრის ბერი (57 წლის).*

**დიაგნოზი**: ორმხრივი გონართროზი, პოდაგრული ართრიტი. სულით და გულით გლოცავთ ალექსიშვილის კლინიკის ყველა თანამშრომელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სულიერებაში გაძლიერებას და ღმერთს ვევედრები, დიდხანს გეკეთებინოთ ეს კეთილი საქმე, რასაც ჰქვია ადამიანების ფიზიკური ტკივილებისგან გათავისუფლება. 5 წლის წინ ჩავიტარე მხოლოდ 3 პროცედურა და აქამდე მომყვა. ჩვენ, სასულიერო პირებს, მოგეხსენებათ, მუხლებზე რა დატვირთვაც გვაქვს, მუხლებზე დაჩოქილი ვევედრებით უფალს. აქ მოსვლის შემდეგ ერთ დღეში მივიღე დიდი შვება, სულ 4-5 პროცედურა ჩავიტარე და კმაყოფილი მივდივარ. იხარეთ ორთავ სოფელსა შინა! ამინ!

**ვენერა მაისაია** *(85 წლის, პენსიონერი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: წელის მალების სპონდილოზი, ოსტეოპოროზი, მარცხენამხრივი კოქსართროზი, მესამე ხარისხის. ახალგაზრდებს რომ ვუყურებ, შვილო, მრცხვენია, ამ ხნის ქალმა ჯანმრთელობაზე ვიწუწუნო – ჩემთან ერთად 25-30 წლის გოგო-ბიჭები მკურნალობდნენ. მაგრამ, ტკივილი მწარეა და ველარ ავიტანე. მოვედი და პირდაპირ ვუთხარი მანანა ექიმს: ან მომკალით, ან მომარჩინეთ, მეტი აღარ შემიძლია-მეთქი. მტკიოდა სულ ყველა სახსარი, კუნთები, ხერხემალი. ღმერთმა გაახაროს მისი ოჯახი! მეორე დღეს რომ გავიღვიძე, მივხვდი, რომ უჯოხოდ შემეძლო გავლა. 10 დღე ვიარე, ტკივილები აღარ მაქვს, მხოლოდ ცოტას ვკოჭლობ. ფეხებში ძალაც მომემატა, მუხლებში გავიმართე... ძალიან მიხარია, იმედი მომეცა, რომ სხვისი ხელის შემხედვარე არ გავხდები, შვილო...



***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 17 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

# რეპროარტი

ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა

## ქართულ-ამერიკული კლინიკა რეპროარტი – ამერიკული ხარისხის საუკეთესო შედეგი უშვილობის მკურნალობაში ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდით

***ქართულ-ამერიკულ რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი უკვე ორი წლისაა. კლინიკის დამფუძნებელი და დირექტორი ემბრიოლოგი ლიკა ჭყონიაა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობის 8-წლიანი გამოცდილებით. მეტიც, რეპროარტის სამეცნიერო კლინიკური მიმართულების დირექტორია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის უშვილობის ცენტრის ემბრიოლოგი პროფესორი დევიდ მაკკალა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ინ ვიტრო კლინიკების ხარისხის კონტროლის ექსპერტია. ორი წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებულ შედეგებს კლინიკის დირექტორი ქალბატონი ლიკა ჭყონია შეაჯამებს.***

**– როგორია რეპროარტის ორწლიანი მუშაობის შედეგი?**

– ორი წლის მუშაობას სწორედ ახლა ვაჯამებთ და შემიძლია, გითხრათ, რომ ძალიან კარგი შედეგი გვაქვს. ჩვენი ამერიკელი თანამშრომელი დევიდი იყო ახლახან ჩამოსული, ერთად ვაანალიზებდით შედეგებს და ერთ-ერთ ჩვენს სტუმარს უთხრა, რომ ასეთი რეზულტატი არ აქვს ბევრ წამყვან კლინიკას მსოფლიოში. ეს სასიხარულოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენი პაციენტებისთვისაც დიდი იმედია. ჩვენი მასალები უკვე გამოქვეყნდა საერთაშორისო კონფერენციებზე.

**– რას გულისხმობთ კარგ შედეგში – მცდელობების უმეტესობა დასრულდა ორსულობით?**

– ჩვენი მთავარი მიზანია, რომ მცდელობა დასრულდეს ჯანმრთელი ბავშვის დაბადებით. წარმატებით დასრულებული ორსულობების პროცენტიც ძალიან მაღალია და იმ ორსულობებისაც, რომლებიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს. გვყავს პაციენტები, რომელთა დაორსულებაც სერიოზული პრობლემა იყო დაზიანებული ჯანმრთელობის ან ასაკის გამო. ბევრი მათგანი, ვისაც უკვე გადაწურული ჰქონდა იმედი, დედა გახდა.

**– ასაკოვანი, ანუ?**

– იგულისხმება 35 წელზე უფროსი ქალები რომლებიც, შესაძლოა, ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებიან, მაგრამ რეპროდუქციული პრობლემები ჰქონდეთ სწორედ ასაკის გამო. ამიტომ ჩემი მთავარი სათქმელი პაციენტებისთვის ასეთია: ნუ დაიგვიანებთ, დრო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან შემდეგ საკუთარი ბიოლოგიური შვილის გაჩენა პრობლემური ხდება. მეორე ჩვენი მთავარი შედეგია გაყინული ემბრიონების გამოყენებით მიღებული რეზულტატები. ჩვენ, მაქსიმუმ, ორი ემბრიონი გადაგვაქვს, დანარჩენი მიგვყავს ბლასტოცისტის სტადიამდე და ვყინავთ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაგვაქვს საშვილოსნოში. ეს სრულიად ახალი მიდგომაა და მსოფლიოს ძალიან წარმატებული კლინიკების გამოცდილებაცაა. ჩვენთან ასეთი შემთხვევების თითქმის 70% ორსულობით მთავრდება.



**– როგორც ვიცი, თქვენს კლინიკაში შესაძლებელია ემბრიონის გენეტიკური კვლევა, რაც მემკვიდრეობითი დაავადებებისგან თავდაცვის საშუალებაა.**

– დიახ, ჩვენ დავიწყეთ პრეიმპლანტაციური გენეტიკური სკრინინგი და დიაგნოსტიკა. ამისთვის სპეციალური ლაზერული აპარატურა შევიძინეთ. როგორც აღმოჩნდა, ემბრიონების 75% როგორც ბუნებრივი გზით ჩასახული, ისე ინ ვიტრო განაყოფიერებით მიღებული, სიცოცხლესთან შეუთავსებელია. ამასთან, მომავალი დედის ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ემბრიონების ქრომოსომული პათოლოგიების რაოდენობაც. ამ მეთოდის საშუალებით, მომავალი დედის საშვილოსნოში მხოლოდ გენეტიკურად ჯანმრთელი ემბრიონი გადაგვაქვს. როდესაც ემბრიონი ჯანმრთელია, მას ორსულობის ისეთივე შანსი აქვს, როგორც ახალგაზრდა ქალს. წარმოიდგინეთ, პაციენტს ვეუბნებით, რომ ორსულობის მიღების 5-პროცენტიანი შანსი აქვს, ემბრიონის სკრინინგის შემდეგ კი ეს შანსი უკვე 50%-ია. წარმოიდგინეთ, როგორი განსხვავებაა?!

**– ძვირად ღირებული სიამოვნებაა პრეიმპლანტაციური გენეტიკური სკრინინგი?**

– არც ისე ძვირია, ჩვენ ვითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას და ჩვენს პარტნიორ უცხოურ ლაბორატორიებთან, სადაც მასალა იგზავნება, ისეთ ფასზე შევჯერდით, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს ეს მეთოდი. მოგეხსენებათ, არის ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ განვითარების თანდაყოლილი ანომალიებით დაავადებული ბავშვი და მათ ამის გამო ეშინიათ შვილების კიდევ გაჩენა. დღეს არის საშუალება, წინასწარ გამოვიკვლიოთ ემბრიონი უამრავ გენეტიკურ დაავადებაზე. ეს ძალზე დახვეწილი, უმაღლესი დონის მეთოდიკებია. პაციენტები ტელემედიცინის საშუალებით ესაუბრებიან გენეტიკურ კონსულტანტს ამერიკის შეერთებულ შტატებში ან ბრიტანეთში, რის შემდეგაც დგინდება კონკრეტულად მათთვის კვლევის მიმართულება.

**– მაგრამ რეპროარტში მხოლოდ უშვილობას არ მკურნალობენ.**

– მართლაც, ქალებს სრულ გინეკოლოგიურ და მამაკაცებს სრულ ანდროლოგიურ მომსახურებას ვთავაზობთ. გვაქვს სრულფასოვანი დიაგნოსტიკური ლაბორატორია, სადაც ნებისმიერ პაციენტს შეუძლია გაიკეთოს ნებისმიერი ანალიზი.

**კლინიკა „რეპროარტის“ მისამართია: თბილისი, თარხნიშვილის №17 ტელ: 2 515-909, 2 946-069.**

**მას შემდეგ, რაც მთავრობის შემადგენლობაში ერთი წევრი შეიცვალა (რაკი დავით ნარმანია თბილისის მერობის კანდიდატია), სულ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა ხმებმა, რომ კიდევ რამდენიმე მინისტრი შეთანხმებულად აპირებს გადადგომას, რაც პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადაყენების საფუძველი შეიძლება, გახდეს, რის შემდეგაც პრეზიდენტი პარლამენტს მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას წარუდგენს დასამტკიცებლად. იმის გათვალისწინებით, რომ მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადებას პარლამენტის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობა სჭირდება (რასაც კოალიცია „ქართული ოცნება“ უპრობლემოდ აგროვებს), შეთქმულების ეს თეორია გულისხმობს, რომ კოალიცია უნდა დაიშალოს. რას ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა: როდის ტოვებს პრემიერ-მინისტრი პოსტს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი პარლამენტის დათხოვნა და პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება, ამ საკონსტიტუციო თეორიულ შესაძლებლობებს კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან, იურისტ ირაკლი კობახიძესთან ერთად მიმოვიხილავთ.**

# რა როლს ასრულებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის დათხოვნის პროცედურაში და რატომ ვერ გამოუცხადებენ მას იმპიჩმენტს სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი

**– პრემიერ-მინისტრით დავიწყოთ, რადგან ის არის ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე პირი ქვეყანაში. მოქმედი კონსტიტუციით, რა შემთხვევაში ტოვებს ის თანამდებობას და როგორ არის შესაძლებელი მისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება?**

– ორი პროცედურა უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან: ერთია იმპიჩმენტის პროცედურა და მეორე – უნდობლობის გამოცხადება პრემიერ-მინისტრისთვის. უნდობლობის გამოცხადება კონსტიტუციის 81-ე მუხლით რეგულირდება და ის საკმაოდ რთული პროცედურაა, რაც იყო კიდეც კრიტიკის დიდი საგანი თავის დროზე, როდესაც 2010 წელს საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღებოდა. ძალიან რთულია მთავრობის და მათ შორის პრემიერ-მინისტრის გადაყენება უნდობლობის გამოცხადებით. გარდა ამისა, შარშან ჩვენს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის შემადგენლობა არანაკლებ შვიდი წევრით, ანუ ერთი მესამედით განახლდება, ხდება მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადება. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ დამატებით 6 მინისტრი შეიცვლება, პრეზიდენტი ვალდებულია, ღარიბაშვილის მთავრობა ხელახლა წარუდგინოს პარლამენტს ნდობის გამოსაცხადებლად და, თუ პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადა პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მინისტრთა კაბინეტს, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს მთავრობის ახალი შემადგენლობა.

**– მთელი შემადგენლობა პრემიერ-მინისტრიანად?**

– დიახ, ჩვენთან კაბინეტური სისტემაა და მთავრობის გადადგომა ნიშნავს, პრემიერ-მინისტრის გადადგომას. თუ მთავრობას უნდობლობა უცხადდება, ეს ავტომატურად ნიშნავს პრემიერ-მინისტრის გადაყენებას.



**პარლამენტის დათხოვნა ხორციელდება პრეზიდენტის მიერ. ერთი საფუძველი შეიძლება, იყოს უნდობლობის გამოცხადება მთავრობის შემადგენლობისთვის, მეორე – ნდობის ვერ ან არგამოცხადება პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის**

**– ოღონდ ნდობის ხელახლა გამოცხადებას სჭირდება პარლამენტის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობა, ანუ 76 ხმა.**

– უბრალო უმრავლესობა სჭირდება მთავრობისთვის როგორც ნდობის, ისე უნდობლობის გამოცხადებას.

**– ვრცელდება არასწორი მოსაზრება, თითქოს პრეზიდენტს აქვს პარლამენტისთვის მთავრობის წარდგენის უფლება. მართალია, პრეზიდენტი წარადგენს, მაგრამ თავად არ შეარჩევს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას. აღვუწეროთ მკითხველს ეს პროცედურა.**

– ფორმალურად პრეზიდენტი არის უფლებამოსილი, დაითხოვოს მთავრობა და მათ შორის პრემიერ-მინისტრი, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური უფლებამოსილებაა. ერთადერთი შემთხვევა, რასაც კონსტიტუცია ითვალისწინებს მთავრობის გადაყენებისას, არის ის შემთხვევა, როდესაც პარლამენტი უცხადებს უნდობლობას მთავრობას ან ვერ უცხადებს ნდობას მთავრობის ახალ შემადგენლობას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია უფლებამოსილი პრეზიდენტი, გადააყენოს მთავრობა. ამ მიმართულებით პრეზიდენტს არ აქვს არანაირი დისკრეცია და მთლიანად ფორმალურია პრეზიდენტისთვის მინიჭებული ეს კომპეტენცია.

**– გასაგებია, თუ ექვსი მინისტრი დატოვებს მინისტრის პორტფელს, პრეზიდენტმა თავიდან უნდა წარუდგინოს ძველი პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტი დასამტკიცებლად პარლამენტს. როდესაც მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობაზეა საუბარი, ვინ წარუდგენს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას?**

– ამ შემთხვევაში ხელმეორედაც აქვს პრეზიდენტს პარლამენტისთვის მინისტრთა კაბინეტის ძველი შემადგენლობის წარადგენის უფლება და თუ 30 დღის ვადაში არ მოხდა ნდობის გამოცხადება, მაშინ პრეზიდენტს შეუძლია, წარუდგინოს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა, რომელსაც მას: თავის მხრივ, წარუდგენს პარლამენტის წევრთა ორი მეხუთედი. პრეზიდენტს ამ შემთხვევაშიც არ აქვს არანაირი დისკრეცია. თუ პრეზიდენტს პარლამენტის წევრთა ორი მეხუთედი წარუდგენს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატს, პრეზიდენტი ვალდებულია, წამოაყენოს ეს კანდიდატი და ამ კანდიდატის მიერ შეთავაზებული მთავრობის შემადგენლობა.

**– მაგრამ ორი მეხუთედი ორი შეიძლება, იყოს პარლამენტში.**

– ეს თეორიული შემთხვევა გათვალისწინებულია კონსტიტუციაში. თუ პარლამენტის 2 მეხუთედი წარუდგენს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებს, რომლის მხარდამჭერთა რაოდენობაც იქნება მეტი, ის კანდიდატურა უნდა წარუდგინოს პრეზიდენტმა პარლამენტს პრემიერ-მინისტრის პოსტზე. ხოლო, თუ ზუსტად თანაბარი რაოდენობის დეპუტატებმა წარუდგინეს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის ორი კანდიდატურა, მაშინ პრეზიდენტს აქვს უკვე დისკრეცია, აირჩიოს ერთ-ერთი.

**– გავიმეორებ, რომ ამ ახალი პრემიერ-მინისტრისთვის ნდობის გამოცხადებასაც უბრალო უმრავლესობა სჭირდება.**

– დიახ. სხვა შემთხვევაში, მთავრობა ვერ ჩამოყალიბდება.

**– რა შემთხვევაშია დასაშვები და ვის შეუძლია პარლამენტის დათხოვნა?**

– პარლმენტის დათხოვნა ხორციელდება პრეზიდენტის მიერ. ერთი საფუძველი შეიძლება, იყოს უნდობლობის გამოცხადება მთავრობის შემადგენლობისთვის, მეორე – ნდობის ვერ ან არგამოცხადება პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის. ანუ მხოლოდ ორი საფუძველია.

**– თუ ერთი გუნდის წარმომადგენლები არიან პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ პარლამენტის დათხოვნა? და რომელი ტანდემია უფრო ძლიერი: პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი თუ პრემიერ-მინისტრი და საპარლამენტო უმრავლესობა?**

– შესაძლებელია პარლამენტის დათხოვნის პროვოცირება და ამის პრეცედენტები ყოფილა საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებში. გერმანიის მაგალითი შეგვიძლია, გავიხსენოთ, სადაც პრემიერებმა, ანუ კანცლერებმა რამდენჯერმე ხელოვნურად მოახდინეს პარლამენტის დათხოვნის პროვოცირება. საპარლამენტო უმრავლესობას არ გამოაცხადებინეს ნდობა მთავრობის შემადგენლობისთვის და ამ საფუძველზე მოხდა პარლამენტის დათხოვნა. რეალურად, აქ პრეზიდენტის თანხმობა არც არის საჭირო, რადგან პრეზიდენტის დისკრეცია საკმაოდ შეზღუდულია პარლამენტის დათხოვნისას. თუ პრემიერ-მინისტრს სურს მთავრობის გადაყენება და რიგგარეშე არჩევნების ჩატარების პროვოცირება და მას ამაში მხარს უჭერს საპარლამენტო უმრავლესობა, ამის გაკეთება შესაძლებელია პრეზიდენტის ქმედითი მონაწილეობის გარეშე.

**– ნდობის გამოცხადების საკითხი, როგორც წესი, არჩევნების შემდეგაა აქტუალური საფუძველი. მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საფუძველი რა შეიძლება, იყოს?**

– უნდობლობის აღძვრა ნებისმიერ დროს შეიძლება, ამ მხრივ პარლამენტი არ არის შეზღუდული, მაგრამ პროცედურა, როგორც ვთქვი, ძალიან გართულებულია. პარლამენტის ორი მეხუთედის მიერ აღიძვრება საკითხი, შემდეგ საკმაოდ დიდი ვადებია დადგენილი პროცედურისთვის. პირველი ვადაა 20-დან 25 დღემდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხდება კენჭისყრაზე საკითხის დაყენება და აღძვრა, ამასაც დამატებით 20-დან 25 დღემდე სჭირდება, ანუ ორ თვემდე დრო სჭირდება პროცედურის პირველ ნაწილს. ამის შემდეგ პრეზიდენტს შეუძლია, ვეტო დაადოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, რის დაძლევასაც სამი მეხუთედით ახერხებს პარლამენტი და ამის შემდეგ საჭიროა მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირება, რომ ძველს შეუწყდეს უფლებამოსილება. ანუ პროცედურა საკმაოდ გართულებულია როგორც ვადების გაწელვის თვალსაზრისით, ისე იმის გამო, რომ პრეზიდენტს ზედმეტი კომპეტენცია აქვს მინიჭებული ამ საკითხში. საბოლოოდ კი, გამოდის, რომ ძალიან რთულია მთავრობის შემადგენლობის შეცვლა.

**– ცალკეულ მინისტრებზე კი მხოლოდ პრემიერ-მინისტრი იღებს გადაწყვეტილებას.**

– პრემიერის ექსკლუზიური პრეროგატივაა მინისტრების შერჩევა და არის ერთადერთი შეზღუდვა: თუ ერთი მესამედით ხდება მთავრობის შემადგენლობის განახლება, საჭირო ხდება პარლამენტის ჩარევა. ცალკეულ მინისტრს კი ნებისმიერ მომენტში შეცვლის პრემიერი.

**– ესე იგი, თუ შვიდი მინისტრი გაურიგდება საპარლამენტო უმრავლესობას, მათ შეუძლიათ პრემიერ-მინისტრის გადაყენება?**

– პირობითად შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ მოვლენათა ასეთი განვითარება: ერთი მინისტრი უკვე შეიცვალა, ექვსი მინისტრი შეიძლება, გადადგეს თანამდებობიდან, ამ შემთხვევაში, მთავრობის შემადგენლობა თავიდან შედ-

# რა ოდენობის ხელფასს იღებდნენ იაპონიაში ელჩობისას საქართველოს პრეზიდენტის ამჟამინდელი მრჩეველი ვანო მაჭავარიანი და იაპონიის საელჩოშივე დასაქმებული მისი მეუღლე

პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო საკითხებში ივანე მაჭავარიანი 1969 წელსაა დაბადებული თბილისში. მისი ოფიციალური ბიოგრაფია სამთავრობო საიტებზე, სამწუხაროდ, არ იძებნება (რომ მისი გამოცდილებისა და განათლების ცენზისთვის ჩაგვეკრა თვალი), თუმცა მის მიერ შევსებული პირველი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაცია 2008 წლით თარიღდება, ოღონდ მიუწვდომელია.

რიგით მეორე დეკლარაცია აწ პრეზიდენტის მრჩეველს 2009 წელს შეუვსია, როგორც საქართველოს ყოფილ ელჩს იაპონიაში. ოჯახის წევრებად მიუთითებდა, 1968 წელს ვაშინგტონში დაბადებულ ლესლი როჯერსს, 2000 წელს ნიუ-იორკში დაბადებულ ქალიშვილ მარიამს და 2006 წელს თბილისში დაბადებულ ვაჟს – ალექსანდრეს. იმხანად უძრავ ქონებას მხოლოდ ივანე მაჭავარიანი ფლობდა. კერძოდ, მისი საკუთრება იყო: საცხოვრებელი სახლი (600 კვადრატული მეტრი) და მიწის ნაკვეთი (800 კვადრატული მეტრი) საცურაო აუზით დიღომში; სააგარაკე სახლი (380 კვადრატული მეტრი) და მიწის ნაკვეთი (3 300 კვადრატული მეტრი) სოფელ ჭორვილაში; მიწის ნაკვეთი ტაბახმელაში (1 280 კვადრატული მეტრი) და მიწის ნაკვეთი დაბა ბაკურიანში (1 000 კვადრატული მეტრი). მასვე ჰყავდა ორი ავტომანქანა: „პრადო ლენდკურიზერ ტოიოტა" და „ვოლვო 570". ამას გარდა, ცოლ-ქმარი ერთობლივად ფლობდა 10 000 ლარზე მეტი ღირებულების ძვირფას ნივთებსა და სამკაულებს, ანტიკვარულ ნოხებს, როიალ „პეტროვს", ფერწერულ ტილოებსა და ქანდაკებებს. ლესლი როჯერსის საკუთრებად დამატებით ირიცხებოდა ანტიკვარული ავეჯი, სასადილო „სერვიროვკა" და სპორტული ცხენები. ივანე მაჭავარიანი კი ფლობდა სახლის თანამედროვე ავეჯსა და სამზარეულოს. ვადიან ანაბრებზე ივანე მაჭავარიანი ინახავდა: 50 000, 50 000 და 10 000 აშშ დოლარს. იმ პერიოდში ივანე მაჭავარიანი სამი შპს-ს დამფუძნებელი იყო, თუმცა მათგან მხოლოდ ერთმა მოუტანა ერთი წლის განმავლობაში 14 000 ლარი. რაც შეეხება სხვა შემოსავლებს: ივანე მაჭავარიანმა, როგორც იაპონიაში საქართველოს ელჩმა, 71 000 აშშ დოლარი და 2 000 ლარი მიიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც იაპონიაში საქართველოს საელჩოს კონსულტანტ-რეფერენტმა – 39 600 აშშ დოლარი მიიღო. წყვილს შვილის სწავლა 2008 წელს 26 000 აშშ დოლარი დაუჯდა. ამასთან, ლესლი როჯერსი ფლობდა უამრავ აქციას – დაახლოებით, 12 000-ს ერთეულს, რომელთა ნომინალის ღირებულება მერყეობდა 2-დან 18 აშშ დოლარამდე; აგრეთვე, 177 897-17 564 აშშ დოლარის ღირებულების და 5 475 730-60 859 აშშ დოლარის ღირებულების აქციას (ხელნაწერი ცუდად იკითხება და შეცდომის თავიდან აცილების მიზნით მხოლოდ აქციების ოდენობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებით შემოვიფარგლებით).



სულ ბოლო დეკლარაცია ივანე მაჭავარიანმა 2014 წელს შეავსო, როგორც საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა. უცვლელია მისი ოჯახის შემადგენლობა, ცოლ-ქმრის კუთვნილი უძრავი ქონება კი შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ივანე მაჭავარიანის საკუთრებაა საცხოვრებელი სახლი დიღმის საცდელი მეურნეობის დასახლებაში (400 კვ.მ); იქვე მდებარე მიწის ნაკვეთი (800 კვ.მ); მიწის ნაკვეთი სოფელ ჭორვილაში (1 290 კვ. მ.) საცხოვრებელი სახლითურთ (330 კვ.მ), მიწის ნაკვეთი ტაბახმელაში (1 290 კვ.მ), მიწის ნაკვეთი ბაკურიანში (1 000 კვ.მ) და მიწის ნაკვეთი ჭორვილაში (3 600 კვ.მ). ცოლ-ქმარი ერთობლივად ფლობს საცხოვრებელ სახლს დიღმის საცდელ-სასწავლო მეურნეობაში (ნაკვეთი 81, ფართობი 180 კვ.მ) და მიწის ნაკვეთს იმავე მისამართზე (ფართობი 1 000 კვ.მ).

ივანე მაჭავარიანს ჰყავს „ტოიოტა პრადო," ლესლი როჯერსს – „ფოლკსვაგენ ტიგუანი." ლესლი როჯერსს საპენსიო ანგარიშზე 315 000 აშშ დოლარი ერიცხება. ივანე მაჭავარიანს კი „თი ბი სი ბანკის" დეპოზიტზე – 41 000 აშშ დოლარი, ამერიკული ბანკის ერთობლივ დეპოზიტზე – 131 500 აშშ დოლარი. ამჟერად სამეწარმეო საქმიანობას მხოლოდ ლესლი როჯერსი ეწევა: ის არის 1992 წელს არიზონას შტატში რეგისტრირებული – ლესლი როჯერს მერი ლონგსვორს ტრასტ, ლესლი როჯერს ტრასტის – დირექტორი, რამაც მას წინა წლის განმავლობაში 25 000 აშშ დოლარის შემოსავალი მოუტანა; ასევე, 1995 წელს კალიფორნიაში რეგისტრირებული ლესლი როჯერს ჩარლზ შვაბ & კორპორაციის აქციონერი, რამაც მას წინა წელს შემოსავლის სახით, 12 000 აშშ დოლარი მოუტანა. 2013 წლის განმავლობაში ივანე მაჭავარიანმა, როგორც საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ლექტორმა, 12 400 ლარი აიღო, როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა, მხოლოდ 3 045 ლარის აღება მოასწრო. ლესლი როჯერსმა კი, როგორც იურიდიული კომპანია „დეკერტის" იურისტმა, 30 000 ლარი. 2013 წელს ივანე მაჭავარიანმა ბავშვების სწავლაში 13 600 ლარი დახარჯა, სახლის მშენებლობაში კი – 60 000 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

ის პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად და თუ ნდობა არ გამოუცხადა პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტს, დგება პრემიერ-მინისტრის გადაყენების საკითხი. მნიშვნელოვანია ის, რომ ვერ უნდა შეგროვდეს უმრავლესობა მთავრობისთვის ნდობის გამოსაცხადებლად, რაც უფრო ამარტივებს გარიგებული მხარეების მოქმედებას. მათ აღარ ევალებათ 76 ხმის მოგროვება, მათთვის პრემიერ-მინისტრის გადასაყენებლად მთავარია, საკითხი ჩააგდონ და საკითხის ჩაგდება უფრო მარტივია, ვიდრე გადაწყვეტილების მიღება.

**– თან, პროცედურულადაცაა შესაძლებელი საკითხის ჩაგდება. პრეზიდენტის გადაყენების რა მექანიზმებია კონსტიტუციაში?**

– პრეზიდენტის გადაყენება იმპიჩმენტის წესით ორ შემთხვევაშია შესაძლებელი: ერთი, ეს არის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა და მეორე – პრეზიდენტის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა. ორივე შემთხვევაში საკითხი აღიძვრება დეპუტატთა ერთი მესამედის მიერ. შემდეგ აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოსმენა, ანუ საბოლოოდ, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა არ არის სუფთა პოლიტიკური პროცედურა, ეს არის პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცედურა. უნდა დადგინდეს, დაირღვა თუ არა კონსტიტუცია პრეზიდენტის მიერ, მეორე შემთხვევაში კი, არსებობს თუ არა დანაშაულის ნიშნები პრეზიდენტის ქმედებაში. თუ ან ერთს ან მეორეს დაადგენს სასამართლო, საკითხი განსახილველად პარლამენტში ბრუნდება და პარლამენტი ორი მესამედით უყრის კენჭს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს. შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინოს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი პრეზიდენტის მიერ, მაგრამ პარლამენტმა ვერ გამოუცხადოს პრეზიდენტს იმპიჩმენტი.

**– იმიტომ რომ ხმების ორი მესამედი ვერ მოგროვდეს?**

– დიახ, როგორც ვთქვი, პრეზიდენტის იმპიჩმენტი არის როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი პროცედურა. დასკვნას გამოიტანს სასამართლო, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს.

**– მესმის, რომ კონსტიტუციის დარღვევა მძიმე დანაშაულია პრეზიდენტის მიერ, მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაული თუ ჩაიდინა პრეზიდენტმა, მაშინაც თითქმის შეუძლებელი რატომაა მისი იმპიჩმენტი? ვთქვათ, დახოცა ხალხი – ჯვარი სწერია ჩვენს და ყველა პრეზიდენტს, არ უნდა დაიჭირონ?**

– თეორიულად ყველაფერი შეიძლება, მოხდეს და ნებისმიერი ტიპის ძალიან მძიმე დანაშაული ჩაიდინოს პრეზიდენტმა, ეს დაადასტუროს სასამართლომ, თუმცა, თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მიიღო პარლამენტმა, ის თანამდებობას შეინარჩუნებს.

**– პრეზიდენტი რომ აღარ იქნება, მერე მაინც თუა შესაძლებელი იმ დანაშაულთან მიბრუნება?**

– თუ უფლებამოსილება შეუწყდება პრეზიდენტს, მის მიმართ, როგორც ჩვეულებრივი პირის მიმართ, ისე შეიძლება გაგრძელდეს სისხლის სამართლის საქმე. აქ ერთი რამაა მნიშვნელოვანი: სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევაში, ეს არ არის სტანდარტულად განხილული საქმე. როგორც წესი, ასეთ საქმეებს განიხილავს საერთო სასამართლოების სისტემა. საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს კი ზუსტად ერთნაირი ძალა არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე არსებითად ერთი და იმავე შინაარსის საქმეს განიხილავს.

**– რომელს აქვს უფრო მეტი ძალა?**

– პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ნიშნავს, რომ პირს მაინცდამაინც უნდა შეეფარდოს კონკრეტული სასჯელი. რაც შეეხება უზენაეს სასამართლოს: მისი გადაწყვეტილება დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, ნიშნავს, რომ პირს სასჯელი იმთავითვე შეეფარდება.

**– რომელი სახელისუფლო რგოლია უფრო მეტად დაცული თუ ხელშეუხებელი: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა კაბინეტი თუ პარლამენტის წევრები?**

– პრეზიდენტი საკმაოდ დიდი პრივილეგიებით სარგებლობს. მას თითქმის აბსოლუტური იმუნიტეტი აქვს მინიჭებული სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისითაც. პრეზიდენტის გადაყენების ერთადერთი საფუძველი არის იმპიჩმენტი, პოლიტიკური მოტივით პრეზიდენტის გადაყენება შეუძლებელია. ამ მხრივ, პრეზიდენტი კონსტიტუციით საკმაოდ მკაცრადაა დაცული. მთავრობაც დაცულია კონსტიტუციით, ოღონდ, ჩემი სუბიექტური აზრით, ზედმეტადაა დაცული: ვგულისხმობ უნდობლობის გამოცხადების პროცედურის სირთულეს, რაც მეტად მყარ გარანტიებს აძლევს მთავრობას, რაც საპარლამენტო მოდელში ცოტა უცნაურია. როგორც ვთქვით, პარლამენტის დათხოვნა შესაძლებელია, თუმცა პარლამენტსაც აქვს მინიჭებული თავისი გარანტიები, მაგრამ ეს არის საპარლამენტო მმართველობის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან

ზარი ფასიანია

*პაციენტები ჩვენს ქვეყანაში, მოგვწონს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ კრავივით დაუცველთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ამის მიუხედავადაც, არსებობს ორგანიზაცია, რომელიც მათ უფლებებს იცავს – საქართველოს პაციენტთა უფლებების დაცვის ასოციაცია. მისი თავმჯდომარე მამუკა ცუხიშვილია. ადამიანი, რომელსაც არ აქვს სამედიცინო განათლება, მაგრამ საკუთარი ძალისხმევით შექმნა პრეცედენტი და სამედიცინო დაწესებულებას მისთვის მიყენებული ზიანი ბოლო თეთრამდე აანაზღაურებინა. ამჟამად ის, ბუნებრივია, სხვა პაციენტების უფლებებსაც იცავს. პირველი აპრილიდან სახელმწიფო დაზღვევის ის პროგრამები – უმწეოთა, სტუდენტთა, პენსიონერთა თუ სამ წლამდე ბავშვთა ჯანმრთელობის დაზღვევა – რომლებსაც აქამდე კერძო სადაზღვევო კომპანიები ახორციელებდნენ, საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამას შეუერთდა. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ჯანმრთელობაზე ამიერიდან სახელმწიფო უშუალოდ იზრუნებს. მეორე მხრივ, გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს ფაქტი კერძო სადაზღვევო კომპანიებს დააზარალებს, რადგან მათ გარანტირებული თანხა მოაკლდებათ ბიუჯეტიდან, თუმცა ისიცაა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მოვალეობა კერძო ბიზნესის გამართვა არ არის. იმის გათვალისწინებითაც, რომ ამას წინათ მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი პაციენტის მამამ თავი მოიკლა, სწორედ კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ საოპერაციო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმას უკავშირდება. გააუარესებს თუ გააუმჯობესებს უმწეოთა თუ პენსიონრების ჯანმრთელობის დაზღვევას მათი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვა? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას პაციენტთა უფლებების დამცველთან, მამუკა ცუხიშვილთან ერთად შევეცდებით.*

# რატომ არ აქვს მოსახლეობას სრული ინფორმაცია, თუ რა სამედიცინო მომსახურებას უნაზღაურებს სახელმწიფო და ვის უნდა მიმართონ პაციენტებმა მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში



**მედიკოსებს დავალება აქვთ მიცემული, რომ პაციენტი დარჩეს პოლიკლინიკის დონეზე, რომ სახელმწიფომ ბევრი ფული არ დახარჯოს**

**– ვიცით, რომ უმწეოთა სადაზღვევო პაკეტი უკეთესი იყო, ვიდრე საყოველთაო დაზღვევის პაკეტია, თუმცა ისიც ვიცით, რომ ბევრი ხარვეზით მიმდინარეობდა კერძო სადაზღვევოების მხრიდან. როგორ შეაფასებდით კერძო სადაზღვევოებისთვის უმწეოებისა და პენსიონერების მომსახურების ჩამორთმევას? ამ კატეგორიის პაციენტებს გაუუმჯობესდებათ სამედიცინო მომსახურება?**

– საყოველთაო დაზღვევის პროგრამამ პირველი აპრილიდან მოიცვა მოსახლეობის ყველა ფენა, გარდა იმ ფენისა, ვინც კორპორატიულადაა დაზღვეული. სახელმწიფოს, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროსა და მთავრობას მიაჩნიათ, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები კმაყოფილნი არიან. თუმცა, რაოდენ გადაუდებელიც უნდა იყოს, თუ უკიდურესად გადაუდებელი პრობლემა არ აქვს პაციენტს, საოპერაციო ლოდინის პროცესი 2-დან 4 თვემდეა, რაც კატასტროფულად აისახება პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ანუ მათი მდგომარეობა უარესდება.

**– საყოველთაო დაზღვევის პროგრამაზე ამბობთ?**

– დიახ, გავიმეორებ, არა მარტო სოციალურად დაუცველები, ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა, გარდა კორპორაციულად, სამსახურებრივად დაზღვეულებისა, გაერთიანდა ერთ სისტემაში. თუმცა საყოველთაო დაზღვევის პროგრამის პლუსი ის არის, რომ პაციენტები გარკვეულ გამოკვლევებზე სარგებლობენ ასპროცენტიანი დაფინანსებით.

**– რაც იმავე უმწეოების სადაზღვევო პაკეტში არ იყო?**

– დიახ, რასაც წინა პაკეტი არ ანაზღაურებდა. თუ ადრე მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია გადაუდებელ შემთხვევაში ანაზღაურდებოდა 70, 80 ან 90 პროცენტით, საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამაში სრულად ფინანსდება, მაგრამ მედიკოსებს დავალება აქვთ მიცემული, რომ პაციენტი დარჩეს პოლიკლინიკის დონეზე, რომ სახელმწიფომ ბევრი ფული არ დახარჯოს. საყოველთაო დაზღვევის პროგრამას ბევრი ხარვეზი აქვს, რაც ეხება არა მარტო სოციალურად დაუცველებს, არამედ პენსიონერებსაც. მათ მხოლოდ და მხოლოდ პოლიკლინიკის ექიმთან შეუძლიათ მისვლა, თუმცა პლუსი არის ის, რომ ყოველ ორ თვეში ერთხელ პაციენტს შეუძლია, აირჩიოს ახალი პოლიკლინიკა, რომელიც ჩართულია საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში. მხოლოდ პირადობის მოწმობით დარეგისტრირდება და ორი თვის შემდეგ კვლავ შეიცვლის, თუ ამის სურვილი ექნება. ეს ნამდვილად პლუსია, თუმცა მეორე საკითხია: აკმაყოფილებს ის პოლიკლინიკები ევროპულ სტანდარტებს? რასაკვირველია, არ აკმაყოფილებს. მაგალითად, არის პოლიკლინიკა, რომელსაც არ ჰყავს ინფექციონისტი; რომელსაც არ ჰყავს უროლოგი, არ აქვს კარდიოექოსკოპია, არ ტარდება იმ ტიპის გამოკვლევები, რომლებიც სჭირდება პაციენტს და ასე შემდეგ. ანუ ზოგადად, ვერ აკმაყოფილებს იმ თანამედროვე სტანდარტებს, რომლისკენაც ეს ქვეყანა მიილტვის.

**– ლოდინის 2-დან 4-თვემდე პერიოდი ახსენეთ, თუმცა, როდესაც ჯანდაცვის სოციალურ პროგრამებზეა საუბარი, ლოდინი მიღებული პრაქტიკაა განვითარებულ ქვეყნებშიც.**

– ჩაგერთვებით: თუ პაციენტის მდგომარეობა ექიმის მიერ გამოწერილი ფორმა 100-ს, ანუ ნორმალური ექიმის მიერ დასმული დიაგნოზის მიხედვით შეუთავსებელი არ არის სიცოცხლესთან, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუარესდება, ამ ადამიანს ლოდინის პროცესი შეიძლება, ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, თუ გაუსაძლისი ტკივილები აქვს პაციენტს, არ არის სასურველი 2-დან 4 თვემდე ლოდინი, მაგრამ, თუ გეგმიურია შემთხვევა, პაციენტმა შეიძლება, მოიცადოს.

**– ითქვა, რომ საპენსიო ასაკის პირების ლოდინის პროცესი, როგორც წესი, ხშირად მაქსიმალურია, 4 თვემდე ელოდებიან ოპერაციას, ვიდრე მათზე ახალგაზრდები.**

– გააჩნია დაავადებების ნოზოლოგიას. გააჩნია ფორმა 100-ს კოდებს. მოგეხსენებათ, ჩვენთან დაავადების კოდები გაუთანაბრდა ევროპულს. ამას ვერავინ არეგულირებს, შეიძლება, პაციენტმა ორ კვირაში მიიღოს დადებითი პასუხი ან ერთ თვეში, ორ თვეშიც, სამ თვეში ან 4 თვეში. 4 თვემდე ლოდინის პროცესი ჩვეულებრივია ასაკოვანი ადამიანისთვისაც, თუ მისი დაავადება სიცოცხლესთან შეუთავსებელი არ არის.

**– საველე მედიცინაში ასე ყოფილა: როდესაც მძიმე და საშუალო სიმძიმის პაციენტი შემოდის, თავდაპირველად ქირურგმა უნდა მიხედოს საშუალო სიმძიმის პაციენტს, რომ ისიც არ დაუმძიმდეს და მხოლოდ ამის შემდეგ მძიმეს. რაღაც მსგავსი რამ გამოდის, პენსიონერებისთვის ლოდინის იმავე პერიოდის დაწესებით.**

– აქ ერთი მომენტიცაა: როდესაც ავტობუსში ამოდის ხნიერი და ახალგაზრდა ადგილს არ უთმობს, არადა, შესაძლოა, იმ მომენტში ახალგაზრდას უფრო უჭირდეს, ვიდრე ხნიერს. აქ ყველაფერი დამოკიდებულია ფორმა 100-ზე. ექიმის მიერ დადგენილი დიაგნოზი განსაზღვრავს ლოდინის დროს. ექიმებს, როგორც წესი, ეშინიათ და ამ ბოლო დროს არ შეგვხვედრია შემთხვევა, არაპროფესიულად იყოს შევსებული დოკუმენტაცია, თუმცა არ გამოვრიცხავთ იმას, რომ პენსიონერის და უფრო ახალგაზრდის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთნაირი იყოს და ახალგაზრდას უფრო სწრაფად ჩაუტარდეს ოპერაცია, გააჩნია რომელი პოლიკლინიკისთვის, რა ფაქტორია წამყვანი. ამას თვითონ წყვეტენ და არანაირი უფლება არ აქვს პაციენტს ან მისი ოჯახის წევრს, რამე გაარკვიოს საყოველთაო ჯანდაცვის ობიექტების ფილიალებში. მათი პასუხია: დაელოდეთ მესიჯს. რომ არ მოგატყუოთ, ქვეყანაში ჯანდაცვის პროგრამის მომსახურება საკმაოდ ცუდად აისახება მოსახლეობაზე.

**– საერთოდ რომ არ იყო, იმასთან შედარებითაც?**

– ასე თუ მივუდგებით საკითხს, რა თქმა უნდა, არა. თუმცა თავიდან უმწეოების დაზღვევის პროგრამა კარგად მუშაობდა, მაგრამ შემდეგ სადაზღვევოებს ფული შემოაკლდათ თუ იმიტომ, რომ ტაქტიკა შეიცვალეს, უკან-უკან წავიდა საქმე.

**– სადაზღვევო კომპანიებისთვის სახელმწიფო დაზვევის ჩამოშორება მათ დააზარალებსო. კერძო კომპანიებმა ბიუჯეტის ხარჯზე უნდა გამართონ ბიზნესი?**

– აქ ისეთი ვითარებაა, რომ ვერავინ გაიგებს, სად მარხია ძაღლის თავი. ეს არა მარტო ჩვენთვისაა გაუგებარი, რიგითი მოქალაქეებისთვის, არამედ, სისტემაში მომსახურე პერსონალისთვისაც კი რთულად გასარკვევია, ვინ ვის ფუნქციებს არეგულირებს.

**– ჩვენ ვისაუბრეთ პოლიკლინიკებზე, როდესაც ოპერაცია სჭირდება საყოველთაო**

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**12 მაისს, დღის პირველ საათზე, თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე, ახალი სამედიცინო ცენტრი იხსნება. ეს იქნება უნიკალური და უპრეცედენტო ცენტრი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში, რომელსაც ანალოგი არ აქვს. თანამედროვე, მაღალი სტანდარტი, ევროპაში ცნობილი და ავტორიტეტული პროფესორები, მომსახურების უმაღლესი პირობები – ეს ახალი ცენტრის არასრული სავიზიტო ბარათია. „ლანცეტი" არის ევროპული და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ცენტრი, აღჭურვილი ძალიან მძლავრი სადიაგნოსტიკო ცენტრით, 15 საოპერაციოთი, რეანიმაციით, ლაბორატორიით, სადაც პაციენტებს ექნებათ საშუალება, ჩაიტარონ გამოკვლევები და ოპერაციები, რაც აქამდე საქართველოში შეუძლებელი იყო და რის გამოც ქართველ პაციენტებს ევროპაში, განსაკუთრებით კი გერმანიაში, ავსტრიაში, თურქეთში, ისრაელში უწევდათ წასვლა. რა სტანდარტით იქნება გამორჩეული ახალი ცენტრი, რომლის დაარსებასაც თბილისში უკვე მოჰყვა ბევრი მითქმა-მოთქმა, ამის შესახებ ცენტრის დამფუძნებელსა და დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ფარმან ჯეირანლის გავესაუბრეთ, რომელსაც 30-წლიანი სამედიცინო სტაჟი და თანამედროვე მედიცინაში ავტორიტეტული ქირურგის სახელი აქვს.**

# ახალი მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი საქართველოში – „ლანცეტი" – უპრეცედენტო ჰოსპიტალი, რომელსაც რეგიონში ანალოგი არ აქვს

**– ბატონო ფარმან, როგორ გაჩნდა იდეა, შეგექმნათ უნიკალური სამედიცინო ცენტრი, რომლის ანალოგი ჩვენს რეგიონში არ არსებობს და რატომ აირჩიეთ ამ ცენტრისთვის თბილისი?**

– სამედიცინო ცენტრის დაფუძნების იდეა, რა თქმა უნდა, უცბად არ გაჩენილა, ამისთვის ძალიან დიდი გზის გავლა და ბევრი შრომა დამჭირდა. 30 წელია, რაც მედიცინაში, კერძოდ, ქირურგიაში ვმოღვაწეობ. ვარ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა პოზიციაზე: ვიყავი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავარი ქირურგი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო მიმართულების უფროსი, ასევე ი. ტობჩიბაშივას სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი. მანამდე დიდი ხანი გავატარე მოსკოვში, ვმუშაობდი მიხეილ სეჩენოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო აკადემიაში, ასე რომ, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება მივუძღვენი ქირურგიას, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს პროექტი არის მთელი ჩემი პრაქტიკული და სამეცნიერო შრომის შედეგი; ჩათვალეთ, რომ ეს არის დიპლომის დაცვა, რომელიც, მართალია, ახალგაზრდულ ასაკში ხდება, მაგრამ, თითქმის ანალოგიური განცდა მაქვს ახლა, როცა ასეთი უნიკალური ცენტრი იხსნება. ყველაფერი, რაც გავიარე, რაც ვისწავლე და გავაკეთე – თავს მოიყრის ამ პროექტში, რაც იყო კიდეც ჩემი ოცნება. აქ საინტერესო არის კიდევ ერთი მომენტი, თქვენ მკითხეთ, რატომ ავირჩიე ამ ცენტრისთვის თბილისი. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა. მე დავიბადე და გავიზარდე საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღალოში, იქ დღესაც ცხოვრობს დედაჩემი, იქ არის მამაჩემის საფლავი.




**– როგორ მოხვდით იორმუღალოში გაზრდილი ახალგაზრდა მოსკოვისა და ბაქოს წამყვან სამედიცინო ცენტრებში?**

– სკოლა იორმუღალოში დავამთავრე. მეც, სხვა აზერბაიჯანელების მსგავსად, ბაქოში მომიწია წასვლა, სადაც ნარიმან ნარიმანოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საქართველოში დავბრუნდი, ინტერნატურა ეგრეთ წოდებულ „არამიანცის" საავადმყოფოში გავიარე. ძალიან მინდოდა, რომ ქირურგიის კარგი სკოლა გამევლო. საბჭოთა კავშირის პერიოდში ვერც ევროპაში წახვიდოდი, ვერც ამერიკაში, ეს არ იყო იოლი. მე ავირჩიე მოსკოვი, სადაც 32 წლის ასაკში მივიღე სამეცნიერო ხარისხი. ამის შემდეგ მომიწია დაბრუნება აზერბაიჯანში. სხვა არჩევანი არც მქონდა, 90-იან წლებში საქართველოში ძალიან რთული სიტუაცია იყო. თუმცა, ყოველთვის მქონდა სურვილი, დავრჩენილიყავი და მეცხოვრა აქ, სადაც დავიბადე და გავიზარდე. როდესაც აზერბაიჯანში შესაძლებელი გახდა კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელება, ბაქოში ერთ-ერთი პირველი სამედიცინო კლინიკა მე გავაკეთე, რომელსაც „ლანცეტი" ეწოდა.



**– ახლა „ლანცეტი" იხსნება თბილისშიც. რატომ ეს სახელწოდება და რა მიმართულებებით იმუშავებს ახალი სამედიცინო ცენტრი?**

– ჩემთვის, როგორც ქირურგისთვის, რომელსაც ათი ათასზე მეტი ქირურგიული ოპერაცია აქვს ჩატარებული, ლანცეტი ძალიან ორგანული ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით ხდება იმ ორგანოსა თუ დაზიანებული ადგილის მოშორება, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს პრობლემებს უქმნის. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს ახალ სამედიცინო ცენტრს ასეთი სახელწოდება აქვს, ცენტრი იმუშავებს არა მხოლოდ სრული ქირურგიული განხრით, არამედ, ყველა იმ მიმართულებით, რის გარეშეც თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია. „ლანცეტი" არის ევროპული და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ცენტრი, აღჭურვილი ყველაზე მძლავრი ლაბორატორიებით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ რეგიონში. ჩვენს ცენტრში შესაძლებელი იქნება ისეთი ანალიზებისა და გამოკვლევების ჩატარება, რაც აქამდე საქართველოში შეუძლებელი იყო. რაც შეეხება ცენტრის მუშაობის სტრუქტურას, ის წარმოდგენილი იქნება ოთხი მიმართულებით: დიაგნოსტიკა-პოლიკლინიკა, სტაციონარი, საოპერაციო და პარაკლინიკური სამსახური. ცენტრში ფუნქციონირებს სრული პროფილი: ქირურგია, გულ-მკერდისა და სასუნთქი გზების ქირურგია, გინეკოლოგია, უროლოგია, ორთოპედია, ნეიროქირურგია, ტრავმატოლოგია, სამშობიარო ბლოკი, ინ ვიტრო განაყოფიერება, ორგანოების ტრანსპლანტაცია, ბავშვთა ქირურგია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, თორაკოაბდომინური ქირურგია, პლასტიკური ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია და ასე შემდეგ. თამამად შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ერთადერთი მრავალპროფილური ჰოსპიტალია რეგიონში და მასში მედიცინის ყველა დარგია გაერთიანებული.

ჩვენი ცენტრი დაკომპლექტდა მაღალი კვალიფიკაციის პროფესორებით, ისინი მოწვეულები არიან ევროპიდან, ამერიკიდან. გასულ კვირას საფრანგეთიდან გვყავდა სტუმრად ცნობილი პროფესორი დანიელ აზულაი, რომელიც ღვიძლის გადანერგვის ოპერაციებით არის ცნობილი. ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ ისეთ მიმართულებებზე, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ რეგიონში არ კეთდება, ან, თუ კეთდება, მხოლოდ დაბალი ხარისხით. მაგალითად, ჩვენს ცენტრში მოხდება ღვიძლის, თირკმლის გადანერგვა; გაკეთდება ურთულესი ოპერაციები გულზე, ასევე, ნეიროქირურგიაში. ჩვენ მოვიწვევთ არა მხოლოდ ცნობილ და ავტორიტეტულ ექიმებს, არამედ, დავეხმარებით ახალგაზრდა ექიმებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

**– ძალიან მაღალ დონეზეა მოწყობილი ახალი ცენტრის ინფრასტრუქტურა.**

– ეს არის უპირველესი პირობა. აპარატურა, რომლითაც აღჭურვილია ჩვენი ცენტრი, მსოფლიოს წამყვანი ფირმების მიერ არის წარმოებული. სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი" იქნება საერთაშორისო სტანდარტისა და დონის სამედიცინო დაწესებულება. ცენტრში იფუნქციონირებს 15 მოდერნიზებული საოპერაციო; ყოველ სართულზე იქნება განთავსებული თითო მიმართულება საოპერაციო და რეანიმაციულ განყოფილებებთან ერთად. ჩვენ ცენტრის ტერიტორიაზევე გვექნება ჟანგბადის მწარმოებელი საამქრო, აღარაფერს ვამბობ დამატებით ინფრასტრუქტურულ კომფორტზე: სასტუმრო, კაფეტერია, საკონფერენციო დარბაზი და ასე შემდეგ. სახურავზე გაკეთებულია ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი, რასაც გამოვიყენებთ ფორსმაჟორულ სიტუაციებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ცენტრში არის სასტუმრო 40 ნომრით. ამ სასტუმროში ცხოვრების შესაძლებლობა ექნებათ პროფესორებს, რომლებიც ჩამოვლენ ჩვენთან სამუშაოდ უცხოეთიდან. სასტუმრო, ასევე, იმუშავებს სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული პაციენტებისა და მათი თანმხლები ადამიანებისთვის. ის პირობები, რასაც ჩვენ ვთავაზობთ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ პაციენტებს, მათთვის ძალიან ხელსაყრელი იქნება.

**– ქართველ პაციენტებს რთული ოპერაციების ჩასატარებლად ევროპაში, ისრაელში, თურქეთში უწევდათ გამგზავრება. ახალი ცენტრი ამ ტენდენციას შეცვლის?**

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველ პაციენტებს უცხოეთში აღარ მოუწიოთ წასვლა გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის, რაც მათთვის ძალიან ბევრ ხარჯთან და ტექნიკურ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. უფრო მეტიც, პირიქით, ისე შემოვატრიალებთ სიტუაციას 180 გრადუსით, რომ უკვე ჩვენთან ჩამოვლენ იმ ქვეყნებიდან, სადაც ჩვენს პაციენტებს უწევდათ წასვლა. ამას შევძლებთ დაბალანსებული ფასებითა და ცნობილი, ავტორიტეტული ექიმებით, რაც მათ საშუალებას მისცემთ, უფრო მისაღებ ფასებში მიიღონ იმ სტანდარტის სამედიცინო მომსახურება, რასაც მათ ცნობილი ევროპული კლინიკები სთავაზობთ. ჩვენი საქმიანობის შედეგი ძალიან მალე გამოჩნდება. ჩემთვის მთავარია სამედიცინო ცენტრის საქმიანობის უმაღლესი სტანდარტი. მე მოწოდებით ექიმი ვარ. გულწრფელად გეტყვით, თუ რამე ბიზნესი მქონდა, მქონდა იმიტომ, რომ ეს ცენტრი გამეხსნა. ამ ცენტრის შექმნაში დაახლოებით 25 მილიონია ჩადებული. კომერციული ინტერესიდან და მოგებიდან გამომდინარე, ნებისმიერი ბიზნესმენი ამ ფულს უფრო „მარტივ" მიმართულებაში ჩადებდა და ათჯერ მეტ მოგებასაც ნახავდა, მაგრამ, მე ასე არ ვფიქრობ. ევროპული საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი, სადაც ადამიანთა სიცოცხლეზე გამოცდილი ექიმები იზრუნებენ, პროფესიონალი ექიმისთვის ფულზე უფრო მნიშვნელოვანია.

**თამუნა ნიჟარაძე**

**ჩვენი რესპონდენტი მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი, გიორგი ლაცაბიძეა, რომელიც მისი ცხოვრების მნიშვნელოვან სიახლეებზე მეუღლესთან ერთად გვესაუბრა.**

# რა ტრაგედია გადაიტანა გიორგი ლაცაბიძემ, როგორ იპოვა ბედნიერება და რა სკანდალური ფილმი გადაიღეს მასზე ნიუ-იორკში

**გიორგი ლაცაბიძე:** გასული წელი ჩემთვის განსაკუთრებულად მძიმე იყო... დავკარგე საყვარელი ადამიანი. მამაჩემი გარდაიცვალა, რომელიც ძალიან მაკლია და ყოველთვის ასე იქნება. მამას გარდაცვალებამ აბსოლუტურად გამყინა ემოციურად, ფიზიკურად, პროფესიონალურად. მოტივაცია სრულიად აღარ მქონდა. მრავალი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ყველაფერზე უარს ვამბობდი. არანაირი შთაგონება აღარ მქონდა, მუსიკალური საქმიანობა გამეგრძელებინა. ეს მომენტი ყველას ცხოვრებაში დგება და ჩემთანაც ასე მოხდა... თუმცა, მამას წასვლის კომპენსირება მოხდა იმით, რომ იმავე წელს, შევხვდი ადამიანს, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში დიდი სიხარული შემოიტანა. ერთმანეთს 10 თვეა, ვიცნობთ, მაგრამ უკვე ბევრი მოვასწარით, ბევრ ქვეყანაში ვიმოგზაურეთ ერთად, ბევრი რამ ერთად გადავიტანეთ – სიხარულიც და ნაღველიც. ანა შესანიშნავი მუსიკოსია, ვენის კონსერვატორიაში სწავლობს და უკვე ჩამოყალიბებული პიანისტია. იმავე კონსერვატორიაში ვასწავლი მეც, მაგრამ პირდაპირ გეტყვით – ჩემი სტუდენტი არ არის... ასე, რომ, გასული წელი უბედური იყო იმით, რომ მამა დავკარგე და ბედნიერი იმ მხრივ, რომ შევიძინე ადამიანი, რომელთან ერთადაც ვაპირებ ცხოვრება გავატარო... ძალიან მინდოდა, ჩემ გვერდით მუსიკოსი ყოფილიყო. ჩვენ ერთმანეთს ისეთ დეტალებს და ნიუანსებში ვუგებთ, სხვა ამას ვერ შეძლებდა. ამგვარ ჰარმონიისკენ ხომ ბევრი მიისწრაფის?!



**გიორგი ლაცაბიძე: „ერთმანეთს 10 თვეა, ვიცნობთ, მაგრამ უკვე ბევრი მოვასწარით, ბევრ ქვეყანაში ვიმოგზაურეთ, ერთად ბევრი რამ გადავიტანეთ – როგორც სიხარული ასევე ნაღველი“**

**– ჯვარი თბილისში დაიწერეთ. ეს ალბათ, ულამაზესი და დაუვიწყარი დღე იყო თქვენთვის?**

– მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი მეორე ქორწინებაა, ჯვრისწერა პირველად განვიცადე. შეუდარებელი გრძნობაა, ალბათ სიტყვებით აუწერელი, ძალიან ამაღლებული, სუფთა, ყოვლის მომცველი... ყოველთვის მინდოდა, ეს გრძნობა განმეცადა და მამა სერაფიმეს წყალობით, სვეტიცხოველში პატივი გვქონდა, ღვთის თვალებში ჩაგვეხედა და გველოცა ჩვენი კეთილდღეობისა და მომავლისთვის.

**– ანა, თქვენ შეცვალეთ გიორგის ცხოვრება. თქვენთვის ვინ არის გიორგი?**

**ანა:** გიორგი ჩემთვის ორმაგად ძვირფასია, როგორც პროფესიონალი და როგორც პიროვნება. ყველაზე დიდ სტიმულს მაძლევს პროფესიონალურად გავიზარდო..

**– საქართველოს პირველად ეწვიეთ.**

– საქართველოზე ჩემებური წარმოდგენა მქონდა. ვიდრე ვეწვეოდი, მეგონა, ძალიან თანამედროვე ქვეყანა იყო და რომ გავეცანი, ძალიან ბევრი სიძველე ვნახე. ამან განსაკუთრებით მომხიბლა. აქ სულ სხვა სილამაზეა. ჯვრის მონასტერზე ვიყავით და გაოცებული დავრჩი. ძალიან მომწონს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიები. სულ სხვა განწყობაა. რუსეთში არის ეკლესიები, სადაც ყველაფერი ახალია და ის იმდენად არ მომწონს, როგორც საქართველოს ძველებური ეკლესიები. ძალიან მომწონს საქართველოს ბუნება და მთები.

**– ბატონო გიორგი, შემოქმედებაზეც ვისაუბროთ. თქვენზე ფილმი გადაიღეს...**

**გიორგი ლაცაბიძე: „ფილმი ნიუ-იორკში გადაიღეს. ექსპერიმენტი ჩატარდა თუ როგორი რეაქცია ექნებოდათ გოჭებს კლასიკურ მუსიკაზე. ცნობილია, რომ ღორები ყველაზე ახლოს არიან გენებით ადამიანთან“**

**გიორგი ლაცაბიძე:** ფილმი ნიუ-იორკში გადაიღეს. ექსპერიმენტი ჩატარდა, თუ როგორი რეაქცია ექნებოდათ გოჭებს კლასიკურ მუსიკაზე. ცნობილია, რომ ღორები გენებით ყველაზე ახლოს არიან ადამიანებთან... როდესაც მუსიკას ვასრულებდი, ვაკვირდებოდი გოჭებს და აბსოლუტურად ადეკვატური რეაქცია ჰქონდათ. წყნარ მუსიკაზე ჩუმდებოდნენ, დრამატულზე კი რეაგირებდნენ. შემსრულებლისთვის, რა თქმა უნდა, რთულია, რადგან ვიცოდით, რაღაცას რომ დაარღვევდნენ და ეს კონცენტრაციისთვის რთულია, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი შევძელით. გადაღება მიმდინარეობდა და დივიდიზე მკვეთრად ისმის პატარა ღრუტუნიც კი. ამდენად, ბევრი სირთულე იყო, შეიძლებოდა, ყველა მუსიკოსი არ დათანხმებოდა ამ წინადადებას, მაგრამ მე მომწონს ექსპერიმენტები. არ ვარ მუსიკოსი, რომელიც შეზღუდვებს ემორჩილება. ვფიქრობ, მუსიკა მხოლოდ ადამიანებისთვის კი არა, ცხოველებისთვისაც არსებობს. მუსიკა არსებობს მთელი სამყაროსთვის – ადამიანისთვის კი არა, ცხოველებისთვის, მცენარეებისთვის. სვიატოსლოვ რიხტერი საერთოდ შიშვლდებოდა და ისე გადიოდა ბუნებაში. არ შეიძლება, ხელოვანი ჩარჩოებში მოაქციო. ექსპერიმენტები აუცილებელია. კი, ბატონო, გაგეცინათ და მათიც მესმის, ვინც ამ სტატიას წაიკითხავს. იფიქრებს, რომ მე ვამეტებ, მაგრამ ვაი, იმათ, ვინც კონსერვატორულ წნეხში ექცევა და ვერასდროს დატოვებს საყვარელ „ბუნაგს“... თუ ხელოვანი ლიმიტირებული რჩება, საინტერესო აღარ არის. სიახლე აუცილებელია, თუნდაც არ გაამართლოს. უნდა ვცადოთ და ამ მცდელობაში გავიგებთ ჭეშმარიტებას. ადამიანი არ ვითარდება, თუ არ სურს, ახალი აღმოაჩინოს. ადამიანის ცხოვრება სწავლაა. რახმანინოვი რომ კვდებოდა, თავის თითებს შეხედა და თქვა, საცოდავო ჩემო ხელებო, ამდენს უკრავთ, მაგრამ, ვაი, რომ დღევანდელ დღემდე კიდევ ვერ ასრულებთ კომპოზიტორის ჩანაფიქრს ისე, როგორც უნდა ასრულებდეთ.

**– ძალიან წარმატებულად დაიწყო თქვენთვის 2014 წელი...**

– 2014 წელი კარგად დაიწყო. მქონდა კონცერტი სლოვაკეთის ფილარმონიაში იანვარში, რომლის ორგანიზება „გევანდჰაუზმა“ გააკეთა, რომელსაც ჰოლანდია ეკუთვნის. დარბაზი გადასარევი, აკუსტიკა ფენომენალური! ჩანაწერი არსებობს და გაყიდვაში გამოვა ივნისში... თებერვალში მთელი თვე წასული ვიყავი კალიფორნიაში, რადგან კონცერტები და მასტერკლასები მქონდა სან-ფრანცისკოს კონსერვატორიაში და პალმ-დეზერტში, რომელიც „სტეინვეი-სონმა“ შემომთავაზა. ასევე, კონკურსზე ვიყავი ჟიურის წევრი, რის შემდეგაც, სოლო კონცერტი გავმართე კოაჭელა ველეიში და ჩავწერე ახალი დისკი: (დებიუსის ესტამპები და ეტიუდები) ... ამავე კონცერტზე შევასრულე ფრანსუა პულენკის პატარა ბაბარის ისტორია – შესანიშნავი ნაწარმოები, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ არ იცნობს თბილისის აუდიტორია. პიანისტებო, სცადეთ, არ ინანებთ!

**კატო ჟღენტი**

**როგორც ცნობილია, თბილისში, კერძოდ კი, ქინძმარაულის ქუჩაზე, ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფარმაცევტული საწარმო, სადაც ნატურალური თაფლისგან მზადდება ქართული პრეპარატი „კამელინი“ ამპულების, კაფსულების, მალამოს, სანთლებისა და სპრეის სახით. ბევრმა სწორედ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული საინტერესო ინფორმაციის, პაციენტების ისტორიების წაკითხვის შემდეგ, გადაწყვიტა მისი გამოყენება და ხშირ შემთხვევაში, დადებითი შედეგებიც მიიღეს. თუმცა, ამ პრეპარატის შექმნის ისტორია უფრო ადრე, დაახლოებით 60 წლის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში, სწორედ იმ დროს, როცა არ არსებობდა ეფექტური საშუალება სხვადასხვა ბაქტერიული და სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ. ამ დროიდან დაიწყო პრეპარატის ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა. დღეს კი მიმდინარეობს „კამელინის” თვისებების ახლებური კვლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში. სულ ცოტა ხნის წინ „კამელინის“ ხუთივე ფორმა, ასევე დარეგისტრირდა ყირგიზეთში და მომავალში იქაურ ბაზარზეც აქტიურად გაიყიდება.**

# როგორ ეხმარება „კამელინი“ სიმსივნით დაავადებულ ადამიანებს და რა განაპირობებს მის გასაოცარ სამკურნალო თვისებებს

**– ბატონო კობა, კიდევ ერთხელ განგვიმარტეთ, კიბოს საწინააღმდეგოდ რომელი ფორმის პრეპარატი „კამელინი“ გამოიყენება?**

**კობა გურიელიძე** *(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):* საინიექციო ფორმა „კამელინი მ-1“ ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში, ასევე მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4“ – სანთლების (იმ შემთხვევებში თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2“ – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. მინდა აღვნიშნო, რომ ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და მისი გამოყენება სანთლებისა და კაფსულების სახით, ხანგრძლივი დროითაც კი არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

*„კამელინის“ სამკურნალო თვისებებით დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ რამდენიმე პაციენტის ისტორიას, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ პრეპარატის სამკურნალო თვისებები.*

ავადმყოფს დაუსვეს დიაგნოზი – სიმსივნე კუჭზე. აწუხებდა გაუსაძლისი ტკივილები, სისუსტე, ვერ ჭამდა. რამდენიმე ხნის წინ დაიწყო „კამელინით“ მკურნალობა და ამჟამად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. თავს უკეთესად გძნობს და კვლავ განაგრძობს „კამელინით“ მკურალობას.

ახალგაზრდა ქალბატონს ჰქონდა საშვილოსნოზე სიმსივნე, თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, აწუხებდა სისუსტე, ოფლიანობა და ტკივილები საშვილოსნოს არეში. ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს მისთვის „კამელინის“ ნემსების გაკეთება. ერთი კურსის ჩატარების შემდეგ, პაციენტმა თავი უკეთ იგრძნო, მეორე კურსის დამთავრების შემდეგ კი, უკვე მოეხსნა სისუსტე, ოფლიანობა, ტკივილები და ამჟამად შრომისუნარიანია. აგრძელებს ცხოვრებას ჩვეულ რიტმში და პროფილაქტიკისთვის როგორც თვითონ, ასევე მისი ახლობლებიც, ყოველთვის იყენებენ „კამელინს“.

45 წლის ქალბატონს საშვილოსნოზე აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს მისთვის ოპერაციის გაკეთება. მაგრამ, ექიმების უარის შემდეგ, ოპერაციის ჩატარება გადაიდო და მკურნალობა დაენიშნა. პაციენტის ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს, მისთვის „კამელინის“ მკურნალობის კურსის ჩაეტარებინათ. ერთი კურსის შემდეგ, პაციენტმა უკეთ იგრძნო თავი, რაც მთავარია, ტკივილი შეუმსუბუქდა. როდესაც ის ექიმთან მიიყვანეს, იმდენად კარგი იყო შედეგები, რომ პაციენტს ოპერაცია გაუკეთეს. ამჟამად ის თავს უკეთესად გრძნობს, აღარ აწუხებს ტკივილები და ანალიზებიც აღარ არის შემაშფოთებელი. ოჯახის წევრები ახლო მომავალში კვლავ აპირებენ მისთვის „კამელინის“ გაკეთებას.

40 წლამდე ასაკის ქალბატონს 10 წლის წინ აღმოაჩნდა მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სიმსივნე, ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსკოვშიც იმყოფებოდა სამკურნალოდ, მაგრამ, კვლავ უშედეგოდ. მდგომარეობა თანდათანობით კიდევ უფრო უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა, ავადმყოფი ველარ დადიოდა და ძირითადად იწვა. რამდენიმე ხნის წინ ახლობლების დახმარებით, შეიტყო „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ და გადაწყვიტა მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 4 კურსი, იღებდა მხოლოდ კაფსულებს. ნელ-ნელა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს, დადის.

35 წლის პაციენტს კომპიუტერული ტომოგრაფიით დაუდგინდა ხორხის სიმსივნის დიაგნოზი – ხორხის ზედა და წინა ცხიმოვანი უჯრედების პროექციაში აღენიშნებოდა ცენტრისკენ მდებარე არასწორი – მომრგვალო ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი, ზომით 25–30 მილიმეტრი. პაციენტმა ჩაიტარა მკურნალობის კურსი, მაგრამ მდგომარეობა უფრო დამძიმდა – დაეწყო ყლაპვის პრობლემები, თითოეულ ულუფას სითხის დახმარებით იღებდა. პაციენტი საქართველოში მცხოვრები ახლობლის საშუალებით გაეცნო „კამელინის“ კვლევებს და გადაწყვიტა, მკურნალობა ჩაეტარებინა „კამელინი მ1“ – ინიექციითა და „კამელინი მ2“ – კაფსულებით. ინიექციას იკეთებდა არა მხოლოდ კუნთში, არამედ აზავებდა წყალთან და იკეთებდა სავლებებს. 20-დღიანი კურსის გავლის შემდეგ, პაციენტს გაუკეთდა განმეორებითი ანალიზები, რომლის შედეგად სპეციალისტებმა შენიშნეს მკურნალობის დადებითი შედეგები, რაც გამოიხატებოდა სიმსივნური წარმონაქმნის ზომაში შემცირებით. სიმსივნური წარმონაქმნი ზომაში 15 პროცენტით იყო შემცირებული. აქედან გამომდინარე, მან გააგრძელა კამელინოთერაპიის კურსი. შემდეგ კვლავ განმეორებით ჩაიტარა ტომოგრაფიული კვლევა, რომელმაც აჩვენა სიმსივნის სრული გაქრობა.



სენსაციური შედეგი მიიღეს საყლაპავის სიმსივნის – საყლაპავის კარცენომის დიაგნოზის მქონე პაციენტის შემთხვევაში. კომპიუტერული ტომოგრაფიითა და სისხლის ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე აღმოჩნდა მეტასტაზები ლავიწის ზედა არეში და კისრის მიდამოში. სხივური და ქიმიოთერაპიის კომბინაცია არაეფექტური აღმოჩნდა. გადაწყდა, პაციენტისათვის გერმანიაში გაეკეთებინათ ოპერაცია. სწორედ ამ დროს, პაციენტმა ახლობლის რჩევით, გადაწყვიტა კამელინოთერაპიის ჩატარება. ზედიზედ ჩაიტარა „კამელინით“ მკურნალობის 6 კურსი. მეტასტაზები ზომაში მეორე კურსიდანვე შემცირდა, საბოლოოდ კი, სრულიად ალაგდა.

**მარინა** ***(34 წლის):*** წლების განმავლობაში მაწუხებდა ბუასილი, რამდენიმე წლის წინ ოპერაციაც გავიკეთე, მაგრამ ცოტა ხნის წინ ტკივილებმა ისევ შემაწუხა. ყველანაირი საშუალება ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. გაუსაძლისი ტკივილები მქონდა, სიარული, ჯდომა მიჭირდა. ოპერაციის გაკეთებას ყველაფერი მერჩივნა. რამდენიმე ხნის წინ დავიწყე „კამელინის“ სანთლების გაკეთება, შედეგი მალევე ვიგრძენი, ტკივილმა გამიარა, ახლა საერთოდ აღარაფერი მაწუხებს, თავს მშვენივრად ვგრძნობ, ოპერაციასაც გადავურჩი. ახლო მომავალში პროფილაქტიკისთვის კიდევ ვაპირებ სანთლების გაკეთებას. დედაჩემს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, უცხოეთში ცხოვრობს, ვუგზავნი „კამელინს“. რამდენიმე ხნის წინ საშვილოსნოს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და მაშინვე „კამელინით“ მკურნალობა დაიწყო. სამი კურსის შემდეგ ჩაიტარა გამოკვლევები და აღმოჩნდა, რომ განიკურნა. ამის შემდეგ წელიწადში ერთხელ ყოველთვის იტარებს „კამელინით” მკურნალობის 2 კურსს და თავს კარგად გრძნობს.

პაციენტ ნ.ქ-ს 4 წლის წინ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი, ორჯერ ჩაიტარა ქიმიოთერაპია, გასცვივდა თმა, იღებდა უამრავ ტკივილგამაყუჩებელს, დაეცა ლეიკოციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა. დაიწყო „კამელინ მ-1“ – ინიექციითა და „კამელინ მ 2“ – ამპულებით მკურნალობა. ტკივილები პირველი კურსიდანვე მოეხსნა, მოემატა ენერგია, თანდათან გაუუმჯობესდა საერთო მდგომარეობა. ამიტომ გადაწყდა, გაეგრძელებინა მკურნალობა. მეორე კურსიდან შედეგები უკვე თვალში საცემი გახდა: ტკივილების სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის მოცულობაში შემცირება, მკერდის დვრილის წინ წამოწევა, დარბილება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. დღეს მხოლოდ პროფილაქტიკური თვალსაზრისით იტარებს კამელინოთერაპიას.

**პაციენტი ქ.ა**. – საბერძნეთიდან. მას დაახლოებით, 4 წლის წინ აღმოაჩნდა მკერდის სიმსივნე. მრავალი პრეპარატით მკურნალობდა. ახლობელმა შეატყობინა საქართველოში წარმოებულ, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პრეპარატ „კამელინის“ თაობაზე. დაიწყო მკურნალობა და შედეგი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ.

***P.S.** ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები, ან გსურთ კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, რომელმაც უკვე ბევრ ადამიანს დაუბრუნა ცხოვრების ხალისი და იმედი, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.*

**ნათია უტიაშვილი**



**დღეს საქართველოში მეცნიერ ქალებზე საერთოდ არ წერენ, ან წერენ ძალიან იშვიათად. არადა, ჩვენს ქვეყანას ჰყავს გამორჩეული, სწავლული ქალბატონები. უსაზღვროდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ღვაწლი, შერწყმული ჭეშმარიტად მაღალზნეობრივ თვისებებთან: სიკეთესთან, ქველმოქმედებასთან, უანგარო სიყვარულთან, მადლიერებასა და ამაგის დაფასებასთან, ქვეყნის საერთო ტკივილის გათავისებასა თუ უდიდეს პასუხისმგებლობასთან... სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ჩვენი თანამედროვე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქალბატონი ლამარა ქოქიაური, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მარცვალ-მარცვალ აგროვებს და ამზეურებს სიკეთეს, სიყვარულს, ზრუნვას ყველასა და ყველაფერზე.**

# ლამარა ქოქიაური – პირველი პროფესორი ქალი საქართველოში ფინანსებისა და კრედიტის სფეროში

## მეცნიერი ქალის დასახული და განხორციელებული მიზნები

ქალბატონმა ლამარამ დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ნიჭიერთა სკოლა, ამაყობს ამ სახელოვანი სკოლის პირველი გამოშვებით და კიდევ იმით, რომ პირველად მაშინ შეხვდა უდიდეს ქართველ მათემატიკოსებს – ნიკოლოზ მუსხელიშვილს, ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრაძეს, ვალერიან მელაძეს და სხვებს. ბედნიერად მიიჩნევს თავს, რომ სწავლობდა დედაუნივერსიტეტის ისეთი სახელოვანი ტრადიციების მქონე კათედრაზე, როგორიცაა, ფინანსები და კრედიტი. იქ მოღვაწეობდნენ ქართული ეკონომიკური მეცნიერების ბუმბერაზები: ვასილ ჩანტლაძე, პაატა გუგუშვილი, ვლადიმერ ლებანიძე, ნიკოლოზ გამრეკელი, გივი გამსახურდია – მისი პედაგოგები და გზის გამკვალავნი მეცნიერებაში. ქალბატონი ლამარა პირველი პროფესორი ქალია საქართველოში ფინანსებისა და კრედიტის დარგში. ის 215 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 15 მონოგრაფიისა და 12 სქელტანიანი სახელმძღვანელოს ავტორია. სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებად თავიდანვე შეარჩია, 80-იანი წლებისთვის თითქმის შეუსწავლელი სფერო – ინვესტიციები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის პიონერია ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო პრობლემების დაყენებისა და შესწავლის საკითხებში. მისი წიგნები თითქმის ყველა ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებელსა და საბანკო სფეროში გამოიყენება.



მან შვიდი წლის წინ დააფუძნა და დღემდე ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას. ეს არის საფინანსო-საინვესტიციო პოლიტიკისა და სტრატეგიის ფონდი, რომლის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფერო. ფონდი აქტიურად საქმიანობს საერთაშორისო ასპარეზზეც, ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, სათავეში უდგას საყოველთაოდ აღიარებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების თარგმნასა და გამოცემას. სწორედ ახლახან, ფონდის ხელმძღვანელობის (პროფესორ ლამარა ქოქიაურის, იაკობ მესხიას) თაოსნობით, საქართველოში აზერბაიჯანის დიასპორის ცენტრის წარმომადგენლობასთან ერთად (ხელმძღვანელი ნამიკ ისაევი), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე მეცნიერება". კონფერენციაზე განიხილებოდა პრობლემატური საკითხები და მათი გადაჭრის გზები. მოხსენებით წარდგნენ: იაკობ მესხია (საქართველო), ამირ ალიევი (აზერბაიჯანი), ვიქტორია ლიკოვა (უკრაინა), იგორ შალომაევი (უკრაინა), ჟანა გლოტოვა (რუსეთი), ნამიკ ისაევი (აზერბაიჯანი), სტანისლავ საპოჟნიკოვი (უკრაინა), ნოდარ სულაშვილი, მ. ხარაიშვილი, ნინო ქოქიაური, ნინო პოპიაშვილი (საქართველო) და სხვები. ფონდის ეგიდით მალე დაიბეჭდება პროფესორ ლამარა ქოქიაურის რედაქტორობით მომზადებული პირველი უნიკალური ქართული ენციკლოპედია ფინანსებში.

პროფესორი ლამარა ქოქიაური არა მარტო თვალსაჩინო მკვლევარი და მეცნიერია, არამედ, ასევე, მნიშვნელოვანი და საპატიოა მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც. ეკონომისტების მრავალი თაობის გამზრდელ პედაგოგს უდიდეს სიხარულს ანიჭებს ახალგაზრდებთან ურთიერთობა და მათთვის თავისი ცოდნის გადაცემა. ბედნიერია, როცა მისი დაფრთიანებული ახალგაზრდები წარმატებებს აღწევენ ცხოვრებაში. 1992 წელს მან ერთ-



ერთმა პირველმა დააარსა საქართველოში კერძო ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების სკოლა, რომელსაც თავისი ქალიშვილის სახელი - „ნინო“ უწოდა. სკოლა ჩამოყალიბებულია ძლიერი სასწავლო ბაზით, უმაღლესი პროფესიონალიზმის მქონე პედაგოგებით, ნიჭიერი მოსწავლეებით, გამოირჩევა საკუთარი ტრადიციებით, ასევე ერთ-ერთი პირველია ანალოგიური ტიპის სკოლებს შორის. ინგლისური ენის შესწავლა პირველი კლასიდან იწყება. ის ყოველდღიური სავალდებულო საგანია კვირაში 10-საათიანი დატვირთვით. მესამე კლასიდან ბავშვები რუსული ენის დაუფლებას იწყებენ, ხოლო მეხუთე კლასიდან – გერმანულისა და ჩინურის. სკოლაში სწავლება პროფილური ხასიათისაა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი რვა საატესტატო საგნის (ქართული ენა, ინგლისური ენა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია) გაღრმავებული სწავლებით. სკოლა გარანტირებულ ცოდნას აძლევს მოსწავლეებს სახელმწიფო ატესტატის მისაღებად და აბიტურიენტებს – უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად. თითოეულ ჯგუფში 15-20 მოსწავლეა. ყველა სკოლადამთავრებული წარმატებით აგრძელებს სწავლას საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, სკოლა ამზადებს მოსწავლეებს TOEFL-ისა და SAT–ის ტესტების ჩასაბარებლად. ინგლისურში მაღალი დონის მოსწავლეები ფლობენ B2, UPPer-Intermediate და Advanced Level-ს. აქ სწავლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც: ჩინეთიდან, რუსეთიდან, ირანიდან, საბერძნეთიდან, თურქეთიდან და ასე შემდეგ. მათთვის გახსნილია ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები. სამსახურით დაკავებული მშობლებისთვის



დიდი პოპულარობით სარგებლობს გახანგრძლივებული ჯგუფები საღამოს 6 საათამდე, სათანადო კვებით. სკოლაში ფუნქციონირებს მათემატიკის, ქართული ცეკვის, მუსიკის, ჭადრაკის, ხატვის, კარატეს, ფეხბურთის სექციები, არის საცურაო აუზი. საღვთო სჯულს ასწავლის მამა პანტელეიმონი. სკოლას ჰყავს თავისი ფსიქოლოგი და ექიმი, ემსახურება ავტობუსები. საქართველოს მასშტაბით ამ სკოლაში ყველაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთია. ამასთან, დაწესებულია შეღავათები: მრავალშვილიანი დედებისათვის, ობოლი და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის. პირველკლასელებისთვის სახელმძღვანელოები უფასოა. მე-11 და მე-12 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეები გათავისუფლებული არიან გადასახადისგან. მოსამზადებელ ჯგუფებში მიიღებიან 4-5 წლის ბავშვები.

***P.S.* „ადამიანისთვის მთავარი სიყვარულია: უნდა გიყვარდეს და შეგიყვარებენ, უნდა აკეთო სიკეთე და ათმაგად დაგიბრუნდება, პატივი უნდა სცე ნებისმიერი ადამიანის ღირსებას, უნდა გქონდეს ღვთის შიში და უფალი არს შენთან!” – ამბობს ლამარა ქოქიაური. ასე ცხოვრობს დღემდე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი. სხვათა შორის, „ნიჭი“ - ძველ ქართულში საჩუქარს ნიშნავს. ღვთისგან მომადლებულ საჩუქარს ის სიკეთისა და ადამიანების სამსახურს მოახმარს. უშურველად, უანგაროდ ატარებს დღემდე ერის, ოჯახისა და მეცნიერების მსახურის უმძიმეს ტვირთს. ამ ტვირთით ბეწვის ხიდზე შეუცდომლად გავლა კი, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.*



**ეკა პატარაია**

*ტელ: 2-760595; 577257177; 599906011;*
*ელ-ფოსტა: qoqiauri@yahoo.com;*
*nino-qoqiauri@mail.ru;*
*სკოლის ვებ-გვერდი: http/*
*ninoskola.ge/*
*მისამართი: ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მკრ, 11ა.*

# რატომ არ აქვს მოსახლეობას სრული ინფორმაცია, თუ რა სამედიცინო მომსახურებას უნაზღაურებს სახელმწიფო და ვის უნდა მიმართონ პაციენტებმა მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში

(მე-10 გვერდიდან)

**დაზღვევის პროგრამაში მონაწილე პაციენტს, მაშინ როგორაა საქმე?**

– ამ რამდენიმე ხნის წინათ იყო შემთხვევა, რომ ურგენტული პაციენტი, რომელსაც სჭირდებოდა მულტიპროფილური გამოკვლევები, სახელმწიფომ სრულად დააფინანსა. თუ პაციენტი 24 საათს რჩება სტაციონარში და მას გაეწევა სტაციონარული მომსახურება, სახელმწიფო სრულად უფარავს სამედიცინო ხარჯს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ უფასოდ გაუკეთა ყველა პროცედურა, მათ შორის, კომპიუტერული ტომოგრაფია. ეს დიდი პლუსია, ოპერაცია არ დასჭირვებია, მაგრამ შესაძლებელია, ოპერაციაც ანაზღაურებულიყო, თუ ლოდინის პროცესი პრობლემას არ წარმოადგენდა, ჩაუტარებდნენ გეგმიურ ოპერაციას.

**– ის ფაქტი, რომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამას დაემატა ბენეფიციარები, სახელმწიფოს სოციალურ ხარჯს გაუზრდის?**

– ვიდრე შიგნიდან, სისტემიდან არ წამოვა ინფორმაცია, ვერაფერს ვიტყვით. წლის ბოლოს გამოჩნდება, რა და როგორ დაუჯდება ბიუჯეტს.

**– რაც საყოველთაო დაღზვევის პროგრამა ამოქმედდა, საჩივრების რაოდენობამ იმატა?**

– გამომდინარე იქიდან, რომ პაციენტებს არ აქვთ მოწესრიგებული დოკუმენტაცია, ჩვენთან ვერ მოდიან დროულად, მოდიან მაშინ, როდესაც ყველაფერი ჩავლილია, საჩივრის დაწერაც ვერ ხერხდება. ყველაზე დიდი პრობლემა პაციენტის ინფორმირებულობაა, ამიტომ ჩვენთან ყოველთვის იყო მომჩივანთა ნაკლებობა. ან ექიმის ერიდებოდათ, ან უიმედოდ იყვნენ და, შესაბამისად, ჯერ არ გვქონია შემთხვევა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გამო ვინმეს მოემართოს.

**– მანამდე?**

– იყო ცალკეული შემთხვევები, მაგრამ პაციენტებს რატომღაც ეშინოდათ, თუმცა ვისი ეშინოდათ, არ ვიცი. ვთხოვდით, დაეწერათ განცხადება, რომ რეაგირება მოგვეხდინა, მაგრამ განცხადებასაც კი არ წერდნენ.

**– ჯანდაცვის სამინისტროს აქვს ასეთი**

**პოლიტიკა, იმ ინფორმაციას კი არ ავრცელებს, რა სამედიცინო მომსახურებას აფინანსებს, არამედ – რას არ აფინანსებს და ხშირად წავწყდომივარ შემთხვევებს, როდესაც პაციენტებმა არ იციან, რომ ესა და ეს სამედიცინო მომსახურება მათთვის უფასოა. სად უნდა მიიღოს პაციენტმა ეს ინფორმაცია?**

– ერთადერთი ნორმალურად მუშაობს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი, სხვა შემთხვევაში პაციენტს ინფორმაცია უნდა მისცენ იმ პოლიკლინიკის წარმომადგენელმა, სადაც არიან მიმაგრებულები.

**– არის შანსი, რომ პაციენტს არასწორი ინფორმაცია მიაწოდონ ცხელ ხაზზე?**

– საუბარი, როგორც წესი, იწერება და ამიტომ პაციენტები რეალურ ინფორმაციას იღებენ.

**– ისევ მტკივნეულად რჩება მედიკამენტების საკითხი: ფინანსდება ცალკეული შემთხვევები, თუკი უმწეოები ან პენსიონერები მიმართავენ მუნიციპალიტეტებს. ეს ამსუბუქებს პრობლემას?**

– „ნაციონალების" დროს ფინანსდებოდა მედიკამენტების შეზღუდული რაოდენობა, ახლაც შესაძლებელია, არის რაღაც შემთხვევები, ასი ლარის ფარგლებში აფინანსებენ, მაგრამ გასარკვევია, როგორი ხარისხის მედიკამენტებია.

უცხოეთში ასეთი პრაქტიკა მიღებულია, იმიტომ რომ პაციენტს, რომელსაც არ აქვს საოპერაციო თანხა, მას არც მედიკამენტების შესაძენი თანხა ექნება, ანუ სახელმწიფომ დღემდე ვერ განსაზღვრა ის, თუ რა კატეგორიის მოსახლეობასთან და პაციენტებთან უწევს მუშობა. პაციენტი, რომელსაც 150 ლარის გარდა შემოსავალი არ აქვს და ის, ვისაც 5 000 ლარი აქვს შემოსავალი ერთნაირი სადაზღვევო პოლისით არ უნდა სარგებლობდეს. სიცოცხლისთვის აუცილებელი მედიკამენტებიდან მხოლოდ ინსულინი ფინანსდება და კიდევ რამდენიმე მედიკამენტი. მთავარი სწორედ სიცოცხლისთვის აუცილებელი მედიკამენტების დაფინანსებაა, თორემ „ციტრამონსა" და „ვალიდოლს" ყველა შეიძენს.

**– პოლიკლინიკების შემთხვევაში გასაგებია, მაგრამ სტაციონარებს როგორ ირჩევენ სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლეები?**

– პაციენტი ვერ ირჩევს სტაციონარს, მას იმ სტაციონარში გადაამისამართებს პოლიკლინიკა, ვისთანაც აქვს დადებული კონტრაქტი.

**– თავისუფალი არჩევნის პრინციპი არ არის?**

– ეს პროგრამა მთლიანად ხარვეზიანია, რადგან ის უნდა შემუშავებულიყო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ექიმებთან, დარგის სპეციალისტებთან შეთანხმებით. არადა: ნაჩქარევია და ამიტომ აქვს ბევრი ხარვეზი. ჩემი გადასახედიდან ვხედავ ხარვეზებს მედიკამენტების ნაწილში, კლინიკის არჩევნის არარსებობაში. მე თუ მიმაჩნია, რომ ეს კონკრეტული ექიმია ჩემთვის მისაღები, რატომ მიშვებენ მათთვის სასურველ ექიმთან?! ხარვეზია ლოდინის პერიოდი. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც პაციენტები კმაყოფილნი არიან, მაგრამ ეს უმცირესობაა.

**– არჩეული მაქვს პოლიკლინიკა, მაგრამ იქ არ არის იმ კვლევის ჩატარების საშუალება, რაც მჭირდება, რა ხდება ასეთ დროს? ორი თვის გასვლას უნდა ველოდო, რომ შევიცვალო პოლიკლინიკა?**

– თუ ოჯახის ექიმი ჩათვლის, რომ თქვენ გჭირდებათ ესა და ეს კვლევა, გადაგამისამართებთ ქვეკონტრაქტორ კლინიკაში, თუ არადა, დაველოდებით. თუმცა ქვეკონტრაქტორი კლინიკა ყველა პოლიკლინიკას ჰყავს.

**ნინო ხაჩიძე**

# პარლამენტის რამდენი წევრი და მათი ოჯახის წევრი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, რა ბიზნესების წილებს ფლობენ ისინი და რატომ არ ემთხვევა რეესტრისა და მათ მიერ შევსებული დეკლარაციების მონაცემები ერთმანეთს

(მე-6 გვერდიდან)

ვით უსუფაშვილს, მაგრამ ცუდია, რომ გამოკითხულთა ნახევრმა არ იცის, ვინ არის მათი მაჟორიტარი დეპუტატი. მეორე მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ ნდობის კუთხითაა ძალიან ცუდი მდგომარეობა: გამოკითხულთა 25 პროცენტი არც ერთ პარლმენტარს არ ენდობა და არის ასეთი რეიტინგი: ყველაზე დიდი ნდობის მაჩვენებელია 6 პროცენტი, ამდენი ენდობა დავით უსუფაშვილს, დანარჩენებს უფრო ნაკლები ნდობის მაჩვენებელი აქვს. დეპუტატთა აქტიურობის შეფასებაშიც იგივე მდგომარეობაა. როდესაც ვკითხეთ, ვინ არის ყველაზე აქტიური დეპუტატი, 6 პროცენტით გაიმარჯვა ეკა ბესელიამ. გამოვიდა, რომ, ძალიან ბევრი ადამიანის აზრით, დეპუტატები არ არიან საკმარისად აქტიურები. საინტერესო შედეგი იყო, რომ გამოკითხულთა ერთი პროცენტი ენდობა ბიძინა ივანიშვილს, როგორც პარლამენტის წევრს, თუმცა ის პარლამენტის წევრი არ არის. ასევე, გამოკითხულთა აზრით, დეპუტატები არ სვამენ მათთვის საინტერესო საკითხებს. ყველაზე მეტი პროცენტი აიღო დავით ბაქრაძემ – 3 პროცენტი.

**– მე არ მახსოვს მის მიერ დასმული საკითხების სიმრავლე.**

– დანარჩენებმა კიდევ უფრო ნაკლები პროცენტი მიიღეს, გამოკითხულთა უმრავლესობამ კი თქვა, რომ არც ერთი დეპუტატი არ სვამს მათთვის საინტერესო საკითხს. ასევე, შეკითვაზე, თუ სად უნდა იყოს პარლამენტი, 66-მა პროცენტმა დაასახელა თბილისი, 20-მა პროცენტმა – ქუთაისი. ასევე, შევისწავლეთ მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების საქმიანობაც. არავინ იცის, სად არის მაჟორიტართა უმრავლესობის ბიუროები. პარლამენტში არ არის ერთი ადამიანიც კი, ვისაც ექნებოდა საკონტაქტო ფურცელი მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების მისამართითა და ტელეფონის ნომრით. ვაპირებთ, ჩვენ გავაკეთოთ და მივაწოდოთ. ჯერჯერობით ეს ინფომრაცია არ არსებობს, რაც ძალინ ცუდია და, ალბათ, აქედან გამომდინარეობს, რომ მაჟორიტარ დეპუტატებს ამომრჩევლები არ იცნობენ. სხვათა შორის, გამოკითხვის თანახმად, ამომრჩევლებს ძალიან არ მოსწონთ პოლიტიკური კონფრონტაცია. გარდა ამისა, კვლევა ჩავატარეთ დეპუტატ ქალებზეც.

**– თუ წინა პარლამენტში 7 ქალი დეპუტატი იყო, ამ პარლამენტში ორ-ნახევარჯერ მეტია..**

– ამჟამად 18 ქალია პარლამენტში და ეს არის პარლამენტის საერთო შემადგენლობის 12 პროცენტი, მაშინ, როდესაც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელ 21 პროცენტია, ანუ საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს და საერთო რეიტინგში 105-ე ადგილზე ვართ სირიასთან ერთად. ამდენად, ამ მხრივ, გენდერული ბალანსი საკმაოდ დარღვეულია. მეორე შედეგი იყო ის, რომ წამყვან თანამდებობაზე სამი ქალია მხოლოდ. ასევე, შევუდარეთ ერთმანეთს ინიციატივებისა და გამოსვლების კუთხით ქალი და მამაკაცი დეპუტატების აქტივობები: საშუალოდ კაცები სჯობდნენ ქალებს გამოსვლებში, ინიციატივებში კი, პირიქით, ქალები – კაცებს. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პარლამენტში არ დასმულა ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც ეხება ქალების უფლებებს. დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით იყო ერთი ინიციატივა და, თუ საბავშვო ბაღების უფასო მომსახურებას ქალთა უფლებების რანგში განვიხილავთ, ეს გამოდის მეორე ინიციატივა. თუმცა პარლამენტში არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭო.

**– რომელიც არასდროს არაფერს აკეთებდა, თუ არ ჩავთვლით ოჯახური ძალადობის შესახებ კანონში ცვლილებებს, რომელსაც მოხსენებელი ქალბატონი დეპუტატი ყურებამდე განითლებული კითხულობდა, მამაკაცი დეპუტატები კი იცინოდნენ.**

– ფაქტია, რომ ეს საბჭო ეფექტიანად არ მუშაობს. ჩვენ გვინდა, ჩავერთოთ და ვნახოთ, რას აკეთებენ, ჯერჯერობთი გარეგნულად მათი საქმიანობა არ ჩანს.

**– რადგან ეს კვლევა პირველია, არ გვაქვს შედარების საშუალება წინა მოწვევის პარლამენტებთან.**

– დიახ, რადგან არ გვაქვს წინა მონაცემები, არ არსებობს შედარების საშუალებაც. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვთქვათ, არის ის, რომ წინასთან შედარებით ეს პარლამენტი უფრო ცოცხალია, მეტი დისკუსიაა კანონპროექტების განხილვისას, უფრო მეტი გაჩერებული კანონპროექტია. საკანონმდებლო ინცაიტივები მეტწილად პარლამენტარების მხრიდანაა, მთავრობა მეორე ადგილზეა.

**– ეს კარგია?**

– კარგია პარლამენტის ფუნქციონირებისთვის, იმიტომ რომ უფრო მეტად ეთქმის სიტყვა კანონმდებლებს, თან, როდესაც პარლამენტია კანონპროექტის ინიციატორი, მეტი შანსია, ის კანონად იქცეს. მომავალ წელსაც თუ გავაკეთებთ იმავე კვლევას, უკვე შედარების საშუალებაც გვექნება.

**ნინო ხაჩიძე**

# ინტიმური საუბრები

### ჩვენი მშობლები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ

მე და ჩემი ძმა (ტყუპები ვართ) 10 წლის ვიყავით, ჩვენი მშობლები რომ გაშორდნენ. ჩვენ ძალიან მტკივნეულად გადავიტანეთ, მაგრამ ამაზე არც დედას და არც მამას თავი არ მოუკლავს. გაყრამდეც სულ ჩხუბობდნენ, თანაც, ჩვენი თანდასწრებით და ამის გამო სულ შეშინებულები და დაძაბულები ვიყავით. ბებია ორივეს საყვედურობდა, – ნუ შეშალეთ ეს ბავშვები, თუ ერთად ვერ რიგდებით, გაშორდით და, თქვენც მოისვენეთ და ესენიც დაასვენეთო, მაგრამ, ორივე უხეშად პასუხობდა ხოლმე, ჩვენს საქმეში ნუ ერევიო. ბოლოს მაინც გაშორდნენ, ცალ-ცალკე წავიდ-წამოვიდნენ, ჩვენ კი ბებიასთან დაგვტოვეს. თვეში ერთხელ თუ გვინახულებდნენ ხოლმე, ისიც, მაქსიმუმ ნახევარი საათით. მოგვიტანდნენ ერთ-ორ კილო ვაშლს და კანფეტებს, ბებიას ცოტა ფულს დაუტოვებდნენ და უკანმოუხედავად გარბოდნენ. ასეთი მოპყრობის მიუხედავად, მაინც ძალიან გვიყვარდა ორივე და სულ გვენატრებოდა, განსაკუთრებით კი – დედა.

არ ვიცი, საიდან, მაგრამ, თანაკლასელებმა გაიგეს, რომ ჩვენი მშობლები დაშორდნენ და ზურგსუკან ჩურჩულებდნენ და ჭორაობდნენ, რაც ჩვენზე ისე საშინლად მოქმედებდა, რომ, სახლიდან კი მივდიოდით სკოლაში ბებიას დასანახავად, მაგრამ, გაკვეთილებზე არ შევდიოდით და აღმა-დაღმა დავბოდიალობდით. ბოლოს მაინც გაიგო ბებიამ ეს ამბავი – დამრიგებელმა დაურეკა და უთხრა. გაგიჟებულმა ბებიამ დედასაც შეატყობინა და მამასაც – მოდით და მიხედეთ თქვენს შვილებსო, მაგრამ, არც ერთმა ყური არ შეიბერტყა, სანახავადაც კი არ მოვიდნენ. ერთ დღეს კი, მაშინ უკვე 14 წლის ვიყავით, ერთმა პარალელურკლასელმა ბიჭმა რაღაც ცუდი მოგვაძახა დედაზე. ჩემმა ძმამ ვერ მოითმინა და მაგრად სცემა. მეორე დღეს იმან დიდი ბიჭები დაახვედრა და ისე აცემინა ჩემი ძმა, რომ ტვინის შერყევა დამართეს მძიმე ფორმით. მეორე დღესვე საავადმყოფოში დააწვინეს და, ცხადია, ბებიამ მაშინვე დაურეკა შვილსა და სიძეს, მაგრამ, არც ერთი არ მოვიდა: მამამ უთხრა, უკვე ბილეთი მაქვს აღებული და ამ საღამოს ავსტრიაში მივფრინავ საქმეზეო (მერე გავიგეთ, რომ ვიღაც ქალთან ერთად გაფრინდა დასასვენებლად); დედამ კი უთხრა, ხვალ ვთხოვდები და ხელს ვაწერთ, მერე ერთი კვირით საქორწინო მოგზაურობაში მივდივართ და, იქიდან რომ ჩამოვალთ, ვინახულებო. გამწარებულმა ბებიამ ორივეს მიახალა, არც ერთი აღარ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა, არ გაბედოთ და ახლოს აღარ გაეკაროთ ჩემს შვილიშვილებს, თორემ, ისეთ დღეს დაგაწევთ, ხალხში თავს ველარ გამოყოფთო. მათაც „დაუჯერეს“ და საერთოდ აღარ გვინახულეს.

იმ დღიდან წელიწად-ნახევარი გავიდა. მხოლოდ ახლახან, ორიოდე კვირის წინ, დედაჩვენმა დაგვირეკა მე და ჩემს ძმას, ტირილით გვთხოვა პატიება და ჩვენთან მოსვლის ნებართვა. ჩვენ მაინც გვენატრებოდა დედა და დავთანხმდით. იმავე საღამოს მოვიდა, ისევ იტირა და ბოდიშები გვიხადა. მერე ბებია მეორე ოთახში გაიყვანა და რაღაცას დიდხანს ელაპარაკებოდა. ბებია გაბრაზებული პასუხობდა, მაგრამ მაინც მისცა რაღაც შეკვრა და დედა ისე წავიდა, პრაქტიკულად, აღარც არაფერი უთქვამს და იმის შემდეგ აღარ დაურეკავს. ბებიას გადავეკიდეთ და გამოვტეხეთ, რომ დედას ახალი ქმარი აფერისტი და ქურდი აღმოჩნდა, დედას ნივთებიც მოჰპარა, მოტყუებით ბინაც წაართვა და მერე გარეთ გამოაგდო. იმის გამო, რომ ოთახის ქირას (ქუჩაში დარჩენილმა დედამ ერთი პატარა ოთახი დაიქირავა) ველარ იხდიდა, ბებიას სთხოვა ფული და წავიდა. ჩვენ კი გვეგონა, რომ მოვენატრეთ და თავის საქციელს ნანობდა.

ისეთი გულნატკენები ვართ მე და ჩემი ძმა, დედამ მართლა რომ მოინანიოს ყველაფერი და ჩვენთან დაბრუნება მოინდომოს, არც კი ვიცი, გამიხარდება თუ არა. მამაზე ხომ საერთოდ აღარაფერს ვამბობ, პრაქტიკულად, ტელეფონითაც კი არ გვკითხულობს.

**მაცაცო, 15 წლის.**

### ყველაფერი ჩემი ბრალია

გწერთ გამწარებული დედა და ბებია. ვიცი, რომ ამ წერილის მოწერა ვერაფერს მიშველის, მაგრამ, მინდა ყველამ გაიგოს სიმართლე, რადგან, ჩემმა უსინდისო სიძემ (ყოფილმა) და მისი ოჯახის წევრებმა, გარდა იმისა, რომ ჩემს ერთადერთ შვილსა და პატარა შვილიშვილებს ცხოვრება გაუმწარეს, ჩემი შვილის სახელს ჩირქი მოსცხეს და ახლა ქუჩაში აღარ გაესვლება – მაღაზიაში ჩასვლისაც კი ეშინია, რადგან, მაშინვე ჩურჩულს იწყებენ მასზე.

ჩემი საწყალი გოგო ადრე დამიობლდა და უმამოდ გავზარდე. მთელ რაიონში თითით საჩვენებელი ბავშვი იყო: კარგად სწავლობდა, გარეგნობითაც გამოირჩეოდა და წესიერებითაც. ჩემი სოფო სკოლას რომ ამთავრებდა, ჩვენს რაიონში (რაიონულ ცენტრში ვცხოვრობთ) თბილისელმა კაცმა რაღაც კანტორა გახსნა, ანუ, ბიზნესი წამოიწყო და ხშირად უწევდა ჩამოსვლა. ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს სოფო დაუნახავს და მოსწონებია. მერე, თურმე, გაიკითხ-გამოიკითხა ყველაფერი და რამდენიმე დღეში სახლშიც მომადგა მეგობრებით – ჩემი სოფოს ხელი მთხოვა. ფიზიკურად კარგი ახალგაზრდა კაცი იყო, წარმოსადეგი; თან, სულო ცოდვილო და, ვიცოდი, რომ შეძლებულადაც ცხოვრობდა და ვიფიქრე, ჩემს ობოლს ბედმა გაუღიმა-მეთქი. ამიტომ, კატეგორიული უარი არ ვუთხარი, ერთადერთი, ის ვთხოვე, სკოლის დამთავრება აცადე და, თან, მანამდე გაიცანით ერთმანეთი-მეთქი. მე სულელმა თვითონ გავუკვალე გზა ჩვენს ოჯახამდე იმ არაკაცს. მაშინ სოფო 16 წლის იყო. ისე გავზარდე, რომ იტყვიან, კალთაზე მყავდა გამოკერებული. ბევრ კარგ ბიჭს მოსწონდა, მაგრამ, არავის ვაკარებდი – ნიჭიერი იყო და მინდოდა, სწავლა გაეგრძელებინა სკოლის მერე. ჩემი ბრალია, ასეთი გულუბრყვილო და მიმნდობი რომ იყო. მოკლედ, მე ენაგასახმობმა თვითონ ვუთხარი იმ კაცს, გარე-გარე სიარულს, მირჩევნია, ჩემს ოჯახში შეხვდე ჩემს შვილს-მეთქი და ასე გავაცანი ერთმანეთს.

ძალიან გამოუცდელი და უეშმაკო ბავშვი იყო ჩემი სოფო, არც არასდროს ჰყოლია შეყვარებული და, ცხადია, მაშინვე მოიხიბლა თბილისელი ახალგაზრდა კაცის დახვეწილი მანერებით, მისი სიურპრიზებით და, რა გასაკვირია, რომ შეუყვარდა. გაცნობიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ ოფიციალურად მთხოვა შვილის ხელი და კატეგორიულად გამომიცხადა სკოლის დამთავრებამდე ვერ მოვიცდი, ჩემი გეგმები მაქვსო. ძალიან წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ სოფომაც მოინდომა და, ბოლოს, მეც დავთანხმდი. აღეკომ მითხრა, ხელისგულზე ვატარებ თქვენს შვილს, სკოლასაც დავამთავრებინებ, უმაღლესსაც და ცივ ნიავს არ მივაკარებო, მაგრამ, უმაღლესი და ხელისგულზე ტარება კი არა, სახლიდან არ უშვებდა, ისეთი ავადმყოფურად ეჭვიანი კაცი გამოდგა. ზედიზედ გააჩენინა ორი შვილი და ჩვენთან ჩამოსვლასაც უკრძალავდა – რა ვიცი, იქნებ იქ ძველი სატრფოები გყავს და იმათი ნახვა მოგენატრაო. ერთ ზაფხულს, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, უფლება მომცა, ჩემი შვილი და შვილიშვილები ჩემთან წამეყვანა – დაისვენებენ და თან ჰაერს გამოიცვლიან-მეთქი. ორი კვირით წაყვანის ნება დამრთო, მაგრამ სოფო ავად გამიხდა და ერთი კვირით გაუხანგრძლივდათ ჩვენთან ყოფნა. სიძეს დავურეკე და ავუხსენი სიტუაცია, მაგრამ, პირდაპირ მომახალა – ზუსტად ვიცი, რატომაც მოიავადმყოფა თავი და შენც ხელს უწყობ ბოზობაში, შეუძლია, საერთოდ აღარ დაბრუნდეს სახლშიო. ორი დღის შემდეგ კი დედამისი დაგვადგა თავზე, მთელი უბნის გასაგონად გალანძღა და გათათხა ჩემი შვილი და წავიდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ჭორაობა ატყდებოდა მთელ რაიონში. სოფო და ბავშვები აღარ გავუშვი. ახლაც ჩემთან არიან, მაგრამ, იმ ტკივილსა და დამცირებას როგორ გადაიტანს, არ ვიცი. მეშინია, არ დაავადდეს. ჩემს თავს ვადანაშაულებ, რომ ერთადერთი შვილი, თანაც ასეთ პატარა ასაკში, იმ კაცს გავაყოლე ცოლად, ვისაც, პრაქტიკულად, არ ვიცნობდი.

**მარიანა, 46 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# რა აუკრძალეს ცესკოს თავმჯდომარეს აფრიკაში და რატომ დაატოვებინეს მას ბანგლადეში

**მას შემდეგ, რაც თამარ ჟვანია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობს, უკვე მეორე არჩევნებისთვის ემზადება. ცესკოს თავმჯდომარის რანგში საპრეზიდენტო არჩევნები მისთვის დებიუტი იყო და, ალბათ, ამიტომაც, შესაბამისი „ღელვებიც" ჰქონდა, თორემ, ორი ათეული წელია, საქართველოში არჩვენები არ ჩატარებულა, მასში სხვადასხვა ფორმით რომ არ ყოფილიყო ჩართული. სწორედ ამ ნიშნით გამოარჩიეს მაშინ, როცა ცესკოს პირველპირობა ანდეს. ქართული არჩევნების პერიპეტიები ვერ აშინებს – ამას კი არა, საარჩევნო ბატალიებს აფრიკაშიც კი გაუძლო, სადაც ის ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო.**

**– ქალბატონო თამარ, დებიუტანტი აღარ ხართ, უკვე მეორე არჩევნებს ატარებთ. როგორი განცდა გაქვთ ადგილობრივი არჩევნების წინ, რომელიც, როგორც ჩანს, „ხმაურიანი" უნდა იყოს?**

– არჩევნები, ჩემთვის, რა თქმა უნდა, არ იყო უცხო პროცესი. მართალია, მაშინ, როცა არასამთავრობო სექტორში ვიყავი, არჩევნებს არ ვატარებდი ხოლმე – იქ სხვა დებიუტები მქონდა, სხვადასხვა პოზიციებიდან გამომდინარე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა მაინც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი პოზიციაა. სადებიუტო განწყობა ჩემთვის იყო ძალიან საინტერესო – აღმოვაჩინე ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც უკავშირდება არჩევნებს. ეს ყოველთვის ვიცოდი, მაგრამ, ამ პოზიციიდან პასუხისმგებლობა უფრო მძაფრად ჩანს. მქონდა ღელვა, რომელიც არ ყოფილა დაკავშირებული ჩემი მხრიდან კანონის აღსრულებასა და გამჭვირვალობასთან – მე ეს პრობლემა არასდროს მქონია. არჩევნები არის ცაიტნოტი, საოცარი რეჟიმი; ამ პროცესში ჩართულია უამრავი მოთამაშე: პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მასმედია და, შესაბამისად, ჩემი მთავარი ღელვის საგანი იყო ის, რომ კარგი კომუნიკაცია შემდგარიყო ყველასთან. არჩევნები უნდა ყოფილიყო ყველა სხვა არჩევნებზე მაგარი, რაც კი აქამდე ჩატარებულა. თვითმმართველობის არჩევნებს განსხვავებული სპეციფიკა აქვს, განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული ადგილებზე – გაცილებით მეტი კანდიდატი და მეტი არჩეული გვეყოლება, რადგან, ქვეყნის მასშტაბით ვირჩევთ 71 საკრებულოს, 2 088 წევრს – როგორც მაჟორიტარული, ასევე პროპორციული წესით; ვირჩევთ 12 თვითმმართველი ქალაქის მერს და 59 გამგებელს. წარმოიდგინეთ, წინ როგორი დაძაბული პერიოდი გველის. იმ რეჟიმს, რომელშიც მე მომიწევს ცხოვრება, სახელი ნამდვილად არ აქვს.

**– სამაგიეროდ, ცესკოს თავმჯდომარეებს, როგორც წესი, არჩევნებიდან არჩევნებამდე გაქვთ „ნირვანა".**

– მე ასეთი „ნირვანა" არასდროს მქონია – მოვედი თუ არა პირდაპირ საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო; დამთავრდა არჩევნები და – საკანონმდებლო რეფორმაზე მუშაობიდან პირდაპირ გადავეშვი თვითმმართველობის არჩევნების ციკლში. მე ჯერჯერობით შესვენება არ მქონია და ვიცი, რომ არც მექნება. ცენტრალური საარჩევნო კომისია მარტო არჩევნებით არ არის დაკავებული. ჩვენ ძალიან დიდი წვლილი შეგვაქვს საკანონმდებლო რეფორმაში, ასევე მოქალაქეთა განათლებაში, ახალგაზრდების საარჩევნო განათლებაში, ძალიან ბევრი საქმით ვართ დააკვებულნი.

**– საქართველოში ცესკოს ხელმძღვანელობა ლამის პოლიტიკურ თანამდებობად არის ქცეული, შესაბამისად, არც თქვენ იყავით გამონაკლისი პოლიტიკური „მითქმა-მოთქმისგან", როცა ამ პოსტზე მოხვდით.**

– როგორც არ უნდა ეცადო, რომ არ გააკეთო პოლიტიკური განცხადებები და შეფასებები, გარკვეულწილად მაინც უწყობ ხელს პოლიტიკურ პროცესს; შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი შორს ვერ იქნება პოლიტიკისგან. ეს პოზიცია ყოველთვის იყო ყბადაღებული თემა ჩვენს ქვეყანაში, თუმცა, ვფიქრობ, რომ თანდათან შეიცვალა დამოკიდებულება – ბოლო კვლევის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის რეიტინგი და ნდობა, ლამის გეომეტრიული პროგრესიით არის გაზრდილი. როცა მე გავხდი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი, მქონდა ძალიან საინტერესო მხარდაჭერა. ამ პოზიციაზე წარდგენილი ვიყავი ყოფილი სახელისუფლებო გუნდის პრეზიდენტის მიერ, მაგრამ, ამ წარდგენაში თავიდანვე ფიგურირებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. შემდგომ, რა თქმა უნდა, უმრავლესობა ჰყავდა ახალ ხელისუფლებას, კოალიცია „ქართულ ოცნებას", ანუ, სამი სხვადასხვა სუბიექტი იყო ჩარეული ჩემს არჩევაში და, შესაბამისად, აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები და, პირველ ყოვლისა, არასამთავრობოები შეთანხმდნენ ჩემს კანდიდატურაზე.



მე, მეგრელმა ქალმა ნიგერიაში აღმოვაჩინე ლომი და ბაჟე, რამაც ძალიან გამაკვირვა

**– არასამთავრობო სექტორში ძალიან დიდი ხნის მოღვაწეობის სტაჟი გქონდათ. სად და როგორ გახსენით თქვენი „შრომის წიგნაკი"?**

– არასამთავრობო სექტორში მუშაობა მაშინ დავიწყე, როდესაც ეს მიმართულება საქართველოში ჯერ სრულიად ახალი თემა იყო. ვფიქრობ, რომ სწორედ ჩემი პროფესიული არჩევანი გახდა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც კი ცხოვრებაში მიმიღია და რამაც ბევრი რამ განსაზღვრა. ჯერ კიდევ სკოლიდან მაინტერესებდა საზოგადოებასთან ურთიერთობა და, მიმაჩნდა, რომ ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თვისება იყო ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება. სკოლიდანვე აქტიური ვიყავი ამ მხრივ, ვახერხებდი, რომ მქონოდა ძალიან კარგი ურთიერთობები როგორც თანაკლასელებთან, ისე ჩემი სკოლის, ასევე სხვა სკოლების მოსწავლეებთან. შესაბამისად, პროფესიად ავირჩიე სოციოლოგია, რაც, ფაქტობრივად, არის ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობა. მაშინ ჩვენთან ეს მიმართულება პოპულარული არ იყო, მაგრამ, მე მქონდა ინფორმაცია, როგორი პოპულარული იყო სოციოლოგია სხვა ქვეყნებში, მათ შორის – ამერიკაში. მე დავიბადე თბილისში, მაგრამ, ჩემი მშობლების პროფესიიდან გამომდინარე, რადგან ისინი მუდმივად იყვნენ გასტროლებზე, კონცერტებზე, მე სწავლა მომიწია კახეთში, ქალაქ გურჯაანში, სადაც „გახიზნული" ვიყავი ბებიასთან. აქტიური კავშირი მქონდა მამის სამშობლოსთან – წალენჯიხასთან, სადაც ზაფხულობით ჩავდიოდი. ვხუმრობ ხოლმე, იმდენი მეგრული ვიცი, გავიგო და ვერავინ მომატყუოს-მეთქი *(იცინის).* როგორც კი ჩემს მშობლებს თბილისში მოვიხელთებდი, მაშინვე აქეთ მოვდიოდი, ასე რომ, დიდი მარშრუტით – გურჯაანი-წალენჯიხა-თბილისი – მომიწია ბავშვობის გატარება, სადაც ძალიან კარგ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა. იმ უბრალო ადამიანების გარემოცვაში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ მომცა. ცხოვრებაში ბევრი რთული პერიოდი მაქვს გავლილი, ვთვლი, რომ ასეთ სიტუაციებში გამაძლიერა იმ უნარ-ჩვევებმა, რაც სოფლად გატარებული ბავშვობის წლებიდან და გაჭირვებულ ადამიანებთან ურთიერთობიდან გამომყვა.

**– თქვენი მშობლები ხელოვანები იყვნენ, რატომ უღალატეთ ოჯახურ დინასტიას?**

– გენეტიკურად სიმღერის ნიჭმა ჩემშიც იმძლავრა და, ალბათ, არანაკლები მომღერალი ვიქნებოდი, ჩემი მშობლების გზას რომ გავყოლოდი. წარმატებული ხელოვანები იყვნენ არა მხოლოდ ჩემი მშობლები, არამედ, მათი მშობლებიც – ბებიაჩემი მღეროდა ფალიაშვილის გუნდში, მეორე ბებია მანდოლინაზე უკრავდა. მუსიკასთან იყვნენ დაკავშირებული ჩემი ბიძა, დეიდა. რაც შეეხება ჩემს მშობლებს, მამაჩემი, სოსო ჟვანია, 17-18 წელი მღეროდა ანსამბლ „ორერაში". დედაჩემი, მარინა კახიანი, იმ პერიოდისთვის საკმაოდ ცნობილი მომღერალი და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი იყო, თუმცა, დედასაც და მამასაც რთული პროფესიული გზის გავლა მოუწიათ. მაშინ მუსიკალური სამყაროს კულისები იყო ძალიან რთული, თუ არ გყავდა ძლიერი მფარველი. მშობლებმა თავადაც ვერ გამიმეტეს მძიმე ცხოვრებისთვის და მეც რეალური არჩევანი გავაკეთე. კარგად მახსოვს, რომ ყოველი შეკრება, ჩვენს ოჯახში თუ ნათესავებთან, პრაქტიკულად, იყო ხოლმე კარგი კონცერტი – არც ერთი შეხვედრა არ მთავრდებოდა სიმღერის გარეშე. შემიძლია ვთქვა, რომ კონცერტებზე ვარ გაზრდილი. იმ მუსიკალურმა გარემომ, რომელშიც მე გავიზარდე, მომცა ბევრი უნარი, რაც ცხოვრების სირთულეების გადატანაში ძალიან დამეხმარა. მუსიკის დადებითმა ემოციამ ჩამომაყალიბა პოზიტიურ ადამიანად. ცხოვრებაში ძალიან ბევრი სირთულე გავიარე, რთულად მახსენდება ჩემი შვილების გაზრდის პერიოდიც. მე ვიყავი სტუდენტი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი ასპირანტურაში. სამივე შვილი ამ რვა წლის განმავლობაში გავაჩინე და სწავლის პარალელურად ვზრდიდი მათ. ძალიან მეხმარებოდა ჩემი მეუღლის დედა და ყველაფერში გვერდით მედგა ჩემი მეუღლე. რომ არა მისი თანადგომა, ალბათ, ბევრი რამ უფრო რთულად იქნებოდა. როგორც კი სწავლა დავამთავრე, მაშინვე დავიწყე მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციაში – „სამართლიანი არჩევნები", გაგეცინებათ და, ჩემი პირველი პოზიცია იყო – წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომელსაც მაშინ ჯუმბერ ლომინაძე ხელმძღვანელობდა. მახსოვს როგორ ვესწრებოდი სხდომებს ეს პატარა გოგო, როგორ ვუკირკიტებდი კანონს. შემდეგ, რა თქმა უნდა, მოხდა პოზიციური დაწინაურება, თუმცა, ჩემი პირველი საქმიანი დებიუტი აქაურობასთან არის დაკავშირებული.

**– თქვენ მოგიწიათ მუშაობა აფრიკისა და აზიის ქვეყნებშიც. იქ ისეთი გამოცდილება**

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

**ანუკი ჯავახიშვილის მიერ განსახიერებულ ყველა პერსონაჟს მაყურებლის მხრიდან განსაკუთრებული სიყვარული, დადებითი განწყობა და ემოციები არასდროს აკლია. მაგრამ, მიმაჩნია, რომ „TV 11-ზე", მის მიერ განსახიერებულმა „რძალმა", რომელიც რბილი „ლ"- ებით ლაპარაკობს და რომელსაც მიაჩნია, რომ „თუ ნამდვილი სიყვარულია, ყველანაირი პრობლემა მოგვარდება," ყველა რეკორდი მოხსნა. ანუკისთან შეხვედრისას, ინტერვიუც ამ პერსონაჟზე საუბრით დავიწყეთ.**

# როგორია რეალურ ცხოვრებაში რბილი „ლ"-ებით მოლაპარაკე „რძალი" „TV 11-დან" და ვისთან ერთად ცხოვრობს ის

**– ანუკი, „TV 11-ზე", „სე ლა ვი-დან" შენ მიერ განსახიერებული „რძალი" მთელი ქალაქის, და არა მხოლოდ ქალაქის, მითქმა-მოთქმის საგნად იქცა.**

– მიხარია, რა თქმა უნდა, თუ მოსწონთ და ყველა ამაზე ლაპარაკობს. მსახიობისთვის სასიამოვნოა, რომ მის მიერ განსახიერებული როლი ასეთი პოპულარული გახდა.

**– პირადად რა დამოკიდებულება გაქვს ამ „რძალთან"? სახელი არ აქვს, მე მგონი.**

– არა, ბუხუტიკოს დედა და კოტიკოს ცოლია, სახელი არ ვიცი. როგორი დამოკიდებულება უნდა მქონდეს, საწყალი გოგოა, რომელიც, პრინციპში, თავისი ყოფით, არც ისე უცხოა ხალხისთვის, სამწუხაროდ, ერთადერთი არაა. ეს რა გააკეთა და რა არაბუნებრივიაო, ჯერ არავის უთქვამს. მაინცდამაინც უცხო არ არის საზოგადოებისთვის ასეთი სახე.

**– სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს... როგორ დასკვნას აკეთებს?**

– „თუ ნამდვილი სიყვარულია, ყველანაირი პრობლემა მოგვარდება," – ეს არის ფინალური ფრაზა იმ სერიებისა, რომლებიც ახლა გადის.

**– მე მგონი, ცოტა ჩერჩეტიც არის...**

– არის, ჰო, ჩერჩეტიც, საცოდავიც – არ არის დამოუკიდებელი, გადაწყვეტილებებსაც ვერ იღებს და ყველაფერზე თანახმაა. თან, იმშვიდებს თავს „თუ ნამდვილი სიყვარულიათი"

**– ის სიყვარულიც არ ვიცით, არის თუ არა, ისე უყურებდა კოტიკო ლამარას გოგოს...**

– მაშინ იეჭვიანა, მაგრამ, მერე რა იქნება, ვნახოთ.

**– ჯერჯერობით რამდენი სერიაა ჩაწერილი?**

– სულ 10 სერიაა ჩაწერილი, 4 უკვე გავიდა. მალე დანარჩენებიც შემოვლენ ეთერში.

**– როგორც შევიტყვე, ანუკის ვერავინ ცნობს ამ როლში, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ძალიან მოსწონსო.**

– საკუთარ მეგობრებს „ფეისბუქის" გვერდზე ედოთ: – ვაიმე, ეს ვინ არის... და სხვადასხვანაირი კომენტარებით. ვერავინ ხვდებოდა, რომ მე ვიყავი. მომწონს რომ ვერ მცნობენ, იმიტომ რომ, რეალურ ცხოვრებაში აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნება ვარ.

**– როგორი ხარ?**

– მაგალითად, რბილი „ლ"-ებით არ ვმეტყველებ, შეხედულებებიც არ მაქვს მსგავსი. მოკლედ, არაფერი მაქვს მისი მსგავსი.

**– ოჯახის შექმნას არ ფიქრობ?**

– არა.

**– არც შეყვარებული ხარ?**

– არა.

**– შეყვარებული რომ არ გყავს და რომ არ გყოლია, სერენადაც არავის უმღერია შენთვის?**

– ჩემთვის სერენადა ძირითადად უმღერიათ ჩემს სიძეებს. ჩემი დეიდაშვილის ქმარს, ყველაზე ხშირად, იმიტომ რომ, მე პირველ სართულზე ვცხოვრობ, ჩემი დეიდაშვილი კი – მეცხრეზე. იმას ვერ აგონებდა ხოლმე და ნასვამი მე მიმღეროდა. მე კი მას გადავცემდი. მეგობრების ქმრებიც... სახლში წასვლის წინ ყველა ჩემს ფანჯრებთან მღერის. მერე გადავცემ ხოლმე: მოდის, უკვე იმღერა, სახლში მოდის, გზაშია...

**– პარალელურად, რა პროექტებში ხარ დაკავებული?**

– ანეკდოტებში „მაესტროზე", რომელსაც ჰქვია „თქვენი გადახდილია". საკმაოდ კარგი, რეიტინგული გადაცემაა. ახლა უკვე „ქლაბ 11-ში," რაღაც-რაღაც სკეტჩებშიც შევედი. აგრეთვე ვარ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

**– ამჟამად რომელ სპექტაკლზე მუშაობ?**

– ხუთშაბათს გვქონდა პრემიერა, „ჩიპოლინო" ვითამაშეთ. პირველი დასვენების დღე მაქვს დღეს. რაც ამ ეტაპზე გადის, კიდევ დაკავებული ვარ „ლურჯ ფრინველში", „კარმენში", „საშობაო ზღაპარში".



ხვლიკებთან ერთად გვეძინა და რომ ჩავედით ადმინისტრატორთან, – გვიშველეთ, რა ვქნათ, ხვლიკი გვყავს ნომერშიო, – გვიპასუხა: ცხოვრობს მანდ და რა ქნასო. სხვა გზა არ გვქონდა – შევუსახლდით

**– ბავშვობიდანვე მსახიობობაზე ოცნებობდი, თუ შემთხვევით მოხვდი თეატრალურ უნივერსიტეტში?**

– ბავშვობიდანვე, რატომღაც ვიცოდი, რომ აქეთ მოდიოდა ჩემი ცხოვრება... სპორტზეც დავდიოდი. ოჯახმაც ხელი შემიწყო, 11 წლიდან ვერის უბნის ბავშვთა თეატრში ვიყავი, მოგვიანებით „არტ-ჰოლში" მივედი გოგა პიპინაშვილთან, თუმანიშვილშიც ვითამაშე უკვე 15 წლის რომ ვიყავი და მერე ჩავაბარე. ძალიან კარგი ჯგუფი იყო: ნატა ბერეჟიანი, როლანდ ოქროპირიძე, ნინო მუმლაძე, გვანცა დადიანი...

**– სინამდვილეში ვისთან ერთად ცხოვრობ? როგორი ხარ?**

– ოჯახში ვართ დედა, მამა, ძმა და ბებია. თუ თავისუფალი დრო მაქვს, მეგობრების წრეში ვატარებ. თუ უფრო მეტი დრო მაქვს, მიყვარს ახალ-ახალი ენების შესწავლა. ბოლო პერიოდში ენებზე გადავერთე. მანამდე ხან ჩოგბურთზე დავდიოდი, ხან ფოტოგრაფია მიტაცებდა. ცურვა ვერა – წყლის შიში მაქვს, სულ მინდა, რომ რაღაცნაირად ეს შიში გადავლახო და როდესმე გავცურო. მაგრამ, როგორც კი წყალი ტანზე ოდნავ შემეხება, უკვე ვხვდები, რომ ვერ გავცურავ. უფრო ადრე ცხენებზეც დავდიოდი.

**– ცხენოსნობაზე?**

– ცხენოსნობა არა, უფრო სამკურნალო დატვირთვა ჰქონდა – უუნაგირო ცხენზე ვიჯექი და ვვარჯიშობდი ხოლმე. ერთხელ ცხენი გამექცა და შემეშინდა, თან უნაგირი არა აქვს, ვერაფერს ვერ ვშვრები. კისერზე შემოვეხვიე და ასე გავრბოდით. მერე, როგორც იქნა, დამეწია მწვრთნელი და დაგვაბრუნა.

**– ესე იგი, როგორც მსახიობს კიდევ ერთი პლუსი გაქვს – ცხენზე ჯირითი შეგიძლია.**

– ჯირითს ისე, მაია წყნეთელივით რომ გავქანდე, ალბათ, ვერ შევძლებ. ერთ კვირას თუ მომცემენ, მაგასაც მოვახერხებ.

**– სერიალებში არ მოგისინჯავს ძალები?**

– სამწუხაროდ, ქასთინგების შიში მაქვს. ჯობია, არ მივიდე, ისეთი საშინელება შეიძლება ვქნა. „ღამის შოუშიც" სულ შემთხვევით მოვხვდი. ჩემს მეგობარ, ნატა ბერეჟიანთან ერთად მივედი და რაღაცნაირად ერთმანეთს ისე ვუწყობდით ხელს, რომ ის, რაც ქასთინგებზე მემართება, არაადეკვატური რომ ვხდები, არ გამომივლენია. ყველაფერმა ისე ჩაიარა, რომ შევძელი და მაქსიმალურად ვაჩვენე ჩემი შესაძლებობები. დანარჩენი ქასთინგებიდან, რომ გამოვდივარ, უკვე ვიცი, რომ ეს ადამიანები მე არასოდეს არ დამირეკავენ, ისე საშინლად ვიქცევი. ამიტომ, მირჩევნია, არ ვიარო ქასთინგებზე.

**– სამზარეულოსთან როგორი დამოკიდებულება გაქვს, მოსაწონი იქნები დედამთილისთვის?**

– მე მგონი, კარგად ვარ სამზარეულოსთან. ჩემი ძმა დიპლომატი გახლავთ. ბელგიაში, ბრიუსელში იყო წასული სამუშაოდ. მე ვიყავი მასთან 2 თვე. შესაბამისად, ამ პერიოდში ოჯახში ვდიასახლისობდი და ვაკეთებდი ყველაფერს: ხაჭაპურს, კოტლეტს, ჩახოხბილს, სოუზს, სალათებს – ყველაფერი მაქვს გაკეთებული. თბილისში როცა ვარ, მაქსიმუმ, კვერცხი შევწვა. თუ დამჭირდა ყველაფერს ვაკეთებ, თუ არადა, შემიძლია, ზარმაცი ვიყო.

**– ბებიაზე მიამბე, რომელიც შენთან ერთად ცხოვრობს.**

– ბებო – ქალბატონი მაყვალა ლოლაძე-ჩუბინიძისა, ბაღის გამგე გახლავთ, თან ისეთი, რომ ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც მასთან დადიან კონსულტაციებზე. ძალიან ენერგიული და ბავშვებზე გადაყოლილი გამგეა. მენიუებს ადგენს, რემონტი, გათბობა... ბაღზეა გადართული ბოლომდე.

**– რაო, რას გეუბნება?**

– რას უნდა მეუბნებოდეს, თქვენი აზრით?..

**– ალბათ, გათხოვდიო.**

– გათხოვდი ბებია, ან ბავშვი მაინც გააჩინე. უკვე იმ ასაკში ვარ, ეტყობა, რომ მაინც მჭირდება. ვართ ასე ჭიდაობაში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ალბათ, კარგად გრძნობს თავს მასთან რომ ვარ.

**– ძმის მონახულება, გასტროლები. გამოდის ხშირად გიწევს მოგზაურობა.**

– ჰო, გასტროლები ხშირად გვაქვს.

**– ამ მოგზაურობას, ბუნებრივია, ახლავს თავგადასავლები.**

– ინდოეთში ჩვენი ყოფნა მართლა ერთი დიდი თავგადასავალი იყო. ხვლიკებთან ერთად გვეძინა და რომ ჩავედით ადმინისტრატორთან, – გვიშველეთ, რა ვქნათ, ხვლიკი გვყავს ნომერშიო, – გვიპასუხა: ცხოვრობს მანდ და რა ქნასო. სხვა გზა არ გვქონდა – შევუსახლდით. შევეგუეთ ხვლიკებსაც. ის კი არა, სპილო რომ ჩაგვივლიდა ტროტუარზე, რეაქცია აღარ გვქონდა. მანქანები მოძრაობდნენ ისე, მე რომ გამიკვირდება ქართველს. სულ სიგნალზე ეჭირათ ხელი. ისე შედიოდა ერთ პატარა ჩიხში ორი საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი ავტობუსი, რომლიდანაც ერთში მე ვიჯექი, რომ სულ მეგონა, ახლა დავიმტვრევით, მორჩა და მილიმეტრებით აცილებდნენ. რანაირად?! ახლაც არ ვიცი.

რაც შეეხება სპექტაკლს, კარგად ჩაიარა, ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო და ემოციურად სავსენი დავბრუნდით უკან.

**ეკა სალაღაია**

# როგორ ხდებიან ქალები კაცთმოძულეები და როგორ განაგრძობენ ისინი ცხოვრებას ქმრების გვერდით



**მამაკაცები ღალატზე მიდიან იმიტომ, რომ არ ეშინიათ მისი შედეგების. მათი დიდი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ამაში განსაკუთრებული არაფერია და, საპატიებელსაც ვერაფერს ხედავენ. ისინი, ანუ კაცები, ფიქრობენ, რომ მათი პირადი ცხოვრება მხოლოდ მათი კომპეტენციაა და ქალი კმაყოფილი უნდა იყოს იმითაც, თუკი მას თავიანთ ცხოვრებაში თუნდაც ძალიან მოკრძალებულ ადგილს დაუთმობენ. განსაკუთრებული თავდაჯერებულობით ის მამაკაცები გამოირჩევიან, რომლებიც ოჯახის ერთადერთი მარჩენლები არიან და ცოლ-შვილს ფინანსურად უზრუნველყოფენ. როცა ქალს სხვა შემოსავალი არ გააჩნია და მთლიანად ქმარზეა დამოკიდებული, ენაც მოკლე უნდა ჰქონდეს, – ასეთია კაცური ლოგიკა! რა შეიძლება, დაუპირისპიროს ქალმა ასეთ ფარულ ძალადობას, რომ ბატონ-მონური ურთიერთობა თავის სასარგებლოდ შეცვალოს?!**

**თამთა** *(35 წლის):* მამაკაცების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სამყარო მათი სიამოვნებისთვის არის შექმნილი და ქალებიც იმიტომ გავჩნდით, რომ მათ ვაამოთ და ზედმეტი პრობლემები არ შევუქმნათ. ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია იმ დრომდე, როცა ჩვენი კაცები შეიგნებენ იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ქალი და კაცი აბსოლუტურად თანასწორები არიან ყველაფერში. მხოლოდ იმის გამო, რომ აგებულებით, ანუ ფიზიკურად არის ქალზე ძლიერი, კაცს არანაირი უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს. რატომ აქვთ მათ ყველაფრის უფლება, არ მესმის. ეტყობა, რაღაც ფაქტორმა ჩაუნერგა ყოვლისშემძლეობის სინდრომი.

**– „რაღაც ფაქტორებში“ ქალები არ მოვიაზრებით?**

– რასაკვირველია! ქალები არ ვითხოვთ იმ პატივისცემას, რასაც ვიმსახურებთ და, გაუგებარია, რატომ. თუმცა, ვხვდები – ზედმეტად ემოციურები ვართ და მსხვერპლად ადვილად ვეწირებით საკუთარ გრძნობას. დიახ, საკუთარ გრძნობას და არა კონკრეტულ კაცს. ჩვენ ჩვენი სიყვარული გვიყვარს, თორემ, რომელი კაცია სიყვარულის ღირსი?! ეგოისტები, უპრინციპოები, უსამართლოები და მოღალატეები არიან, თუმცა, რომ ჰკითხო, ჩვენ ვაზვიადებთ ყველაფერს, უმადურები და „ისტერიჩკები“ ვართ! არაფრით არ შეიძლება, მოდუნდე და კაცს შენზე ბატონობს უფლება მისცე, ყოველთვის წაგებული დარჩები – საკუთარ მაგალითზე ვამბობ ამას. შევიყვარე და ჩემს თავზე აღარ ვიფიქრე. გავთხოვდი და გადავწყვიტე, რომ ჩემი მისია ოჯახში უნდა შემესრულებინა.

**– ალბათ, იმის იმედით, რომ ამას დაინახავდნენ და დააფასებდნენ.**

– ჩემს ქმარს გულისხმობთ? გულის სიღრმეში, ალბათ, მქონდა სურვილი, რომ ასე ყოფილიყო, მაგრამ, პირიქით მოხდა. ჩემს ქმარს, როგორც ჩანს, არ სჭირდებოდა ისეთი ცოლი, როგორიც მე ვიყავი. არადა, ყველა დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდა. ვნანობ, რომ არ ვიზრუნე კარიერაზე, ჩემს პიროვნულ განვითარებაზე. ჩავჯექი სახლში, ჯერ ერთი შვილი გავაჩინე, ოთხი წლის მერე – მეორე, ვუვლიდი მათ და ჩემს ქმარზე ვიყავი გადაყოლილი. სამწუხაროდ, მომწონდა კიდეც ასეთი ცხოვრება.

**– რატომ, სამწუხაროდ?**

– იმიტომ, რომ სერიოზული შეცდომა დავუშვი. თურმე, ვის სჭირდება შენი თავდადება და თავგანწირვა! დიახ, მატერიალურად უზრუნველგვყოფდა და მართლა არაფერს გვაკლებდა, მაგრამ, სანაცვლოდ, პირდაპირ მეუბნებოდა, რომ უფლება ჰქონდა, ისე ეცხოვრა, როგორც მოეპრიანებოდა.

**– ანუ, გეუბნებოდათ, საყვარელი უნდა მყავდესო?**

– თითქმის. აბა, რას ნიშნავს, როცა კაცი გეუბნება, მე ისე უნდა ვიცხოვრო, როგორც მომეპრიანება და შენ ხმა არ უნდა ამოიღოო?! შენ ხარ ცოლი და შენს დონეზე არავის დავაყენებ, მაგრამ, იმის უფლებას არ მოგცემ, სიამოვნების მიღებაში ხელი შემიშალო. ვშრომობ, არაფერს გაკლებთ, ფულს დაუნანებლად გაძლევთ და არც კი გეკითხები, რაში დახარჯე. ამიტომ, მაქვს უფლება, პირადი ცხოვრება მქონდესო.

**– ცოლი პირად ცხოვრებაში არ მოიაზრება?**

– როგორც ჩანს – არა! ან, ცოლი ერთ პირად ცხოვრებაშია და, არსებობდა მისთვის მეორე პირადი ცხოვრებაც. საკმაოდ დიდხანს ვიყავი ჩუმად და ვითმენდი.

**ქალები არ ვითხოვთ იმ პატივისცემას, რომელსაც ვიმსახურებთ და, გაუგებარია, რატომ**

**– რატომ?**

– არ ვიცი. ეს ჩემი პრობლემაა, თუმცა, გამონაკლისი ნამდვილად არ ვარ. ბევრი ქალია ჩემს მდგომარეობაში. ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფა იყო მიზეზი, მაგრამ, ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. როცა კაცი ხედავს, რომ მასზე ხარ დამოკიდებული ფინანსურად, დაუსჯელობის განცდა უჩნდება. ფიქრობს ორი მიმართულებით: პირველი – „სად წავა, უჩემოდ დაიღუპება, მშიერი მოკვდება“; მეორე – „მე ვარჩენ და ვინახავ მას, ამიტომ უფლება მაქვს, ისე ვიცხოვრო, როგორც მინდა. მეკუთვნის დასვენებაც და გართობაც“. ამ ლოგიკით მოქმედებენ და თავიანთი საქციელი ღალატად საერთოდ არ მიაჩნდათ. ვერ ვიტყვი, რომ ოფიციალური საყვარელი ჰყავდა, მაგრამ, „ნაშები“ არ დაიკლო. ხან ვისთან ნახავდნენ ჩახუტებულს, ხან – ვისთან. უცხოეთშიც არაერთხელ გაასეირნა „ნაშობა“. მე ყველა ინფორმაცია სრულად მომდიოდა, კარგად ვიყავი ინფორმირებული.

**– და, ითმენდით?**

– დიახ. მართლა მეგონა, რომ ჩემი ქმრის გარეშე დავიღუპებოდი. საკუთარი თავის იმედი საერთოდ არ მქონდა. იმდენი ხანი იყო გასული, რაც საზოგადოებაში აღარ ვტრიალებდი, გამიჩნდა კომპლექსიც, რომ ვერაფერს ვეღარ შევძლებდი. მაგრამ, საზღვარი ყველაფერს აქვს და, ბოლოს და ბოლოს, მივედი იმ კრიტიკულ წერტილამდე, როცა მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება რადიკალურად უნდა შემეცვალა. საერთოდ არაფერი მითქვამს ჩემი ქმრისთვის, დავიწყე სამსახურის ძებნა. ძალიან მოვინდომე, რომ იტყვიან, თავი მოვიკალი და გამიმართლა კიდეც.  აღმოჩნდა, რომ ერთ ჩემს თანაკურსელს, რომელსაც ადრე მოვწონდი, ძალიან წარმატებული ბიზნესი ჰქონდა. ნახა ჩემი „სივი“ და დამირეკა. ეგრევე მივხვდი, რომ შენ იყავიო. დიდი ხელფასიც დამინიშნა და არც ის უკითხავს, მქონდა თუ არა სამუშაო გამოცდილება. უნდა გენახათ ჩემი ქმრის სახე, როცა ვუთხარი, სამსახურში მივდივარ-მეთქი. შოკი დაემართა და მე ამით უდიდესი სიამოვნება მივიღე. კიდევ უფრო გადაირია, როცა გარეგნობა შევიცვალე. მაქსიმალურად მივხედე თავს და ძალიან მაგარ ფორმაში ჩავდექი.

**– რატომ ადრე არ ჩადექით მაგარ ფორმაში, თუკი ეს იყო თქვენი ქმართან ურთიერთობის მთავარი პრობლემა.?**

– სტიმული არ მქონდა. სად წავსულიყავი „მაგარ ფორმაში“ – ბავშვებთან ერთად პარკში სასეირნოდ თუ საყიდლებზე?! კარგად გამიგეთ, სახლში ჩამჯდარი ქალი, უნდა თუ არ უნდა, ისე ვეღარ ზრუნავს საკუთარ გარეგნობაზე.

**– ქმარი გიშლიდათ მუშაობას?**

– პირდაპირ არ მეუბნებოდა, არ იმუშაოო, მაგრამ, როცა ამ თემაზე საუბარს ვიწყებდი, ხელს ირონიულად ჩაიქნევდა და, ფაქტობრივად, დამცინოდა. „ვის რაში სჭირდები, გაგიმართლა, რომ მე შემხვდი, თორემ, ბომჟივით იცხოვრებდი, მადლობელი უნდა იყო, რომ ყველანაირი კომფორტი გაქვს...“ – აი, ასეთი ფრაზებით მპასუხობდა. საზიზღრად მანიპულირებდა ჩემს ფსიქიკაზე და არასრულფასოვნების კომპლექსი გამიჩინა. ისიც კი ვიფიქრე, ეტყობა, უკეთესს მართლა არაფერს ვიმსახურებ-მეთქი. ჩემმა ქმარმა თავისი ღალატით მაიძულა, ჩემში სხვა ქალი აღმომეჩინა და გამეაქტიურებინა. დავიწყე კეკ-

# როგორ დაკარგეს ერთმანეთი ნათესავებმა და ვის ეძებენ რუსეთიდან ხაშურის რაიონში

*50 წლის ვალერი ივანეს ძე ტიტოვი ეძებს: 47 წლის ვალერი არშაკის ძე გელაშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ნათესავს: 47 წლის ვალერი არშაკის ძე გელაშვილს და მისი ოჯახის წევრებს. დედაჩემის გარდაცვალებამდე ქართველ ნათესავებთან კავშირი მუდამ გვქონდა, მაგრამ მათთან კონტაქტი წლებია, დავკარგეთ. ძალიან მინდა, მათი პოვნა და დაკარგული კავშირის აღდგენა. ამჟამად მე და ჩემი ოჯახიც ბრიანსკის მხარის სოფელ ბატაგოვოში ვცხოვრობთ. თქვენი რუბრიკის დიდი იმედი გვაქვს. გიგზავნით დაკარგული ნათესავის სურათს. იქნებ, ვინმემ იცნოს ჩვენი ნათესავები და გვაპოვნინოს ერთმანეთი.



**– როგორ და როდის დაკარგეთ ერთმანეთი ნათესავებმა?**

– ვალერის დედის და დედაჩემის გარდაცვალებამდე, ჩვენს ოჯახებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ. ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა მათთან. ბაბუაჩემი საქართველოში, ხაშურის რაიონში სტუმრადაც კი იყო ვალერის ოჯახში. როგორც მახსოვს, ადრე ისინი ხაშურის რაიონის, სოფელ ახალსოფელში (სოფლის დასახელებაში დარწმუნებული არ ვარ) ცხოვრობდნენ. ისინიც ჩამოდიოდნენ ჩვენთან სტუმრად ბრიანსკის მხარეში. წლების წინ დავკარგეთ მათთან კავშირი, ეს დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. ბევრი ვეცადეთ, გვეპოვა ნათესავები, მაგრამ უშედეგოდ. ნამდვილად არ მესმის, რატომ ვერ ვუკავშირდებით მათ ამდენი ხნის განმავლობაში. ჩვენ მიერ გაგზავნილი წერილები ადრესატამდე ვერ აღწევს. შესაძლებელია, მათი ქუჩის ან სოფლის სახელწოდება შეიცვალა. ტერიტორიულად ჩვენ ერთმანეთისგან ძალიან შორს ვართ. დაუზუსტებელ მისამართზე ჩამოსვლისგან კი თავს ვიკავებთ. იმედი მაქვს, თქვენ დაგვეხმარებით მათ პოვნაში. გიგზავნით ფოტოს, რომელზედაც ჩვენი ნათესავები არიან. ჩემს ახალგაზრდობის სურათსაც გამოგიგზავნით, იქნებ მიცნონ? დარწმუნებული ვარ, თუ ისინი კვლავ ხაშურის რაიონში ცხოვრობენ, ჩვენ შორის კავშირის დაკარგვის მიზეზი ქუჩის სახელწოდების შეცვლაა ან, შეიძლება, უბრალოდ, მისამართი შეიცვალეს.

**– მაინც, რამდენი ხანია, რაც ერთმანეთი არ გინახავთ და არც კავშირი გქონიათ?**



– დაახლოებით, 20 წელი იქნება, რაც მათ შესახებ არაფერი გაგვიგია. ისე, ძალიან კარგი ხალხია, უაღრესად თბილი და კეთილშობილი, ალბათ, როგორც ყველა ქართველი. მათთან ყოველთვის თბილი ურთიერთობა გვქონდა. არ მინდა, დავკარგო ასეთ ხალხთან კავშირი. დედაჩემისთვის ისინი ბევრს ნიშნავდნენ. მისი მხრიდან ნათესავად გვეკუთვნიან.

**– მას შემდეგ, რაც ნათესავებთან კავშირი შეწყდა, რა ხერხებით ეძებდით მათ?**

– თავდაპირველად, წერილებს ვგზავნიდით. შემდეგ საქართველოში მომავალ ადამიანებს ვაბარებდით მათ შესახებ რაიმე ინფორმაციის მოძიებას. მაგრამ, როდესაც ამანაც არ გამოიღო შედეგი, გადავწყვიტე, სამძებრო სამსახურებისთვის მიმემართა. ჩემი განაცხადი ვალერისა და მისი ოჯახის წევრების მოძებნის თაობაზე სამძებრო საიტზეც განვათავსე. იმედია, რამენაირად მათ შესახებ ინფორმაციას მოვიძიებ. ვალერის ოჯახის სხვა წევრების ზუსტი დაბადების თარიღები არ ვიცი. მხოლოდ მიახლოებით შემიძლია ვთქვა ვალერის დისა და ძმის დაბადების წლები – 1950-1953. სამწუხაროდ, მათი სახელები არ მახსოვს.

**– ნათესავების პოვნის შემთხვევაში, თუ აპირებთ შეხვედრას?**

– ძალიან მინდა ყველას ნახვა, მართლაც მენატრებიან და მაკლია ეს ხალხი. არ ვიცი, საქართველოში ჩამოსვლას თუ შევძლებ, მაგრამ, იქნებ, ისინი მოვიპატიჟოთ. მთავარი კი ისაა, რომ ერთმანეთი ვიპოვოთ. დარწმუნებული ვარ, ვალერისაც ძალიან გაუხარდებოდა ჩვენი ნახვა. მას შემდეგ, რაც ნათესავებთან კავშირი შეწყდა, ბევრი რამ შეიცვლებოდა მათ ცხოვრებაში. ბუნებრივია, ყველაფერი გვაინტერესებს და გვინდა მათი პოვნაც და ნახვაც.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

ლუცობა და ფლირტი ჩემ გარშემო ყველა მამაკაცთან. იმიტომ არა, რომ პარტნიორს ვეძებდი, უბრალოდ, ეს მე მჭირდებოდა საკუთარი თავის რეალიზებისთვის და ფეხზე მყარად დასადგომად, თორემ, რეალურად, კაცის დანახვაც არ მინდოდა. კაცთმოძულეობის სინდრომი გამიჩინა ჩემმა ქმარმა, თუმცა, მამაკაცების მხრიდან ყურადღება ძალიან მსიამოვნებდა. ისეთი თავდაჯერებული და თავაწეული გავხდი, მეც მიკვირდა.

## არ შეიძლება, მოდუნდე და კაცს შენზე ბატონობის უფლება მისცე. ყოველთვის ნაგებული დარჩები

**– ქმარმა თუ შენიშნა თქვენში მომხდარი ეს ცვლილება?**

– როგორ არ შენიშნა, მაგრამ, თავიდან ვითომ არ იმჩნევდა. პოზა ეჭირა ისეთი, რაც გინდა, ქენი, ვნახოთ, ბოლოს რა გამოგივაო, მაგრამ, ახლა უკვე შიშით მიყურებს, ბუზღუნებს და ეჭვიანობს. მგონი, თავისი „ნაშოჩკებისთვისაც“ აღარ სცალია. აქტიური ცოლი ახლა მას უჩენს კომპლექსს. სახლში თითქმის არ ვარ. ბავშვებს მაინც არ ვაკლებ ყურადღებას, მაგრამ, ქმარი აშკარად „დავიკიდე“. ამას გრძნობს და, ვატყობ, ცოტა ხანში ისტერიკაშიც ჩავარდება. დავდივარ თანამშრომლებთან ერთად მივლინებებში, ივენთებზე, კაფე-რესტორნებში, ვაგიჟებ ჩემს ქმარს და უდიდეს სიამოვნებას განვიცდი ამით. ჯერ ხმას ვერ იღებს, მხოლოდ ოხრავს და ჩუმ-ჩუმად მობილურებში მესიჯებს მისინჯავს, მე კი ვითომ ვერ ვხედავ და ვერ ვხვდები. ჯერ სად არის, ფსიქოზი უნდა დავმართო – ის ამას იმსახურებს, ნამდვილად ღირსია. ახლა მიხვდება, რომ სამყარო მის გარშემო არ ბრუნავს. ყველა ქალმა უნდა გააკეთოს ის, რაც მე გავაკეთე – ეს ისევ მათთვის იქნება ყველანაირად კარგი.

**– თუ ქმარი გადაირევა, ოჯახიც უნდა დაანგრიო?**

– კი მაგრამ, მისი ღალატით არ ინგრევა ოჯახი? ამას რომ ვფიქრობდი მეც, იმიტომ ვიყავი დამცირებული და შეურაცხყოფილი. ახლა კი ამას ბოლო მოეღო და ძალიან კმაყოფილი ვარ.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემი ქმარი ერთბაშად ძალიან ეჭვიანი გახდა. მგონი, ვხვდები, რაც არის ამის მიზეზი, თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ. მოკლედ, ნახევარი წლის წინ ჩემი ქმრის მეჯვარე, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან ახლობელი ადამიანი, ცოლმა მიატოვა. ბუნებრივია, ორივე ერთად ვცდილობდით მისთვის ნუგეშისცემას, მაგრამ, უცებ ჩემს ქმარს უცნაურობები დასჩემდა – მგონი, ეჩვენება, რომ მეც ვაპირებ მის მიტოვებას. დღის განმავლობაში უთვალავჯერ მირეკავს და მეკითხება, სად ვარ, რას ვაკეთებ... იმ თავის მეჯვარეზეც კი ეჭვიანობს. აღარ ვიცი, რა მოვუხერხო. არსებობს რამე საშუალება მის დასამშვიდებლად?**

**გამოხმაურება:** ბუნებრივია, თქვენი მეუღლის მეჯვარე საჭიროებს მხარდაჭერას, მაგრამ, აჯობებს, ეს თქვენმა ქმარმა გააკეთოს. შეეცადეთ, ნაკლებად ისაუბროთ ამ თემაზე და, ზოგადად, ღალატზე; მით უფრო, არ წამოგცდეთ, რომ კაცები ერთგულების ღირსები არ არიან.

ეცადეთ, ქმრის მიმართ უფრო ყურადღებიანი იყოთ, ვიდრე აქამდე იყავით. გამოიჩინეთ მეტი მზრუნველობა, სითბო – უბრალოდ, აჩვენეთ, რომ გიყვართ და, ცხადია, არაფერი გააკეთოთ ისეთი, რაც მისი ეჭვიანობის პროვოცირებას გამოიწვევს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**მსახიობ ზუზუ ბეჟაშვილზე ბევრს საუბრობენ, აქტიურად განიხილავენ მის პიროვნებას, ცხოვრებასა თუ როლებს. ამას მარტივი მიზეზი აქვს – ის პოპულარულია. ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ჭორ-მართალი ზუზუს შესახებ, თუმცა, ერთ რამეში ყველა თანხმდება – ზუზუ ბეჟაშვილი გულწრფელი და პირდაპირია.**

# რა უნდა მსახიობ ზუზუს „შებმას" და რატომ იცვლის ის სახლებს

**ზუზუ ბეჟაშვილი**: მაქვს შემოქმედებითი პაუზა, რაც თავიდან ძალიან მანერვიულებდა. ვერ ვიტყვი, რომ საერთოდ არსად მეძახიან; მეძახიან რაღაცეებში, რაზეც უარის თქმა მიწევს.

**– რის გამო?**

– იცი რა, შეცდომები ყველას მოსდის, მათ შორის – შემოქმედებითიც, რომელიც გავიარე და მეყო. შედარების აბსოლუტური უნარი მაქვს – კარგიც მქონდა, ცუდიც და ისე რაც; „პაპსაც" და ნამდვილი ფილმებიც, მაგრამ, ახლა, რატომღაც, პაუზა მაქვს.

**– სერიალებიც გქონდა...**

– სხვათა შორის, არ არსებობს არც ერთი ქართული სერიალი, რომლიდანაც არ მქონია შემოთავაზება, მაგრამ, ემთხვეოდა, რომ პარალელურად მქონდა კინოფილმები და ამიტომ ზოგჯერ უარს ვამბობდი. მერე, როცა გამოდიოდა ეს სერიალები, ზოგზე გული მწყდებოდა, რომ არ ვიყავი მასში; ზოგზე, პირიქით, მიხაროდა – როგორ გამიმართლა, ღმერთის რჩეული ვყოფილვარ-მეთქი, რომ... დღესაც ასე მიმაჩნია. ზოგს ჰქგონია, სადმე თუ არ ვარ და ზედმეტად ყური არ მიჩანს, ესე იგი, არ დამიძახეს; ან, იმათ, ვინც არ დამიძახა, ჰგონიათ, რომ დაეძახათ, წავიდოდი, თუნდაც იმ პროექტებში, რაც ახლა გადის ჩვენს ტელეარხებზე. ახლა რომ ვუყურებ, მართლა ღმერთის რჩეული ვყოფილვარ, რომ არ მომიაზრეს.



**არავის არ უთქვამს, რომ ზუზუ არის უნიჭო, – ყველაფერი ითქვა მაგის გარდა. ნიჭიერი ხარ, ნიჭიერი ხარო და თაფლში ჩამახრჩვეს**

**– იქნებ, არ ეგონათ, რომ დათანხმდებოდი და იმიტომ არ მოგიაზრეს?**

– არა, იცოდა რამდენიმე ორგანიზატორმა, რომ მქონდა მონაწილეობის სურვილი, მაგრამ, ჩვენთან სხვანაირად ხდება: უნდა რეკო შენ თვითონ, უნდა სთხოვო, – ეს მოსწონთ! მე კი არ ვარ ასეთი კატეგორია. ჩემი მხრივ, რაც საჭიროა, ყველაფერი გავაკეთე: ვისწავლე რეზო ჩხეიძესთან, მეორე კურსიდან მიღებდნენ, პაუზა არ მქონია, გადამიღეს არა მარტო საქართველოში, არამედ, უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაშიც; ავიღე პრიზი ევროპაში მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის, სადაც იყო 140 კინო წარდგენილი და ამ 140 ევროპული კინოდან მე მომცეს პრიზი. მე არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს დღეს ჩემი თაობის მსახიობმა სხვა, რომ მოეწონოთ, რომ კიდევ აქეთ რეკოს და კიდევ აქეთ მოგიაზროს ვილაცამ რაღაც პროექტებში. სასაცილოა! იციან, რომ ვარსებობ და, თუ უნდათ, დამირეკონ.

**– უცხოეთიდან ხომ იყო შემოთავაზება?**

– იყო რუსულ-ქართული პროექტი. „გოგი ჩამოვიდა" – ასე ჰქვია ფილმს. ძალიან კარგი სცენარია, გემრიელი სათამაშო. 170 კინოთეატრს უნდა ეჩვენებინა ეს ფილმი. ჩამოვიდნენ, შევხვდი, დამამტკიცეს მთავარ როლზე და მერე აირია ეს ამბავი. ჯერჯერობით შეჩერებულია გაურკვეველი დროით.

პეტერბურგში არის კინოსტუდია „პანორამა", რომელიც სულ მეძახის „ენტევეს" დაკვეთით თუ რამე ფილმი კეთდება, ყველაფერს ესენი იღებენ. იქ მსახიობების ერთი „სასტავია" და მთავაზობენ, რომ მეც ამ სასტავში ვიყო. ახლაც „სინდბადის მოგზაურობის" რიმეიკი გადაიღეს, სადაც კონკრეტული როლი უნდა მეთამაშა და ვერ წავედი. დღეს უკვე რუსეთზე ისეთი ამბავია, თქმაც კი არ მინდა, რომ ვინმე არ გავალიზიანო: – მაპატიოს ყველამ, მაგრამ, ძალიან ბევრი დააკლდა ჩემს კარიერას იმით, რომ ამ ქვეყანაში არ მოვხვდი. კონვეიერივით იღებენ იქ ფილმებს. სანამ იქიდან ჩამოვიდნენ პროდიუსერები, მანამდე ჩემი სივი გაიგზავნა, რომლისთვისაც დამჭირდა, რაც მითამაშია, ამომიკრიფა და კოლაჟებად ჩამისვა სხვადასხვა პროექტიდან. სხვათა შორის, რომ გადავხედე, მე თვითონ ძალიან გამიხარდა, საჭირო ყოფილა. ჟანრობრივად იყო ძალიან მრავალფეროვანი. იმ სივში ჩაიწერა პრიზის შესახებაც. სივი რომ ნახეს და რომ დამირეკეს, დიდხანს მელაპარაკნენ ამ პრიზზე. მე თვითონ მრცხვენია ამის გამეორება: აქო, – ჩამომითვალეს რუსი ვარსკვლავები, – აქვთ ან „ნიკა", ან ადგილობრივი პრიზები აღებული, მაგრამ, ეს პრიზი?! ცოტა სულელი ხომ არ ხარო, – მათ ტონში იგულისხმებოდა, ისე ხომ არ მქონდა მიწერილი. აქ იმდენად არაფრად მიაჩნიათ, რომ მეც უკვე არაფრად ვაგდებდი, არადა, თურმე, ეს ძალიან ფასდება იქ.

**– კიევში რა ფილმში გადაგიღეს?**

– ფილმი არა, სერიალი იყო, სადაც ვითამაშე ქართველი შულერი, რომელიც კაზინოში აფერისტობს. სხვათა შორის, ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. მთავარია დამოკიდებულება.

**– რას გულისხმობ?**

– მე სულ ამას ვამბობ, რომ ჩემს, როგორც მსახიობის „შებმას" არაფერი არ უნდა. იმ დღეს გავიგე, თურმე, სადღაც უნდოდათ ჩემი გადაღება და – მაგისი ათასების თავი ვის აქვსო. ჯერ, რა დამოკიდებულებაა! რამდენს დავხმარებივარ საერთოდ უფასოდ. უკვე მერამდენედ ვმეორდები: ისმის ხოლმე – „ზუზუ არის მძიმე, ზუზუ არის ლოთი"... – სასაცილოა. ჩემ გამო არც ერთი გადაღების დღე არ ჩაშლილა, 9 მხატვრულ ფილმში ვარ გადაღებული, სერიალს არც ვთვლი. მე არ ვარ ტიპიური ადამიანი, რომელიც ერთფეროვნად, ერთნაირად აზროვნებს; მეცვლება აზროვნება, ვიზრდები, ვვითარდები. მე ვერ ვიაზროვნებ ისე, როგორც შენ და, შენ თუ ამის გამო, სასაცილოა, მაგრამ, „მბლოკავ", მაშინ, ჩემთვის ძალიან დიდი კომპლიმენტია, თუ არ მოგვწონვარ.

**– ფაქტია, გული ნატკენი გაქვს.**

– გული ნატკენი მაქვს. იცი, რა დამოკიდებულება არის? არავის უთქვამს, რომ ზუზუ არის უნიჭო – ყველაფერი ითქვა მაგის გარდა. ნიჭიერი ხარ, ნიჭიერი ხარო და თაფლში ჩამახრჩვეს. უცბათ აღმოვაჩინე, რომ თაფლში მომამწყვდიეს. მოკლედ, ძალიან გაბრაზებული ვარ *(იცინის)*.

**– ამბობენ, ასეთი და ასეთიაო; სინამდვილეში როგორია ზუზუ?**

– სულ ვამბობ: ნერვები არ მაქვს მწყობრში, თორემ, მძიმე არ ვარ. მე ჩემს პროფესიაში მღლის პასუხისმგებლობა. ხალხს ჰგონია, რომ ეს უნდა შეგეტყოს შენ და გამოხატო მანერებით, რომ პასუხისმგებლობა გაქვს. შეიძლება, ღამით ვერ დავიძინო, როცა ვიცი, რომ ხვალ გადაღება მაქვს. პასუხისმგებლობა დიდი რამეა. ხმამაღლა ვამბობ: ერთი რეჟისორი მომიყვანე, რომელიც იტყვის, რომ ზუზუსგან, როგორც მსახიობისგან, უკმაყოფილო ვარო და შევეშვები ამ პროფესიას.

**– „ჩემი ცოლის დაქალების" ახალ სეზონში გაიელვე და ისევ დაიკარგე.**

– გავიელვე და, მივხვდი, რომ აღარ უნდა გავიელვო. ძალიან მიყვარს ეგ ხალხი, დიდ პატივს ვცემ და მათგანაც აბსოლუტურად იმავეს ვგრძნობ, მაგრამ, ჩემთვის გაუგებარია: შენი გმირი მოითხოვა სცენარმა ამდენი დოზით და მერე აღარ მოითხოვა. სცენარმა რა მოითხოვა, მე არ ვიცი. ჩემი გმირი ან განავრცე, ან შემეშვი. „გავიელვე" ძალიან კარგად თქვი და, გასაელვებლად არც ნერვი მყოფნის და აღარც სურვილი.

**– ქასთინგებზე გადიხარ?**

– აღარ დავდივარ, თუმცა, კონკრეტულ ქასთინგზე ვიყავი იმ დღეს. ლოს-ანჯელესიდან არის ჩამოსული ბიჭი და, უნდა, რომ პოლიტიკურ პარტიაზე ინტელექტუალური იუმორით გადაიღოს სერიალი. მერე როგორ განვითარდა ამ წამოწყების ბედი, არ ვიცი, მაგრამ, ვიცი, რომ ქასთინგზე რომ მივედი, იყო ძალიან ბევრი ადამიანი და მხოლოდ ხუთნი დაგვამტკიცეს. ორ როლზე მოვიაზრებოდი: ერთი გმირი იყო, რომელიც ზუზუს ძალიან ჰგავდა – საერთოდ „ეკიდა" პოლიტიკა, ყველაფერს და ყველას ელადავებოდა, მარტო იმიტომ იყო პოლიტიკურ პარტიაში, რომ წასვლა უნდოდა ამერიკაში; მეორე არის ძალიან საქმეში ჩართული, ყველაფერს რომ აკეთებს და არანაირი ფუნქცია რომ არ აქვს ისეთი ტიპი. პლაკატებსაც ის აკრავს, ბომჟსაც იცნობს, პრეზიდენტსაც... – მოკლედ, იდიოტია. ჯერ პირველი როლი უნდა მეთამაშა, მაგრამ არ ვიცი ვინ ვერ გაართვა თავი მეორე როლს და მერე ამაზეც დამამტკიცეს. მგონია, რომ ეს მეორე გმირი ბევრად საინტერესოა სათამშოდ.

**– ყოფითში რა ხდება?**

– როგორ უნდა იყო, თუ არ გაქვს საქმე? სხვა ბიზნესი მე არ მაქვს და ვარსებობ მხოლოდ ჩემი პროფესიით. არ მინდა წუწუნა და ბანალური ინტერვიუ გამოვიდეს, მაგრამ, ელემენტარულად სახლი არ მაქვს და ქირით ვცხოვრობ.

**– ჩვენ უკვე მესამე სახლში ვხვდებით ინტერვიუსთვის.**

– ვიცვლი და ვიცვლი. პასუხისმგებლობა აქაც მერთვება. როცა გყავს დედა, ხალხი, ვინც შენზეა დამოკიდებული, როგორ შეიძლება, იყო კარგად? კიდევ კარგი, მყავს ერთი-ორი ისეთი მეგობარი, რომლებიც, თუ „მომშივდება" დამეხმარებიან. მაგრამ, არა უშავს, ვიცი, რომ ჩემს პროფესიაში მინიმუმ ერთხელ კიდევ გავახურებ – ასე მკარნახობს ინტუიცია, რომელიც არ მღალატობს ხოლმე.

**– ერთი პერიოდი საპროდიუსერო ფირმა გქონდა. ამ დარგში როგორაა საქმე?**

– არ აღმოჩნდა ეს ჩემი საქმე. როდესაც იქმნება რაღაცა ბაზა და შენ თვითონ ხარ მსახიობი, მერე, რატომღაც, ველარ აღგიქვამენ მსახიობად. სულ ერთი ქასთინგი ჩავატარე ამ სამსახურში და, ისეთი, რომ... ჰკითხეთ, ვისაც გნებავთ. გავაკეთეთ ფილმი „ფარაჯანოვი". შეიძლება, ბევრი წლის შემდეგ ისევ მივუბრუნდე ამ საქმეს, შეიძლება – არც. ვნახოთ.

**– თავად ვის განასახიერებ „ფარაჯანოვში"?**

– მხატვარი ვითამაშე. ეპიზოდია, მაგრამ, ძალიან გემრიელი სათამაშო. მეცინება: როცა მთავარი როლები მეყარა ხოლმე, სულ ვამბობდი – აი, მეორეხარისხოვანი კარგი როლი-მეთქი და – დამეწყო მეორეხარისხოვნები; მერე – კარგი გემერიელი ეპიზოდურები-მეთქი – დამეწყო ეპიზოდები. ახლა ისევ უნდა დავიწყო კარგ მთავარ როლებზე ფიქრი, გავუშვა ენერგეტიკა.

**ეკა სალაღაია**

**გასულ წელს კიდევ ერთი ქართული ლამაზი ოჯახი შეიქმნა. ახლად-დაქორწინებულები მართლაც ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი, ბედნიერად ცხოვრობენ და პირველი შვილის გაჩენას ელოდებიან. ჩვენი რესპონდენტები არიან ცნობილი კალათბურთელი თორნიკე შენგელია და წარმატებული მოდელი სალომე ჯუღელი. ისინი საქართველოდან შორს, ამერიკაში ცხოვრობენ. ამ ეტაპზე სალომემ სამოდელო კარიერაში ტაიმაუტი აიღო, თორნიკე კი კვლავ აქტიურად განაგრძობს თამაშს NBA-ში, რაც ყველა კალათბურთელის ოცნებაა.**

# რატომ ელოდებოდა თორნიკე შენგელია ორი წელი ზაზა ფაჩულიასთან შეხვედრას მოედანზე და რატომ აიღო სამოდელო კარიერაში ტაიმაუტი სალომე ჯუღელმა

**– თქვენს ოჯახს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს და ყველას აინტერესებს, როგორ ცხოვრობთ.**

**სალომე**: ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ და ცხოვრების ერთად დაწყება ნამდვილად არ გაგვჭირვებია. ვართ შეხმატკბილებულები და ვცხოვრობთ ბედნიერად.

**– თოკო, გასვლითი თამაშები საკმაოდ ხშირად გაქვს. სალის მარტო დატოვება არ გიჭირს?**

**თორნიკე**: ძალიან ძნელია, თუმცა, ამ ყველაფერს მეორე მხარეც აქვს: როცა უკან ვბრუნდები, ძალიან მიხარია, რადგან სახლში სალი მელოდება. ვცდილობ, ჩემს რეჟიმს შევაგუო, რადგან, წასვლა-წამოსვლა საკმაოდ ხშირად მომიწევს.

**– როგორ ემზადებით პირველი შვილის დასახვედრად? მალე მშობლები გახდებით.**

**სალომე**: ისეთი ბედნიერები ვართ, ისე ველოდებით და ისე გვიხარია, რომ ვერც კი გადმოგცემთ. ერთი სული გვაქვს, როდის დაიბადება. მაქსიმალურად ვემზადებით მასთან შესახვედრად და, ვნახოთ, როგორ გამოგვივა. ძალიან გვინდა, კარგი მშობლები ვიყოთ ჩვენი შვილისთვის.

**თორნიკე**: რაც უფრო ახლოვდება მისი დაბადების დროს, მით უფრო დიდია მისი ნახვის სურვილი.

**– რამდენი თვის ხარ?**

**სალომე**: უკვე 6 თვის ვარ. დრო ძალიან სწრაფად გადის.

**– სქესი თუ გაიგეთ?**

– კი, გავიგეთ.

**– ვის ელოდებით?**

– ამას ჯერ არ ვიტყვით. სიურპრიზად დავტოვებთ.

**– სახელი შეურჩიეთ?**

**სალომე**: რა თქმა უნდა, სახელი უკვე შერჩეული გვაქვს, რომელსაც ჯერ არავის ვეუბნებით.

**– სალი, მშობიარობას საქართველოში გეგმავ თუ ამერიკაში?**

– გადავწყვიტეთ, რომ აქ ვიმშობიარო.

**– თოკო, პატარა გადახვევა მინდა გავაკეთო და სპორტულ თემას შევეხები: ცოტა ხნის წინ ინტერნეტში გავრცელდა ფოტო, რომელზეც თამაშის შემდეგ შენ და ზაზა ფაჩულია ხართ აღბეჭდილი. იმ მომენტში თქვენ ერთმანეთის მოწინააღმდეგეები იყავით. როგორი შეგრძნებაა, როცა ძალიან ახლობელი ადამიანი მოედანზე შენი მოწინააღმდეგეა?**

**თორნიკე**: სხვათა შორის, პირველად დრაფტზე რომ ამიყვანეს, მკითხეს, ვის წინააღმდეგ ელოდები თამაშსო. ლებრონ ჯეიმსთან და კობი ბრაიანტთან თამაშს ყველა ელოდება, მაგრამ, ჩემთვის ყველაზე საინტერესო, ალბათ, ზაზა ფაჩულიას წინააღმდეგ თამაში იქნება, რადგან, სულ ერთად ვთამაშობთ და ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში საკმაოდ უცნაური და საინტერესო გამოვა-მეთქი. ამის მერე, მეორე წელია, ველოდებოდი ზაზასთან შეხვედრას. მართალია, ჩვენი გუნდები რამდენჯერმე მანამდეც



**თორნიკე: „სხვის ბავშვსაც რომ ვუყურებ, სულ მინდა, სიყვარული გამოვხატო მის მიმართ და, საკუთარი ალბათ, საერთოდ სხვა გრძნობაა“**

შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ, მე არ მომიწია თამაში. მოკლედ, როგორც იქნა, ზაზას შევხვდი მოედანზე, რაც ძალიან კარგი შეგრძნება იყო. მოედანზე ერთმანეთს გავეხუმრეთ კიდეც და თამაშის მერე ჩავეხუტეთ.

**– ვისმა გუნდმა მოიგო?**

– რა თქმა უნდა ჩვენ მოვუგეთ, ამას რა კითხვა უნდა.

**– მოკლედ, ზაზა მოედანზე დაჩაგრე.**

– ჰო.

**– ზაფხულში თუ გეგმავ ჩამოსვლას ნაკრების თამაშებზე?**

– გეგმაში მაქვს, ჩამოვიდე და ნაკრების შემადგენლობაში ვითამაშო. ღმერთის წყალობით, იმედი მაქვს, განვახორციელებ და ვითამაშებ. გასულ წელს ტრავმამ შემიშალა ხელი, წელს კი, ღმერთის წყალობით, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

**– ამ დროს ბავშვი უკვე დაბადებული იქნება?**

– მე ყველა ვარიანტში დაველოდები შვილის გაჩენას და მერე წამოვალ.

**– ანუ, საქართველოში რომ ჩამოხვალ უკვე მამა იქნები.**

– დიახ.

**– მშობიარობის დროს სალის გვერდით აპირებ ყოფნას? ანუ, დაესწრები მის დაბადებას?**

– როგორ გამომივა, არ ვიცი, მაგრამ, ვაპირებ, სალის მშობიარობას დავესწრო. ყველანაირად შევეცდები, ყველაფერი გადავლახო და შვილის დაბადება ჩემი თვალით ვნახო.

**– სალი, როცა წინა ინტერვიუ ჩავწერეთ, მაშინ თქვი, რომ ფეხმძიმობა შენს სამოდელო კარიერაში ხელს არ შეგიშლიდა და სხვადასხვა პროექტში მიიღებდი მონაწილეობას. მუშაობ?**

**სალომე**: არა, ჯერ არ ვმუშაობ, რადგან, რაც აქეთ გადმოვედით, სააგენტოებში არ მივსულვარ. ნიუ-იორკში რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ვიმუშავებდი.

**თორნიკე**: ეს შეკითხვა ჩემთვის უნდა დაგესვა.

**– რა მოხდა, მკაცრმა მეუღლემ გაილვიძა შენში?**

– სალის მენეჯერი მე ვარ და სააგენტოებთანაც მე ვაწარმოებ მოლაპარაკებას *(იცინის).*

**– ასეთი ლამაზი გოგო ცოლად რომ მოგყავდა, აბა, რა გეგონა? თემას შევცვლი: ამ ეტაპზე მარტო ცხოვრობთ თუ ოჯახის რომელიმე წევრია თქვენთან ერთად?**

– ამჯერად მარტო ვართ.

**– ანუ, თოკო რომ მიდის, მარტო რჩები?**

**სალომე**: კი, მარტო ვრჩები, მაგრამ, თიკა და ზაზა ერთი საათის სავალზე ცხოვრობენ და ხშირად მივდივარ მათთან.

**თორნიკე**: ისე ახლოს ვცხოვრობთ, რომ ერთმანეთს ხშირ-ხშირად ვნახულობთ. ხან ჩვენ მივდივართ, ხან თიკა და ზაზა მოდიან ჩვენთან.

**– სალი, მართალია, ექვსი თვის ფეხმძიმე ხარ, მაგრამ, წონაში დიდად არ გაქვს მომატებული.**

**სალომე**: ხუთ კილომდე მოვიმატე ჯერჯერობით. ექიმებს სულ ვეკითხები – რატომ არ ვიმატებ, ეს ნორმალურია-მეთქი? ამიხსნეს, რომ ნორმალურია.

**– თოკოსთან ერთად შენ და ბავშვიც შეძლებთ თბილისში ჩამოსვლას?**

– არ ვიცი. ძალიან კი მინდა ჩამოსვლა, რადგან, საოცრად მენატრება ყველა და ყველაფერი. ვნახოთ.

**თორნიკე**: ექიმები როგორც გვეტყვიან, ისე მოვიქცევით. თუ მოგვცემენ იმის უფლებას, რომ ბავშვმა თვითმფრინავით იმგზავროს, წამოვალთ, მაგრამ, აცრები მოუწევს მაგ პერიოდში და, ალბათ, ვერ მოვახერხებთ.

**– მშობიარობამდე სამი თვე დაგრჩა, როგორ ემზადებით?**

**სალომე**: ჯერ განსაკუთრებული მზადება არ დაგვიწყია.

**თორნიკე**: მაღაზიებში სიარული და მისთვის ტანსაცმლის შერჩევა უკვე დავიწყეთ. ბოლოსკენ უფრო აქტიურად მოვემზადებით. ჯერ ფსიქოლოგიური მზადება გვაქვს.

**სალომე**: ძალიან გვაინტერესებს, როგორი იქნება და სულ ამაზე ვლაპარაკობთ.

**თორნიკე**: სხვის ბავშვსაც რომ ვუყურებ, სულ მინდა, სიყვარული გამოვხატო მის მიმართ და, საკუთარი, ალბათ, საერთოდ სხვა გრძნობაა.

**– იმედია, ერთ შვილზე არ გაჩერდებით.**

**სალომე**: რა თქმა უნდა, არა.

**თორნიკე**: ღმერთი რამდენსაც მოგვცემს, იმდენს ვიყოლიებთ.

**მარიკა ხიდურელი**

# რისი დაძლევა შეუძლია ქრისტიანს მხოლოდ ღმერთის დახმარებით და როგორია აღსარების ფორმა, რომელსაც დღეს ქრისტიანების დიდი ნაწილი მიმართავს

**ხშირ შემთხვევაში, ქრისტიანების დიდი ნაწილი დადის ეკლესიაში, ლოცულობს, აღსარებას ამბობს, ეზიარება, მაგრამ მათი ცხოვრების წესი, მოყვასთან ურთიერთობა, ეკლესიური ცხოვრებისგან რადიკალურად განსხვავდება. ის სულ სხვა ადამიანია ეკლესიაში და სულ სხვა – საზოგადოებაში. როგორი უნდა იყოს მორწმუნე ადამიანის ცხოვრების წესი, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მას მოყვასთან, ამის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი).**

**– მამაო, როგორი წესით უნდა ცხოვრობდეს ქრისტიანი, როგორ უნდა იქცეოდეს ის არა მხოლოდ ეკლესიაში, არამედ, საზოგადოებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში?**

– ქრისტიანი უნდა ცხოვრობდეს ისე, რომ თავისი ცხოვრების წესით არასდროს შეურაცხყოს უფალი. ცხოვრების წესში კი იგულისხმება ნებისმიერი მდგომარეობა, მოვლენა, რითაც ადამიანი სულდგმულობს, ანუ, მისი ძალისხმევა და მონდომება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ თავისი ცხოვრების წესით უფალი არასდროს შეურაცხყოს. ასეთი გამონათქვამი არსებობს: ადამიანი, რომელიც თავის მოქცევას, სულზე ფიქრს აყოვნებს, სახვალიოდ გადადებს – დღეს არ ვარ წარმატებული ქრისტიანობაში, ვერ ვლოცულობ, მოდი, ხვალ ან ერთი წლის მერე დავიწყებო, – ის, გარკვეულწილად, პილატეს ემსგავსება. ქრისტიანი უნდა ცხოვრობდეს ისე, რომ არ გამოეკიდოს ამქვეყნიურ დიდებას, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, მან საკუთარი თავი, ფიზიკური და სულიერი თვალსაზრისით, უარყოს, პატივი არ სცეს და სხვის თვალში დააკნინოს.

**– ანუ, უფალთან და საკუთარ თავთან ურთიერთობისას ადამიანმა ზომიერება უნდა დაიცვას, პატივი უნდა მიაგოს, უპირველეს ყოვლისა, უფალს და მერე საკუთარ თავს?**

– დიახ. თუმცა ეს, შეიძლება, ვინმესთვის ძალიან ადვილი, ან, პირიქით, ძალიან რთული იყოს, მაგრამ, ამ ყველაფრის დაძლევა მხოლოდ და მხოლოდ უფალთან ურთიერთობით არის შესაძლებელი. ქრისტიანობა არ ნიშნავს იმას, რომ, რადგან ჩვენ ვართ სასულიერო პირები ან ეკლესიის მრევლი, ამიტომ სრულყოფილები ვართ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ყოველთვის უნდა ვიმუშაოთ საკუთარ თავზე. შესაბამისად, ის, ვინც დღეს აპირებს მოქცევას, ეკლესიის წიაღში მოსვლას, ქრისტიანულ ცხოვრებას, უნდა ეცადოს, რომ უფლის სიტყვები არა მხოლოდ სიტყვით მიიღოს და საქმით ზედაპირულად აღასრულოს, არამედ, ამ ყველაფერში ჩარიოს საკუთარი გული, სიყვარული და მონდომება. სიყვარულის გარეშე არ არსებობს სარწმუნოება, ცხონება, უფალთან ურთიერთობა და, მით უმეტეს, არ არსებობს ადამიანებთან ურთიერთობა. ვინც აპირებს, ქრისტიანი გახდეს, ჯერ ზნეობრივი ადამიანი უნდა გახდეს, ზნეობრივი კანონები უნდა დაიცვას, რადგან, თუ მას არ ექნება ზნეობა – შინაგანი სიყვარულის, თავისუფლების, მოწესრიგებულობის, სიმშვიდის განცდა, ის ნამდვილი ქრისტიანი ვერ იქნება.



**ეკლესია არ არის ვალდებული, ადამიანის ყოფითი პრობლემები მოაგვაროს, უბრალოდ, ასწავლის მათთან მიდგომას**

**– ქრისტიანთა დიდ ნაწილს თითქოს უყვარს ღმერთი, ეკლესიაში იცავს მის მცნებებს, მაგრამ, მოყვასისადმი სიყვარულს აშკარად არ განიცდის, ან, ამბობს, რომ უყვარს მოყვასი, თუმცა, მათი საქმე, მათი დამოკიდებულებები სხვა ადამიანების მიმართ საწინააღმდეგოზე მიუთითებს.**

– უფალი ადამიანს აძლევს პირველ მცნებას – გიყვარდეს უფალი და თავადვე ამახვილებს ყურადღებას მეორე მცნებაზე – მცნება მეორე მსგავსი ამისა, ანუ, მსგავსი პირველი მცნებისა, რომელიც ავალდებულებს მას, რომ უყვარდეს უფალი და საკუთარი მოყვასი, რადგან, მხოლოდ უფლის სიყვარული არაფერს ნიშნავს. უფალს ისედაც ყველაფერი აქვს, საკუთარ თავში ისედაც ყველაფერს შეიცავს, მას არც სიხარული სჭირდება, არც დიდება, არც გალობა, ის ყველას და ყველაფერს საკუთარ თავში იტევს – ნეტარებასაც, სიხარულსაც, სითბოსაც. ის იმდენად მოწყალეა, რომ ამ ყველაფერს ჩვენთვის აწესებს – ჯერ გიყვარდემე და შემდეგ – მოყვასი, რადგან, უფლის სიყვარულის გარეშე ვერ შეძლებ სხვა ადამიანის შეყვარებას. ჩვენთვის ორიენტირი სიყვარულში, სწორი სიყვარულის მომცემი – უფალია. ამიტომ, თუ უფალი გვიყვარს, სწორად ვუდგებით ამ საკითხს, მაშინ, ადამიანებიც გვიყვარს. ეს ორი მცნება არ გამორიცხავს ღვთისა და ადამიანის სიყვარულს, იმიტომ რომ, თუ გიყვარს უფალი, მაშინ, გიყვარს ადამიანებიც და, პირიქით – თუ გულწრფელად გიყვარს შენი მოყვასი, მაშინ ღმერთიც გიყვარს. თუ ან ერთი არ გიყვარს, ან მეორე, ესე იგი, არც ერთი არ გიყვარს. შეიძლება, ვიღაცამ თქვას: მე კი მიყვარს უფალი, მაგრამ, არ მიყვარს ის მოყვასი, რომელიც მჩაგრავს, მდევნის, შეურაცხყოფა მომაყენა; მე კი ვაპატიე, მაგრამ, ვერ შევიყვარებ. თუ გიყვარს, მაშინ აპატიებ, თუ არ აპატიებ, ეს იგი, არ გიყვარს და იმ ადამიანის მიმართ გულში დაგრჩა რაღაც ცუდი. პატიება ნიშნავს იმას, რომ აპატიე არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც და გულითაც. შეგიძლია, ადამიანს არა მხოლოდ გადაეხვიო და მოეფერო, არამედ, სიცოცხლეც დათმო მისთვის, თუ საჭირო გახდება. ეს არის სიყვარული, თავგანწირვა, რომელსაც მეორე მცნება მოითხოვს. უფალი გვასწავლის: თუ თქვენ აპატიებთ, უფალიც გაპატიებთ; თუ იქნებით მოწყალენი, ღმერთი თქვენც შეგიწყალებთ; თუ დათმობთ, უფალიც დაივიწყებს თქვენს მრავალ ცოდვას, სულიერ სიმახინჯეს. უფალმა კარგად იცის, როგორი მიმართულება უნდა მისცეს ჩვენს ცხოვრებას ისევ და ისევ ჩვენს გადასარჩენად. ჩვენ ეს შეიძლება მოგვეწონოს ან არ მოგვეწონოს, მაგრამ, უფალი მართალია, რადგან მას ჩვენი ცხონება და გადარჩენა შეუძლია.

**– ადამიანების სინანულიც, თუნდაც აღსარების საიდუმლოს დროს, შეიძლება ითქვას, რომ ზედაპირულია, ბოლომდე არ არის გააზრებული და, იქვე, აღსარების თქმისთანავე მთავრდება.**

– დღეს არსებობს აღსარების ორი ფორმა, რომლებსაც ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ აქვს: ერთი არის ფორმალური აღსარება, რომელსაც მორწმუნეთა უმრავლესობა მიმართავს, მეორე კი – ფსიქოლოგიური. პირველ შემთხვევაში ქრისტიანი მოდის, აბარებს აღსარებას და, რომ ჰკითხო, ამას რატომ აკეთებო, გიპასუხებს: „უნდა ვეზიარო“. ანუ, გამოდის, რომ აღსარების ჩაბარება ავტომატურად ზიარების მიღებას ნიშნავს. მეორე, ანუ, აღსარების ფსიქოლოგიური სახე, უფრო პროტესტანტულს ჰგავს: მორწმუნე მოდის და ცოდვები ფურცელზე აქვს ჩამოწერილი. ამ დროს ის აღსარებას აბარებს არა უფალს, არამედ, გამოცდილ სასულიერო პირს, რომელსაც მის კითხვებზე მზამზარეული პასუხები აქვს და უშველის, ამის მერე კი მისი ყოფითი თუ სულიერი პრობლემები აუცილებლად მოგვარდება; სინამდვილეში, ის ისევ იმ სულიერ მდგომარეობაში რჩება, რომელშიც იმყოფებოდა, თუ უარესში არა, რადგან, მან სულიერი განკურნება არ მიიღო, არ მივიდა იმ აღიარებამდე, რომ თავად არის ცოდვილი. ეს ცხოვრების ილუზირებული ფორმაა, რაც საერთოდ სცილდება აღსარების საიდუმლოს. თუმცა, მეორე მხრივ, ეკლესია სწორედ იმისთვის არის მოწოდებული, რომ ადამიანი დაამშვიდოს, იმედი ჩაუნერგოს. დღეს ძალიან ბევრი მოდის ეკლესიაში ასეთი აზროვნებით: ეკლესია აგვარებს ყველა პრობლემას. ეს არასწორი მიდგომაა, ეკლესია არ აგვარებს პრობლემებს, მით უმეტეს – ყოფითს. ეკლესია ასწავლის, როგორ უნდა ვებრძოლოთ ამქვეყნიურ პრობლემებს, როგორ უნდა გადავლახოთ ისინი. თანამედროვეთა აზრით, ეკლესია არის იარაღი, რელიგიური ინსტიტუტი, რომელიც ადამიანების პრობლემებს აგვარებს, რაც შორს დგას მართლმადიდებლობისგან. ეკლესია არ არის ვალდებული, ყოფითი პრობლემები მოაგვაროს, უბრალოდ, ასწავლის მათთან მიდგომას. გარდა ამისა, ქრისტიანების დიდი ნაწილი აღსარებას ხშირად სხვებზე გადაბრალებით იწყებს: ჩავარდა ცოდვაში, იმრუშა, მაგრამ, იმიტომ, რომ ეს სხვამ დააძალა, სხვისი ბრალი იყო, იძულებული გახადა. ანუ, ასეთ დროს, იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ის იმყოფება, კი არ განიცდის, პირიქით, მეორე ცოდვას უმატებს – სხვას განიკითხავს და ამით თავის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. მორწმუნე უფალთან მოდის აღსარების ჩასაბარებლად, მაგრამ, გარეგნულად მას მოძღვარი ესწრება, რომელიც შუამავალია მასა და ღმერთს შორის. ამიტომაც, ამ დროს მოძღვრის როლი ძალიან მნიშვნელოვანია და ამასაც გათავისება, სწორად გაგება სჭირდება. როდესაც ქრისტიანი მოდის და მოძღვარს აბარებს მშრალ, იურიდიულ აღსარებას, მთელი ცენტრი სიმძიმისა გადადის მოძღვარზე. ანუ, ეს ნიშნავს იმას, რომ, როდესაც ადამიანი აბარებს მშრალ აღსარებას და არ განიცდის სინანულს, ის ბოლომდე ეყრდნობა მოძღვრის ძალაუფლებას, ანუ, იმ ცოდვების მიტევება-არმიტევების უფლებას, რომელიც სასულიერო პირს უფლისგან აქვს მინიჭებული. ამ დროს ქრისტიანი საკუთარ სულიერ ცხოვრებაში არანაირ როლს არ თამაშობს და, თუ მას მღვდელი ცოდვებს შეუნდობს, ის ფიქრობს, რომ ყველა ცოდვა შეენდო, რადგან, მართალია, არ განიცდის სინანულს, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს წესი გარეგნულად აღსრულდა და მთელი პასუხისმგებლობა სასულიერო პირმა აიღო. თუმცა მოძღვარი ყოველთვის უნდა გამოდიოდეს მამათა სწავლებიდან, მაგრამ, არ უნდა გამოვიდეს მსჯავრმდებლის, პროკურორის როლში. ის სულიერი მამის როლში უნდა იყოს, რადგან, როდესაც ის ხალხს თანაუგრძნობს და ავლენს მათ მიმართ ღვთაებრივ მოწყალებას, ემსგავსება ქრისტეს.

**ნათია უტიაშვილი**

## წმიდა ნიკოლოზის წმიდა ნაწილების ბარში გადაბრძანებისას მომხდარი სასწაულები

წმიდა ნიკოლოზი ღრმა სიბერეში, 342 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა. ის დაკრძალეს იქ, სადაც მოღვაწეობდა – ქალაქ მირონ-ლუკიის (დღევანდელი ანტალია) საკათედრო ტაძარში. მისი უხრწნელი ნაწილები მეოთხე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნის ბოლომდე იქ იყო დაცული. მეთერთმეტე საკუნეში, დიდი შემოსევების დროს, მაჰმადიანები ანადგურებდნენ და წვავდნენ ყველაფერს, ოსმალები ბიზანტიის მცირე აზიის სამფლობელოებს სასტიკად არბევდნენ, შეურაცხყოფდნენ წმიდა ტაძრებს, სიწმიდეებს... მათ განზრახული ჰქონდათ წმიდა ნიკოლოზის წმიდა ნაწილების განადგურება. რამდენჯერმე გაიძარცვა მირონ-ლუკიის საკათედრო ტაძარიც, მაგრამ მომხდურმა ვერ მიაგნო წმიდა ნიკოლოზის საფლავს. ის განსაკუთრებულ ადგილას იყო დაკრძალული.

გადმოცემით, 792 წელს ხალიფა ხარუნარ-რაშიდმა ფლოტის უფროსს, ხუმეიდს, კუნძულ როდოსის დარბევა უბრძანა. ხუმეიდმა მირონ–ლუკიას მიაშურა, რათა წმიდა ნიკოლოზის საფლავი გაეძარცვა. თუმცა, ხუმეიდს შეეშალა და წმიდა ნიკოლოზის საფლავთან მდებარე სხვა საფლავი გახსნა. როგორც კი უსჯულოები ავიდნენ გემზე, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ზღვა გამძვინვარდა და ხუმეიდის ყველა ხომალდი ზღვის ტალღებში დაინთქა.

წმიდა ნიკოლოზის წმიდა ნაწილებს დღესაც მირონი სდის. სასულიერო პირები მას საფლავიდან წელიწადში ერთხელ იღებენ – წმიდა ნაწილების ბარში (იტალია) გადმოსვენების დღესასწაულზე – 9,22 მაისს. მირონი საფლავიდან სპეციალური მოწყობილობით ამოაქვთ და ნაკურთხი წყლით აზავებენ.

ბარი – ბიზანტიური იტალიის დედაქალაქი უფრო დაცული იყო მაჰმადიანთა შემოსევებისაგან. მირონ-ლუკია ერთგვარი საზღვარი იყო მაჰმადიანურ და ქრისტიანულ სამყაროს შორის. ამავე დროს, ამ პერიოდში ქალაქ ბარში ერთ-ერთ ხუცესს საღვთო ხილვაში ეუწყა, წასულიყო მირონ-ლუკიაში, წმიდა ნიკოლოზის უხრწნელი ნაწილების ქალაქ ბარში გადასაბრძანებლად.

წმიდა ნიკოლოზის უხრწნელი ნაწილების ბარში წასაბრძანებლად რამდენიმე გემით ჩავიდნენ მორწმუნე ქრისტიანები მირონ-ლუკიაში.

თავდაპირველად მათ ვერ მიაგნეს წმიდა ნიკოლოზის საფლავს. ვერც მუქარამ, ვერც თხოვნამ თუ მოსყიდვამ გაჭრა – საფლავის მცველებს არ სურდათ სიწმიდის დათმობა, მაგრამ ბოლოს ერთ-ერთმა მცველმა გაამხილა მისი ადგილსამყოფელი, რადგან ასეთი იყო ნება ღვთისა.

წმიდანის ლუსკუმის გახსნისას მორწმუნეებმა იხილეს, რომ ის სავსე იყო მირონით. ირგვლივ საოცარი სურნელი დატრიალდა. სანაპიროზე გემში მყოფმა ადამიანებმაც კი იგრძნეს ამ მირონის კეთილსურნელება; ის მთელ ქალაქს მოეფინა.

როდესაც ბარელებმა შეფუთული წმიდა ნაწილები გემზე გადააბრძანეს, ზღვის სანაპიროს დიდძალი ხალხი მიაწყდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ზღვაზე მგზავრობისას კიდევ ერთი სასწაული მოხდა – ქარიშხალი ამოვარდა და გემები სამხრეთისაკენ მოისროლა. მათ გულმხურვალედ იწყეს ლოცვა, ევედრებოდნენ უფალს, მიენიშნებინა, რა შესცოდეს მის წინაშე. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა იკითხა, ვინმეს ხომ არ ჰქონდა აღებული (მოპარული) წმიდა ნაწილი. როდესაც ყველას სახარებაზე დაადებინეს ხელი და დააფიცეს, სიმართლე ეთქვათ, გაირკვა, რომ წმიდა ნაწილი ხუთ ადამიანს ჰქონდა აღებული. როგორც კი, ეს ნაწილები ლუსკუმაში დააბრუნეს, ღელვა და ქარიშხალი შეწყდა, გემები მშვიდობით ჩავიდნენ ბარში, რომლის მცხოვრებნი ზარ-ზეიმით დახვდნენ ამ უდიდეს სიწმიდეს. მასთან შეხებით ბევრი ბრმა და ხეიბარი განიკურნა.

ყველაფერი ეს 1087 წლის 8 მაისს მოხდა. წმიდა ნიკოლოზის წმიდა ნაწილები ბარელებმა საზეიმოდ გადააბრძანეს წმიდა სტეფანეს ტაძარში, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტეს, რომ საგანგებოდ აეგოთ ახალი ტაძარი.

1089 წელს ახალი ტაძარი მზად იყო. წმიდა ნაწილები ახალი ბაზილიკის კრიპტაში (ტაძრის მიწისქვეშა სამლოცველო) დააბრძანეს, სადაც ისინი დღემდე აღასრულებენ მომლოცველთა კურნებას და სასწაულებს.

## მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ადამიანი იყოს კარგი ქრისტიანი ეკლესიაში სიარულის გარეშე?**

**პასუხი**: ვინც უფლის სახლს გაურბის, გაურბის თვით უფალს და მისთვის უცხოა რწმენა და კეთილზნეობა. ასეთი ადამიანების ცხოვრება აღსავსეა ვნებებით. ეკლესიაში სიარულისა და ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობის გარეშე ადამიანი ვერ იქნება კარგი ქრისტიანი. თუმცა არც მარტო ეკლესიაში სიარული ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ჭეშმარიტი ქრისტიანია.

**კითხვა: ადამიანებს, როგორც წესი, უადვილდებათ სხვათა განკითხვა და დაცინვა, რატომ არ განსჯიან ისინი ასევე იოლად საკუთარ თავს?**



**პასუხი**: როდესაც ამ კითხვით მიმართავდნენ წმინდა მამებს, ისინი შემდეგი სახის პასუხს იძლეოდნენ: „სხვათა განკითხვის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არა გვყავს შეცნობილი საკუთარი თავი. ვისაც თუნდ მხოლოდ ერთხელ მიუპყრია სათანადო მზერა საკუთარი თავისთვის, ის არასოდეს არ მიაქცევს ყურადღებას თანამოძმეთა მანკიერებებს".

**კითხვა: ყველა ცოდვილი ერთნაირად დაისჯება თუ არა განკითხვის ჟამს, თუ იქნება განსხვავებული სასჯელის ფორმა?**

**პასუხი**: ყოველი ადამიანი განისჯება საკუთარი სიმართლისა და საქმის მიხედვით. უფრო მკაცრად ისინი დაისჯებიან, ვინც კარგად იცოდა უფლის ნება და არ ასრულებდა მას. ხოლო ისინი, ვინც არ იცოდნენ უფლის მცნებები, დაისჯებიან იმიტომ, რომ მოვალენი არიან იცოდნენ და არ იციან, იმიტომ რომ არ გამოიჩინეს მოწადინება.

**კითხვა: ეკლესიურად მცხოვრები მამაკაცები ხშირად ატარებენ წვერს, ეს აუცილებელია?**

**პასუხი**: ეს არ არის აუცილებელი. თუმცა ქრისტიანული ტრადიციით, ეკლესიურად მცხოვრები პიროვნებები ხშირად ატარებენ წვერს, რათა გარეგნულად მიემსგავსონ თავიანთ მოძღვარს – იესო ქრისტეს.

## ჭეშმარიტი სარწმუნოება

### შრომა და ლოცვა

ერთხელ ანტონი დიდი მოწყენილობამ და ბოროტმა გულისთქმამ შეაწუხა. ძალიან შეეშინდა თავისი მდგომარეობის და ღმერთს შეევედრა: „უფალო, მინდა ვცხონდე, მაგრამ, არ ვიცი, რამ გამიტაცა. მიჩვენე საშუალება, რომ წინ აღვუდგე ამ ბოროტ გულისთქმას. მასწავლე, რა მაცხოვნებს". ცოტა ხნის შემდეგ წმიდა ანტონი სენაკიდან გამოვიდა და დაინახა უცნობი კაცი, რომელიც იჯდა და გოდორს წნავდა; შემდეგ ადგა, ილოცა და კვლავ თავის საქმეს შეუდგა. მერე ისევ ადგა, ლოცვა დაიწყო და საქმეს მიუბრუნდა. ეს უცნობი იყო ღვთის ანგელოზი, რომელიც უფალმა ანტონის განსწავლისთვის გამოგზავნა. ანგელოზმა ანტონი დიდს უთხრა: „აი, ასე მოიქეცი და ცხონდები". ამ სიტყვების გამგონი ღირსი ანტონი დიდი სიხარულითა და იმედით ავისო და მას შემდეგ სწორედ ისე იქცეოდა, როგორც ანგელოზმა ასწავლა; მოგვიანებით კი უკვე ყველას ამას ურჩევდა და ასწავლიდა: „რასაც არ უნდა აკეთებდეთ და სადაც არ უნდა იყოთ, მუდამ გახსოვდეთ შრომა და ლოცვა. ილოცეთ მუდამ თქვენი სულის საცხოვნებლად და იშრომეთ თქვენდა და სხვათა სასარგებლოდ. შრომა და ლოცვა ერთად ერთმანეთს აძლიერებს; ლოცვა გვაძლევს ძალას შრომისათვის, ხოლო შრომა გაფანტავს მავნე და ბოროტ გულისთქმას, გონებას სალოცავად განაწყობს და ყურადღებასა და გულმოდგინებას სძენს. შრომა და ლოცვა ერთად ერთმანეთს ეხმარება და ადამიანიც ნაკლებად იღლება, რადგან, ლოცვით გაძლიერებულს, მეტის გაკეთება შეუძლია და, ნეტარია ის კაცი, რომელიც შრომასა და ლოცვას წესად გაიხდის და რომლის გულშიც ეს წესი არასოდეს დაირღვევა".

### „... ვინც საწამლავი მოგცა, იმას უთხარი, რომ ის ეპისკოპოსი ვერ გახდება"

აპულიის მხარეში ცნობილი ღვთისმოშიში ადამიანები გვიყვებიან კანუზიის ეპისკოპოსის, საბინიუსის შესახებ, რომელმაც მოხუცებულობაში მხედველობა დაკარგა – ვეღარაფერს ხედავდა. გოთების მეფე ტოტილამ შეიტყო, საბინიუსს წინასწარმეტყველების უნარი აქვსო და, გადაწყვიტა, ამ ამბის ჭეშმარიტება შეემოწმებინა. ერთხელაც, იმ მხარეში მოხვდა, სადაც საბინიუსი ეპისკოპოსად იყო. საბინიუსმა მეფე სუფრასთან მიიწვია. მეფემ არ ისურვა ინახით წოლა და ღირსი საბინიუსის მარჯვნივ დაჯდა. როდესაც მსახური მიუახლოვდა ეპისკოპოსს ღვინით სავსე ფიალით, მეფემ ჩუმად გამოართვა ჭურჭელი, რომ დარწმუნებულიყო, შეძლებოდა თუ არა ღვთის კაცი ამის გაგებას თავისი არაჩვეულებრივი უნარის დახმარებით. „დაილოცოს ეს ხელი!" – თქვა საბინიუსმა, რომელიც ვერ ხედავდა, ვის ეჭირა სასმისი. წმიდანის სიტყვებმა შეარცხვინა მეფე მისი ურწმუნობის გამო, თუმცა, გაახარა კიდეც, რადგან, დარწმუნდა გაგონილის ჭეშმარიტებაში. ღირსმა საბინიუსმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. საეპისკოპოსო ტახტზე საბინიუსის ადგილის დაკავების სურვილით დაბრმავებულმა არქიდიაკონმა მისი მოწამვლა გადაწყვიტა. მან მოისყიდა მწდე და დაითანხმა, ეპისკოპოსისთვის მოწამლული ღვინო მიეტანა სუფრაზე. როდესაც სადილის დრომ მოაწია, მოსყიდულმა მსახურმა მას არქიდიაკონის მიერ გამზადებული ღვინო მიაწოდა. „შენ თვითონ დალიე, რაც მე მომიმზადე", – უთხრა ეპისკოპოსმა. მსახური შეშფოთდა, რადგან ამხილეს, მაგრამ, არჩია, დაელია საწამლავი, ვიდრე წინასწარ განზრახვით მკვლელობა ეღიარებინა. როდესაც სასმისი პირთან მიიტანა, ღვთის კაცმა მონა შეაჩერა: „ნუ სვამ, მომეცი, მე დავლევ; ხოლო, ვინც საწამლავი მოგცა, იმას უთხარი, რომ ის ეპისკოპოსი ვერ გახდება". საბინიუსმა სასმისს ჯვარი გარდასახა და მშვიდად დალია. სწორედ ამ დროს მოკვდა არქიდიაკონი, რომელიც სულ სხვაგან იმყოფებოდა. თითქოს ეპისკოპოსის მიერ დალეული შხამი დამნაშავეში გადავიდა. მაგრამ, ხილულ საწამლავს არ მოუკლავს არქიდიაკონი, არამედ, საკუთარი ბოროტების შხამმა მოკლა ის მარადიული მსაჯულის თვალწინ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# ყუმბარისებური დარტყმის მქონე ფეხბურთის ვარსკვლავები

*საჯარიმო დარტყმის შესრულება ფეხბურთის არაერთი ვარსკვლავის საფირმო ნიშანია, თუმცა მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც დარტყმისას უპირატესობას არა შესრულების მანერას, არამედ ფიზიკურ ძალას ანიჭებენ. არაერთ ყუმბარისებურ დარტყმას „დაუნგრევია" ფეხბურთელებისგან შემდგარი ცოცხალი კედელი. სწორედ ასეთი დარტყმით გამორჩეულ ფახბურთელთა საუკეთესო ექვსეულს გთავაზობთ.*

### რონალდ კუმანი

ლეგენდარული ჰოლანდიელი მცევლი რონალდ კუმანი ცნობილი იყო ძლიერი დარტყმით, როგორც საჯარიმოდან, ისე თამაშის დროს. მისმა ყუმბარისებურმა დარტყმამ მოუტანა ჰოლანდიის ნაკრებს ამერიკის, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური, ხოლო 1992 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „სამპდორიის" კარში შესრულებული ჯარიმა დღემდე ეტალონად მიიჩნევა. ამ დარტყმამ „ბარსელონას" ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი მოაგებინა.



### ედერი

1980-იანი წლების ბრაზილიის ნაკრების მცველი, რომლის მეტსახელებია: „ყუმბარა" და „ბომბდამშენი". ედერს არანორმალურად ძლიერი დარტყმა ჰქონდა და ამბობენ, რომ თუკი მისი დარტყმული ბურთი ძელს ან ხარიხას ხვდებოდა, დარტყმის ხმა ასობით მეტრის დაშორებით ისმოდა.

### რობერტო კარლოსი

ფეხბურთის თანამედროვე გულშემატკივრებისთვის რობერტო კარლოსის დარტყმა, სავარაუდოდ ყველაზე ცნობილია. მას არაერთი სახელოვანი მეკარე დაუმწუხრებია. თუმცა, ყველაზე ცნობილი გოლი, ეგრეთ წოდებული „ხმელი ფოთლის" დარტყმით მან ფრანგ ფაბიენ ბარტეზს გაუტანა.



### იონ-არნე რიისე

ნორვეგიელმა მცველმა იონ-არნე რიისემ თავისი ყუმბარისებური დარტყმით მალევე გაითქვა სახელი ინგლისის პრემიერლიგაში, სადაც ხისტი ფეხბურთი მიღებულია. „ლივერპულის" რიგებში რიისეს არაერთი მნიშვნელოვანი გოლი აქვს გატანილი თავისი საფირმო დარტყმით, რომელსაც გამარჯვება მოუტანია.

### ალექსი

პრემიერლიგაში ასპარეზობის პერიოდში ალექსი არცთუ ხშირად ემუქრებოდა საჯარიმოთი მეტოქის კარს. თუმცა, რამდენჯერაც დაარტყა, იმდენჯერ დაზარალდნენ „ლივერპული" და „არსენალი". ყუმბარისებური დარტყმა ბრაზილიელი ცენტრალური მცველის სავიზიტო ბარათია და ამჟამად ამით ის „პარი სენ-ჟერმენის" ქომაგებს ახარებს.

### ბრანკო

კიდევ ერთი ბრაზილიელი, რომელიც დარტყმის სიძლიერით გამოირჩეოდა. ბრანკო 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ცნობილია, რომ სწორედ ის იყო რობერტო კარლოსის ბავშვობის დროინდელი კერპი. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გოლი საჯარიმო დარტყმიდან ბრანკომ ჰოლანდიის ნაკრებს გაუტანა 1994 წლის მუნდიალზე.

# ცოცხი – კოსმოსის დასასუფთავებლად

საერთაშორისო კოსმოსური სადგური, რომლის ეკიპაჟში რუსი, ამერიკელი და იაპონელი კოსმონავტები არიან, იძულებული გახდა „გზიდან" 800 მეტრით (9,5 მილი) გადაეხვია. მანევრი ავტომატურად განხორციელდა. ამ გაუთვალისწინებელი მოქმედების გაკეთება კი სადგურს კოსმოსური ნაგვის დაჯახებისგან თავის ასარიდებლად დასჭირდა.

2014 წლის თებერვლის მონაცემებით კოსმოსში 16 ათასი დიდი ზომის მოხეტიალე ობიექტია, დაახლოებით 22 ათასი – 10 სანტიმეტრამდე ნაწილაკი, ხოლო 650 ათასამდე –1 სანტიმეტრამდე, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის კოსმოსურ აპარატებს. სწორედ ამ საფრთხის ასაცილებლად გადაწყვიტეს იაპონელებმა, ტესტირება ჩაუტარონ თავიანთ გამოგონებას – კოსმოსური ნაგვის „დასაჭერ" მოწყობილობას. მეორე ვარიანტი კი ელექტრორეაქტიული ძრავიდან გამოტყორცნილი იონიზებური გაზის ნაკადია, რომელიც ნაგავს ორბიტიდან „გაცოცხავს".

# შეუდარებელი სერენა უილიამსი

სერენა უილიამსი არასდროს გამოირჩეოდა სამოდელო აღნაგობით და მისი თქმით, ბავშვობაში მუდამ შურდა თავისი დის, ვენუსის, რომელიც მასზე გაცილებით გრაციოზული და კოხტა იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სერენას დაკუნთული სხეული ამჟამად სპორტსმენ ქალებს შორის იდეალურად ითვლება. ამ ფაქტის აღსანიშნავად, ჟურნალმა „ფიტნესმა" ჩოგბურთელს საკმაოდ გულახდილი ფოტოსესია მოუწყო სხვადასხვა ფერისა და ფორმის საცურაო კოსტუმებში. სერენას იდეალური სხეულით ტკბობა ჟურნალის მკითხველს მაისში შეეძლება.



# მულტფილმის გმირი ჰალკი

სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" და ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ჰალკი მულტფილმის გმირი გახდა. მობილური კავშირგაბმულობის ბრაზილიურმა კომპანია „ვივომ" ანიმაციური რგოლი შექმნა და მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატს მიუძღვნა. ჰალკთან ერთად მულტფილმში „ჩელსის" ხუჭუჭა მცველი, დავიდ ლუიზი და ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი, ლუიშ ფელიპე სკოლარი ფიგურირებენ. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ნაკრები 2014 წლის მუნდიალს ხორვატებთან მატჩით გახსნის, პლუს ჯგუფში მექსიკა და კამერუნი ჰყავს.

# 1000 ცალი ყალბი მსოფლიო თასი

ჩინელმა მესაზღვრეებმა პროვინცია ჩჟეცზიანის ქალაქ იუში, ერთ-ერთ საწყობში 1 000 ცალამდე „ფიფას" მსოფლიო თასის ყალბი ასლი აღმოაჩინეს. უახლოეს დღეებში ამ პროდუქციას უნდა დაეტოვებინა ჩინეთის საზღვრები და ლიბიაში წასულიყო შემდგომი რეალიზაციისთვის. 2014 მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური სიმბოლიკის გამოყენების ფაქტები ბოლო დროს აქტუალური გახდა, რადგან სუვენირების წარმოება, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში დაიწყეს არალეგალურად. საგულისხმოა, რომ ქარხნების უმეტესობა, სადაც ეს სუვენირები მზადდება, ჩინეთში მდებარეობს და „ფიფა" იმუქრება, რომ ჩამოართმევს ქვეყანას ამ უფლებას, თუკი არ დაიწყება ბრძოლა არალეგალურ წარმოებასთან.



# ვლადიმირ კლიჩკოს შემოსავლები

ინტერნეტ-მედიაში გასული წლის მონაცემების მიხედვით მსოფლიოს ყველაზე მაღალშემოსავლიანი სპორტსმენები გამოავლინეს, რომელთა შორის პირველ ადგილზე მოკრივე ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი გავიდა. მოქმედ მოკრივეებს შორის საუკეთესოდ წოდებულმა მეივეზერმა 73,5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, რაც რამდენიმე მილიონით მეტია, ვიდრე კრიშტიანუ რონალდუსა და ლიონელ მესის – შემოსავლები. უკრაინელი მძიმეწონოსანი მოკრივე ვლადიმირ კლიჩკო კი, მონაცემების თანახმად, 24 მილიონი დოლარის მფლობელი გახდა გასულ წელს. აქედან 17,5 მილიონი მან რუს ალექსანდრ პოვეტკინთან ბრძოლის შემდეგ მიიღო.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**

# 2014 წლის ყველაზე უცნაური გზით გამდიდრებული მილიარდერების ტოპ-ხუთეული

*ცნობილია, რომ მდიდარ ადამიანებს თავისებური უცნაურობები ახასიათებთ. მათ შორის განსაკუთრებით უცნაური გზით გამდიდრებულებს გამოყოფენ, რომლებსაც ტოპ-ხუთეულის სახით გთავაზობთ.*

**ჩუან ინი**

ჩუან ინი ჩინეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალბატონია, რომელიც 2010 წელს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და მდიდარ ქალად დასახელდა. იმ მომენტისთვის ინის კაპიტალი 4,6 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა და საინტერესოა, რომ ეს დიდძალი ქონება მან მუყაოს ყუთების გაყიდვით გამოიმუშავა. მისი სასტარტო კაპიტალი 3 800 დოლარს შეადგენდა და ამ თანხით მან უდიდეს პროგრესს მიაღწია. ყველაფერი, რაც კი ჩინეთის იმპორტის სახით გადის მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ჩუან ინის ყუთებშია ჩადებული.

**რიჩარდ ბრენსონი**

ბრიტანელ რიჩარდ ბრენსონს ხშირად ყველაზე ექსცენტრიკული მილიარდერის სახელით მოიხსენიებენ. თავისი ბიზნესიმპერიის მშენებლობა ბრენსონმა ფურგონიდან ვინილის ფირფიტების გაყიდვით დაიწყო. შემდგომში მისი ბიზნესი თანდათან გაფართოვდა და ამჟამად ბრენსონი მუსიკალურ აქტივებს, ავიაკომპანიებსა და კოსმოსის ათვისების ბიზნესსტრატეგიებსაც კი აკონტროლებს.



**ერიკ ნაკაგავა**

ერიკ ნაკაგავას მეტსახელია „ჰავაელი ჩიზბურგერი". ის გახლავათ კომპიუტერის ჰავაელი გენიოსი, რომელმაც დაიპყრო ინტერნეტი. დიდძალი კაპიტალი ერიკმა ინტერნეტმემების, ანუ, მოტივატორების კეთებით მოახერხა. ერთხელ მას მეგობარმა გოგომ გაუგზავნა სასაცილო ფოტო კატის გამოსახულებით და ამას მოჰყვა სხვადასხვა სახის მოტივატორების შექმნის იდეა. ნაკაგავამ საკუთარი ვებ-გვერდი შექმნა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ 2 მილიონ დოლარად გაყიდა.



**კენ აჰრონი**

კენ აჰრონმა შექმნა კომპანია, რომელიც ამერიკის 40 შტატში ინდაურის პლასტმასის ძვლებს ჰყიდის. მისი კომპანიის შემოსავალი წელიწადში 2,5 მილიონი დოლარია. ამერიკაში არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმად, მადლიერების დღეს ინდაურის მკერდის ძვალს შუაზე ტეხენ და სურვილს ჩაუთქვამენ, თუმცა, რადგან ინდაურს მხოლოდ ერთი ასეთი ძვალი აქვს, აჰრონმა ამერიკელებს პლასტმასის ანალოგი შესთავაზა.

**გერი დაული**

კენ აჰრონისგან განსხვავებით, გამდიდრების უფრო მარტივ გზას დაადგა გერი დაული, რომელმაც ჩვეულებრივი ქვების გაყიდვა დაიწყო – უბრალოდ, ის მათ სხვადასხვა ფიგურებს ახატავდა. 1975 წელს დაწყებული ბიზნესით დაულმა 56-მილიონიანი კაპიტალი გამოიმუშავა.

## შარლოტა გინსბურგი – მსოფლიო კინოს ნომერ პირველი „ნიმფომანიაკი"

*წლის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ კინოფილმად, მაყურებლებისა და კინოკრიტიკოსთა ვერსიით, ერთხმად დასახელდა ლარს ფონ ტრიერის „ნიმფომანიაკი." ფილმში მთავარი როლი ლეგენდარული წყვილის, სერჟ გინსბურგისა და ჯეინ ბირკინის ქალიშვილმა, არანაკლებ სახელოვანმა მსახიობმა შარლოტა გინსბურგმა შეასრულა, რომელიც თავისი არაორდინარული ცხოვრების წესით არის ცნობილი.*



* შარლოტა ლუსი გინსბურგი 1971 წლის 21 ივლისს დაიბადა ლონდონში, ცნობილი ფრანგი შანსონიეს – სერჟ გინსბურგისა და ინგლისელი მსახიობის – ჯეინ ბირკინის ოჯახში.

* შარლოტა პარიზში იზრდებოდა და დღემდე იქ ცხოვრობს.

* ცნობილი მშობლების გამო, შარლოტა არ იყო გახსნილი ბავშვი – მას არ უყვარდა საზოგადოების ცენტრში ყოფნა. 11 წლის ასაკში მან რამდენიმე თვე შვეიცარიაში, დახურულ პანსიონშიც კი გაატარა.

* 1984 წელს შარლოტამ მამასთან ერთად ჩაწერა ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ფრანგული სიმღერა „ლემონ ინცესტი".

* შარლოტა გინსბურგი ფრანგ მსახიობ და რეჟისორ ივან ატალთან ერთად ცხოვრობს სამოქალაქო ქორწინებაში და მათ სამი შვილი ჰყავთ: ბენი, ელისი და ჯო.

* „როდესაც პატარა ვიყავი, დედა სრულიად შიშველი პოზირებდა ჩემთან ერთად და მამა ფოტოებს გვიღებდა. ისინი ნამდვილად ეშმაკისეულები იყვნენ," – ასე მოიხსენიებდა მშობლებს შარლოტა ერთ-ერთ ინტერვიუში.

* „სექსი ეკრანზე ყოველთვის სასაცილოდ ჩანს. ყოველ შემთხვევაში – ჩემთვის," – ამბობს შარლოტა გინსბურგი.

* შარლოტა გინსბურგის ნათლია იულ ბრინერი იყო.

* ლარს ფონ ტრიერის სკანდალურ ფილმში – „ანტიქრისტე", რომელიც გაჯერებული იყო ეროტიკული სცენებით, შარლოტას ჰონორარი 75 ათას ევროს შეადგენდა.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**

# მხოლოდ ფაქტები

* ფრიდრიხ დიდი ძაღლების დიდი მოყვარული იყო. მან საყვარელი ძაღლი, ალკინი, თავისთვის განკუთვნილ სამარხში დაასაფლავა.

* წითური თმის მოდა ნაპოლეონ მესამის ცოლმა, ევგენიამ შემოიტანა.

* ტბა ლოხნესი 23 მილის სიგრძის კალედონის არხის ყველაზე ცნობილი ნაწილია.

* ამერიკულმა კომპანია „მაგავოქსმა", რომელიც ტელევიზორების დისტანციური მართვის პულტებს აწარმოებს, შექმნა ახალი პულტი: თუ პულტი სადმე „დაიკარგება" და ტელევიზორს პირდაპირ პანელით ჩართავ ან გადართავ, პულტი იწყებს „ისტერიულ" მოძრაობას, სანამ თავისივე ღილაკით არ გამორთავენ.

* კორიდის ძირითად მოძრაობებს „პასები" ჰქვია და გამოიყენება განსაკუთრებით საშიში მოქმედებების დროს. მთავარი პასებია: „ვერონიკა," „ჩიკელინა" და „დერეჩაზო".

* ესპანეთში მონათვაჭრობის ცენტრი სევილია იყო.

* ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ჩრდილოეთი შტატი ალასკაა, თუმცა, ის შტატი მხოლოდ 1958 წელს გახდა, მანამდე კი უკიდურესი ჩრდილოეთი შტატი მინესოტა იყო.

* აკროპროზა – აკროსტიხის პროზაული ვარიანტია, თუმცა, ამ ხერხს გაცილებით იშვიათად იყენებენ.

* კოვბოები სინამდვილეში ძალიან ცუდი მსროლელები იყვნენ. ტყვიები იმდენად ძვირი ღირდა, რომ მათ არ ჰქონდათ სროლაში დაოსტატების საშუალება.

* ყველა ობობა არ ქსოვს აბლაბუდას და ასე არ ელოდება მსხვერპლს: ობობა-არკანელები მათ „ლასოს" ესვრიან, ობობა-მიწისმთხრელები – ქსელით ინიღბებიან, ხოლო ობობამგლები აბლაბუდით სოროს ქსოვენ.

* გაქცეული ლუდოვიკო მეთექვსმეტე ფოსტის მოხელემ პროფილით იცნო, რომელიც მხოლოდ ფულის მონეტებზე ჰქონდა ნანახი.

* ლეონარდო და ვინჩის მრავალი გაბედული ნოვატორული პროექტი ეკუთვნის, მათ შორისაა საბეჭდი მანქანისა და წყალქვეშა ნავის პროექტები.

* „ბისკვიტი" ფრანგული სიტყვაა და „ორჯერ გამომცხვარს" – ორცხობილას ნიშნავს.

* მოქმედი დროშებიდან ყველაზე ძველი დანიური დროშაა.

* ცნობილი მულტფილმის პერსონაჟების, მიკი და მინი მაუსების გამხმოვანებლებმა – ვეინ ოლვაინმა და რუსი ტეილორმა, 1991 წელს იქორწინეს.



## ყავა ააქტიურებს გულის მუშაობას, ნივთიერებათა ცვლას და დადებითად მოქმედებს ფილტვების მუშაობაზე

ნედლი ყავის მარცვალი ცხიმებს, ცილებს, წყალს, მინერალურ მარილებსა და დაახლოებით ორი ათას სხვა ნივთიერებას შეიცავს. მოხალვის შემდეგ მარცვალი წყლის დიდ ნაწილს კარგავს, მისი შემადგენლობა კი, მოხალვის ხარისხისა და ხანგრძლივობის მიხედვით იცვლება. ყავის მარცვალი მზა სახით შეიცავს 12 პროცენტ ცხიმს, რომელიც ყავის ნალექში მთლიანად რჩება, 25 პროცენტ საქაროზას, ფრუქტოზასა და გალაქტოზას, 8 პროცენტ სხვადასხვა ორგანულ მჟავას. ყავას არომატს ეთეროვანი ზეთი აძლევს, ანუ მასში შემავალი ტერპენები, რომლებსაც ანტისეპტიკური და ანტიმიკრობული მოქმედებაც აქვს. ქლოროგენის მჟავა ყავას მწკლარტე გემოს აძლევს, თუმცა მოხალვის დროს მჟავის დაახლოებით სამოცდაათი პროცენტი იკარგება. გარდა ამისა, მჟავა აზოტის ცვლას ასტიმულირებს და ცილის მოლეკულის წარმოქმნას უწყობს ხელს. რაც შეეხება ყავის მწარე გემოს, ეს დაკავშირებულია არა კოფეინთან, არამედ ტანინებთან. ამ რთული ორგანული ნივთიერების გასანეიტრალებლად ყავაში რძეს ან ნაღებს ამატებენ.

კოფეინი იწვევს აგზნებას, რომელიც ნელნელა მატულობს და სამ საათს გრძელდება, ორგანიზმში არ გროვდება და ყავის მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოიყოფა.

რაც მეტ ყავას სვამს ადამიანი, მით უფრო იშვიათად ფიქრობს თვითმკვლელობაზე – ეს გამოკვლევებმაც აჩვენა. როგორც ჩანს, კოფეინი ტვინის იმ ნაწილებს ასტიმულირებს, რომლებიც ოპტიმალურ განწყობას წარმოქმნის. კოფეინის ძალიან დიდი დოზით მიღება იწვევს ტოქსიკოზს, ადამიანისთვის საშიში დოზა კი მისი ასი გრამია, რაც დღეში ას ფინჯან ყავას უდრის.

ყავა ააქტიურებს გულის მუშაობას და ნივთიერებათა ცვლას, დადებითად მოქმედებს ფილტვების მუშაობაზე, აუმჯობესებს სისხლით მომარაგებას; შეიცავს PP ვიტამინსა და მინერალურ ნივთიერებებს; ასტიმულირებს თირკმელების მუშაობას, აჩერებს სისხლდენას, ზრდის ამტანობას, აფხიზლებს გონებას, აუმჯობესებს მეხსიერებასა და კონცენტრაციას, კურნავს გაციებას საწყის ეტაპზე.

ქალები, რომლებიც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს იღებენ, ყავას უნდა მოერიდონ, რადგან კოფეინი სისხლში სამჯერ უფრო დიდხანს რჩება და გაღიზიანებასა და თავის ტკივილს იწვევს. კრიტიკულ დღეებში კი უმჯობესია, დღეში ერთი ფინჯანი ყავა დალიოთ. ვისაც უძილობა აწუხებს, მან ყავა საერთოდ უნდა ამოიღოს რაციონიდან.

ყავისა და ალკოჰოლის ერთად მიღება არ შეიძლება, რადგან ამ დროს სასმელი ძალიან მალე და ძლიერად მოგეკიდებათ.

უზმოზე ყავის მირთმევა კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას იწვევს, რასაც, შეიძლება, გასტრიტის, წყლულისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადების პროვოცირება მოჰყვეს.

მოერიდეთ ყავასთან ერთად სიგარეტის მოწევას. რადგან, დადგინდა, რომ ქოლესტერინის დონე ორგანიზმში ყავისა და სიგარეტის ურთიერთმოქმედების შედეგად გაცილებით იმატებს.

## ისპანახი დიეტური და სამკურნალო პროდუქტია

ისპანახი ბევრ მნიშვნელოვან, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. კერძოდ: ცილას, კაროტინს, B, D, E და K ვიტამინებს, ნახშირწყლებს, მინერალურ ნივთიერებებს, კალიუმს, კალციუმს, რკინასა და იოდს. ასეთი შემადგენლობის გამო ის დიეტურ საკვებად გამოიყენება ისეთი დაავადებების დროს, როგორებიცაა სისხლის პათოლოგია და ტუბერკულოზი. რკინის შემცველობის გამო, ისპანახი კარგია ანემიის დროს. საპონინების მოქმედებით ძლიერდება პერისტალტიკა და საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეცია, კარგად მოქმედებს ყაბზობისა და მეტეორიზმის დროს. გარდა ამისა, ის რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტისა და ჰიპერტონიის სამკურნალოდ.

ისპანახს აქვს ანტირაქიტული ზემოქმედება. ის დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. გამოიყენება პარადონტოზის საწინააღმდეგოდაც.

ისპანახი არ შეიძლება მათთვის, ვინც დაავადებულია ნიკრისის ქარით, ღვიძლისა და თირკმლის პათოლოგიით.

## ვის ემუქრება ინსულტი და როგორ ავიცილოთ ის თავიდან

ინსულტი, ანუ ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ძალიან საშიში დაავადებაა. ის მოულოდნელად და სწრაფად ვითარდება. ჟანგბადის გარეშე დარჩენილი ტვინის უჯრედები უმოკლეს დროში იღუპება, ამიტომ პაციენტი კარგავს კოორდინაციას, მეტყველების უნარსა და მეხსიერებას. იმისთვის, რომ გაიგოთ, გაქვთ თუ არა მიდრეკილება ამ საშიში დაავადების მიმართ, რამდენიმე მომენტზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება. ყველაზე მთავარი კი ამ დროს არტერიული წნევაა. თუ ზედა ზღვარი 150-ს აჭარბებს, ქვედა კი 120-ს აღწევს, ეს უკვე სერიოზული რისკის ფაქტორია. ჰიპერტენზიის ფონზე მცირედი ფიზიკური დატვირთვა ან ძლიერი ემოციური განცდაც კი სერიოზულ თანმდევ გართულებებს იწვევს.

შაქრიანი დიაბეტი და სისხლში ქოლესტერინის მომატებაც რისკის ფაქტორებია, სიგარეტი კი ზრდის ინსულტის განვითარების რისკს. აქ გასათვალისწინებელია მემკვიდრეობითი ფაქტორიც. ზოგჯერ ინსულტის გამომწვევი მიზეზი კისრის ოსტეოქონდროზი ხდება. ამ დროს ფირფიტის ბირთვი სისხლძარღვებსა და ნერვულ დაბოლოებებს აწვება, იწვევს სისხლის მიმოქცევის დარღვევას და შედეგად ფერხდება ტვინის უჯრედების ჟანგბადით მომარაგება.

მოსალოდნელი დაავადების პირველი სიმპტომია პერიოდულად დაწყებული ძლიერი, უმიზეზო თავის ტკივილი და თავბრუხვევა. შესაძლოა, იგრძნოთ სახის ერთი ნაწილის, ხელის, ენის ან ტუჩის დაბუჟება, თვალების ტკივილი, მხედველობის დაქვეითება, წონასწორობის დაკარგვა და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ადამიანები მსგავს ჩივილებს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას და ტკივილს აბებით ახშობენ. წამლები ხსნის სისხლძარღვების სპაზმს, მაგრამ პათოლოგიური პროცესი რჩება და ავადმყოფობა პროგრესირდება.

ინსულტის მკურნალობა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. აუცილებელია პროფილაქტიკა.

თუ თავის ტკივილს უმიზეზოდ უჩივით, არტერიული წნევაც ხშირად თამაშობს, აუცილებლად მიაკითხეთ შესაბამის სპეციალისტს და თავიდან აიცილეთ ინსულტის საფრთხე.

## რომელი საკვები გვიცავს კიბოსგან

კვლევის შედეგად გამოიკვეთა იმ პროდუქტების სასარგებლო და აუცილებელი მნიშვნელობა, რომლებიც ადამიანმა რეგულარულად უნდა მიიღოს, რათა მთელი რიგი დაავადებები აიცილოს თავიდან და ჯანმრთელობა და სიმხნევე დიდხანს შეინარჩუნოს.

**ისპანახი** მდიდარია რკინითა და ბევრი სასარგებლო ნაერთით. ის ამაგრებს ნერვულ სისტემასა და სისხლძარღვებს, ხელს უშლის თვალის ბადურის დაშრევებას. ასევე, ის დაბალკალორიულია.

**ნიორი** იცავს გულს, დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის სიმსუქნეს. თუმცა, მისი ჭამა ეკრძალებათ მათ, ვისაც კუჭის დაავადებები აწუხებთ, რადგან ის აღიზიანებს ლორწოვან გარსს.

**პომიდორი** მდიდარია ანტიოქსიდანტური ლიკოპენითა და C ვიტამინით. ის ხელს უშლის ფარისებრი ჯირკვლებისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებების განვითარებას. კენჭოვანი დაავადებების მქონე ადამიანები პომიდვრის ჭამას უნდა მოერიდონ.

**კომბოსტო** და **სატაცური** მდიდარია ბეტა-კაროტინით, ვიტამინებითა და ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც ხელს უშლის კიბოს განვითარებას.

**მოცვი** აუმჯობესებს მხედველობასა და მეხსიერებას, ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და კიბოს განვითარების რისკს.

**თხილი, ნუში, არაქისი** და **ნიგოზი** შეიცავს ისეთ მჟავას, რომელიც ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს. გულისთვის ისინი უებარი საშუალებებია.

**თევზი** ომეგა 3-ის წყაროა, რომელიც გულს მთელი რიგი დაავადებებისგან იცავს, ხელს უშლის რევმატოიდული ართრიტისა და ონკოლოგიური დაავადებების წარმოქმნას, ხელს უწყობს თავის ტვინის მუშაობას.

**მცენარეული ზეთი** იცავს გულ-სისხლძარღვთა სისტემის კედლებს ათეროსკლეროზის გამომწვევი ქოლესტერინისგან.

**მწვანე ჩაი** მდიდარია ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც აახლებს სისხლძარღვებს, ხელს უშლის ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნას, აუმჯობესებს გულის მუშაობას, ხსნის დაღლილობასა და სტრესს.

## რომელ საშიშ დაავადებას იწვევს უმოძრაო ცხოვრების წესი

ოსტეოქონდროზი, ემუქრება იმ ადამიანებს, ვინც უფრო მეტხანს ზის, ვიდრე მოძრაობს. ზურგთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ მათაც, ვისაც მძიმე ფიზიკური სამუშაო აქვთ. ოსტეოქონდროზის განვითარების ალბათობა დიდია ორსულობის პერიოდშიც. მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითი ფაქტორიც. ანუ, თუ თქვენს წინაპრებს ჰქონდათ ოსტეოქონდროზი, ხერხემალს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთ.

არსებობს ადამიანების განსაკუთრებული კატეგორია, რომელთაც ოსტეოქონდროზით დაავადების საკმაოდ დიდი შანსი აქვთ. ერთ-ერთ ასეთ კატეგორიას განეკუთვნებიან მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მოყვარული ქალები. მაღალქუსლიან ფეხსაცმელში ფეხი უფრო გრძელი და ლამაზი ჩანს. ამიტომაც, ქალბატონები ხშირად წვრილქუსლიან ფეხსაცმელს ატარებენ მთელი დღის განმავლობაში. ამ დროს მთელი დატვირთვა ტერფის წინა ნაწილზე გადადის და ქალი თითქოს თითის წვერებზე დადის, რაც განივი მყესების გადაძაბვასა და გამკვრივებას იწვევს.

ოსტეოქონდროზი ხშირად უვითარდებათ ნევრასთენიულ ქალებს. ზოგჯერ ასეთი პაციენტები აღნიშნავენ, რომ, როგორც კი რამეზე ინერვიულებენ, მაშინვე ეწყებათ ზურგში ტკივილი. მართლაც, სტრესი ამ დაავადების პროვოცირებას იწვევს, განსაკუთრებით კი – კისრის მალების ოსტეოქონდროზის დროს. საქმე ის არის, რომ ხერხემალთან გადის ტვინის მკვებავი სისხლძარღვები. მალთაშუა დისკების წანაცვლებისას ხდება ამ სისხლძარღვებზე ზეწოლა და ფერხდება ტვინის სისხლმომარაგება. ავადმყოფს ეწყება თავის ტკივილი, თავბრუხვევა. შედეგად კი უვითარდება დეპრესია, შიში, ხოლო შემდგომში ყველაფერი ჩაკეტილ წრეზე მოძრაობს: კისრის კუნთების დაჭიმვა იწვევს ტკივილსა და დეპრესიას, ხოლო დეპრესია – უსიამოვნებებს.

ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკა მცირე დროს მოითხოვს, მკურნალობა კი გაცილებით მეტს.

ეცადეთ, არ ასწიოთ მძიმე საგნები მოხრილ მდგომარეობაში, აჯობებს, ჩაიმუხლოთ. ასეთ დროს ძირითადი დატვირთვა მოდის ფეხის კუნთებზე. თუ მძიმე ტვირთს ეზიდებით, არ დაგავიწყდეთ, ხშირად გადაიტანოთ ხელიდან ხელში. ასეთ დროს არ შეიძლება ტანის მკვეთრი ტრიალი.

თუ დიდხანს დგახართ ფეხზე, მაგალითად, ტრანსპორტში, ეცადეთ, დაძაბოთ მუცლისა და კუდუსუნის მიმდებარე კუნთები. ამგვარად, შეამცირებთ ხერხემლის გადატვირთვას. თუ საშუალება იქნება, მიეყრდენით კედელს.

ეცადეთ, ხშირად დაჯდეთ და მიეყრდნოთ საზურგეს. ჯდომისას ფეხები უნდა სწვდებოდეს იატაკს, ან, უმჯობესია, შემოაწყოთ პატარა სკამზე ისე, რომ მუხლები თეძოსთან შედარებით ოდნავ მაღლა გქონდეთ.

იძინეთ მაგარ საწოლზე. საწოლი უნდა იყოს ხის განიერი დაფა, რომელზეც, შეგიძლიათ, დააფინოთ თხელი ლეიბი.

გაუფრთხილდით ხერხემალს, ერიდეთ დაცემასა და დარტყმას.

არ გაცივდეთ, რადგან ზოგჯერ კუნთები გადაციებაზე რეფლექსური სპაზმით რეაგირებს. მათი შეკუმშვა კი მალის წანაცვლებას იწვევს, რაც ტკივილის მიზეზი ხდება. ასეთ შემთხვევაში მოდუნება შეუძლებელია, რადგან ტკივილი აძლიერებს სპაზმს.

მოიშორეთ ზედმეტი წონა. ზედმეტი კილოგრამები ისევე ძლიერად აზიანებს ხერხემალს, როგორც ტრავმა ან ხშირი დატვირთვა.

შეასრულეთ სპეციალური ვარჯიშები. დილით საწოლიდან ადგომისას ცოტა ხნით დაეკიდეთ ძელზე – ეს განტვირთავს ზურგის კუნთებს. დადექით „ოთხზე“, ზურგი კატასავით გამოზნიქეთ, შემდეგ დაწექით იატაკზე და ფეხებით გააკეთეთ „ველოსიპედი“.

დაჯექით სწორად და თავით შემოხაზეთ ციფრები 0-დან 9-მდე და შემდეგ – პირიქით.

ოსტეოქონდროზის დროს სპორტის საუკეთესო სახეობაა ცურვა. ის ავითარებს იმ კუნთებს, რომლებიც საჭიროა ხერხემლის გასამაგრებლად. ასევე, მთლიანად ხსნის დატვირთვას მალთაშუა დისკებზე.



# ექიმის რჩევები

**კითხვა: რამდენ დღეში უნდა აიცრას ბავშვი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით? ბავშვს კონტაქტი ჰქონდა სახლის ძაღლთან, რომელიც აცრილია ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით.**

**პასუხი:** თუ ძაღლი ახლო წარსულშია აცრილი (ეს დანამდვილებით უნდა იცოდეთ – საეჭვო ინფორმაციაზე დაყრდნობით, გარისკვა ყოვლად დაუშვებელია) და ჯანმრთელია, აცრა აუცილებელი არ არის. თუმცა, ტეტანუსის პროფილაქტიკა უნდა ჩატარდეს, რისთვისაც აუცილებლად უნდა მიმართოთ ქირურგიულ კაბინეტს.

**კითხვა: რამდენიმე თვეა, მაქვს თვალის ქვედა ქუთუთოს კუნთის უნებლიე მოძრაობები. ვარ 52 წლის, გთხოვთ მიპასუხოთ, რა დაავადებაა და რით შეიძლება ამის მკურნალობა?**

**პასუხი:** ეს სიმპტომი არ წარმოადგენს საშიშროებას, თუმცა ხანგრძლივად გაგრძელება იწვევს პიროვნების გაღიზიანებას. ეს მოძრაობა როგორც მოულოდნელად იწყება, ისე მოულოდნელად წყდება ყოველგვარი მკურნალობის გარეშე. თუ სიმპტომი ძალიან შემაწუხებელია, მიმართეთ ნევროლოგს.

**კითხვა: როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ქორეა და წიკი?**

**პასუხი:** ორივეს ახასიათებს უნებლიე მოძრაობები, თუმცა, წიკი უხშირესად მიმიკურ კუნთებს მოიცავს და, ქორეისგან განსხვავებით, შესაძლებელია, ეს უნებლიე მოძრაობები ნებისყოფის დაძაბვით ცოტა ხნით მაინც შევაჩეროთ, ქორეის დროს კი ეს შეუძლებელია. გარდა ამისა, წიკს არ ახლავს სხვა სერიოზული ნევროლოგიური დარღვევები და მაქსიმუმ ერთ წელიწადში თავისით გაივლის.

**კითხვა: 20 წლის გოგონასთვის ღამე რამდენი საათი ძილია საკმარისი?**

**პასუხი:** იდეალურია 8 საათი, თუმცა, 7 საათიც არ ავნებს მის ჯანმრთელობას.

**კითხვა: ჩემს მეუღლეს აქვს ნორმაზე 5-ჯერ მეტი ანტისხეულები. შემიშლის თუ არა ეს ხელს დაორსულებაში? ვთქვათ, მკურნალობის პროცესში დავორსულდი, არის თუ არა ნაყოფის შენარჩუნების შანსი?**

**პასუხი:** თუ მომატებულია ანტისპერმული ანტისხეულები, ორსულობის დადგომის და, მით უმეტეს, შენარჩუნების შანსები, სანამ ყველაფერი არ მოწესრიგდება, პრაქტიკულად არ არსებობს.

**კითხვა: რისი ბრალი შეიძლება იყოს სახის მუდმივად თეთრი ფერი (სიფერმკრთალე)?**

**პასუხი:** ამის ყველაზე ხშირი მიზეზი ანემიაა. გაიკეთეთ სისხლის საერთო ანალიზი და ნახეთ, როგორია ჰემოგლობინი და ფერადობის მაჩვენებელი.

**კითხვა: რვა თვეა, რაც ვიმშობიარე და ორი თვის წინ გავიშრე რძე. ახლახან შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ხელის მოჭერის შედეგად, რძის მაგვარი ერთი-ორი წვეთი სითხე გამომდის დღის განმავლობაში. თავისით გამივლის თუ როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ლაქტაციის დამთავრებიდან 6-9 თვის განმავლობაში დვრილზე ხელის მოჭერით რძის გამოსვლა ნორმალური მოვლენაა, მაგრამ, თუ ამ პერიოდის შემდგომ ეს სიმპტომი მაინც დარჩა, ეს სარძევე ჯირკვლის დაავადებაზე – მასტოპათიაზე მიუთითებს, ამიტომ, აუცილებელია მამოლოგის კონსულტაცია და სარძევე ჯირკვლის ექოსკოპიური კვლევა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ვისმა ტყუილმა დაპირებებმა დაუნგრია თენგიზ ჩანტლაძეს ცხოვრება

*80-იან წლებში თბილისში, ერთ პატარა, ძველ უბანში, პლეხანოვზე იყო მინიატურების თეატრი, თეატრის წინ გამოკრული ფერად-ფერადი აფიშები, საღამოს სპექტაკლის დაწყებამდე გრძელი რიგი, თბილისელები მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჩენას. ეს გახლდათ თენგიზ ჩანტლაძე.*



*თენგიზ ჩანტლაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობას ფილარმონიის ესტრადაზე იწყებს კონფერანსიედ. 1960 წელს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ხდება. მალე ის ფილარმონიასთან აყალიბებს მინიატურების თეატრს, რომელიც მის სახელს ატარებს. ამ თეატრის დირექტორი, სამხატრო ხელმძღვანელი და წამყვანი მსახიობიც თავად არის. 1975 წელს, თავისივე ინიციატივით, თეატრი ფილარმონიას აღარ ექვემდებარება და ხდება მინიატურების სახელმწიფო თეატრი. როგორია თენგიზ ჩანტლაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა და როგორ იქცა თეატრი მის ბედისწერად, ამას მისი სცენიური პარტნიორისა და მეუღლისგან, ზაირა ჩანტლაძისგან გაიგებთ.*

## ნაპოვნი ბედნიერება, დაწუნებული სიგარეტი და წითელი პომადა

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოხუმის თეატრში გამანაწილეს. დედა წამომყვა. სულ ორი კვირა გავჩერდით, ფული გაგვითავდა და უკან დავბრუნდით. თან, სიტუაციაც არ მომეწონა. ჩემი თანაკურსელი მეგობრები თენგიზს პირადად იცნობდნენ, მე – მხოლოდ ტელევიზორში ვუყურებდი, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. უბრალოდ, მიმაჩნდა, რომ ნიჭიერი ადამიანი იყო. ერთი ჯგუფელი მყავდა, ოსი გოგონა – ფატიმა კაჩმაზოვა. ის შეხვედრია შემთხვევით და თენგიზს მისთვის უთქვამს: ვინმე თუ არის თქვენი კურსდამთავრებული ისეთი, რომელიც არ მუშაობს, მინდა, პროფესიონალი მსახიობები შევკრიბო და ჩემი ჯგუფი გავაკეთოო. უკვე დაწერილი მაქვს პროგრამა, ნოდარიც (ნოდარ ჩხეიძე, თემურ ჩხეიძის მამა) დაგვეხმარებაო. ტელეჟურნალისტი ნანა ჯაფარიძე ჩვენი ჯგუფელი იყო, ჭავჭავაძეზე ცხოვრობდა და მასთან უნდა შევკრებილიყავით. მოკლედ, შევიკრიბეთ. ეს იყო 1962 წლის 5 მარტი. თენგიზმა პროგრამა ისე წაიკითხა, ფაქტობრივად, ყველა როლი თვითონ ითამაშა, დადგმა აღარ სჭირდებოდა. მერე ვისადილეთ. მაშინ მოდაში „ბლუზი“ იყო და ვიცეკვეთ. მეორე დღის გეგმები დავსახეთ, რომ ისევ უნდა შევხვედრილიყავით და რეპეტიცია გაგვევლო. საღამო ხანს დავიშალეთ. იმ დროს ვერაფერს ვიფიქრებდი, მაინცდამაინც არ მიმიქცევია ყურადღება მისთვის. მხოლოდ მისი ცხვირსახოცი შევამჩნიე, რომელსაც პატარა კვატები ეხატა. გარეთ რომ გამოვედით, მივიხედ-მოვიხედე და მე და თენგიზი დავრჩით მარტო, ყველა გაიფანტა. პლეხანოვზე, შეროზიას ქუჩაზე ვცხოვრობდი. ლაპარაკ-ლაპარაკში ვაკ-



იდან ფეხით წამოვედით. ჩემს სახლთან რომ მოვედით და უკვე უნდა დავმშვიდობებოდით ერთმანეთს, გაჩერდა და მეუბნება: დღეიდან პომადას არ წაისვამ და სიგარეტს არ მოწევო (ხანდახან ვეწეოდი). ძალიან მიხდებოდა პომადა და ვერ მივხვდი, რატომ არ უნდა წამესვა. მერე, წლები რომ გავიდა, აქეთ მეხვეწებოდა, წაისვიო. სიგარეტი კი, თვითონ რომ არასდროს მოუწევია, არ უნდოდა, მე მომეწია. 7 წლის ყოფილა, რომ გაუსინჯავს, მამას გაუროზგავს და ამიტომ ვერ იტანდა.



მთხოვა, ხვალ ცირკში წავიდეთო, მეორე დღეს ცირკში წავედით, მესამე დღეს – მუსიკალური კომედიის თეატრში და ასე მოვიარეთ კინო და თეატრები. მიუხედავად იმისა, რომ შეძლებული მამა ჰყავდა, ოჯახში არავინ ანებივრებდა. ცდილობდა, დამოუკიდებლად გაეკვლია გზა. ამიტომ, ბევრის საშუალებაც არ ჰქონდა. შემდეგ დაიწყო რეპეტიციები, დავაწყვეთ პროგრამა და მოვიარეთ თითქმის მთელი საქართველო. თენგიზი ჩვენთან მოდიოდა სახლში, მე მასთან მივდიოდი. არ უყვარდა ზედმეტად აქეთ-იქით სიარული. მომკიდებდა ხელს და თავისთან, სახლში წამიყვანდა. ასე რომ, მის ოჯახს შეუღლებამდეც ვიცნობდი. ყველაფერი თავისით აეწყო. ეჭვი არასდროს შემპარვია, რომ ჩვენ ერთად ვიქნებოდით. მოვაწერეთ ხელი და მის მშობლებთან ერთად ვცხოვრობდით. სხვათა შორის, აი, პირველად რომ ვიცეკვეთ, ცეკვის დროს, თურმე მასთან ახლოს მივსულვარ და ფეხით შევხებივარ, მაგრამ მე ეს არ მახსოვს და მერე ხუმრობით მეუბნებოდა – შენ იაქტიურეო. დავდიოდით ქალაქგარეთ, ვწვალობდით. მეც და თენგოსაც თითო გამოსვლაში რვა მანეთი გვხვდებოდა. გასტროლებიდან რომ ჩამოვდიოდით, ახალი პროგრამა უნდა დაეწერა, მერე რეგიონებში დაიგეგმებოდა გასვლები. მაშინ ვიღებდით კიდევ ჰონორარს, თორემ, მეტი ჩვენ არაფერი გვქონდა.



## ხუმრობაში დაკარგული სცენა

მშობლებს ძალიან უნდოდათ, ექიმი გამოსულიყო, იმ დროს სამედიცინო ინსტიტუტი თბილისში ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდა, მაგრამ თვითონ არ მოინდომა. იმ პერიოდში, ასევე, ძალიან პოპულარული სასწავლებელი იყო „გეპეი“ და გეოლოგიურ ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები. „გეპეის“ თავისი ცნობილი, პროფესიული დონის ორკესტრი ჰყავდა, საიდანაც მომღერლების დიდი ნაკადი წამოვიდა. სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორმა, დორიან კიტიამ, თენგიზი თვითშემოქმედებით ჯგუფში კონფერანსიედ აიყვანა, მაგრამ, გარდა კონფერანსიობისა, მღეროდა და პაროდიებსაც აკეთებდა. ასე დაამთავრა ინსტიტუტი, მაგრამ არც ერთი წუთი არ უფიქრია, რომ გეოლოგად ემუშავა. რაღაც პერიოდი პევზნერთანაც მუშაობდა, მარჯანიშვილის თეატრშიც იყო. მთავარი როლები არ უთამაშია, თუმცა, საინტერესო ეპიზოდური როლები შექმნა. მერე პატარა ინციდენტი მოხდა. თენგიზი ბუნებით მხიარუ-



ლი კაცი იყო, რეპეტიციების დროს სულ რაღაცაზე ხუმრობდა, იცინოდა. ამაზე შენიშვნა მისცეს. თენგიზი შენიშვნების ამტანი კაცი არ იყო და წამოვიდა. რადგან უკვე გარკვეული ურთიერთობები აკავშირებდა ფილარმონიასთან, იქ დაბრუნდა.

**დამსხვრეული ოცნება**

იმდენად წავიდა თეატრი წინ და რაოდენობრივადაც გაიზარდა, გადავწყვიტეთ, საკუთარი თეატრი გვქონოდა. 1975 წელს სახელმწიფო თეატრის სტატუსი მოგვანიჭეს, მაგრამ იმ შენობაში, სადაც ჩვენ ვიყავით, სხვებიც იყვნენ. რიგში ვიდექით ხოლმე, რომ რეპეტიცია ჩაგვეტარებინა. ბოლოს ისე მოხდა, ჩვენ დავრჩით. ძალიან პატარა სცენა იყო. მერე, დეკორაციები დაგვჭირდა, საგრიმიოროები და პატარა მიშენება გავაკეთეთ. იმ შენობაში 1986 წლამდე ვიყავით (ორი წლის შემდეგ თენგიზი გარდაიცვალა) ჩამოყალიბდა აზრი – ჩვენთვის ცალკე თეატრი აშენებულიყო. ჯანო კახიძემ დაიბარა თენგიზი. ის რეჟისორიც, ვისზეც ახლა ვისაუბრებ, იქ იყო. სადაც დღეს კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრია, ადრე კინო „ამირანი" იყო. ჯანომ თენგიზს შესთავაზა – შენ მაინც ახალს აგიშენებენ და ეს უნდა დავანგრიოთო. ცენტრის რეკონსტრუქცია მიდიოდა და, ვითომ, ჩვენი შენობა, სადაც ვიყავით, ამ სივრცეს უნდა მიმატებოდა. მერე არც ერთი სანტიმეტრი არ გამოუყენებია კახიძეს, აღარ დასჭირდათ, მხოლოდ ერთხელ გააღეს კარი. მოკლედ, დიდი მოლაპარაკებები მიდიოდა. მერე იმ რეჟისორმა უთხრა, რად გინდა, რომ აგიშენონ, მე უფრო მჭირდება, ამიტომ, მოდი, შენ მუსკომედიაში გადმოდი, მე მანამდე პროფკავშირების სახლში ვიქნები, სანამააშენებენო. არ ვიცი, რა ინტერესი ჰქონდა. მთელი ვიდეომასალა მაქვს, ნაბიჯებით რომ ზომავს თენგიზი. პროექტიც გაკეთებული იყო კულტურის სამინისტროში. რა თქმა უნდა, იმას გააქრობდნენ. თენგოს ვუთხარი, არ გინდა, არ დათანხმდე-მეთქი. იმ დღეს არ მივედი თეატრში, ყველა იქ იყო. ჩაწერილია კიდეც ჩვენი თანამშრომლების ინტერვიუ. აინტერესებდა თენგიზს, სხვები რა აზრის იყვნენ მუსკომედიაში გადასვლაზე. თეატრში დღის მეორე ნახევარში მივედი. გაბრაზდა, რატომ არ მოხვედიო. მაინც გადავედით. თეატრის მოთხოვნები თანდათან იზრდებოდა, სპექტაკლებიც სულ ანშლაგით მიდიოდა. მუსკომედიაში რომ გადავედით, ათას ორასი ადგილი იყო, მაგრამ იქაც იგივე სიტუაცია შეიქმნა. სამჯერ მეტად დიდი დარბაზი იყო და მაინც ვერ ეტეოდა მაყურებელი. ერთი სეზონი ვიმუშავეთ და მერე გასტროლებზე წავედით. იქიდან რომ ჩამოვედით, თენგიზს პარტერი ახდილი დახვდა. ჩვენ ის შენობა ბალანსიდან ბალანსზე გადმოგვეცა მინისტრის, ვალერი ასათიანის რეზოლუციით. ესენი უფროსი თაობა იყო და, რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ, თავის ჭკუაზე ატარებდნენ. ცხადია, ის საბუთები გაანადგურეს. შეხვდნენ ვალერი ასათიანის კაბინეტში, თენგიზი და ის რეჟისორი შელაპარაკდნენ. თენგიზმა ჰკითხა რეჟისორს: ეს რა გააკეთეთ, რა ვქნა ახლა, ისღა დამრჩენია, თავი მოვიკლაო. ფანჯარა ღიაა და თუ გინდა გადავარდიო.

**სააღდგომო ბატკანივით...**

7 სექტემბერს თენგიზი სამსახურში იჯ-



და. დილით ქალაქიდან უნდა გავსულიყავით – ქობულეთში მივდიოდით. გამთენიისას ცუდად გახდა. სასწრაფო გვყავდა. სასწრაფო რომ წავიდა, ლოგინიდან წამოდგა, არ დაწვა, პიჟამათი გამოვიდა ლოჯში. კარგად ვარო, – ამბობდა. 12 საათისთვის მაინც წავიდა თეატრში, მე დედასთან წავედი. ჩვენს მეზობლად ოჯახის ახლობელი ქალი გარდაიცვალა და იქ ვიყავი. ამ დროს თენგიზი თურმე უკვე გარდაცვლილია, მაგრამ ტელეფონით ვერ დამიკავშირდნენ, დედაჩემს იმ დღეს ტელეფონი გაუფუჭდა. თეატრის თანამშრომელი ქალი ეზოში შემოვიდა და კითხულობს, ქალბატონი ზაირა სად ცხოვრობსო. მის ხმაზე გამოვედი, – მანანა, აქ რა გინდა-მეთქი. გაფითრებული მიყურებდა. ბატონი თენგიზი შეუძლოდ არის და იქნებ, წამოხვიდეთო. თურმე მთელი ამბებია, ქუჩა გადაკეტილია, ყველამ ყველაფერი იცის ჩემ გარდა... შეურაცხყოფილი იყო, ასე რომ გაწირეს სააღდგომო ბატკანივით. მოატყუეს და ეს ვერ გადაიტანა.

**ეკა პატარაია**

იყავით მხნედ,
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

**ყველა ადამიანი თავისი შეხედულებისამებრ ცხოვრობს, საკუთარი მისწრაფებები, ფიქრები და მიზნები ამოძრავებს. ყველა ინდივიდია და დედამიწაზე მოვლინების წამიდან თავისი მისია აკისრია. თუმცა, როგორც პარაფსიქოლოგი, ბატონი გიგი ამბობს, ჩვენ, ყველას, დაბადების მომენტშივე საკუთარი წერტილები გვიჩნდება დედამიწაზე. იქ მოხვედრილს კი აზრებიც, ფიქრებიც და მისწრაფებებიც აშკარად გვეცვლება და სულ სხვა ადამიანად წარმოვჩნდებით. ეს, რასაკვირველია, ბევრისთვის ღიმილის მომგვრელია, მაგრამ თუ ბატონ გიგის ნათქვამს დაუფიქრდებით, მიხვდებით, რომ სამყაროში ყველასა და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. ამქვეყნად, ყველას ცხოვრება გაწერილია.**

# რომელ ზონაში მოხვედრისას გვეცვლება აზრები, მისწრაფებები, ფიქრები და რისგან გვიცავს წვიმის წყლით ბანაობა

**– ბატონო გიგი, ამბობენ, ნებისმიერ ადამიანს დაბადების მომენტშივე დედამიწაზე საკუთარი წერტილები აქვს და ის აგებს პასუხს ჩვენს წარმატება-წარუმატებლობაზეო. ამ საკითხზე ბევრი ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგი კომენტარს ვერ აკეთებს. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით?**

– ეს თემა ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგთა წრეებში საკმაოდ აქტუალურია და მიკვირს, თუ მასზე საუბარი რომელიმეს გაუჭირდა. მართლაც, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ნებისმიერ ადამიანს დედამიწაზე აქვს, ეგრეთ წოდებული, საკუთარი წერტილები. ასეთ ადგილებში ადამიანს აურა და ბიოველი საგრძნობლად ეცვლება. დედამიწაზე არსებობს დადებითი, უარყოფითი და ასევე, ნულოვანი წერტილები. ეს წერტილები იმისთვისაა საჭირო, რომ დედამიწაზე კონკრეტულ ადამიანს თავისი შესაბამისი ადგილი ჰქონდეს. ასეთ ადგილებში დიდხანს ყოფნისას კი, უარყოფითი წერტილების გავლენით, ადამიანის ბედისწერა ცუდისკენ იცვლება. ასეთი ენერგეტიკული ადგილები დედამიწაზე ძალიან ბევრია. დადებით წერტილზე მოხვედრისას, ადამიანს ბედიც ეხსნება, წარმატებულიც ხდება და სასიკეთოდაც იცვლება მისი იღბალი. ამ ადგილებში, თავს მშვიდად და კომფორტულად გრძნობთ. იმუხტებით დადებითი ენერგეტიკით და დაცული ხართ. უარყოფით ზონებში კი ადამიანი სუსტდება, ღიზიანდება, კარგავს სასიცოცხლო ენერგიას, ირღვევა ფსიქიკა, ყურადღება იფანტება და არ არის გამორიცხული, საკუთარი შვილის სახელიც კი დაავიწყდეს. ნულოვანი წერტილი დედამიწაზე ის ზონაა, სადაც ადამიანი განმარტოვდება და ფიქრებში მიდის. ამ მდგომარეობაში არ შეიძლება, დიდხანს დარჩეთ, რადგან თქვენი სასიცოცხლო ენერგია იყინება და არ არის გამორიცხული, ზიანი მიადგეს თქვენს ჯანმრთელობას. ამიტომ, დააკვირდით. შინ რომელ ადგილას როგორ გრძნობთ თავს – სად ისვენებთ, სად ულრმავდებით ფიქრებს, სად შფოთავთ და განიცდით რაღაცას. ეს ძალიან მარტივია. ასევე, დააკვირდით სახლში რომელ ადგილას ყოფნისას გიბუჟდებათ კიდურები ან გიშტერდებათ თვალი. ეს თქვენთვის საშიში ზონაა და მას სასწრაფოდ უნდა გაეცალოთ. შესაძლოა, ასეთი საშიში ზონა ბინაში არაერთი იყოს. აგრეთვე, არ არის გამორიცხული, ასეთ ადგილებში ადამიანს უეცრად დაეწყოს შიშები, თავში მოუვიდეს უაზრო ფიქრები, დაეწყოს თავის ტკივილი, შფოთვა და აღგზნება. ეს თქვენთვის ანომალიური ზონაა. ანომალიური ზონები სახლში კი, ადამიანის ენერგეტიკულ სტრუქტურაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს.

**– თუ თავი ვერ დავიცავით და ასეთ ენერგეტიკულად საშიშ ზონაში აღმოვჩნდით?**

– თუ იგრძენით, რომ წამოვიდა ცუდი აზრები, აკვიატებული ფიქრები, რაღაცას ავადმყოფურად განიცდით და ვერ ხვდებით, რა არის თქვენი გუნება-განწყობის უარესობისკენ შეცვლის მიზეზი, სასწრაფოდ მიიღეთ შხაპი. აბაზანა სწორედ ის ადგილია, სადაც უარყოფითი ზონისგან აკრეფილი ენერგიის ჩამორეცხვა ხდება. ასევე, მაგიური თვისებებით გამოირჩევა და უარყოფითის საუკეთესო „ჩამომრეცხია" წვიმის წყალი. სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები წვიმის დროს წყალს აგროვებდნენ ჭურჭელში და შემდეგ, ამ წყლით ბანაობდნენ. ეს ტრადიცია სოფლებში დღესაც შემორჩენილია. თუმცა, ბევრმა არ იცის, რომ წვიმის წყლით ბანაობის დროს ბედს უკეთესობისკენ აბრუნებს, წარმატებებსაც იზევებს და ჯანმრთელობასაც სასიცოცხლო ტონუსით აძლიერებს.

**– როდესაც ადამიანი აფორიაქებულია, ამბობენ, მისი ქვეცნობიერი წინასწარ**



**გრძნობს მომავალი საფრთხის შესახებო. ეს თუ შეესაბამება სიმართლეს?**

– დიახ, დააკვირდით, ჩვენი ქვეცნობიერი ხშირად გვკარნახობს და გვაფრთხილებს მომავალი უსიამოვნებების შესახებ, რომელსაც ჯერ ვერც ვხედავთ და ვერც ვგრძნობთ. დამეთანხმებით, არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ ოცნებობდეს წარმატებაზე, ბევრ ფულზე, უნდა, რომ აიწყოს ოჯახური ცხოვრება თუ კარიერა, გახდეს სასიამოვნო კომპანიონი, იდილია შეიქმნას გარშემო და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ეს ყოველივე ბევრს ცხოვრების ბოლომდე ოცნებად რჩება, ბევრი კი საწადელს აღწევს.

**უარყოფითი წერტილების გავლენით, ადამიანის ბედისწერა ცუდისკენ იცვლება. ასეთი ენერგეტიკული ადგილები კი დედამიწაზე ძალიან ბევრია**

**– მერედა, საწადელის მიღწევა ასე ადვილია?**

– რასაკვირველია, ადვილია თუ გონივრულად იცხოვრებთ და გეცოდინებათ, რა დროს რა მოიმოქმედოთ, რა გააკეთოთ, რა თქვათ და გაიაზროთ. ადამიანს მფარველი ანგელოზი ყოველთვის აძლევს შანსს, იყოს ბედნიერი, აიხდინოს ოცნებები, იყოს სასურველი და წარმატებული. ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

**– მგონი, ეს ცოტა რთული გასააზრებელია. და მაინც, იქნებ ზოგადად მაინც მიგვანიშნოთ, როგორ აღმოვჩნდეთ სასურველ დროს, სასურველ მომენტში?**

– ამისთვის, დაკვირვება, ფხიზელი თვალია საჭირო და ყველაფერს თავად მიხვდებით. მიაქციეთ ყურადღება, რა მინიშნებას გაძლევთ ცხოვრება. ასეთი მინიშნებები კი, ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავია. მაგალითად, თუ ფეხსაცმელზე ქუსლი მოგტყდათ, აუცილებლად ელოდეთ სასიამოვნო ცვლილებას ბედში; თუ ქარმა ქუდი წაგართვათ, პირად ცხოვრებაში უსიამოვნებები გელით; თუ დილით, სამსახურში მიმავალს, ქუჩაში პირველად ხეიბარი ადამიანი შეგხვდათ, არ აგცდებათ უსიამოვნო შეხვედრა ან საუბარი უფროსობასთან, ამიტომ, ეს დღე ფრთხილად და წინდახედულად განვლეთ, უნდა მოერიდოთ ძალაუფლების მქონე ადამიანებთან საუბარს, კომპანიონებთან ან კოლეგებთან ერთობლივ საქმიანობას; თუ საათი უეცრად გაჩერდა, ცუდი ამბის გაგების მოლოდინში უნდა იყოთ, ხოლო, თუ საათზე დრო ჩამორჩა, არ გირჩევთ, ამ დღეს ფულის სესხებას ან გასესხებას. თუ ნივთები ხელიდან გიცვივდებათ, ეს დიდი ბედნიერების ნიშანია. მაგრამ, თუ ჩაი ან ყავა გადაგესხათ ტანსაცმელზე, მაშინ ფრთხილად იყავით, შესაძლოა, რაიმე დაკარგოთ. ეს მინიშნებები შემთხვევითი არ არის და თუ მათი ახსნაც გეცოდინებათ, მაშინ ადვილად გაართმევთ თავს შესაძლო პრობლემებს.

**– უძველეს აღმოსავლურ ეზოთერიკულ წიგნებში აღწერილია, რომ ადამიანს შეუძლია წინასწარ გაიგოს თავისი მომავლის შესახებ. ეს რეალურია? ანუ, შეგვიძლია თუ არა, დილით, წინასწარ შევიტყოთ, როგორი დღე გველის?**

– დიახ, ასეთი მეთოდი არსებობს. ძველად, აღმოსავლეთ ეგვიპტეში, ქურუმები ყოველ დილას ატარებდნენ რიტუალს ბრინჯით და იგებდნენ, როგორი დღე ელოდათ წინ. მოკლედ, თუ გსურთ გაიგოთ, თქვენი მომავალი დღის პროგნოზი, ამ მეთოდს გასწავლით: დილით, გაღვიძებისას, არავის გასცეთ ხმა, ონკანიდან აიღეთ გამდინარე წყალი და ჩაასხით გამჭვირვალე ჯამში. დაამატეთ ერთი მუჭა მარილი, კარგად ამოურიეთ და დადგით მისაღები ოთახის ცენტრში. წყალი რომ „დაწყნარდება", ანუ დადგება, მასში თვალდახუჭულმა ჩაყარეთ ერთი მუჭა ბრინჯი. გაახილეთ თვალი და დააკვირდით: თუ ბრინჯი ძირზე მიმოიფანტა, ესე იგი, კარგი დღე გელით, მაგრამ, თუ ბრინჯი შუაგულში შეგროვდა, მოერიდეთ ამ დღეს კამათს, შეხვედრებს, მოლაპარაკებებს, საქმიან მიმოწერებს. განვლეთ დღე მშვიდად და მეტი სიფრთხილით.

**ნონა დათეშიძე**

## ჩვენ ეს შეგვიძლია

ქალს ყველაფერი შეუძლია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ რამე კონკრეტულ საქმიანობას თავს ვერ გაართმევს მხოლოდ იმიტომ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელია, ცდება. მათ გასაგონად ვამბობთ:

წელიწადში 140 ქალი ხდება პროფესიონალი მფრინავი, აქედან – 20 სამხედრო. 1 ქალი მაინც იკავებს ფედერალური მინისტრის საპატიო თანამდებობას (საპასუხისმგებლოსაც, სხვათა შორის). 6 000 ქალზე მეტი იცვამს ოფიცრის ფორმას განსხვავებული სამხრეებით, მათ შორის, 27 ქალი გენერალი ხდება. მსოფლიოში 120 ათასი ქალი მსახურობს შეიარაღებულ ძალებში. სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტების შემადგენლობაში 12 პროცენტი ქალია.

ეს მხოლოდ არასრული სტატისტიკაა, მაგრამ, სერიოზული სტიმულის მიმცემი. ასე რომ, ნუ იტყვით, რომ არ შეგიძლიათ, მოიწყოთ საკუთარი ცხოვრება და დაიმკვიდროთ ღირსეული ადგილი ცხოვრებაში. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ მეტს იმსახურებთ!

## გააოცე, მოგეწონება

მამაკაცებსაც უყვართ სიურპრიზები, მთავარია, სწორად მიხვდეთ, რა გაუხარდება – კაცებს ხომ ცოტა სხვანაირი წარმოდგენა აქვთ სიხარულზეც, სიურპრიზზეც და, ზოგადად, ურთიერთობაზე...

1. უყვარს ფეხბურთი? მაშინ, ჩუმად უყიდეთ ორი ბილეთი უახლოეს მატჩზე. უთხარით, რომ თქვენც მიდიხართ მასთან ერთად და მზად ხართ, მერე ლუდიც კი დალიოთ. ამ სიურპრიზს ქმარი აუცილებლად დააფასებს.

2. თუ მეუღლე თეატრის მოყვარულია, მას აუცილებლად გაახარებს ორი ბილეთი კარგ სპექტაკლზე. შეარჩიეთ წარმოდგენა, რომელიც ემოციური, ღრმა და თანამედროვე შინაარსის იქნება.

3. მოუმზადეთ საყვარელი კერძი ან ნუგბარი – კაცების უმრავლესობას უყვარს გემრიელად ჭამა. კერძი ლამაზად გააფორმეთ და აცადეთ, ისე მიირთვას, როგორც თვითონ მოუხერხდება – შენიშვნების გარეშე, სრული სიამოვნების მისაღებად.

4. უბრალოდ, მოეფერეთ – მიეხუტეთ და გაჩუმდით. მამაკაცები აფასებენ ცოლის მცდელობას, შეუქმნას მას მყუდრო, კომფორტული გარემო, ზედმეტად არ შეაწუხოს და შეკითხვებით გული არ გაუწყალოს – ეს კაცისთვის საუკეთესო სიურპრიზი იქნება!

## იყავი ბედნიერი!

ნებისმიერ ასაკში, ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეგეძლოს, იყო ბედნიერი. რა თქმა უნდა, თუ შენი და შენი საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს გიწყობს და... როცა უკვე იცი ბედნიერების ფასი, მაშინ აღარ გაგიჭირდება ცხოვრებას პოზიტიურად შეხედო. რამდენიმე რჩევა:

* არასოდეს დაფიქრდეთ საკუთარ ასაკზე. რა მნიშვნელობა აქვს, ახალგაზრდა ხართ თუ დიდი ხანია, მოწიფულობას გადააბიჯეთ. დატკბით ცხოვრებით და თითოეული წუთით. შეიძლება, სწორედ ასაკმა მოგიტანოთ სრულყოფილება, კმაყოფილება და სიხარული.

* საცხოვრებლის პრობლემა გადაჭრილია? მაშინ, იფიქრეთ, როგორ გახადოთ ის ნელნელა თქვენთვის კომფორტული. არ იწუწუნოთ, რომ ბევრი რამის გაკეთება გინდათ, მაგრამ, შესაძლებლობა არ გაქვთ, მთავარი მონდომებაა. მოინდომეთ და თავად დარწმუნდებით ამაში.

* გამოსცადეთ რაღაც ახალში საკუთარი თავი. ასეთ სიახლეს ყოველთვის მოაქვს პოზიტივი. მაგალითად, გაიჩინეთ ჰობი. თავიდან თუნდაც შემოსავალიც რომ არ მოგიტანოთ. არა უშავს, მომავალში ესეც მოგვარდება. არასდროს არაფერი არ არის გვიან. ნუ გადადებთ, იზრუნოთ საკუთარ გარეგნობაზე – დაიწყეთ დღესვე. მთავარი თქვენი შინაგანი განწყობაა, ის, თუ რას გრძნობთ და განიცდით. ემოციური ფონი ხშირად შეივსეთ ხალისიანი შეხვედრებით და ისეთი საქმიანობით, რაც ბედნიერებას მოგგვრით.

## ვერ გამაცინე...

მამაკაცური იუმორი მძიმეა და უხეში... ხშირად ქალებს არ შეუძლიათ მისი გაგება და ღიმილის ნაცვლად გაღიზიანებას, აგრესიას იწვევს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალებს იუმორის გრძნობა არ აქვთ. უბრალოდ, ორი განსხვავებული სქესი განსხვავებულად გონებამახვილია და, რაზე გაიცინონ, ინდივიდუალურად წყვეტენ...

საინტერესო ფაქტია ის, რომ ქალი უფრო გულწრფელად და მასშტაბურად იცინის. სიცილისას ქალი ხუთ ტონალობას მაინც იცვლის, მამაკაცს კი მხოლოდ ორ ტონალობაში შეუძლია სიცილი (ძალიან იშვიათად – სამში). სხვათა შორის, ძლიერი სქესის წარმომადგენელთა უმეტესობა ვერ გეტყვით, რა განსხვავებაა სიცილს, ხითხითს, კისკისსა და გადაბჟირებას შორის. ქალი სიცილსა და იუმორშიც ბევრად დახვეწილია, ვიდრე მამაკაცი; შეიძლება ითქვას, ფაქიზიც კი, ისევე, როგორც მოდასა და ხელოვნებაში. ამიტომ, არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ქალი და მამაკაცი ერთნაირად ვერ აღიქვამენ იუმორს და, არცთუ იშვიათად, მამაკაცის მხრიდან ვერგაგებული ხუმრობა სერიოზული ჩხუბის მიზეზი გამხდარა...

გაცილებით უკეთესი ვარიანტია, კაცმაც შეიკავოს თავი ხუმრობისგან და ქალმაც, თუკი მათ ერთმანეთის იუმორზე არ ეცინებათ.

***P. S. თუ გოგონა პაემანზე ნაძალადევად იცინოდა, გული რომ არ დაეწყვიტა თქვენთვის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცოლის როლშიც შეძლებს გაუძლოს ქმრის მძიმე და „შავ“ იუმორს... და თუ ერთხელ გეტყვით: „ვერ გამაცინე!“ – ნუ გამოცდით მის მოთმინებას!***

## პირადი – არა სოციალური!

მთავარია, ახალგაზრდა ასაკში არ დაბერდე და არ დაკარგო ცხოვრების ხალისი. ამბობენ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. თუმცა, შეიძლება დროს ცოტათი გაუსწრო წინ, მთავარია, არ ჩამორჩე.

იყო პერიოდი, როცა ქალები საკუთარ ცხოვრებაში ივიწყებდნენ პირადულს და მხოლოდ სოციალურ როლს თამაშობდნენ: ოჯახი და კოლექტივი – საჯაროობა და სასარგებლო საქმიანობა... იქნებ, მათ ეს მოსწონდათ კიდეც, მაგრამ, ფაქტია, რომ პირადი ბედნიერების უფლება ყველას აქვს. უფრო მეტიც: არათუ უფლება გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ კიდეც ამისთვის, თანაც ისე, რომ სინდისმა არ შეგვაწუხოს... ამით არავის არაფერს ჰპარავთ (თუ, რა თქმა უნდა, სხვის პირად სივრცეში არ აპირებთ შტურმით შეჭრას).

ის, რომ საკუთარი ქალობა ყოველთვის და ნებისმიერ სიტუაციაში გახსოვს, ძალიან კარგია, საამაყოც კი. თუმცა, გააჩნია მისი გამოხატვის ფორმებს. ქალურობას დიდხანს და მონდომებით სწავლობენ. საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მხოლოდ ხელს შეგიწყობთ ამაში. სულაც არ არის აუცილებელი, რეალიზებული ქალი დირექტორის სავარძელში იჯდეს, რეალიზება სამზარეულოშიც შეიძლება, თუკი ეს საქმე გიყვართ – გაცილებით თავდაჯერებულია, მიზანდასახული და ნაკლებად აგრესიული... ეს კი უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, რაც პოზიტიურად აისახება როგორც პირადულზე, ისე სოციუმზე.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# სასარგებლო ალტერნატივა

### სადილი, საუზმე, ვახშამი

1) „გრილზე“ შემწვარი ორი ნეკნი, პურის ნაჭრით (695) კილოკალორია = 200 გრამ ორაგულის სტეიკს (240 კილოკალორია) + 4 ცალი საშუალო ზომის მოხარშული კარტოფილი კამით (150 კილოკალორია) + ჭიქა უშაქრო, რძიანი კაკაო (105 კილოკალორია) + ხილის ნამცხვარი 1 საშუალო ზომის ნაჭერი (200 კილოკალორია).



2) 1 ცალი ბიგმაკი (495 კილოკალორია) = 1 ცალ კატლეტს (214 კილოკალორია) + 1 ულუფა შემწვარი კარტოფილი (175 კილოკალორია) + 1 ფინჯანი ნაღებიანი ყავა (55 კილოკალორია) + 1 ცალი საშუალო ზომის ვაშლი (50 კილოკალორია).

3) სტანდარტული ზომის 1 ცალი პიცა ძეხვით (770 კილოკალორია) = 200 გრამ მოხარშულ კარტოფილის სალათას მწვანილით (210 კილოკალორია) + 100 გრამი რძიანი სოსისი (205 კილოკალორია) + 1 ცალი სუფლე (90 კილოკალორია) + 150 გრამი კენკრის სუპი 50 გრამი მანანის ბურღული ფაფით (215 კილოკალორია).

4) 1 ცალი ჩიზბურგერი (760 კილოკალორია) = ქამბალის 2 ცალ შემწვარ ფილეს (185 კილოკალორია) + 2 ცალი კანიანად გამომცხვარი საშუალო ზომის კარტოფილი (155 კილოკალორია) + 100 გრამი ხაჭო მწვანილით (162 კილოკალორია) + 40 გრამი თხილიანი შოკოლადი (239 კილოკალორია).

### ტკბილეული

1) კრუასანი შოკოლადის კრემით (515 კილოკალორია) = ცეხვილი პურის 1 ნაჭერს მურაბით (230 კილოკალორია) + ფინჯანი რძიანი ყავა (45 კილოკალორია) + 1 ცალი მარილიანი კრენდელი (180 კილოკალორია) + 3 ცალი ნაღების „პეჩენია“ (60 კილოკალორია).

2) 1 ცალი ნაყინი „პლომბირი“ შოკოლადითა და თხილით (293 კილოკალორია) = 1 ცალ მოზრდილ ბლინს (190 კილოკალორია) + 2 ცალი შოკოლადის კანფეტი (45 კილოკალორია) + 1 ფინჯანი „კაპუჩინო“ + 3 ცალი გამომცხვარი ბეზეს ბურთულა (18 კილოკალორია).

3) 1 ნაჭერი „ტირამისუ“ (480 კილოკალორია) = 1 ცალ ვანილის ნაყინს (220 კილოკალორია) + 50 გრამი თხილიანი ვაფლი (130 კილოკალორია) + 1 ფინჯარი „ესპრესო“ + 1 ცალი მიუსლის „ბატონი“.

დღის რაციონის დაგეგმვისას აუცილებლად გაითვალისწინეთ თითოეული პროდუქტის პროცენტული შემადგენლობა: ყოველი ულუფა უნდა მოიცავდეს ბოსტნეულის 50 პროცენტს, ცილების შემცველი პროდუქტების (ხორცი, თევზი, ფრინველის ხორცი, რძის პროდუქტები, პარკოსნები) 25 პროცენტს და რთული ნახშირწყლების (ბურღულეული, ხილი) 35 პროცენტს. და, არ დაგავიწყდეთ, ყოველი ჭამის წინ, ნახევარი საათით ადრე, დალიოთ 1 ჭიქა ოთახის ტემპერატურის მქონე წყალი.

# კომედონები – ეს საშინელი შავი წერტილები

სახეზე გაჩენილი შავი წერტილები, იგივე კომედონები (acne comedonica) საშიში მოვლენა არ არის, მაგრამ, დისკომფორტს მართლაც სერიოზულს ქმნის – იმდენად არასასიამოვნო ვიზუალი აქვს, რომ მათი გაჩენის შემდეგ ადამიანი სულ დაძაბულია, რადგან, ნაცნობებისა თუ უცნობების მზერა მაშინვე „შეახსენებს“ შავი წერტილების არსებობას.

ბევრს ჰგონია, რომ კომედონების წარმოქმნა გამოწვეულია არასწორი კვების ან კანის გარეგანი დაბინძურების გამო, მაგრამ, სინამდვილეში, ფორები ამოვსებულია კანის ჭარბი ცხიმისა და მკვდარი კანის ნაწილაკების ერთგვარი „საცობებით“.

კომედონები, როგორც წესი, ჩნდება, სახის T ზონაზე, ანუ, შუბლზე, ცხვირსა და ნიკაბზე, რადგან, სწორედ ეს უბნებია სახის ყველაზე ცხიმიანი მონაკვეთები.



პირველ ყოვლისა, უნდა იცოდეთ, რომ შავი წერტილები არ არის კანის დეფექტი. კომედონები არსებობს როგორც ღია, ისე – დახურული, ბაცი ფერის. ასევე, მათი წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს მეტაბოლიზმი და ჰორმონული სტატუსი. შესაბამისად, კომედონები უმეტეს შემთხვევაში ჩნდება გარდატეხის ასაკში. შესაძლოა, შავი წერტილების გაჩენის პროვოცირება მოახდინოს არასწორად შერჩეულმა კოსმეტიკამაც, მაგალითად, თუ ხშირად იყენებთ ზედმეტად ცხიმიან კრემებს ან ტონალურ კრემსა და პუდრს ერთად. ამ პრობლემისგან თავის დასაღწევად, პირველ ყოვლისა, უნდა გახსოვდეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი გამოდევნა ხელით. არც სპეციალური წებოვანი პლასტირია პანაცეა – ის აშორებს კომედონების მხოლოდ ზედა ფენას და რამდენიმე დღეში შავი წერტილები ისევ გაჩნდება. შედარებით ეფექტურია ხალხური მეთოდი – მარილისა და სოდის თანაბარი ნარევით პრობლემური უბნების გაწმენდა, რაც, შეიძლება შედეგიანიც კი აღმოჩნდეს მათთვის, ვისაც უპრობლემო კანი აქვს, მაგრამ, მგრძნობიარე კანისთვის ეს ხერხი კატეგორიულად არის აკრძალული. მაშ, როგორ მოვიქცეთ? როგორ და, რეგულარულად და სწორად უნდა გაიწმინდოთ სახე, კერძოდ: დაბანისას გამოიყენეთ სპეციალური საშუალებები, რომლებიც აქვეითებს კანის ცხიმის გამომუშავებას; როგორც წესი, მათ შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სალიცილისა და გლიკოლის მჟავეები. ასევე, სახლის პირობებში კარგია კვირაში ორჯერ მსუბუქი პილინგის გაკეთება (1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი + 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი + 1 კვერცხის გული + მჭადის ფქვილი ან დაფქული „ჰერკულესი“ შეაზილეთ ერთმანეთს – უნდა გამოვიდეს ბლანტი კონსისტენციის მასა. წაისვით სახეზე და 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილ წყალში დასველებული დოლბანდის ტამპონით, თან მსუბუქად დაიმასაჟეთ) – ამით მოიშორებთ კანის გარქოვანებულ ზედა ფენას და ხელს შეუშლით ფორებში „საცობების“ გაჭედვას. ასეთი პილინგებისთვის, ასევე, შეგიძლიათ, გამოიყენოთ გახეხილ ხილსა და ბოსტნეულში შეზელილი დაფქული „ჰერკულესი“ ან თეთრი თიხა. ოღოდ, თიხის ნიღაბს აქვს ერთადერთი ნაკლი – ის ძალიან აშრობს კანს, ამიტომ, მისი წასმის შემდეგ აუცილებელია, მეტი რაოდენობითა და სიხშირით წაისვათ დამატენიანებელი საშუალებები.

თუ ამ პროცედურების ჩატარების შემდეგაც ვერ მიაღწიეთ სასურველ შედეგს, ესე იგი, გარდაუვალია მექანიკური გაწმენდა, ოღონდ, არავითარ შემთხვევაში არ გააკეთოთ ეს თვითონ, აუცილებლად მიმართეთ გამოცდილ კოსმეტოლოგს თვეში ერთხელ – უფრო ხშირი მექანიკური გაწმენდა აფართოებს ფორებს და, შესაბამისად, შესაძლოა, უფრო მოზრდილი შავი წერტილები წარმოიქმნას.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაქვს ძალიან მშრალი თმა, რის გამოც ხშირად მიჩნდება ქერტლი, განსაკუთრებით – ახლა, გაზაფხულის სეზონზე. ვარ ალერგიული და ამიტომ ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნებსაც კი ვერ ვხმარობ. გთხოვთ, მასწავლოთ ბუნებრივი ინგრედიენტებისგან შემდგარი რამე ნიღაბი მშრალი თმისთვის, რომელსაც სახლის პირობებში თვითონ გავიკეთებ.**

**პასუხი**: მშრალი თმის ნიღბად ყველაზე ადვილი და სასარგებლოა არაჟნის, მაწვნის, კეფირის ან იოგურტის (ხილისა და შაქრის დანამატების გარეშე) გამოყენება. რძემჟავა პროდუქტებში შემავალი ნივთიერებები სწრაფად აღწევს მშრალი თმის სტრუქტურაში, ატენიანებს მას, იცავს მტვრევადობისგან, აძლევს ბზინვარებას, ამაგრებს ძირებს და აქრობს ქერტლს. ნიღაბი წაისვით დაბანილ თმაზე, გაიჩერეთ 30 წუთის განმავლობაში და ჩამოიბანეთ ათქვეფილი კვერცხის გულითა და გვირილის თბილი ნახარშით.

**კითხვა: ერთი თვეა, რაც ჩემი თმის ღერები გახდა უფერული და მტვრევადი. ასევე, გამიჩნდა ბოლოჭამიები. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს და რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: თქვენი თმის მდგომარეობა, სავარაუდოდ, გამოწვეული უნდა იყოს არასწორი კვებით და არასწორი მოვლით. საერთოდ, გაზაფხულის დადგომისთანავე იჩენს ხოლმე თავს მსგავსი პრობლემები. ამიტომ, მაქსიმალურად დიდი რაოდენობით მიიღეთ ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები და თევზეული. გარდა ამისა, შეეცადეთ, რომ თავი დაიბანოთ ნატურალური საშუალებებით და არ გამოიყენოთ ფენი. რაც შეეხება უკვე დაზიანებულ თმის მკურნალობას, სახლის პირობებში საუკეთესო ვარიანტია ზეთოვანი ნიღბები, კერძოდ, თანაბარი რაოდენობით (თითო დესერტის კოვზი) შეურიეთ ერთმანეთს თალგამის, აბუსალათინისა და ზეითუნის ზეთები, ჩაუმატეთ 1 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი თაფლი, 1/4 ჩაის კოვზი მდოგვის ფხვნილი და კარგად ამოურიეთ. მიღებული მასა შეათბეთ ორთქლის აბაზანაზე 36 გრადუსამდე და შეიზილეთ თმის ძირებში. ნახევარი საათის შემდეგ ჩამოიბანეთ ოდნავ თბილი წყლით. ნიღაბი გაიკეთეთ კვირაში ორჯერ.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რა მიზნით მოაძებნინა ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის მოძღვარი და შეიტყო თუ არა მან ის, რაც აინტერესებდა



იყო, თუ არა იოსებ სტალინი ეკლესიური პიროვნება? ან, რა წვლილი მიუძღოდა სტალინის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ქრისტიანულ მრწამსს? – ამ კითხვებზე ერთი კონკრეტული პასუხი არ არსებობს, ვინაიდან, მეცნიერები ორ ნაწილად იყოფიან ამ თემაზე მსჯელობისას: ერთნი მიიჩნევენ, რომ სტალინი უდავოდ რელიგიური ადამიანი იყო; მეორენი კი ამბობენ, რომ, შეუძლებელია, ადამიანი, რომელმაც შექმნა ათეისტური ზესახელმწიფო, ეკლესიური პიროვნება ყოფილიყო. ორივე მხარის არგუმენტები მეტ-ნაკლებად სანდო დოკუმენტურ ან სხვა სახის მასალებს ემყარება. ამჯერად, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით შევეცდებით აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას.

იოსებ სტალინის დედა, ეკატერინე გელაძე, მორწმუნე ადამიანი იყო. ის გორის მიძინების ეკლესიის მრევლი გახლდათ და ჩვილი იოსებიც ამავე ეკლესიაში მოანათვლინა. არ არსებობს სანდო მასალა იმის შესახებ, იყო თუ არა ეკლესიური იოსების მამა, ბესარიონ ჯუღაშვილი. თუმცა, მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე (ოჯახის მიტოვება, განუწყვეტელი ლოთობა), უნდა ვივარაუდოთ, რომ ის არ ყოფილა ეკლესიური პიროვნება. იმ პერიოდში წესად იყო მიღებული, ყველა ეკლესიურ ოჯახში, რომ მშობლებს შვილები პატარაობიდანვე იმ ტაძარში დაჰყავდათ, რომლის მრევლიც თვითონ იყვნენ. იცავდა თუ არა პატარა იოსებ ჯუღაშვილი მარხვას და იცავდა თუ არა ის ქრისტიანობისთვის აუცილებელ სხვა ზნეობრივ ნორმებს, ან, მოსწონდა თუ არა წირვაზე დგომა, ჩვენთვის ცნობილი არ არის, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ იოსებ ჯუღაშვილი დედის სურვილს დაემორჩილა – გორის სასულიერო სასწავლებელში შევიდა და ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. დედას კი სურდა, რომ იოსები მღვდელი ან დიაკვანი გამოსულიყო, მაგრამ, უცნობია, რას ფიქრობდა ამაზე, სასულიერო სასწავლებელში მიმავალი იოსები. შესაძლოა, იმ პერიოდში მას გააზრებულიც არ ჰქონდა არც სასულიერო სასწავლებლის დანიშნულება და არც ის, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა მის ცხოვრებაში სასულიერო განათლებას. მიუხედავად ამისა, გორის სასულიერო სასწავლებელში იოსებ ჯუღაშვილის შესვლა მნიშვნელოვანი ფაქტია. იმხანად ამგვარი სასწავლებელი ძალზეც ღრმა განათლებას აძლევდა აღსაზრდელებს, ყოველ შემთხვევაში, მის კურსდამთავრებულს საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა ძველ და ახალ აღთქმაში, დოგმატიკაში; იცოდა ძირითადი ეპიზოდები ეკლესიის ისტორიიდან. ასე რომ, გონიერი მოწაფე სერიოზულად უნდა დაინტერესებულიყო ეკლესიითა და ეკლესიური ცხოვრებით. მაშინაც და შემდგომაც, ხშირად ხდებოდა, რომ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეების ნაწილი სერიოზულად არ უდგებოდა პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლას და, ცხადია, ასეთი ადამიანი არც ეკლესიური ცხოვრებით იქნებოდა გატაცებული. იოსებ ჯუღაშვილის შემთხვევაში ეს ვარაუდი უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან, მისი სასულიერო განათლება გორის სასულიერო სასწავლებლით არ დასრულებულა – მისი წარჩინებით დამთავრების შემდეგ სტალინმა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა. ამ დროს ის იმ ასაკში იყო, როცა უკვე კარგად უნდა სცოდნოდა სასულიერო სემინარიის დანიშნულება და პირადად მისი სემინარიაში მისვლის მიზანი. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ სასულიერო სასწავლებლებიდან და თბილისის სასულიერო სემინარიიდან ძალიან ბევრი ათეისტი გამოვიდა, რომლებმაც შემდგომ მთელი ცხოვრება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას შეალიეს. მაგალითად: სილობისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სხვები. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის ოთხი წლის განმავლობაში იოსებ ჯუღაშვილი სანიმუშო მოწაფე იყო. გორის სასწავლებელში მიღებული ცოდნა მან გაიღრმავა – ძველი და ახალი აღთქმა მან ძველ სლავურ ენაზე შეისწავლა; ასევე, წარმატებით დაძლია სასწავლო პროგრამები ყველა საგანში, მათ შორის – რუსეთის ისტორიაში, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, მსოფლიოს ისტორიაში. გალობდა სემინარიის ვაჟთა გუნდში... არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, რომელიც ირიბად მაინც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სტალინს პროტესტის გრძნობა გასჩენოდეს, პირიქით, ის გულმოდგინედ სწავლობდა და სასწავლო წლის ბოლოს მის მიერ დაწერილი თხზულება ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა. თითქოს არაფერი უშლიდა ხელს, რომ სემინარიის დამთავრების შემდეგ სტალინს წარმატებული სასულიერო კარიერა ჰქონოდა, მაგრამ, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. საერთოდ, ცნობილია, რომ ბევრ მორწმუნე ადამიანს, სემინარიელს, თუ არასემინარიელს, მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ, მის გარშემო გამეფებულმა უსამართლობამ და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივობამ, ღმერთისადმი რწმენა შეურყია. ცხადია, ეს ეშმაკისგან იყო, მაგრამ, გაბოროტებული ადამიანი ბუნებრივია, ამას იმ მომენტში ვერ გრძნობდა. სწორედ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი: „ადამიანზე ეშმაკი მაშინ იმარჯვებს, როცა მას ეშმაკის არსებობაავიწყდება". უნდა ვივარაუდოთ, რომ იოსებ ჯუღაშვილს ღმერთისადმი რწმენა სოციალურმა უსამართლობამ შეურყია. მან იმედი დაკარგა, რომ როდესმე სოციალური უსამართლობა მოისპობოდა და ჩადგა მათ რიგებში, ვინც სოციალური უსამართლობის მოსპობა საკუთარი ძალებით გადაწყვიტა. დაივიწყეს მცნება, რომ „სამყაროში ყველაფერს ღმერთი განაგებს". სოციალური სამართლიანობისთვის მებრძოლი სტალინი აღარ შეიძლება, ყოფილიყო ეკლესიური, რადგან მან სოციალური უსამართლობის დასამარცხებლად რევოლუციის, ანუ ძალდატანებისა და სისხლისღვრის გზა აირჩია. ამით კი, პრაქტიკულად, უარყო მცნება: „არა კაც ჰკლა"!

## სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სტალინთან რეგულარულად დადიოდა მისი მოძღვარი

როდის დაიწყო სტალინის შემობრუნება ეკლესიისკენ, ძნელი სათქმელია. თუმცა, უდავოა, რომ 1941 წლიდან, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ, ათეისტთა პარპაში და ათეისტური განუკითხაობა ნელ-ნელა შეიზღუდა. ბევრი ეკლესია, რომელიც 30-იან წლებში დაიხურა, ხელახლა აკურთხეს და მათში ღვთისმსახურება აღადგინეს. ცხადია, ყველა კომუნისტი ლიდერი ამას არ ეთანხმებოდა. სწორედ მათ გასაგონად უთქვამს ერთხელ სტალინს: ქმარი და შვილები რომ ომში ჰყავს გაგზავნილი, იმ ქალს ეკლესიაში შესვლას, სანთლის დანთებას და ლოცვას ნუ დაუშლითო.

უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა 1943 წლის სექტემბერში. ამ დროისთვის რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში პატრიარქობა პრაქტიკულად გაუქმებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წელს რუსეთში აღდგა პეტრე პირველის მიერ გაუქმებული მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობდა, ამ დროისთვის რუსეთს, პრაქტიკულად, არ ჰყავდა პარტიარქი. აღარ იწვევდნენ საეკლესიო კრებებს. სტალინის ინიციატივით, კრემლში მიიწვიეს მიტროპოლიტი სერგი, და კიდევ სამი მეუფე. რა უნდა ყოფილიყო საუბრის თემა, მეუფეებმა წინასწარ არ იცოდნენ. ბელადმა მათ ჰკითხა: არ გინდათ, რომ პატრიარქობა აღდგესო? გაოცებულმა მეუფეებმა, რა თქმა უნდა, დადებითი პასუხი გასცეს. თუმცა, მათთვის წარმოუდგენელი იყო, თუ რა უნდა გაეკეთებინათ პატრიარქობის აღდგენისთვის. პატრიარქობის აღდგენა ძალზე რთული საქმე გახლავთ და მოსამზადებლად დიდი სამუშაოს შესრულებას საჭიროებდა. სტალინმა, როგორც სჩვეოდა, ყველაფერი გაამარტივა და მეუფეებს უთხრა: „მერე, რაღას უცდით?! მოიწვიეთ საეკლესიო კრება და აღადგინეთ პატრიარქობა". მოულოდნელმა სასწაულმა რუსი მეუფეები გაახარა. ერთ-ერთმა გაბედა და სტალინს უთხრა: ბევრი ღვთისმსახური ციხეებსა და გადასახლებაში იმყოფება, იქნებ მათი საქმე გადაიხედოსო. სტალინმა მოკლედ მოუჭრა: „ვნახოთ!" ამის მიუხედავად, უახლოეს თვეებში სტალინმა გაათავისუფლა 20 ათასამდე მსჯავრდებული ღვთისმსახური ციხეებიდან და გადასახლებიდან. 1943 წლის სექტემბერშივე მოიწვიეს რუსეთის საეკლესიო კრება და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად, მიტროპოლიტი სერგი აირჩიეს.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს სტალინისთვის უკითხავს: ათეისტური ზესახელმწიფოს შემქმნელი, როგორ ისურვებდით დაკრძალვას? სტალინს გასაგებად და მოკლედ უპასუხია: „რა თქმა უნდა, ქრისტიანულად!" პასუხს საყოველთაო გაოცება გამოუწვევია.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სტალინთან რეგულარულად დადიოდა მისი მოძღვარი. არავინ იცის, სტალინი აღსარებას აბარებდა და ეზიარებოდა, თუ – არა. თუმცა, მოძღვარს რომ ხანგრძლივად ესაუბრებოდა, ეს დადასტურებული ფაქტია. ცობილია, რომ ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის მოაძღვარი მოაძებნინა, უნდოდა, შეეტყო, თუ რაზე ესაუბრებოდა მას ბელადი. მოძღვარმა პირნათლად შეასრულა თავისი ვალდებულება და საიდუმლო არ გათქვა.

ჩადენილი ცოდვების მონანიების უფლება, ცხადია, იოსებ სტალინს ჰქონდა. ჩვენთვის უცნობია, შეუნდო თუ არა მოძღვარმა სტალინს ცოდვები. ერთი რამ კი უდავოა: როცა ადამიანი, თუნდაც ისეთი დიდი ცოდვებით დამძიმებული, როგორიც იოსებ სტალინი იყო, შენდობას ითხოვს, მას უეჭველად სწამს ღმერთის.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# რატომ არის აუცილებელი დამანგრეველი ენერგეტიკული სივრცის დროულად აღმოჩენა და განეიტრალება ბინაში



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

გეოპათოგენურ ზონებს დედამიწაზე ასტროლოგები უწოდებენ „სიკვდილის ზონებს“. ეს ზონები, სამწუხაროდ, ყველგან შეიძლება შეგვხვდეს. მათ შესახებ უკვე დიდი ხანია, არსებობს ინფორმაცია და, დადგინდა რომ ცხოვრება, მუშაობა და საქმიანობა ასეთ ზონებში ძალიან სახიფათოა.

დიდი მნიშვნელობა აქვს დადებითი და უარყოფითი ენერგიების განლაგებას სივრცეში. ეს ენერგიები ადამიანის ჯანმრთელობაზეც მოქმედებს. პათოგენურ ზონას შეუძლია, გამოიწვიოს ძალიან მძიმე დაავადებები, მაგალითად, კიბო, ან, თუნდაც, ძვლების დაშლა, ფსიქიკური აშლილობა. პათოგენურ ზონებს უწოდებენ სივრცის იმ ნაწილს, სადაც ენერგია ნეგატიურია. პათოგენური ზონა არის უარყოფითი ენერგიის გავრცელება სივრცეში. სხვათა შორის, გეოპათოგენური ზონები სხვადასხვაგვარია. ეს არის დედამიწიდან ამოსული უარყოფითი ენერგიისგან შემდგარი ზონა, რომელიც წარმოიქმნება ცოცხალ არსებათა ცხოველმოქმედი უნარის შთანთქმით. პათოლოგიურ ზონებს უწოდებენ სივრცის იმ მონაკვეთს, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ნეგატიური, სახიფათო ენერგეტიკა აქვს. ბუნებრივია, ასეთი ზონების უარყოფითი ზემოქმედების ნეიტრალიზება საკმაოდ ძნელია, ზოგ შემთხვევაში კი – შეუძლებელიც. ბიოპათოგენურ ველებთან ბრძოლა უფრო ადვილია, ვიდრე გეოპათოგენურ ზონასთან. უარყოფითი ენერგიის ველები სივრცეში, იგივე ბიოპათოგენური ველები, წარმოიქმნება ადამიანების ნეგატიური ფსიქიკური განცდებისგან, ან იმის შედეგად, რომ ამ შენობაში დიდხანს იმყოფებოდა მძიმე სენით დაავადებული ადამიანი; მოხდა მკვლელობა ან თვითმკვლელობა; დიდხანს ცხოვრობდნენ ფსიქიკურად დაავადებულები, ნარკომანები, ალკოჰოლიკები. ასეთი ადგილები ხშირად გადაიქცევა ხოლმე ძლიერ ბიოპათოგენურ ზონად. გეოპათოგენური ზონის შემთხვევაში კი, უარყოფითი ენერგეტიკული ველის წყარო დედამიწის გამოსხივებაა კონკრეტულ ადგილზე. გეოპათოგენური ზონების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს ნეგატიური ენერგიის მქონე მიწისქვეშა მდინარეები, გრუნტის რღვევა... კვლევებით დადასტურებულია, რომ გეოპათოგენური ზონის წყარო, თავისი უარყოფითი ენერგიით, რეალურ საფრთხეს უქმნის ამ ზონის სივრცეში მყოფი ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ასე გახშირებული ონკოლოგიური დაავადებები, თუ, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები სწორედ გეოპათოგენური გამოსხივების ზემოქმედების შედეგია. ეს ზონები განსაკუთრებით საშიშია მოზარდებისა და ბავშვებისთვის.

ასეთი საშიში ზონების ლიკვიდაცია შეიძლება სანთლის ხშირი ანთებით, ან სურნელოვანი პიტნის ზეთის დადგმით ამ მიდამოში. რაც შეეხება გეოპათოგენური ზონის არსებობასა და აღმოჩენას, მას უკეთ გრძნობენ ბავშვები. ისინი ინტუიციის დონეზე გრძნობენ ასეთი საშიში ზონების არსებობას და იმ ადგილას ჭირვეულობას იწყებენ. ასევე, ასეთ ზონაში უცნაურად „იქცევიან“ ყვავილებიც. თუ მისი ფოთლები, მიუხედავად მოვლისა, მაინც ჭკნება, ესე იგი, ეს საშიში ზონაა, ხოლო, თუ ქოთნის ყვავილი სხვა ადგილას გადადგმისას უკეთ იგრძნობს თავს, ესე იგი, ეს დადებითი ზონაა.

უარყოფითი ზონები ნამდვილად საშიშია. ის ისრუტავს თქვენს სასიცოცხლო ენერგიას, თუ მათი ზემოქმედების არეში მოხვდით. თუ ადამიანს დიდხანს უწევს ასეთ ადგილას ყოფნა, ის თავს შეუძლოდ გრძნობს და სამედიცინო კვლევის შემდეგაც კი, მიზეზი გაურკვეველი რჩება. აუცილებელია იმ დამანგრეველი ენერგეტიკული სივრცის დროულად აღმოჩენა და განეიტრალება. ჯობია, გაარკვიოთ სად გადის სიკვდილის ზონები თქვენს სახლებში და თავი დაიზღვიოთ.

ალბათ, ბევრმა იცის, რომ, ჩვენი წინაპარი ისე სახლს არ ააშენებდა, თუ არ გაარკვევდა ტრიალებდა თუ არა იქ დადებითი ენერგია. ამას ახლა მეცნიერები ბიოლოკაციას უწოდებენ და მასზე ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს. ასევე, საგულისხმოა, რომ წინაპართა გამოცდილებამ და თანამედროვე მეცნიერებამ დიდი ყურადღება მიაქცია პათოგენური ველების ნეიტრალიზების საკითხს, რათა ადამიანებს ცხოვრება გაუადვილოს და მთელი რიგი საშიში დაავადებები თავიდან აიცილოს, რასაც ეს ზონები იწვევს.

გეტყვით იმასაც, რომ საოცარია, მაგრამ, შინაური ცხოველები სახლში არსებულ გეოპათოგენურ ადგილებს ეტანებიან და სწორედ იქ წვებიან. ძაღლი და კატა იმ ადგილას ამჯობინებენ ძილს და მოსვენებას, სადაც გეოპათოგენური კვანძია სახლში და ამ დროს უარყოფითი ენერგია მათზე გადადის. ამ მხრივ ისინი ამოუცნობი არსებები არიან. ჩიტები კი ასეთ ადგილებს ვერ იტანენ. არ არსებობს ბინა, სადაც არ არის გეოპათოგენური ზონა. ამიტომ, აუცილებელია, დროულად აღმოვაჩინოთ, მოვერიდოთ ასეთ ადგილებს და გავანეიტრალოთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა**: **დავიბადე 1991 წლის 18 ივლისს, საღამოს საათებში. რომელი პროფესიებია ჩემთვის წარმატების მომტანი სამომავლოდ?**

**პასუხი**: თქვენთვის მისაღები და წარმატების მომტანი პროფესიებია: პედიატრია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე, კომერცია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია.

**კითხვა**: **დავიბადე 1989 წლის 10 მაისს. მინდა უცხოეთში წასვლა და ძალების მოსინჯვა. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელ ქვეყანაში გამიმართლებს?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, თუმცა, არც ცუდია. ქვეყნებიდან კი მისაღებია: უკრაინა, პოლონეთი, ირლანდია, კვიპროსი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, მოლდავეთი, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ბულგარეთი, ისრაელი, კუნძული შრი-ლანკა, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, სამხრეთ კორეა, კუნძული მალტა.

**კითხვა**:: **ჩემი გოგონა დაიბადა 2005 წლის 28 ივნისს, დილის 6 საათზე. რა არის მისი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესია აირჩიოს სამომავლოდ წარმატებების მისაღწევად?**

**პასუხი**: მის კოსმიურ მისიაში შედის უცხოეთთან კონტაქტი. ამიტომ, აუცილებელია, ადრეული ასაკიდან დააწყებინოთ უცხო ენების შესწავლა. თუ იცხოვრებს სამშობლოში, აუცილებლად უნდა იმუშაოს უცხოურ ფირმაში და ჰქონდეს ურთიერთობა უცხოელებთან. თუ შანსი მიეცემა და დროებით უცხოეთში იცხოვრებს, იქ დაგროვილი ცოდნით, კაპიტალითა და გამოცდილებით, სამშობლოში დაბრუნებისას ადვილად შეძლებს წარმატების მიღწევას. ასევე, უნდა იყოს მებრძოლი, უშიშარი, შეუპოვარი, დაეყრდნოს საკუთარ ინტუიციასა და ცოდნის ბაზას, უნდა, იყოს კომუნიკაბელური და ერთგული. რაც შეეხება წარმატებების მომტან პროფესიებს, ასეთებია: პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ბიზნესი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმე, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სასტუმროების ბიზნესი და დასასვენებელი ინდუსტრია.

**კითხვა**: **დავიბადე 1987 წლის 26 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატებები?**

**პასუხი**: თქვენთვის წარმატებების მომტანი პროფესიებია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, დეკორატიული მებაღეობა, მშენებლობა, სოციოლოგია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკა, ავიაციის ბიზნესი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ვიდეო და მობილური სისტემები, სანჟინრო საქმე, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, ქორეოგრაფია.

**კითხვა**: **დავიბადე 1975 წლის 30 მარტს. მინდა უცხოეთში წასვლა. ასტროლოგიურად რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენი კოსმიური მისიაა. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრალია, სერბეთი, სლოვენია, ბრაზილია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, კუნძული მალტა.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

29 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ.;***

30 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მალე მოვალ წვიმად..."** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაყაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2-3 მაისი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„ამერიკა აბანოში"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება ლინდა ურბონასი. მონაწილეობენ: ანდრია თავბერიძე, ზურა ინგოროყვა, კახა კუპატაძე, მამუკა ლორია, ირაკლი სანაია, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი, დარეჯან ხარშილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66**

29 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ტანგო ნაბიჭვართან"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შუღლიაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

30 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

1 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 6 - 16 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

3 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

4 მაისი, **კვირა** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)

**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

29 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„შთაგონების რეცეპტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი ნინო ახვლედიანი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, მანანა კოზაკოვა, დავით ხურცილავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი

**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21**

29 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

1 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვიზიტი ფსიქოლოგთან"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ეკა შარიქაძე, მაია დობორჯგინიძე, თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: მაია ხორნაული, გიორგი ჯიქია, ნათია კვაშალი, შაკო მირიანაშვილი, სალომე ჭულუხაძე, გიორგი მარშანია, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

3 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

4 მაისი, **კვირა** 19.00 - **„რიჩარდ III"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

1 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ჩვენი პატარა ქალაქი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მზია არაბული, კოკო როინიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, ნატალია შენგელაია, ნინო ჩხეიძე, ნიკა წერედიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, დარეჯან ხაჩიძე, დარეჯან ჯოჯუა, ბექა ჯუმუტია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

2 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„ბაკულას ღორები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, რამაზ იოსელიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

3 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„იკაროსი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ანრი ბიბინეიშვილი, რეზო თავართქილაძე, ანა მატუაშვილი, ნატო შენგელაია, ნიკა წერედიანი, ბექა ჯუმუტია, ანა–მარია გურგენიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

4 მაისი, **კვირა** 19.00 - **„გაზაფხული მაინც მოვა"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ბექა ჯუმუტია, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

## გრიბოედოვის თეატრი

**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

3 მაისი, **შაბათი** 18.00 - **„მდგმური"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: დიმიტრი სპორიშევი, მიხეილ არჯევანიძე, ნინო მელაძე, ზურაბ ჭიპაშვილი, მედეა მუმლაძე, ოლეგ მჭედლიშვილი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10წთ.;***

4 მაისი, **კვირა** 12.00 - **„ჩიპოლინო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: ჯემალ სიხარულიძე, მიხეილ არჯევანიძე, ვალენტინა ვოინოვა, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10წთ.;***

## გაბრიაძის თეატრი

**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

2 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;***

3 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;***

4 მაისი, **კვირა** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;***

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი

**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 99-63-14.**

29 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„შექსპირის სონეტები"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი დავით შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი.***

## ორშაბათი 28 აპრილი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "ჩემი წიგნი" **15.25** "ტელებლოგი" **17.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **18.00** ტ/სერ. **"სიყვარული შიშით"** **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"ჯონაჰ ჰექსი"** (ჯ.მალკოვიჩი).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურის-მაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ.**"შავი ვარდი"** **5** სერ. **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00** მხ/ფ **"ვიკინგები"** (ს.მაილსი) **02.10** მხ/ფ **"დეჟა ვუ"** (ვ.კილმერი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** X - ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დ/ფ "ველური ბუნება" **06.35** ქვიშით ნაამბობი **06.45** მხ/ფ **"მხიარული რომანი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"შერეკილები"** **13.20** თეთრიდან თეთრამდე **13.30** "შუადღე" ერთსულოვ-ნებაზე **15.05** სპექტაკლი - **"ძველი ვოდევილები"** **16.55** დ/ფ "ველური ბუნება" **17.20** დ/ფ "ქართული კერამიკა" **18.05** განთიადის სტუმარი **18.35** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **19.15** მხ/ფ **"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"** **20.40** ძილი ნებისა **21.25** პატერიკი **21.20** სახლი ღვთისა **21.40** კვირიაკეს სიუჟეტი **22.25** პორტრეტები ერთულოვნების გალერეიდან **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წუთისოფლიდან მარადისობისკენ" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **8.20** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03** **სერიალი "ჩემი შვილები"** **11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **12.30, 13.02, 1.20**,ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე **13.30, 14.02** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02, 20.05** **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** **17.45, 2.00,** "ყოველდღიური აბები" **18.25, 2.15,** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00, 2.50,** ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30**,ბრძოლა წესების გარეშე **0.10, 3.20** **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## სამშაბათი 29 აპრილი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.40** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "რეალური სივრცე" **17.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **18.00** ტ/სერ. **"სიყვარული შიშით"** **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **22.00** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი ნახევარფი-ნალი. (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **00.40** მხ/ფ **"ძვირფასი მეგობრები"**.

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ.**"შავი ვარდი"** **6** სერ. **22.00** თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო **00.00** ქ.მხ/ფ **"გაიღიმეთ"** **02.10** მ მხ/ფ **"ვიკინგები"** (ს.მაილსი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00, 03.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** სპექტაკლი - **"ძველი ვოდევილები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.35** დ/ფ "წუთისოფლიდან მარადისობისკენ" **11.05** პატერიკი **11.10** პორტრეტები ერთულოვნების გალერეიდან **11.40** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ **"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დ/ფ "სვანეთი - ცოცხალი მითი" **16.20** დ/ფ "ველური ბუნება" **16.45** კონცერტი -ანა-სოფია მუთერი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ. **"კეთილი კაცი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი ფონდი" **23.30** დ/ფ "ლიტურგია XX საუკუნის საქართველოზე" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **8.20** "უცნობი ისტორიები" (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03** **სერიალი "ჩემი შვილები"** **12.30, 13.02, 1.20**,ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე **13.30, 14.02** ოთხი ელემენტი ( (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02** **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** **17.45, 2.00,** "ყოველდღიური აბები" **18.25, 2.15, 6.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე **19.02** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00, 2.50,** ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად **20.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30,** TV **11** მაესტროზე **0.00, 3.20** **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

## კინოთეატრი „რუსთაველი"

**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**28 აპრილი – 4 მაისი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.15 - **„რიო 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
16.30, 19.30, 22.30 - **„წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„სრული სვლით დასავლეთისკენ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

11.30, 19.30, 22.30 - **„დივერჯენტი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*
14.00 - **„წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
17.00 - **„რიო 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 15.00 - **„კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*
18.00, 20.15 - **„რიო 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
22.30 - **„ნოე"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 5*

13.00, 16.00 - **„წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
19.30, 22.30 - **„კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

## კინოთეატრი „ამირანი"

**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.15 - **„რიო 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
16.40, 19.40, 22.30 - **„წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*
14.45 - **„წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
17.45 - **„რიო 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
20.00 - **„სრული სვლით დასავლეთისკენ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„დივერჯენტი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 3*

13.00, 16.00 - **„წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
19.30, 22.30 - **„კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ქათმის ხრაშუნა კატლეტები











**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ნაჭერი ქათმის ფილე, 3 ცალი კარტოფილი, 1 ცალი კვერცხი, 50 გრამი მაგარი ყველი, 2 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი კარტოფილის ფქვილი, ცოტა ხორბლის ფქვილი, 2 სადილის კოვზი კარაქი, მწვანილი (თქვენი გემოვნებით), მარილი, პილპილი, ზეთი – შესაწვავად.

**მომზადების წესი:** ყველი გახეხეთ სახეხზე. დაუმატეთ კარაქი, ცოტა გასრესილი ნიორი და ძალიან წვრილად დაჭრილი მწვანილი (კამა, ოხრახუში). ყველაფერი კარგად აურიეთ. გააკეთეთ მისგან მომცრო ზომის ბურთულები და მოათავსეთ საყინულეში. ქათმის ფილე სათითაოდ გაჭერით სიბრტყეზე. დაბეგვეთ თითოეული ნაჭერი. წაუსვით მარილი და პილპილი. კარტოფილი დაჭერით წვრილ ჩხირებად (ჩიპსის მსგავსად). შებრაწეთ ცხელ ზეთში რამდენიმე წუთის განმავლობაში. კვერცხი ათქვიფეთ, დაუმატეთ კარტოფილის ფქვილი (სახამებელი), კარტოფილი, ცოტა მარილი, პილპილი, აურიეთ კარგად. ქათმის ფილეში სათითაოდ შეახვიეთ კარაქის ბურთულები. შეკარით ხის კბილის საწმენდით. ამოგანგლეთ ფქვილში, შემდეგ კვერცხის მასაში და მოათავსეთ ზეთწასმულ ფორმაში. გამოაცხვეთ აირღუმელში 25 წუთის განმავლობაში. მოგეწონებათ.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# ხორცის რულეტი





**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ხორცის ფილე (ნებისმიერი: საქონლის, ფრინველის, ღორის, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 კბილი ნიორი, 1 ჩაის კოვზი შაქარი, ცოტა ცხარე წიწაკა, 2 ჩაის კოვზი ფქვილი (1 ჩაის კოვზი ტომატში, 1 ჩაის კოვზი არაჟანში), 1 კვერცხი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, არაჟანი, სუნელები, მწვანილი – თქვენი გემოვნებით, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** შეურიეთ ერთმანეთს: ტომატ-პასტა, წვრილად დაჭრილი ნიორი, ცხარე წიწაკა, შაქარი, ფქვილი, სუნელები, მწვანილი.

ცალკე ჯამში აურიეთ კვერცხი, არაჟანი, ფქვილი, მდოგვი და წვრილად დაჭრილი მწვანილი.

ხორცი დაჭერით თანაბარი ზომის – 1-1,5 სანტიმეტრი სისქის რამდენიმე ნაჭრად. თითოეული კარგად დაბეგვეთ. მოაყარეთ მარილი, პილპილი, პირველ ნაჭერს წაუსვით ტომატ-პასტა და გადაახვიეთ მჭიდრო რულეტად. მეორე დაბეგვილ ნაჭერს წაუსვით კვერცხიანი მასა. ზედაპირზე დაადეთ ტომატიანი რულეტი და ესეც კარგად გადაახვიეთ. განაგრძეთ ზუსტად ამ თანმიმდევრობით. მიიღებთ საკმაოდ მსხვილ რულეტს, მრავალფენიანს. გაახვიეთ ფოლგაში და მოათავსეთ ცხელ აირღუმელში 1 საათით მაინც, 200 გრადუსზე. შეიძლება, ცოტა მეტი დროც დაგჭირდეთ. გააცივეთ და ისე დაჭერით.

# ხორცი მწვანე ბარდით





**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი შერეული ხორცის ფარში, 2 ცალი სტაფილო, 1 თავი ხახვი, 300 გრამი ქამა სოკო (ნედლია კარგი), 300 გრამი მწვანე ბარდა, 6 ცალი მოხარშული კარტოფილი, 50 გრამი კარაქი, ხორცის ნებისმიერი სუნელი – თქვენი გემოვნებით, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** მოამზადეთ ფარში, უყავით ცოტა მარილი და პილპილი. ჩადეთ გამოსაცხობ ფორმაში. სოკო დაჭერით თხელ ფირფიტებად და ზემოდან დააწყვეთ ფარშზე. თუ წინასწარ სოკოს ცოტა ჩაშუშავთ, უკეთესი იქნება. ცალკე მოშუშეთ დაჭრილი ხახვი და სტაფილო კარაქში.

მწვანე ბარდას გადაავლეთ წყალი და დაუმატეთ სტაფილოს და ხახვს. შუშეთ ერთად 2-3 წუთი. ცალკე მოამზადეთ კარტოფილის პიურე. სოკოს ზემოდან ჯერ მოათავსეთ სტაფილოს და ბარდას მასა, შემდეგ პიურეთი გაუკეთეთ „ბადე“. ასე მოათავსეთ აირღუმელში 40 წუთის განმავლობაში. ძალიან ნოყიერია და გემრიელი.

# კოტე თოლორდავას ფრანგული კერძი „პიკანტური“







**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი ქათმის ფილე, 100 გრამი ბეკონი, 300 გრამი ქათმის ღვიძლი, 3 კვერცხი, 4 სადილის კოვზი კონიაკი, 100 მილილიტრი ცხიმიანი ნაღები, 5 კბილი ნიორი, 2 ცალი დაფნის ფოთოლი, ცოტა ზეთი, მშრალი ქონდარი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ფილე და ქათმის ღვიძლი დაჭერით მომცრო კუბიკებად. დააბლენდერეთ. ნელ-ნელა შეურიეთ ნაღები. დაუმატეთ ამ ფარშს კვერცხი, კონიაკი, მარილი, პილპილი და ისევ აურიეთ.

ღრმა, ვიწრო, მართკუთხედის ფორმის გამოსაცხობ ტაფას წაუსვით ცოტა ზეთი ფსკერსა და გვერდებზე. ძირში ჩააფინეთ ბეკონის ნაჭრები ისე, რომ ნაპირები ფორმის ზემოდან გადმოეფინოს. ჩაასხით ფარში. მოუსწორეთ ზედაპირი და ფორმის ზემოთ დარჩენილი ბეკონის ნაპირები ჩაკეცეთ. ზემოდან მოაყარეთ დაქუცმაცებული ნიორი, დაფნის ფოთოლი, სუნელი. დაასხით ნახევარი ჭიქა ცივი წყალი. ეს ფორმა ჩადგით ტაფაში, რომელშიც, ასევე, ცოტა წყალი ჩაასხით და შედგით აირღუმელში 180 გრადუსზე. საათ-ნახევარი დასჭირდება, რომ მომზადდეს.

უნდა აცადოთ, გაცივდეს ფორმაშივე და მიირთვით. საოცრად არომატულია.

# ხაჭოს „შარლოტკა“ შოკოლადით









**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ცხიმიანი ხაჭო, 200 მილილიტრი ცხიმიანი ნაღები (30-პროცენტიანი), 20-25 გრამი ჟელატინი, 6 სადილის კოვზი შაქარი, 100 გრამი შავი შოკოლადი, 100 გრამი თეთრი შოკოლადი.

**მომზადების წესი:** საკმაოდ მარტივი მოსამზადებელია, სახელმა არ შეგაშინოთ.

ჩაალბეთ ჟელატინი 100 მილილიტრ წყალში და აცადეთ გაფუვდეს. ჩადგით თბილი წყლის აბაზანაში და მიიყვანეთ ადუღებამდე. იმავე წყლის აბაზანაზე გაადნეთ ჯერ თეთრი, მერე შავი შოკოლადი – ცალ-ცალკე ჯამებში. თითოეულ შოკოლადს ჩაუმატეთ 300 გრამი ხაჭო და 100 მილილიტრი ნაღები. ასევე, 50 მილილიტრი გამდნარი ჟელატინი, 3 სადილის კოვზი შაქარი. ბლენდერში კარგად ათქვიფეთ ჯერ ერთი და მერე მეორე ნაზავი.

ნახევარსფეროსებრ ფორმაში ჩააფინეთ ცელოფანი კარგად და მჭიდროდ. ჩაასხით თქვენი ორი მუსი მონაცვლეობით და ფენა-ფენა „ზებრასავით“. გააცივეთ მაცივარში ერთი საათით მაინც. გამოიღეთ და ფრთხილად გადმოატრიალეთ ლანგარზე. მოხსენით ცელოფანი.

მორთეთ ნებისმიერი ხილით ან გახეხილი შოკოლადით.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# საგაზაფხულო სალათა

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი პომიდორი, 2 სადილის კოვზი წითელი ღვინის ძმარი, 5 სადილის კოვზი ნიგვზის ზეთი, 80 გრამი სალათის ფოთოლი, 2 სადილის კოვზი მოხალული მარილიანი ნუში, შაქარი; მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** პომიდვრები გაჭერით, ამოაცალეთ თესლი და რბილობი კუბებად დაჭერით. პომიდვრის თესლები საწურში გადაწურეთ და წვენი რბილობს დაასხით. დაუმატეთ მარილი, პილპილი, ზეთი, შაქარი და ძმარი. ხელით დააქუცმაცეთ სალათის ფოთლები და შეურიეთ პომიდორს, ზემოდან მოაყარეთ მარილიანი ნუში.

# ღორის ხორცი ჩინურად

**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ღორის რბილი ხორცი, 130 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 100 გრამი მიწის თხილი, 3 ცალი სტაფილო, 1 ღერი პრასი, 3 ცალი სხვადასხვა ფერის ტკბილი წიწაკა, 6 სადილის კოვზი ზეთი, 3 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 1 სადილის კოვზი კარის ფხვნილი, 1 სადილის კოვზი შაქარი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით პატარა, მოგრძო ნაჭრებად დაასხით სოიის სოუსი, დააყარეთ კარის ფხვნილი და 30 წუთი გააჩერეთ. მიწის თხილი დაფქვით, სტაფილო კი მსხვილ ღერებად დაჭერით. ამავე ფორმით დაჭერით წიწაკები. რგოლებად დაჭერით პრასი. ღრმა ტაფაში გააცხელეთ ზეთი და ხორცი მაღალ ცეცხლზე შებრაწეთ. ხორცი ამოიღეთ, ტაფაში ბოსტნეული მოათავსეთ, დააყარეთ შაქარი, ცოტა კარის ფხვნილი, მარილი და მოშუშეთ. დაასხით ბოსტნეულის ბულიონი, დაუმატეთ შემწვარი ხორცი და მოაყარეთ მიწის თხილი. როდესაც წამოდუღდება, ცეცხლიდან გადმოდგით.



# ქათამი ყვავილოვანი კომბოსტოთი

**საჭირო ინგრედიენტები:** 50 გრამი შაშხი, 50 გრამი საფანელი, 300 გრამი ქათმის ფილე, 3 სადილის კოვზი ზეთი, 150 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 200 მილილიტრი ნაღები (15-20-პროცენტიანი, 300 გრამი ყვავილოვანი კომბოსტო, 1 სადილის კოვზი სახამებელი, 3 სადილის კოვზი მდოგვი, მარილი და პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** შაშხი წვრილად დაჭერით და ტაფაზე უცხიმოდ მოშუშეთ. დაუმატეთ საფანელი და კიდევ ცოტა ხანს შუშეთ, სანამ ოქროსფერს მიიღებს. ქათმის ფილე კუბიკებად დაჭერით, მოაყარეთ მარილი და პილპილი. ტაფაზე გააცხელეთ 3 სადილის კოვზი ზეთი, ჩააწყვეთ ქათმის ნაჭრები და შეწვით. დაასხით ქათმის ბულიონი. როდესაც წამოდუღდება, ცეცხლს დაუწიეთ და 3 წუთი ადუღეთ. ყვავილოვანი კომბოსტო ყვავილედებად დაყავით და მდუღარე მარილიან წყალში (ცალკე ჭურჭელში) 3 წუთით ჩააწყვეთ, შემდეგ კი გადაწურეთ. სოუსს შეურიეთ სახამებელი, შეაზავეთ მარილით, პილპილით, მდოგვით, ჩაუმატეთ ყვავილოვანი კომბოსტო და 3 წუთი შუშეთ. როდესაც ადუღდება, ცეცხლიდან გადმოდგით.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 30 აპრილი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 01.20 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "გურმანია" 14.55 "სამოთხის ვაშლები" 17.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 18.00 ტ/სერ. "**სიყვარული შიშით**" 19.15 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.00 მხ/ფ "**სხვა სამყარო**" (მ.დეიმონი).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50, 19.05 სერ. "**მარგალიტი**" 21.00 სერ."**შავი ვარდი**" 7 სერ. 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 EMERGENCY – სასწრაფო დახმარება 00.40 მხ/ფ "**ბრილიანტის ამბავი**" (კ. ევანსი) (ტიტ.).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" 11.00 სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "**არ დამივიწყო**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 "ნანუკას შოუ" 22.40 ჩემპიონთა ლიგა 00.45 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 02.00 მხ/ფ. 03.30 კურიერის დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "ველური ბუნება" 06.45 დ/ფ "სვანეთი - ცოცხალი მითი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00 ერთსულოვნებაზე ვერნისაჟი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ./ფ. "**კეთილი კაცი**" 13.20 ქვიშით ნაამბობი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" I ნაწ. 15.35 კონცერტი - "ღიმილი მინდა" 16.45 კვირიაკე 18.10, 00.35 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.35 მხ/ფ "**სამოთხის ვერიტები**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. 23.45 ქვიშით ნაამბობი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 TV 11 მაესტროზე (გამ) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "ჩემი შვილები"** 12.30, 13.02, 1.20,ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45, 2.00, "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე 19.02 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00, 2.50, ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30,ბრძოლა წესების გარეშე 0.15, 3.20 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## ხუთშაბათი 1 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 02.40 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 15.25 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.00 დ/ფ "ბირთვული კატასტროფა-იაპონიის ტრაგედია" 18.00 ტ/სერ. "**სიყვარული შიშით**" 19.15 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 22.00 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ "**დედა წყვდიადი**" (ნ. ნოლტი).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50, 19.05 სერ. "**მარგალიტი**" 21.00 სერ."**შავი ვარდი**" 8 სერ. 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ "**ვექებ მეგობარს ქვეყნიერების დასასრულისთვ**" (ბ.მორისი) 02.10 მხ/ფ "**ბრილიანტის ამბავი**" (კ.ევანსი) (ტიტ.).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" 11.00 სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "**არ დამივიწყო**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 პროფილი 00.00 თბილისი ლაივ 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.)

06.10 ქვიშით ნაამბობი 06.30 დ/ფ "ველური ბუნება" 06.55 დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. 07.30 დ/ფ "ქართული კერამიკა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "ჩვენი ფონდი" 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**სამოთხის ვერიტები**" 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" II ნაწ. 15.35 ეთნოგრაფია 15.50 კონცერტი - "მე ხომ ლოცვად მინდა" პეტრე ბაგრატიონი 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 "პორტრეტები" 20.15 მოკ./ფ. "**ქოჩორა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დ/ფ "დაგვიანებული ქორალი" 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "ჩემი შვილები"** 12.30, 13.02, 1.20,ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45, 2.00, "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე 19.02 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00, 2.50, ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, TV 11 მაესტროზე 0.00, 3.20 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 2 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 01.00 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "სპექტაკლის დრო" – "**ჟაყოს ხიზნები**" 17.00 დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" 18.00 ტ/სერ. "**სიყვარული შიშით**" 19.30 დ/ფ "ისპაჰანის სამეფო მეჩეთი" 21.00 ტ/სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 22.00, 03.10 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ "**ქუჩის დღეები**".

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50, 19.05 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 1 სერ. 21.00 სერ."**შავი ვარდი**" 9 სერ. 22.00 თოქ შოუ – რეაქცია 00.00 მხ/ფ "**სასიყვარულო ინტრიგა**" (ო. პლატი) 02.00 მხ/ფ "**ვექებ მეგობარს ქვეყნიერების დასასრულისთვის**" (ბ.მორისი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. ""**ვარდისფერი ბრილიანტი**" 11.00 სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "**არ დამივიწყო**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 07.15 დ/ფ "დაგვიანებული ქორალი" 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 საქართველოს ისტორია 11.00 სახლი ღვთისა 11.15 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ./ფ. **"ქოჩორა"** 13.20 ქვიშით ნაამბობი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დ/ფ "ველური ბუნება" 15.30 კონცერტი - ანდრე რიე 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ჩარირამა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "წმინდა მიწა ქართველ პილიგრიმთათვის" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 TV 11 მაესტროზე (გამ) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "ჩემი შვილები"** 12.30, 13.02, 1.20,ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45, 2.00, "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე 19.02 **სერიალი "აკრძალული სიყვარუ-ლი"** 20.00, 2.50, ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30,ბრძოლა წესების გარეშე 0.15, 3.20 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## შაბათი 3 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 08.50 საბავ. ან/სერ. "კრიპტო - სუპერ ძაღლი" 09.50 50 საბავ. ან/ფ"ღამის დარაჯთა ლეგენდები" 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "მხიარული სტარტები" 13.30 "ღამი სერენადები" – ლ. ისაკაძე და ფეისბუქის ვირტუოზები – 2013 14.50 სატელევიზიო სპექტაკლი: **"კაცი"** 16.30, 03.10 "გურმანია" 17.00 დ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" 18.00 ტ/სერ. **"სიყვარული შიშით"** 19.00, 04.40 "ეტალონი" 21.00, 03.40 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 "წითელი ზონა" 23.00 მხ/ფ **"შიში ჭამს სულს"** 01.10 მხ/ფ **"გორილას განკურნება"**.

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 08.00 მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი – 4"** 10.15, 16.50 TV - მარკეტი 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 "სქიმ არქიმანდრიტი საბა"1 ნაწ. 12.00 სერ. **"მერლინი"** 13.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 14.30 ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 2 სერ. 21.00 სერ.**"შავი ვარდი"** 10 სერ. 21.45 გათამაშება – ტექნო ბუმი (პ/ე) 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 მხ/ფ **"მებრძოლელად დაბადებული"** (შ.სტრინგფილდი) 01.35 მხ/ფ **"სასიყვარულო ინტრიგა"** (ო.პლატი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 09.55 ანიმაცია 10.00 ეკი ვოკი გ/ჩ 11.00 "ნანუკას შოუ" (ოთხშაბათის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 იღბლიანი ბორბალი გ/ჩ 15.30 X - ფაქტორი (გ/ჩ) 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 რა? სად? როდის? 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 00.30, 03.30 მხ/ფ.

06.05 დ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ. ფილმი"პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 11.00 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"ჩარირამა"** 13.30 სალვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდი-ტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - ლეონკავალო **"ჯამბაზები"** 17.30 დ/ფ "ველური ბუნება" 18.10 დ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" ექვთიმე გაენა-თელი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 ჟურნალისტის დღიური 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ **"დიდი ქალაქის ჩირაღდნები"**.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00 ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი/)გამ. 8.30 იუმორისტული შოუ -"4X4" (გამ.) 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55, 1.50, კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 18.30, 21.35, 2.20, "უცნობი ისტორიები" 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 1.20, "თქვენი გადახდილია" 23.30, 2.50, "აბების" კვირის ანეკდოტები (კოლაჟი) 0.00, 3.10, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## კვირა 4 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.50 საბავ. ან/სერ. "კრიპტო - სუპერ ძაღლი" 09.50 საბავშვო მხ/ფ **"საოცარი მისტერ ბარნანდერი"** 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30, 03.10 "ჩვენი ფერმა" 13.00, 02.10 "სამოთხის ვაშლები" 14.00 ქართ. მხ/ფ **"ჩვენი ეზო"** 15.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 18.00 მხ/ფ **"იესო ქრისტე – სუპერვარსკვლავი"** 20.30, "ტელებლოგი" 21.00 "ჩემი წიგნი" 22.00 ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა - მხ/ფ **"შანტრაპა"** 00.00 მხ/ფ **"წმინდა ვალენტინის დღე"** (ჯ.რობერტსი).

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 08.30 მხ/ფ **"საქორწინო წვეულება"** 10.50,16.50 TV - მარკეტი 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ.**"მერლინი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) 17.30 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.00 პანორამა 21.00 ღამის შოუ 22.00 მხ/ფ "ემპაიერ სთეითი" (დ.ჯონსონი) 01.00 მხ/ფ **"ფარული მუქარა"** (ჯ. ტრავოლტა) 02.45 მხ/ფ **"მებრძოლელად დაბადებული"** (შ.სტრინგფილდი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.25 ანიმაცია 10.30 ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე (27 აპრილის გ/ჩ) 14.00 ეკი ვოკი 15.30 პროფილი გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P.S. 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 კომედი შოუ 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 თბილისის ტაძრები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"ცისკარა"** 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სალვთის-მეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 ქვიშით ნაამბობი 19.30 მხ/ფ **"ქალაქი ანარა"** 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ " მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ **"ვერდიქტი"**.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.10"უც-ნობი ისტორიები" 8.30 "თქვენი გადახდილია"(გამ.) 9.00 "აბე-ბის" კვირის ანეკდოტები (კოლაჟი) 9.20, 11.00, 12.30, 15.30, 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 2.50, კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები. 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 2.50, კვირის აზრები 18.30, 2.20,ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვა-რული"** 21.00 ვახო სანაიას რეპორტაჟი პ/ე 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, იუმორისტული შოუ -"4X4" 0.00, 3.20 **სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** 1.20, ვახო სანაიას რეპორტაჟი (გამ.).

### ვერძი

რაც უფრო სწრაფად შეძლებთ ამ პერიოდში ყურადღების კონცენტრირებას საქმეებისა და გეგმების განხორციელებაზე, მით უკეთეს შედეგებს მიიღებთ უახლოეს მომავალში. არ ვარგა ახალი კავშირების დამყარება. პირად ურთიერთობებში ახალი რომანი ხანმოკლე აღმოჩნდება და დამატებით პრობლემებს შეგიქმნით.

### კურო

უცნოეთთან და კარიერასთან დაკავშირებულ ოცნებებს ახდენა უწერია. მიუხედავად ამისა, ჯობია მოგზაურობა გადადოთ. ბევრ ხალხთან ურთიერთობა და ხშირი კონტაქტები დამღლელი აღმოჩნდება. ერიდეთ ექსტრემალურ სიტუაციებსა და ინტრიგებს. სახლში მშვიდი გარემო და საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა დამატებითი ენერგიით აგავსებთ.

### ტყუპები

გარშემო მყოფებთან გაგიჭირდებათ ურთიერთობის დამყარება. მოერიდეთ კამათს კოლეგებთან. საყვარელ ადამიანთან გამოიყენეთ დიპლომატიურობა და თავდაჯერებულობა. ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ საქმეებით. გადაადგილებების რაოდენობა კი, ჯობია, შეამციროთ.

### კირჩხიბი

გაიზრდება თქვენი შემოსავლები, თუმცა, პარტნიორულ ურთიერთობებში სრული თავისუფლება შეგექმნებათ. შესაძლოა, უსიამოვნებების მიზეზი გახდეს საბუთებში დაშვებული შეცდომები. სასიყვარულო, საოჯახო და პირად ურთიერთობებში მოერიდეთ ინიციატივის გამოვლენას. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს.

### ლომი

აქტიური ცხოვრება დაგეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში. ეს კარგი დროა ადრე დაწყებული საქმეების დასასრულებლად. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს და მოქმედებისას დაიხმარეთ თანამოაზრეები. მოერიდეთ ახალ შენაძენებს. საყვარელ ადამიანთან დაძაბული ურთიერთობის შემთხვევაში დროულად წადით დათმობაზე. ასევე, მოერიდეთ მოგზაურობას.

### ქალწული

მომავალში წარმატებას მოგიტანთ ამ პერიოდში შემოქმედებითად მუშაობა, ოღონდ, ყველა დაწყებული საქმე დროულად უნდა დაასრულოთ. სასიყვარულო ურთიერთობებზე დახარჯული ძალისხმევაც დიდ სიამოვნებას გპირდებათ. მოერიდეთ უცნობებთან კონტაქტს.

### სასწორი

განწყობა და ცხოვრებისეული სიტუაციები ხელს შეგიშლით მოლაპარაკებების წარმატებით წარმართვაში. მოერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. ფარული სასიყვარულო კავშირი, შესაძლოა, გარშემო მყოფთა ყურადღების ცენტრში მოექცეს. შეფერხებებია მოსალოდნელი ფინანსებთან დაკავშირებით.

### მორიელი

შესაძლოა, დროებითი მატერიალური პრობლემები ნერვიულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი გახდეს. ახალს ნურაფერს წამოიწყებთ. გაიაზრეთ სამომავლო გეგმები და მოქმედების მეთოდები. სულიერ სიმშვიდესა და ჰარმონიას იგრძნობთ საყვარელი ადამიანის გვერდით.

### მშვილდოსანი

ახალი კავშირების დასამყარებლად გამოიყენეთ ავტორიტეტი. გადაამოწმეთ მიღებული ინფორმაცია და არ დაუჯეროთ ჭორებს. ეს განსაკუთრებით გაითვალისწინეთ სასიყვარულო ურთიერთობისას. ახალი იდეები და ინიციატივები დაგეხმარებათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. სასიყვარულო ურთიერთობაში მოსალოდნელია უთანხმოება.

### თხის რქა

კარგი განწყობა და შინაგანი კომფორტის შეგრძნება სხვა ადამიანების ყურადღების მიპყრობაში დაგეხმარებათ. ინიციატივიანი ცხოვრება უკეთესობისკენ გიბიძგებთ. პარტნიორული ურთიერთობების მეშვეობით გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. მეტად დაკვირვებული იყავით საყვარელ ადამიანთან.

### მერწყული

გაგიჭირდებათ ჩვეულ ტემპში მოქმედება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთგაგების რღვევამ, შესაძლოა, ნერვულ აშლილობამდე მიგიყვანოთ. ეცადეთ, დროებით არაფერი შეცვალოთ. ჯობია, დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ. გარემოება გაიძულებთ, გააკეთოთ არჩევანი ცხოვრებისეულ, სამსახურებრივ და პროფესიულ სფეროში. კარგად დაფიქრდით.

### თევზები

გარემოებები სრულიად შეცვლის თქვენი ცხოვრების წესს და მოგიწევთ, დროის გარკვეულ მონაკვეთში განმარტოვდეთ. დაეყრდენით ინტუიციას მოლაპარაკებების დროს. ბედი გაგიღიმებთ ფარულ ფინანსურ ოპერაციებსა და საიდუმლო სასიყვარულო ურთიერთობებში. ხანმოკლე მოგზაურობა ხელს შეუწყობს ახალი კავშირების დამყარებას.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 29 აპრილი, 06 სთ: 55 წთ.**

### ორშაბათი

მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებთან და ნათესავებთან ურთიერთობას. მთლიანობაში რთული დღეა, უმჯობესია, მეტი დრო გაატაროთ სახლში. აკონტროლეთ აზრები და ემოციურად ნუ გადაიტვირთებით. ამ დღეს ნუ გადაწყვეტთ სერიოზულ საკითხებს. მეტად დაეყრდენით ინტუიციას. ატარეთ ლურჯი, ღია იისფერი, ვერცხლისფერი, თეთრი ან შავი ტანსაცმელი; ქვებიდან კი – მწვანე ნეფრიტი, სარდონიქსი, ამაზონიტი, ლალი, ამეთვისტო ან გიშერი. არ ვარგა საიდუმლო მოქმედება და სასიყვარულო ურთიერთობები. სუსტდება ფეხის ტერფები, ლიმფური სისტემა, კანი, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: მერწყულებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამოიჩინეთ მეტი დაკვირვება, რადგან ამ დღეს ახალმთვარეობაა და კოსმოსიდან მოჭარბებულია ნეგატიური ენერგია, რაც გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნით. მეტი დრო დაუთმეთ გარეგნობის მოწესრიგებას და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას. დაეყრდენით ინტუიციას. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, მოერიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. ატარეთ ზღვის ტალღისფერი, ფირუზისფერი, ლურჯი, მწვანე, ვერცხლისფერი, შავი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ქარვა, ვარდისფერი ქალცედონი, ამეთვისტო ან მარჯანი. კარგია მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, შემოქმედებითი მუშაობა, სუსტდება კანი, ფეხის ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, სასწორებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის.***

### ოთხშაბათი

ეს არის სიყვარულისა და სიხარულის დღე. მძაფრდება ინტუიცია, შესაძლებელია ფარული მონაცემების გამოვლენა. დაეხმარეთ სხვებს, მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, მეგობრებს. არ გადაიღალოთ. შესაძლოა სამსახურებრივი პრობლემების გადაწყვეტა, სამეცნიერო კვლევა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა. დაიცავით წესები, იყავით თავდაჭერილი. ნუ აჰყვებით ვნებას, მოერიდეთ აზარტულ თამაშებს. ატარეთ თეთრი, მწვანე, იისფერი, ლურჯი, შავი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – გიაცინტი, ციტრონი, თეთრი ნეფრიტი, ლალი ან ამეთვისტო. არ ვარგა საიდუმლო მოლაპარაკებები, სასიყვარულო კავშირები. მაღალია მოტყუების ალბათობა, სუსტდება ნერვული სისტემა, ფეხის ტერფები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, სასწორებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ხუთშაბათი

ენერგიით აღსავსე დღეა. დღეს დაწყებული საქმეები კარგად წარიმართება. კარგია ხელმძღვანელებთან ურთიერთობები, მოგზაურობა. არ ვარგა სასიყვარულო კონტაქტი, ფინანსური ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი, თეთრი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – მარჯანი, ჰელიოტროპი, ფირუზი, საფირონი ან სარდიონი. იკრძალება ტყუილის თქმა. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყვიტეთ დამოუკიდებლად. ნუ იკამათებთ, აკონტროლეთ ეჭვიანობა. სუსტდება თავი, ყურები, მხედველობა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, სასწორებისთვის, თხის რქებისთვის.***

### პარასკევი

კარგი დღეა მონანიებისა და პატიებისთვის. ინტუიცია დაგეხმარებათ გადაწყვეტილებების მიღებაში. კარგია ახალი საქმის დაწყება, კარიერული, შემოქმედებითი პრობლემების გადაწყვეტა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი, თეთრი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მორიონი, ქრიზოლითი, ბრილიანტი ან ლაზურიტი. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, ფინანსური ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულებების დადება. კარგია ხელმძღვანელებთან კონტაქტი, მოგზაურობა. სუსტდება თავი, თვალები, ყურები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის.***

### შაბათი

მაღალია შეცდომების დაშვების ალბათობა. ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებებს ემოციური იმპულსების ფონზე. მოერიდეთ ურთიერთობების გარკვევას. კარგია კონტაქტები; არ ვარგა სარისკო მოქმედებები. ატარეთ ყავისფერი, ცისფერი, ყვითელი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ალექსანდრიტი, შავი მარგალიტი, რუხი ტოპაზი, ძოწი ან აქატი. კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, ახალი ნაცნობობა, გართობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მორიელებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა

ამ დღეს დაწყებული საქმე კარგად წარიმართება. კარგია, ასევე, საოჯახო საქმიანობა, ახალი ცოდნის მიღება, პირადი პრობლემების გადაწყვეტა. დაეყრდენით ინტუიციას. აკონტროლეთ ეჭვიანობა, წყენა, შური. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, მწვანე, ლურჯი, თეთრი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდონიქსი, ქარვა, აკვამარინი ან ქრიზოლითი. კარგია უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების ყიდვა, სასიყვარულო ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა, ხელმძღვანელებთან ურთიერთობა. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს და სწრაფ გადაწყვეტილებებს. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი, ყურები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მორიელებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### თომაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თომა**, რომელიც ძველებრაული სიტყვაა და „ტყუპ-ისცალს" ნიშნავს. აქედანაა ნაწარმოები გვარები **თომაძე** და **თომაშვილი.**

შიო მღვიმელის სიგელში წერია: „სახლი დაშლილი იყო. აღარ იყო და შენ, ზოსიმეს გამზრდელსა იესეს, ერთნი ნაშვილებნი, სახლნი და ერთნი მამულნი ეკლესიის ქუე დაუხსენით და მისად სანაცვლოდ **თომაურნი** სახლნი მოგცენით".

**თომაძეები** ასურეთში ამბროლაურის რაიონის სოფელ გორიდან 1941 წელს ჩამოსახლებულან.

საქართველოში 400 **თომაძე** ცხოვრობს: თბილისში – 166, ამბროლაურში – 96, რუსთავში – 10. არიან სხვაგანაც.

### სულაძე

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **სულა.**

„ტბეთის სულთა მატიანეში", რომელიც ერთ-ერთი ადრეული ქართული ძეგლია, მოიხსენიება იოანე ბატონიშვილის შვილი – **სულა.**

**სულა** სამცხის ერისთავთ-ერისთავის, ხურსიძეების საგვარეულო სახელი იყო, ხურსი კი – ჩორჩანელების. ჩორჩანელები მეშვიდე-მერვე საუკუნეებში სამცხის წარჩინებული საგვარეულო იყო. გვარის სახელწოდება წარმოდგა ჩორჩანელების სამფლობელო ციხე ჩორჩანიდან. გიორგი ჩორჩანელი, გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, ადრე გარდაიცვალა, მის სამფლობელოს დაეუფლა მისი დისშვილი – **სულა**, რომელიც გახდა ჩორჩანელების ახალი საგვარეულოს ფუძემდებელი. გაჩნდა სამი გვარი: ბეშქენიდან – ჯაყელი, ლაკლაკიდან – ლაკლაკიძე, ხოლო ხურსიდან – ხურსიძე. საგვარეულო მონასტერი გახდა ზარზმა. იქ კი ცნობილნი არიან: **სულა** ივანეს ძე, ივანე **სულას** ძე, **სულა** მირიანის ძე, ფარსმან თმოგველი-**სულაძე.**

ჩორჩანელებიდან განშტოებული ერისთავთერისთავი-ხურსიძეებიდან – **სულა** ხურსიძიდან იღებს სათავეს გვარი **სულაძე**.

საქართველოში 1 275 **სულაძე** ცხოვრობს: თბილისში – 816, ქუთაისში – 222, რუსთავში – 53. არიან სხვაგანაც.

### პეტრიაშვილი

**პეტრიაშვილები** არიან კახეთის სამეფო აზნაურები. შეტანილნი არიან 1850 წლის 6 დეკემბრის რუსეთის მთავრობის მიერ შედგენილ „ხავერდის წიგნში". **პეტრიაშვილები**,




როგორც აზნაურები, შეტანილნი არიან, ასევე, 1783 წლის 24 ივნისს შედგენილ გეორგიევსკის ტრაქტატში.

ილია მაისურაძემ ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა: „**პეტრიაშვილი** – გოგაშენი, ახალქალაქის რაიონი."

ამავე ძირისაა გვარი **პეტრიაძე.**

**პეტრედანაა** ნაწარმოები **პერტია, პერტენავა.**

**პეტრიაშვილები** არიან, ასევე, თავადი ავალიშვილებიდან მომდინარე საგვარეულო. თვით ავალიშვილები კი ციციშვილებიდანაა წარმოშობილი.

თავადი ანდრონიკაშვილებიდან რამდენიმე გვარია წარმომდგარი, მათ შორისაა ერასტიშვილი, რომლიდანაც გაჩენილა დავითისშვილი, ხოლო მისგან – **პეტრესშვილი.**

მეთერთმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში, ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, **პეტრესშვილი** მამულა იხსენიება კარალეთში 1700 წელს.

**პეტრიაშვილი** ბიძინა და გიორგი მოიხსენიებიან მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს, კლდისწყაროში.

**პეტრიაშვილ პეტრეს**, მოურავს, ერეკლე მეფემ უბოძა ჭალაანში დასახლება და ალავერდის წმიდა გიორგისთვის შეწირული ათი კომლი კაცის მოურავობა, 1699 წელს.

**პეტრიაშვილები** ცხოვრობენ რაჭაშიც, სადაც მოგვიანებით გადავიდნენ. ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ ეს გვარი რაჭიდან მოდის.

საქართველოში 3 353 **პეტრიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 1 587, გურჯაანში – 186, რუსთავში – 178. არიან სხვაგანაც.

### ლუკაშვილი

გვარის ფუძეა სახელი **ლუკა**, რაც მანათობელს ნიშნავს. ლათინურად კი **ლუკა** იგივეა, რაც მზის ამოსვლისას დაბადებული. ის წმიდანის სახელია.

**ლუკაშვილი** შიო გიორგის ძე მოიხსენიება სოფელ ღოლოვანას, 1843 წელს. 1886 წლის აღწერით, ამავე სოფელში მოიხსენიება გიორგი **ლუკაშვილი** და ვანო **ლუკაშვილი**.

საქართველოში 182 **ლუკაშვილი** ცხოვრობს: გორში – 70, თბილისში – 56, საგარეჯოში – 32. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რა აუკრძალეს ცესკოს თავმჯდომარეს აფრიკაში და რატომ დაატოვებინეს მას ბანგლადეშში

**(მე-18 გვერდიდან)**

**გექნებათ მიღებული, ჩვენებური საარჩევნო ბატალიების არ უნდა „გეშინოდეთ".**

– მე მზად ვარ ყველა შესაძლო სიტუაციისთვის, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს არჩევნებს – უკვე გაცილებით გამოცდილი ვარ ნებისმიერი სირთულისთვის. ნიგერიაში ვმუშაობდი ხუთი თვის განმავლობაში, სადაც ვიყავი ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (ვაშინგტონის) მიერ დაქირავებულ საერთაშორისო პოზიციაზე, ვიყავი პროგრამების მენეჯერი. ხუთი თვის განმავლობაში ექვსი არჩევნები ჩავატარეთ, ამიტომაც არ მიკვირს ის ამბები, რაც ჩვენს არჩევნებს ახლავს ხოლმე ***(იცინის).*** ნიგერია საინტერესო ქვეყანაა. ახალი ჩასული ვიყავი, როცა ადგილობრივებმა სადილზე დამპატიჟეს. წარმოშობით მეგრელ ქალს ნიგერიაში სუფრაზე დამხვდა ღომი, რამაც ძალიან გამაოცა; ასევე, მომიტანეს ხარჩო, რომელიც ნიგვზით, ოღონდ, სხვა სახის ნიგვზით მზადდება. ნიგერიაში ცხოვრება იოლი არ იყო, ეს საკმაოდ მძიმე ქვეყანაა საცხოვრებლად. მე ხშირად მიწევდა სხვადასხვა რეგიონში სიარული. ტერორიზმის საფრთხის გამო ჩვენ ყოველთვის წინასწარ ვიყავით გაფრთხილებული, სად შეგვეძლო მისვლა, სად – არა. მარტოს თითქმის არსად გვიშვებდნენ, ყველგან სამსახურის მანქანით უნდა გადავადგილებულიყავით. ჩემი ჯგუფი საუკეთესოდ აღიარეს და გადაგვისროლეს სხვა ქალაქში, სადაც უჭირდათ. ბანგლადეშში არ იყო მსგავსი სირთულეები. მე პატივს ვცემდი მათ კულტურას – მეცვა მათი ტრადიციული ტანსაცმელი, რომელიც ინდურ სამოსს წააგავს. სარის ტიპის კაბა ვერაფრით ვერ მოვირგე და მისი ალტერნატივა იყო გრძელი კაბა-შარვალი, რომლით სიარულზეც ნამდვილად არ ვამბობდი უარს. ბანგლადეშთან კარგი მოგონებები მაკავშირებს, ერთი გამონაკლისის გარდა – საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და ჩაიშალა არჩევნები, რის გამოც ჩვენი მისია ვადაზე ადრე შეწყდა.

**– რაც ცესკოს ხელმძღვანელობთ, როგორ შეცვალა ამ სამსახურმა თქვენი ცხოვრება?**

– სიმართლე გითხრათ, რადიკალურად შეცვალა ის დრო, რასაც მე ვუთმობდი ოჯახს. ფაქტობრივად, საერთოდ ველარ ვიცლი ჩემი შვილებისთვის, რომლებიც ახლა უკვე დიდები, დამოუკიდებელი ადამიანები არიან, თუმცა, მათ მაინც ვჭირდები. უმცროსები სტუდენტები არიან, უფროსი ქალიშვილი კი 25 წლის არის, მათ ხშირად ესაჭიროებათ ჩემი აზრი, რჩევა, რაც ჩემი დაკავებულობის გამო ძალიან აკლიათ. ჩემი მეუღლე მშვიდად ეგუება ჩემს რეჟიმს. ის არის ადამიანი, ვინც მთელი ცხოვრება მიჭერდა მხარს, რომ ასე მეცხოვრა. თავადაც არასამთავრობო სექტორში მუშაობს და, შესაბამისად, კარგად იცის ჩემი საქმიანობის ფასი. ჩვენ 25 წელი ვიცხოვრეთ ერთად და ამ გზის ყველა ნაბიჯი მასთან ერთად გავიარე. იმის მიუხედავად, რომ ძალიან დაკავებული ვარ, სახლში შევალ თუ არა, საქმის კეთებას ვიწყებ. ადამიანებს უჭირთ ამის დაჯერება. 25 წელია, რაც ოჯახი მაქვს, და არასდროს მყოლია დამხმარე, არჩევნების დროს გვჭირდება ხოლმე ბებია, როგორც „მაშველი რგოლი". ჩემი ქალიშვილები მეუბნებიან: როგორ შეგიძლია, მოხვალ, ჩანთას მოიხსნი და საქმის კეთებას იწყებ, არ იღლებიო? მგონი, მათ უფრო ვღლი ჩემი ყურებით ***(იცინის)*** ვფიქრობ, რომ რაც უფრო აქტიური ხარ, მით მეტ რამეს ასწრებ. სამსახურს მიღმა სახლშიც ვარ, სუპერმარკეტშიც საყიდლებზე, ბანკშიც – ანგარიშსწორებისთვის. ერთადერთი რაზეც მწყდება გული ისაა, რომ ოჯახთან ერთად ვერ ვახერხებ სადმე წასვლას და დასვენებას. მსოფლიოს 36 ქვეყანაში ვარ ნამყოფი, ძირითადად საქმიანი ვიზიტებით, რომელთაც პირადი გეგმებისთვის არასდროს ვიყენებ. ერთადერთხელ, საფრანგეთში ყოფნის დროს, მოვახერხე და ორი დღით გავიპარე მადრიდში, რომ პრადოს მუზეუმი მენახა. ეს ჩემი ოცნება იყო. ახლა გადავწყვიტე, რომ როგორც კი ეს არჩევნები დასრულდება, ყველა ერთად სადმე, რომელიმე ქვეყანაში წავიდეთ. იმედი მაქვს, ამ ოცნების ასრულებას ახლა მაინც შევძლებ.

**თამუნა სამადაშვილი**

**ყველასათვის საყვარელი მსახიობი თამუნა ნიკოლაძე მაყურებელმა 2007 წელს, სერიალით „შუა ქალაქში" გაიცნო და მას შემდეგ მისი სიყვარული არც განელებიათ. ჩვენი რესპონდენტის სამსახიობო მოღვაწეობა უკვე მრავალი წელია, „თავისუფალ თეატრს" უკავშირდება და ის იქ თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. როგორ ცხოვრობს, გამოჩნდება თუ არა ის მალე კვლავ ტელეეკრანზე და სხვა მრავალი კითხვის პასუხს ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როგორია გაბრაზებული თამუნა ნიკოლაძე და რატომ სურს მას დეტექტიური ჟანრის სერიალში თამაში

**– ყოველთვის სასურველი რესპონდენტი ხარ, ყველა აღიარებს, რომ დადებით ენერგიას გასცემ.**

– დიდი მადლობა. ამას ხშირად მეუბნებიან. ვწითლდები, მსიამოვნებს და მიხარია ამ სიტყვების მოსმენა.

**– რა ხდება ამ ეტაპზე შენს შემოქმედებაში? ამ კითხვის პასუხი უამრავ ადამიანს აინტერესებს, რადგან ისინი მოუთმენლად ელიან ეკრანზე შენს გამოჩენას. მოდი, დავიწყოთ თეატრით, რომელიც შენი განუყოფელი ნაწილია.**

– თეატრი ჩემთვის იგივეა, რომ მკითხო, სახლში როგორ ხართო. ყველანი კარგად ვართ, მთავარია – ჯანმრთელად. ვმუშაობთ ყოველდღიურად, ვისვენებთ მხოლოდ ორშაბათ დღეს. პროცესი არ ჩერდება, ვვითარდებით, მივდივართ წინ, გვაქვს ახალ-ახალი პრემიერები, ახალ-ახალი გეგმები, შემოთავაზებები. ეს არის ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრება – მეთერთმეტე წელია, ასე ვცხოვრობ. მარტის ბოლოს ჩემი თეატრის (თავისუფალი თეატრის) დაბადების დღე იყო და პირველი აპრილიდან მე-14 სეზონი დავიწყეთ.

**– რაც შეეხება ტელესივრცეს, რა ხდება?**

– ამ ეტაპზე პაუზა მაქვს. სატელევიზიო სივრცეში აღარ მიწევს მუშაობა, აღარ მაქვს არც ერთ ტელევიზიასთან კონტრაქტი, მაგრამ, მაქვს ორი-სამი რეალური შემოთავაზება სხვადასხვა ტელევიზიიდან. მადლობა უფალს, როგორც კი სადღაც რაღაც მთავრდება, სამსახურს ვგულისხმობ, ყოველთვის იწყება ახალი. თან, ყოველთვის კონტრაქტის მიხედვით მთავრდება ყველაფერი კარგად და ლამაზად და იწყება ახალი. მეტსაც გეტყვით, ძალიან გამიმართლა და ყოველთვის ვამბობ, რომ ბედნიერი მსახიობი ვარ. მე თვითონ ვარ ძალიან მოწესრიგებული ადამიანი და პროფესიაშიც ძალიან მოწესრიგებულად მიმდის საქმე. აურზაური და ფორიაქი არსად არაფერში არ შემიძლია. მოუწესრიგებელი ცხოვრება ჩემთვის ცოტა უცხოა.

**– ძალიან უყვარხარ მაყურებელს. ერთია, როცა ეკრანზე გხედავენ, მაგრამ, როცა ქუჩაში ან თავშეყრის ადგილებში გხვდებიან, ეს სულ სხვაა.**

– ვარ მსახიობი, რომელსაც ეკრანზე დიდი დოზით გამოჩენა არ უყვარს. გადაცემაში, სადაც მიწვევენ ხშირად არ მივდივარ. ბოდიში ყველა წამყვანს და ყველა პროდიუსერს დიდი მადლობა მიწვევისთვის. ჩემი პირადი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ საუბარი არ მიყვარს. მართალია, ჩაკეტილი ადამიანი არ ვარ, მაგრამ არც ბევრი ლაპარაკი მჩვევია, ყველაფერი მიყვარს ზომიერი. მით უმეტეს, მაყურებელთან და სატელევიზიო სივრცეში, ზომიერება არ უნდა დაკარგო. ასევე ვარ პრესასთან ურთიერთობაშიც. თუ ვინმეს ვთანხმდები, ერთ-ერთი ხარ შენ, რადგან, წერ იმას, რასაც ვამბობ და საკუთარ ფანტაზიას არ იშველიებ.



რაც არ უნდა მეჩქარებოდეს, 15-20 წუთი მაინც ვახერხებ ვარჯიშს. თუ კარგი ამინდია – აივანზე, ხოლო ზამთარში – ჩემს ოთახში ან აბაზანაში

**– მადლობა ასეთი სიტყვებისთვის, ეს ნამდვილად სასიამოვნო მოსასმენია.**

– მაყურებლის სიყვარულს რაც შეეხება, მათ ძალიან კარგად ახსოვთ „შუა ქალაქი," რომელიც 2007 წელს დაიწყო. სწორედ 7 წლის წინ გამიცნო მაყურებელმა. „შუა ქალაქის" შემდეგ იყო „ალუბლების ქუჩა," იუმორისტული ჩანახატები „რუსთავი 2-ზე" და ერთი სეზონი სერიალისა „ნათია და ნათია." სიმართლე გითხრა, საკმაოდ „დანაყრებული" ვარ სიტუაციური კომედიის თამაშით, ხალხიც შესაბამისად მიცნობს და ვუყვარვარ. მადლობა ყველას.

**– ხარ მსახიობი, რომელსაც, როგორც თვითონ აღნიშნე, ხშირად უმართლებს. როგორ ფიქრობ, თამუნა ნიკოლაძე სხვა ქვეყანაში რომ დაბადებულიყო, უფრო მეტად გამოიყენებდნენ მის ნიჭს რეჟისორები?**

– საკუთარი თავის ნიჭიერებაზე მე ვერ ვილაპარაკებ, ეს სხვამ თქვას, მაგრამ, მე ვამბობ, რომ, თუ მსახიობს გაქვს ნიჭი, იღბალი, ღვთის წყალობა და გამართლება, სადაც არ უნდა იყო, ნებისმიერ ქვეყანაში მოიკიდებ ფეხს და დაფუძნდები. საჭირო დროს საჭირო ადგილას მოხვედრა მართლა ძალიან აუცილებელი ყოფილა. წლების წინ მართლა ძალიან საჭირო და, ზუსტ დროს, როცა კეთდებოდა ერთადერთი საუკეთესო სიტუაციური სერიალი, სიტკომი („შუა ქალაქში"), მივედი ქასთინგზე და გამიმართლა. ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი ქასთინგი იყო. რაც შეეხება თეატრს, თბილისის თითქმის ყველა თეატრის სცენაზე მაქვს თითო როლი შესრულებული. სხვა ქვეყანაშიც, ჩემი იღბლითა და ჩემი ბედით, ალბათ, გამიმართლებდა.

**ძალიან ბევრი და კარგი იყო ჩემს ცხოვრებაში – ასე ვთქვათ, „გასაცინარი" სერიალები. „გაგვაცინე, თამუნა" – აღარ მინდა...**

**– მატერიალურადაც უფრო დაფასებული იქნებოდი.**

– ალბათ კი, მაგრამ, არა უშავს, აქ რაც მაქვს, იმისიც კმაყოფილი ვარ. ზოგს ესეც არ აქვს.

**– ყოველთვის კარგ განწყობაზე ხარ და ყოველთვის დადებით ენერგიას გასცემ. გულწრფელად მაინტერესებს, როგორია გაბრაზებული თამუნა ნიკოლაძე?**

– ძალიან ცუდი.

**– ფიცხი ხარ?**

– ძალიან უნდა ეცადოს ვიღაც ჩემს გაბრაზებას.

**– გამოსვლია ვინმეს?**

– კი, სამწუხაროდ, ჩემი გაბრაზება არაერთხელ გამოსვლიათ, მაგრამ, ერთი საკმაოდ კარგი თვისება მაქვს – ძალიან ადვილად შემიძლია შერიგება, დათმობა, პატიება და მიტევება. ადრე არ მქონდა მიტევების ამხელა უნარი, მაგრამ. რაც წლები მომემატა და ჭკუაში ჩავვარდი, ესეც შევძელი.

**– ეს ძალიან კარგი თვისებაა, რადგან როცა ადამიანს გულში ბოღმა და უარყოფითი ემოციები არ აქვს, მას ასაკიც არ ეტყობა.**

– ცოტა ამბიციურად უნდა ვთქვა, მაგრამ, შემომხედე; ჩემს ასაკს არ ვიტყვი, მაგრამ, მგონი არ მეტყობა.

**– რა არის ამის საიდუმლო?**

– რომ გითხრა, ასაკისა და გარეგნობის შესანარჩუნებლად სასწაულებს ვაკეთებ-მეთქი, არა. ჩვეულებრივად ვცხოვრობ, ვიკვებები ჩვეულებრივად და ასე შემდეგ. სხვათა შორის, დილაობით ვვარჯიშობ. რაც არ უნდა მეჩქარებოდეს, 15-20 წუთი მაინც ვახერხებ ვარჯიშს. თუ კარგი ამინდია – აივანზე, ხოლო ზამთარში – ჩემს ოთახში ან აბაზანაში. ახლა უკვე კარგი ამინდებია და აივანზე გავალ ან ეზოში ვირბენ.

**– წარმოიდგინე, საქართველოში პაპარაცები რომ იყვნენ, რამდენ ფოტოს გადაგიღებდნენ აივანზე ვარჯიშის დროს.**

– სხვათა შორის, დედაჩემს ხშირად უთქვამს, შემოდი სირცხვილიაო.

**– შენ ისეთი საყვარელი ხარ, ვარჯიშის დროსაც კარგი სანახავი იქნები.**

– არავის არ ჯერა, რომ ვვარჯიშობ. მაინცდამაინც კუნთები უნდა მქონდეს?!

**– რაც შეეხება გეგმებს?**

– თეატრში ახალი სპექტაკლი უნდა დაიდგას, მაგრამ, წინასწარ არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი. სატელევიზიო სფეროში მაქვს პაუზა, რასაც მართლა არ განვიცდი. ეს კარგიც არის, რადგან, რაღაც უნდა დაგროვდეს, უნდა მომწიფდეს და ახალი სათქმელი გაგიჩნდეს. პაუზასაც თავისი პლუსი აქვს. სიმართლე გითხრა, ამ ეტაპზე არც მინდა მონაწილეობა მივიღო სიტუაციურ კომედიაში. სიამოვნებით ვითამაშებდი დეტექტიურ ან სერიოზულ ცხოვრებისეულ სერიალში. თუ იქნება, სიამოვნებით მივალ ქასთინგზე. ძალიან ბევრი და კარგი იყო ჩემს ცხოვრებაში – ასე ვთქვათ, „გასაცინარი" სერიალები. „გაგვაცინე, თამუნა" – აღარ მინდა ***(იცინის)...***

**მარიკა ხიდურელი**

# ვინ გაიტაცა 15 მილიონი მანეთის ღირებულების ქურდული „ობშჩიაკის ენზე“

### ისტორიული „სხოდკა“

1969 წლის 2 მაისს, მოსკოვში, ძველ არბატზე მდებარე ერთ-ერთ ქურდულ „მალინაში“ ოცი ძალიან ცნობილი საბჭოთა კანონიერი ქურდი შეიკრიბა საგანგებო „სხოდკაზე“, რომელიც ვახტანგ ანდრონიკოვის (ანდრონიკაშვილი), მეტსახელად „ქოჩორას“ მიერ იყო ორგანიზებული. 60 წლის ქოჩორა, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ქურდი იყო საბჭოთა კავშირში და მან კოლეგებს ცენტრალიზებული ქურდული მმართველობისა და ეგრეთ წოდებული, „დიდი, საიდუმლო ობშჩიაკის“ შექმნა შესთავაზა. მან განუმარტა ქურდებს, რომ ერთიანი მმართველობა მათი სამყაროს გასამყარებლად იყო საჭირო, რომ იქ შემთხვევითი ხალხი არ მოხვედრილიყო. „საიდუმლო ენზე“ კი, ყველაზე უკიდურესი შემთხვევისთვის უნდა გახსნილიყო და ქურდული სამყაროს აღორძინებას (თუკი მას კრიზისი დაუდგებოდა) მოხმარებოდა. ქოჩორამ მმართველობის ძალიან მარტივი სისტემა შესთავაზა კოლეგებს და თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკაში ერთი „მაყურებლის“ დანიშვნა ურჩია, რაც ერთხმად მიიღეს და თხუთმეტ საბჭოთა რესპუბლიკაში თხუთმეტი მაყურებელი დანიშნეს. „ენზეში“ (ხელშეუხებელი მარაგი) კი, თითოეული რესპუბლიკიდან „ქურდულ ობშჩიაკში“ გამოგზავნილი წილიდან ათი პროცენტი უნდა შეეტანათ. იქ მხოლოდ ძვირფასეულობა უნდა შეენახათ, რადგან, ქოჩორას აზრით, ფული შეიძლება, შეცვლილიყო და მას ფასი აღარ ექნებოდა. შეიქმნა მმართველობის ხუთკაციანი საბჭო, რომელსაც ქოჩორა ხელმძღვანელობდა. „ენზეს“ კურატორად კი ცნობილი რუსი ქურდი პავლე ორლოვი, მეტსახელად „კორონა“ დანიშნეს. დაადგინეს, ეგრეთ წოდებული „ზაგაჟნიკის“ (შესანახი ადგილი) ადგილმდებარეობაც, რომელიც მოსკოვში, ძველ არბატზე, იმავე სახლის სარდაფში მოაწყვეს. შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ოცივე ქურდს ერთად უნდა მიეღო და ერთიც რომ ჰკლებოდათ, მას ძალა არ ექნებოდა.

### საიდუმლო პატაკი

ისტორიული „სხოდკიდან“ ორი დღის შემდეგ, ანუ 1969 წლის 4 მაისს, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელი, პოლკოვნიკი ნოდარ გიორგაძე, ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში აგენტ „კურატორს“ შეხვდა, რომელმაც გიორგაძეს ქურდული „სხოდკის“ შესახებ დეტალური, საიდუმლო პატაკი ჩააბარა ზეპირად.

– ქოჩორას არ უყურებ? მომინდომა „კოზა ნოსტრა“ და ქურდული ბანკი, – გაეცინა გიორგაძეს.

– რა მითითებები გექნებათ, ამხანაგო პოლკოვნიკო, რა გავაკეთო? – ჰკითხა აგენტმა „კურატორმა“ თავის უშუალო უფროსს.

– ჯერჯერობით, ახალი არაფერი. იმოქმედე შემუშავებული გეგმის მიხედვით. ინფორმაციები მეორე არხით მომაწოდე, – მიუგო გიორგაძემ თავის აგენტს... – ქურდული ბანკი. ჰმ, ჭკვიანური მოფიქრებაა. წლების განმავლობაში იქ შეიძლება, იმდენი ქონება დაგროვდეს, რაც ნამდვილ ბანკებშია.

ნოდარ გიორგაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში აგენტურული ქსელის კურატორი იყო. აგენტი „კურატორი“ კი – მისი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი თანამშრომელი. ის ნოდარმა



ჯერ კიდევ ათი წლის წინ ჩანერგა ქურდულ სამყაროში და მისგან უმნიშვნელოვანეს ინფორმაციებს იღებდა. „კურატორის“ ნამდვილი ვინაობა მხოლოდ ნოდარმა იცოდა. მართალია, „კურატორის“ დაშიფრული მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ინახებოდა, მაგრამ მათი გაშიფვრა გიორგაძის გარეშე ძალიან რთული იყო.

### გამქრალი „ობშჩიაკი“

ქოჩორას მიერ შექმნილმა „ქურდულმა ენზემ“ ძალიან მალე დაიწყო შევსება და ძველ არბატზე მდებარე, ქურდული, კონსპირაციული ბინის საიდუმლო სარდაფის უზარმაზარი სეიფი მოპარული და სხვა კრიმინალური საქმიანობის შედეგად მოპოვებული ძვირფასეულობებით ივსებოდა. პავლე ორლოვი, იგივე „კორონა“, თავის უზარმაზარ, საიდუმლო-საბუღალტრო ჟურნალში საგულდაგულო ჩანაწერებს აკეთებდა თითოეული შენატანის შესახებ. ოცეულის „სხოდკები“ ყოველ სამ თვეში ერთხელ იმართებოდა და სხვა საკითხებთან ერთად, კორონა თავის კოლეგებს „ობშჩიაკის“ რაოდენობასა და ქონების ზუსტ ღირებულებას აცნობებდა ხოლმე. სულ რაღაც ორი წლის შემდეგ, ტრადიციულ „სხოდკაზე“ კორონამ ქურდებს აუწყა, რომ „ქურდული ენზეს“ ქონებამ თხუთმეტი მილიონი მანეთი შეადგინა, რაც იმ პერიოდისთვის ფანტასტიკური თანხა იყო. ქურდების პარალელურად, საქმის კურსში იყო გიორგაძეც, რომელსაც აგენტი „კურატორი“ სრულ ინფორმაციას აწვდიდა.

**„კორონამ“ რომ დაცარიელებული სეიფი ნახა, გული გაუსკდა და ადგილზე გარდაიცვალა**

– ორ წელიწადში თხუთმეტი მილიონი, თანაც ეს ხომ მხოლოდ ათი პროცენტია. ჰმ, ქურდული იმპერია ყვავის. ჩვენ, მილიცია კი პირდაღებული ვუყურებთ, როგორ იძარცვება ქვეყანა და მისი მოქალაქეები, – თქვა გიორგაძემ, როდესაც „კურატორის“ მორიგი ინფორმაცია მოისმინა.

– ამხანაგო პოლკოვნიკო, დრო ხომ არაა, ამ „ქურდულ ბანკს“ დავეცეთ და ექსპროპრიაცია მოვახდინოთ? – უთხრა „კურატორმა“ გიორგაძეს.

– არავითარ შემთხვევაში. მაშინ ქურდებზე კონტროლს დავკარგავთ. სეიფს კი, აბა, ვინ ახლებს ხელს... შეივსოს. „დაცემასა“ და ექსპროპრიაციას ყოველთვის მოვასწრებთ.

– ამხანაგო პოლკოვნიკო, რომ გავიშიფრო, მაშინაც ხომ დავკარგავთ კონტროლს ქურდებზე? – ჰკითხა „კურატორმა“ გიორგაძეს, რითაც პოლკოვნიკი ძალიან განაცვიფრა. მან თავის აგენტს მიუგო:

– რატომ მეკითხები, შენზე ეჭვი მოიტანეს?

– არა.

– აბა, რაშია საქმე?

– გარედან რომ გავიშიფრო.

– გამორიცხულია. შენ შესახებ მხოლოდ მე ვიცი და მეტი არავინ. შენზე მხოლოდ დაშიფრული მონაცემები დევს სამინისტროში. დამცავი შიფრი კი მე მაქვს. ამიტომ, სისულელეებზე ფიქრს თავი დაანებე.

ამ საუბრიდან სამი თვის შემდეგ, მილიციის პოლკოვნიკი ნოდარ გიორგაძე საავტომობილო ავარიაში დაიღუპა. მისი დაღუპვიდან ერთი თვის შემდეგ კი ძველი არბატის სარდაფში მდებარე ქურდული სეიფიდან ოცი მილიონი მანეთის ძვირფასეულობა გაქრა. კორონამ ცარიელი სეიფი რომ აღმოაჩინა, გული გაუსკდა. ქურდულმა სამყარომ კი „კრისის“ ძებნა დაიწო.

### აგენტი „კურატორი“

საკავშირო ქურდული „ობშჩიაკის ენზე“ 1971 წლის 27 ივლისს გაქრა. ორი დღის შემდეგ კი, ანუ 29 ივლისს სასწრაფოდ „სხოდკა“ შეიკრიბა, რომელზეც ქოჩორამ „ენზეს“ დაკარგვის ამბავი შეატყობინა კოლეგებს.

– კორონა გამოირიცხა. მას გული გაუსკდა და „კრისა“ ჩვენში უნდა ვეძებოთ. მხოლოდ ჩვენ ოცმა ვიცოდით ამ ყველაფერის შესახებ და შევთანხმდით, რომ არავისთვის არაფერი გვეთქვა. ამიტომ ვამბობ, რომ „კრისა“ ჩვენ შორისაა და ადრე თუ გვიან, ის თავის თავს აუცილებლად გაამჟღავნებს.

სახელოვან ქურდს დანარჩენი თვრამეტიც დაეთანხმა და „სხოდკა“ დაიშალა. „ობშჩიაკის“ გამტაცებლის ძებნას კი მთელი ქურდული სამყარო აწარმოებდა, მაგრამ უშედეგოდ. ქოჩორა, მართალია, უმწიკვლო ქურდი იყო, მაგრამ „კრისის“ მოსაძებნად ის ქურდული კანონის დარღვევაზეც წავიდა და პოლკოვნიკ იური კანარეიკინს შეხვდა. ის საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ გიორგაძის ადგილზე დაინიშნა. ქოჩორა მას ჯერ კიდევ ოცი წლის წინ იცნობდა. მაშინ კანარეიკინმა ახალგაზრდა ქოჩორა ბრილიანტის სამკაულის ქურდობისთვის პირველად დააპატიმრა.

– გატყობ, მართლაც ძალიან სერიოზული საქმე გაქვს, თორემ ქურდულ კანონს არ დაარღვევდი და ძაღლს კონსპირაციულად არ შეხვდებოდი, – უთხრა იური კანარეიკინმა ქოჩორას, – აბა, თქვი, ქოჩორ, რატომ დამიბარე?

ქოჩორა დაწვრილებით მოუყვა პოლკოვნიკს ქურდული „ენზეს“ შესახებ და უთხრა:

– იური გავრილოვიჩ, ბევრი ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, ჩვენს ოცეულში თქვენი აგენტი იყო ჩანერგილი და „ენზეც“ სწორედ მან წაიღო. როგორც ეტყობა, თქვენს აგენტს მისი გადამბირებელი დაეხმარა და ჩვენი ქონება ორმა გაინაწილა. ასეთი დამპლები კი არც მილიციას არგებს და არც ჩვენ, ქურდებს. ამიტომ, გთავაზობ „კრისა“ გამიშიფრო და ჩვენი „ენზეს“ ნახევარი შენი იყოს. იქ, მინიმუმ, თხუთმეტი მილიონი მანეთის ქონებაა.

იური კანარეიკინმა დაუსტვინა და თქვა:

– მეფური წინადადებაა. დამაცადე, თავში რაღაც-რაღაცეები დავალაგო.

– მაინც რამდენი ხანი დაგჭირდება?

– ახლავე. აქვე, – მიუგო პოლკოვნიკმა ქურდს. ხელით ანიშნა, დამაცადეო და ოთახში სიარულს მოჰყვა. ათიოდე წუთის მერე კი ქოჩორას უთხრა:

– მოკლედ, ასეა. ის, ვინც აგენტურასთან მუშაობდა, ამ ერთი თვის წინ ავარიაში დაიღუპა. მის ადგილზე ახლა მე ვარ, მაგრამ მის აგენტებზე წარმოდგენა არ მაქვს. სამინისტროში ამ აგენტებზე არსებობს დაშიფრული ინფორმაცია, მაგრამ შიფრის გასაღები მხოლოდ ჩემმა წინამორბედმა იცოდა. მე ყოველმხრივ შევეცდები მის გაშიფვრას. ასე რომ, ჩემო კარგო, მთელი თქვენი „ენზე“ ერთმა კაცმა წაიღო. თქვენთვის ის ქურდია, სინამდვილეში კი – ჩვენი აგენტი. თუმცა, მან კარგად იცის, რომ ის გაუშიფრავია. ამიტომ, შენს არც ერთ კოლეგას არაფერი უთხრა და ჩემს სიგნალს დაელოდე.

პოლკოვნიკი იური გავრილის ძე კანარეიკინი აგენტის, მეტსახელად „კურატორის“ ვინაობის დადგენას შეუდგა. თუმცა, თავად აგენტმა იგრძნო საფრთხე და 1971 წლის 20 ნოემბერს ცნობილი კანონიერი ქურდი, წარმოშობით ერევნელი არამ გევორქიანი, მეტსახელად „კეხიანი“, მოულოდნელად მოსკოვიდან გაქრა. შემდეგ კი გაირკვა, რომ მან ჯერ თურქეთში მოახერხა გადასვლა, იქიდან კი ამერიკის კონტინენტზე.

„კეხიანი“, იგივე „კურატორი“, მართლაც მილიციის მიერ შეგზავნილი აგენტი აღმოჩნდა და ეს საიდუმლო დოკუმენტები 2007 წელს გამოქვეყნდა რუსულ პრესაში. სავარაუდოდ, არამ გევორქიანმა გაიტაცა 15 მილიონი ღირებულების ძვირფასეულობა და როგორც იმავე წყაროებმა აღნიშნეს, ის არგენტინაში გარდაიცვალა 1999 წელს. მას იქ ვაჟი ჰყავს, რომელიც ხილის ბიზნესს აწარმოებს.

**ნიკა ლაშაური**

# ფიზკულტურის ყოფილი მასწავლებელი მეგობრის არასრულწლოვან შვილს გარყვნილ ქმედებებს აიძულებდა

46 წლის მურმან ჭ-ძე სამართალდამცველებმა გარყვნილი ქმედების ფაქტზე დააკავეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იმის მიუხედავად, რომ მამაკაცის დაკავება ფაქტზე მოხდა და დაზარალებული არასრულწლოვანი გოგონა მას გარყვნილ ქმედებაში ამხელდა, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს უარყოფდა. ოპერატიული ინფორმაცია ამ დანაშაულის შესახებ პოლიციაში ანონიმური ზარით შევიდა. ქალბატონმა, რომელმაც თავი არასრულწლოვანი მარი ბ-ელის გულშემატკივრად წარადგინა, განაცხადა, რომ, მისი ინფორმაციით, მამაკაცს 13 წლის გოგონასთან ინტიმური კავშირი ჰქონდა.

13 წლის მარი ბ-ელი სოციალურად დაუცველ ოჯახში იყო გაზრდილი. ბავშვობიდან ობლად დარჩენილ გოგონას მხოლოდ მოხუცი ბებია ჰყავდა, რომელიც შვილიშვილს უკიდურესი გაჭირვებით ზრდიდა. მურმან ჭ-ძე გოგონას სკოლიდან იცნობდა, სადაც თავად ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა, მაგრამ, ბავშვებთან არასათანადო მოპყრობის გამო, სამსახურიდან გაათავისუფლეს. მარი ბ-ელს, რომელიც საკმაოდ თამამი ქცევებით გამოირჩეოდა, მურმან ჭ-ძე სხვა მხრივაც იცნობდა – გოგონას, გარდაცვლილი მამა მისი თანაკლასელი იყო და მასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, მურმან ჭ-ძემ გოგონასთან ინტიმური კავშირი პირველად ამბის გამოაშკარავებამდე ერთი თვით ადრე დაამყარა.

> **მოძალადე მამაკაცი გარყვნილი ქმედების საფასურად გოგონას 10 ლარს აძლევდა**

ამონაწერი მარი ბ-ელის ჩვენებიდან: „მურმან ჭ-ძეს არ ვიცნობდი. პირველად მაშინ ვნახე, როცა მეგობართან სტუმრად მიმავალს მანქანა გამიჩერა და გაყვანა შემომთავაზა. მანქანაში არ ვუჯდებოდი, მაგრამ, როცა მითხრა, შენს სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლი ვიყავი და მე კარგად გიცნობო, წაყვანაზე დავთანხმდი. მერე მეც გამახსენდა ეს კაცი, რომელიც ჩვენს სკოლაში მაშინ მუშაობდა, როცა მე მესამე კლასში ვიყავი და ერთიორჯერ მან ჩაგვიტარა ფიზკულტურის გაკვეთილი. მანქანაში უკან ჩავჯექი, რაზეც მითხრა: შენ რა მორიდებული გოგო ყოფილხარ, წინ რატომ არ ჯდებიო. შემრცხვა და წინ გადავჯექი. მოკლე ქვედაბოლო მეცვა, რის გამოც მორიდებულად ვიჯექი. მურმანმა რამდენჯერმე ხელი გამოაპარა ჩემი ფეხებისკენ. ჯერ მეგონა, რომ შემთხვევით მოუვიდა, შემდეგ კი მივხვდი, რომ ამას განგებ აკეთებდა. ის შორი გზით წავიდა, გამომკითხა, როგორ ვცხოვრობდი ბებიასთან ერთად, მყავდა თუ არა შეყვარებული. სანამ ჩემი მეგობრის სახლთან მიმიყვანდა, გზად მიტოვებული პარკის ტერიტორია უნდა გაგვევლო. მურმანმა მანქანა იქ გააჩერა და მოფერება დამიწყო. მე გავუძალიანდი, მაგრამ, ფიზიკურად ვერ გავუმკლავდი. მურმანმა მანქანაში მითხრა, ხანდახან შემხვდი და, ფულსაც გაჩუქებ და ტანსაცმელსაც გიყიდიო. მე შეშინებული ჩამოვხტი მეგობრის სახლთან, მაგრამ, ორი დღის შემდეგ მურმანი კიდევ შემხვდა. მეორედ უკვე მოტყუებით ჩამისვა მანქანაში და იგივე გაიმეორა, რაც ჩვენი პირველი შეხვედრის დროს".

გოგონას დაკითხვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მან 13 წლის მოზარდს სქესობრივი კავშირის დამყარება შესთავაზა.

როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, ამის შემდეგ მოძალადე მამაკაცი გოგონას სახლთან რამდენჯერმე ჩაუსაფრდა და, გარდა იმისა, რომ მანქანით წაყვან-წამოყვანას სთავაზობდა, ორჯერ ფულიც აჩუქა.

ამონაწერი დაზარალებულის ჩვენებიდან: „ერთხელ ათი ლარი მაჩუქა, მეორედაც ათლარიანი ჩამიდო ჯიბეში. მურმანი ხან მემუქრებოდა – ამაზე არავისთან არაფერი მოყვე, თორემ, ორივეს ციხეში გამოგვამწყვდევენო, ხან კი მეხვეწებოდა, არავის არ უთხრა რასაც ვაკეთებთ, მხოლოდ მოფერების საშუალება მომეციო."

გაჭირვებული გოგონა მამაკაცს, რომელიც მას გარყვნილ სექსუალურ მომსახურებას სთხოვდა, ფულს ართმევდა. სამი შეხვედრის შემდეგ მარი ბ-ელმა ამ ამბის შესახებ მეგობარს გაანდო, რომელმაც ეს ყველაფერი დედას უამბო. სწორედ ამ ქალბატონის ანონიმური ზარის შედეგად მოხდა მოძალადე მამაკაცის აყვანა დანაშაულის ჩადენის დროს. ქალბატონმა იცოდა ის ადგილი, სადაც მურმან ჭ-ძეს მარი ბ-ელი დაჰყავდა – ამის შესახებ ის შვილისგან იყო ინფორმირებული.

როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, მურმან ჭ-ძე გარყვნილ ქმედებაში მაშინაც იყო შემჩნეული, როცა ის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. ამის შესახებ გამოძიებას ინფორმაცია მისმა ყოფილმა კოლეგებმა მიაწოდეს. მათი განცხადებით, ოთხი შვილის მამას აშკარად ატყობდნენ, რომ სექსუალური გადახრები ჰქონდა და ამას არც მოზარდებთან მალავდა. ერთ-ერთი პედაგოგის განცხადებით, სკოლის დირექტორმა მურმან ჭ-ძეს გაკვეთილების შემდეგ ფიზკულტურის დარბაზში საეჭვო ვითარებაში შეუსწრო მეხუთეკლასელ გოგონასთან, რის შემდეგაც დირექტორმა ფიზკულტურის მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვა. „როგორც ხმა გამოვიდა, მურმანი დიდხანს ეხვეწებოდა დირექტორს, რომ ეს ამბავი არ გაეხმაურებინა და პოლიციამდე არ მიეტანა," – განაცხადა პედაგოგმა გამოძიებასთან. სკოლის შემდეგ მურმან ჭ-ძემ მუშაობა საბავშვო ბაღის დარაჯად დაიწყო, თუმცა, ძალიან მალე, გაურკვეველი მიზეზით, მას სამსახური დაატოვებინეს. მამაკაცს რაიონში ცუდი რეპუტაცია ჰქონდა, ყველა ეჭვობდა, რომ ყოფილი მასწავლებელი სექსუალური მოძალადე იყო და შვილის ტოლ ბავშვებზე ძალადობდა. მისი უფროსი შვილის ტოლი იყო მარიამ ბ-ელიც, რომელიც მამაკაცის ბოლო მსხვერპლი გახდა. დაზარალებული გოგონას დაკითხვა ფსიქოლოგისა და პედაგოგის თანხლებით მოხდა. როგორც მარი ბ-ელი სამართალდამცველებთან აცხადებდა, მამაკაცს ერთი თვის განმავლობაში დაჰყავდა ის წინასწარ შერჩეულ ადგილას და მას გარყვნილ ქმედებებს აიძულებდა. გოგონას განცხადებით, ფულს იმიტომ ვართმევდი, რომ ბებიასთვის საჭმელი და წამალი მიმეტანა. არც კი ვიცოდი, ამ ურთიერთობას ბოლოს რა მოჰყვებოდაო.

სასამართლო პროცესზე გარყვნილი ქმედების ბრალდებით დაკავებულმა ოთხი შვილის მამამ ჩადენილი დანაშაული აღიარა. მისი დაცვა სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატს დაევალა, თუმცა ყველა მტკიცებულება მამაკაცის სექსუალურ გადახრებზე და მის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე მეტყველებდა, რის გამოც მას დასაცავიც არაფერი ჰქონდა. სასამართლომ არ გაიზიარა განსასჯელის აღიარებითი ჩვენება და თხოვნა, არ დაესაჯათ ის როგორც ოთხი მცირეწლოვანი შვილის მამა და ჩადენილი დანაშაულისთვის მურმან ჭ-ძეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 28 აპრილი

1220 – დაიწყო ინგლისში ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ტაძრის – სოლსბერის საკათედრო ტაძრის მშენებლობა.

1920 – წითელმა არმიამ აიღო ქალაქი ბაქო. მოხდა აზერბაიჯანის გასაბჭოება.

1923 – ლონდონში გაიხსნა „უემბლის" სტადიონი.

### 29 აპრილი

1913 – შვედმა გიდეონ სუინდბეკმა გამოიგონა ელვა-შესაკრავი.

1933 – საფეხბურთო მოედანზე პირველად გამოვიდნენ ფეხბურთელები ზურგზე დაწერილი ნომრებით.

1993 – ლონდონში ტურისტებისთვის გაიხსნა ბუკინგემის სასახლე.

### 30 აპრილი

1722 – ერთ-ერთ ლონდონურ გაზეთში პირველადაა მოხსენიებული თამაში – ბილიარდი.

1789 – ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი გახდა ჯორჯ ვაშინგტონი.

1945 – ადოლფ ჰიტლერისა და ევა ბრაუნის თვითმკვლელობა ბერლინის ბუნკერში.

1975 – ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამი გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ.

### 1 მაისი

1840 – ინგლისში გამოჩნდა მსოფლიოში პირველი საფოსტო მარკები, მათზე გამოსახული იყო დედოფალი ვიქტორია.

1851 – ლონდონში გაიხსნა პირველი მსოფლიო გამოფენა. დღეს ასეთ გამოფენებს „ექსპო" ეწოდება.

1978 – იაპონელი ნაომი უნემურა გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც მარტომ მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს.

### 2 მაისი

1885 – კონგო გახდა ბელგიის კოლონია.

1902 – პარიზში ეკრანებზე გამოვიდა პირველი ფანტასტიკური ჟანრის ფილმი – „მოგზაურობა მთვარეზე" (რეჟისორი ჟორჟ მელიე).

1933 – გერმანიაში აკრძალეს ყველანაირი პროფკავშირი.

1952 – მოხდა პირველი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავის გაფრენა, რეისით: ლონდონი-იოჰანესბურგი.

1955 – ინდოეთში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც აიკრძალა მოსახლეობის კასტებად დაყოფა.

1963 – პირველად ბრიტანული ჰიტ-პარადის სათავეში მოექცა ჯგუფი „ბითლზი".

### 3 მაისი

1946 – იაპონიაში დაიწყო იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა საერთაშორისო სასამართლო პროცესი.

1972 – „უეფას" თასის პირველი მფლობელი გახდა ლონდონის „ტოტენჰემი".

### 4 მაისი

1626 – ინგლისელმა კოლონისტმა პიტერ მინიუიტმა ინდიელებისგან ძალიან იაფად შეიძინა კუნძული მანჰეტენი, სადაც ახლა ნიუიორკის ცენტრია.

1932 – დააპატიმრეს ცნობილი განგსტერი – ალ კაპონე.

2000 – კომპიუტერული ვირუსის – I LOVE YOUR-ის თავდასხმის შედეგად ასიათასობით კომპიუტერი გამოვიდა მწყობრიდან მთელ მსოფლიოში.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო კორდილინას?**

**პასუხი:** კორდილინას უყვარს ნათელი ადგილი, ამიტომ დადგით ძალიან ნათელ ადგილას. დღეში ორი-სამი საათი მწველ მზეში ყოფნასაც აიტანს. ზაფხულში ნიადაგი ტენიანი უნდა ჰქონდეს. თუ ზამთარში ტემპერატურა დაბალია, იშვიათად მორწყეთ და მიწა მხოლოდ ოდნავ დაატენიანეთ. ამ იოლად მოსავლელ მცენარეს მინიმალური ყურადღებაც ჰყოფნის. ძველი, დამჭკნარი და დაჭმუჭნილი ფოთლები მოაშორეთ. ზაფხულობით მიწა რეგულარულად გაანოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით, რათა ფოთლებმა ფერი შეინარჩუნოს. მცენარისთვის იდეალურია 18-24 გრადუსი ტემპერატურა, თუმცა, თითქმის ნულოვან ტემპერატურასაც გაუძლებს. კარგი იქნება, თუ ამ მცენარეს ზამთრის ბაღში გაზრდით – ასეთ ადგილას უკეთ გაიხარებს.

**კითხვა: რა პირობებში ვამყოფო კოდიუმი?**

**პასუხი:** ამ მცენარის მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს, თორემ, ფოთლები მოეჭმუჭნება. ზაფხულის სიცხეში ხშირად მორწყეთ. ამ დროს მიწა განსაკუთრებით ტენიანი სჭირდება. ამ სეზონზე მცენარე ბალანსირებული თხევადი სასუქით მორწყეთ. კოდიუმი მოარიდეთ სიმშრალეს. მისთვის საკმარისი იქნება ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი.

**კითხვა: რთულია თუ არა ოთახის პირობებში ცეროპეგიას გაზრდა?**

**პასუხი:** ეს მცენარე ჭირვეული არ არის. უყვარს მზე. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის პერიოდში ტენი სჭირდება, დროდადრო გამოშრობასაც იტანს. მრავლდება მომცრო ბოლქვებით, რომლებიც პერიოდულად ღეროებზე ვითარდება. პირდაპირი მზის შუქი არ მოაკლოთ, თორემ, მეჩხერი და ცუდი ფერის ფოთლები ექნება. ზამთარში მისთვის მინიმალური ტემპერატურა 8 გრადუსია, ხოლო ზაფხულში 18 გრადუსი. აქტიური ზრდის პერიოდში მიწა ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ, არა სველი. ზაფხულში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქით, ზამთარში კი ზედმეტად ნუ მორწყავთ. მცენარე საკიდ კალათაში ჩადეთ და მზიან ადგილას დაკიდეთ. ოთახის პირობებში ცეროპეგია ყვავილობს კიდეც. მას პატარა, მაგრამ გამოკვეთილი ყვავილები ორ საოცრად გრძელ, ნემსისებურ პარკუჭად იქცევა. მისი გახარება ძალიან იოლია და არც განსაკუთრებული პირობების შექმნას მოითხოვს.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ბინაში ზამიოკულკასის გახარება და აყვავება?**

**პასუხი:** ეს აფრიკული მცენარე ჩრდილში ყოფნას კარგად იტანს და ამიტომ ოთახის პირობებს ადვილად ეგუება. ის იოლად გასაზრდელია და არც განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. დროდადრო სიმშრალესაც იტანს, მაგრამ, შეიძლება, ფოთლები დასცვივდეს. თუმცა, თუ ჩამოვარდნილ ფოთოლს ტენიან მიწაზე დადებთ, დაფესვიანდება და ორ წელიწადში ახალი მცენარე გექნებათ. ის გაბნეულ შუქზე უკეთ იზრდება. ამ მცენარეს ბუნებრივ გარემოში მწვანე და თეთრი ყვავილები ამოსდის, მაგრამ, ოთახის პირობებში იშვიათად ყვავის.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შესაძლებელია თუ არა სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად იქნეს ცნობილი იურიდიული პირი და თუ შესაძლებელია, როგორ იღებს პროცესში იურიდიული პირი ანუ კომპანია მონაწილეობას?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი და სახელმწიფო. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული იურიდიული პირი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით, რომელსაც ენიჭება დაზარალებულის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის ფაქტს შედეგად მოჰყვა პირის გარდაცვალება, სისხლის სამართლის საქმეში ვინ შეიძლება იყოს ცნობილი დაზარალებულად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა უფლებებით სარგებლობს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად დაზარალებული?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ დაზარალებულს უფლება აქვს: იცოდეს ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების არსი; სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა; უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება; დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისთვის დროებით ჩამორთმეული თავისი კუთვნილი ქონება; მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა არსებითი სახის გარემოებები შეიძლება გახდეს საფუძველი, რის გამოც მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი ვერ მიიღებენ მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა თუ განხილვის პროცესში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ: კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული; ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე; არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი; ასევე, არსებობს რაიმე სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მათ ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: ავტომობილის შეძენა მინდა და როგორც გავარკვიე, ვაჭრებმაც არ იციან ზუსტად, ესა თუ ის მოდელი ვარიატორით არის აღჭურვილი თუ ავტომატური კოლოფით?**

**პასუხი**: სხვათა შორის, ძალიან ბევრი მძღოლია მსგავს ავტომობილს, როგორც „ავტომატიკას," ისე ყიდულობს და შეიძლება, ისე შეცვალოს კიდეც ის მანქანა, რომ ამას ვერც მიხვდეს. გარეგნულად ვერა, მაგრამ ეს იოლი გასარკვევია, თუ ავტომობილით გაივლით. მართვის ავტომატური კოლოფით აღჭურვილს ისეთი სისტემა აქვს, რომელიც სიჩქარეებს მძღოლის ნაცვლად ცვლის. შესაბამისად, სიჩქარიდან სიჩქარეში გადასვლა, ყოველთვის იგრძნობა. პატარა ბიძგი, რომელიც მანქანას სიჩქარეში ხელით გადართვის დროს ექნებოდა, ავტომატურსაც აქვს. მით უმეტეს, დაძვრის შემდეგ კარგად იგრძნობა მეორესა და მესამეში გადართვა. თუ ძალიან ბევრი გაზი მიეცით და ჩქარა იარეთ, შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც იგრძნობთ სიჩქარის გადართვას, რადგან ძრავა ხმას შეიცვლის. ვარიატორის შემთხვევაში, სიჩქარეების გადართვა საერთოდ არ იგრძნობა, რადგან ის ერთიდან მეორე სიჩქარეში, როგორც ტროლეიბუსი ისე გადადის. ეს სისტემა არ არის კბილანებით აღჭურვილი. ამ შემთხვევაში, სიჩქარის შეცვლა ხდება ორი კონუსური შკივით. ორი კონუსური ფორმის შკივზე ჯაჭვით ან ღვედით ხდება სიჩქარეების გადასვლა. ამის სიტყვით ახსნა ცოტა რთულია, მაგრამ იმდენად მარტივი და გენიალური კონსტრუქციაა, რომ ურთულესია მისი შეკეთება.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: რა შეიძლება იყოს ძრავას ბრუნების მომატების მიზეზი?**

**პასუხი**: მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ როგორც მინიმუმ, ორმოცდაათი-სამოცი პროცენტი ასეთ დროს „დამნაშავე" ძრავას შემშვებ კოლექტორში „დაუპატიჟებლად" მოხვედრილი ჰაერია. მოდი, გავერკვეთ, რას ნიშნავს ეს. შემშვებ კოლექტორს მრავალი სხვადასხვა ტიპის წვრილი თუ მსხვილი მილი უერთდება, მით უმეტეს, თანამედროვე ავტომობილებში. ეს მილები უზრუნველყოფს სხვადასხვა მოწყობილობების ერთმანეთთან შეთანხმებულ მოქმედებას. სპეციალური ხელსაწყოები ამ მილების გავლით, გაზის პედალზე ფეხის დაჭერისა და გაშვების დროს, ზუსტად ითვლის რაც ძრავამ ჰაერის ნაკადი შეისრუტა. მიზეზიც სწორედ რომელიმე ამ მილის დაზიანებაა. ძრავას სექტორში მაღალი ტემპერატურის გამო, დროთა განმავლობაში ეს მილები გამოშრება და მწყობრიდან გამოდის. ამიტომ, უპირველესად, გირჩევთ, ეს გადაამოწმოთ.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

მოამზადა
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

**კითხვა: ცხოველზე მუნის მკურნალობა თუ არის მიზანშეწონილი სახლის პირობებში? ანუ, შეიძლება თუ არა, ჩვენი მეთოდებით ვუმკურნალოთ?**

**პასუხი**: მუნის სახლში მკურნალობა არავითარ შემთხვევაში არ არის რეკომენდებული, რადგან, მკურნალობის სქემა აუცილებლად ექიმმა უნდა დანიშნოს და მისივე მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რადგან, აღნიშნული პრეპარატები გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობით და ახასიათებს მთელი რიგი უკუჩვენებებისა. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად სასურველია, ცხოველს ყოველწლიურად ჩაუტაროთ დერმატომიკოზების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია. უზრუნველყოთ ის სრულფასოვანი ბალანსირებული საკვებით, რომელიც მდიდარი იქნება ვიტამინებით; ასევე, მკაცრად დაიცვათ სანიტარული და ზოოჰიგიენური წესები მოვლა-შენახვისას და მოარიდოთ ისინი ქუჩის მაწანწალა ძაღლებთან და კატებთან კონტაქტს.

**კითხვა: ყველაზე ხშირად რომელ ცხოველებში იჩენს თავს ფილტვის კიბო და რითაა ეს გამოწვეული?**

**პასუხი**: ფილტვის კიბო ვითარდება უფრო ხშირად ასაკოვან ძაღლებში, რაც გამოწვეულია მეტასტაზების მოხვედრით ფილტვის ქსოვილში. მაგალითად, სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, ძაღლებში იშვიათად გვხვდება ფილტვის პირველადი სიმსივნეები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადება განეკუთვნება სასუნთქი სისტემის დაავადებათა ჯგუფს, მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხველა ითვლება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, კერძოთ გულის ქრონიკული უკმარისობის ერთ-ერთ სიმპტომად, რაც განპირობებულია სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში სისხლის შეგუბებით, რის ნიადაგზეც ვითარდება ფილტვების შეშუპება. ხველა შეიძლება მრავალი სერიოზული დაავადების მიზეზი იყოს, ამიტომ, აღნიშნული სიმპტომის შემჩნევის დროს აუცილებელია, რაც შეიძლება მალე მიიყვანოთ ძაღლი ვეტერინარს, რომელიც გამოარკვევს ხველის მიზეზს, დასვამს დიაგნოზს და დაუნიშნავს სათანადო მკურნალობას. ამ დროს თვითმკურნალობა ყოვლად მიუღებელია – ამან, შეიძლება, სავალალო შედეგი გამოიღოს.

**კითხვა: როგორ უჩნდებათ ძაღლებს კბილის ქვები? ნამდვილად არ მეგონა, რომ ცხოველებსაც ექნებოდათ ეს პრობლემები.**

**პასუხი**: კბილის ქვების წარმოქმნა ხდება ძირითადად ძაღლების სიცოცხლის მეორე ნახევარში. კბილის ქვა ვითარდება მხოლოდ კბილის მინანქარზე, რადგან, ლორწოვანი გარსი აქტიურად გამოყოფს სეკრეტს და სწრაფად ხდება მისი დაზიანებული ზედაპირის აღდგენა. ყველაზე ხშირად კბილის ქვები წარმოიქმნება კბილის წინა და უკანა ზედაპირზე, რაც განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ ზედაპირებს აქვს ნაკლები მექანიკური დატვირთვა. ის ბაქტერიები, რომლებიც ცხოვრობენ კბილების ზედაპირზე, მეტაბოლიზმის პროცესში გამოყოფენ მინერალურ და არაგაწოვად ნაერთებს, რომლებიც ფიქსირდებიან ცილოვან მატრიცებზე და იძენენ მყარ სტრუქტურას. რაც უფრო ხშირად და ბევრს ჭამს ცხოველი, მით უფრო მალე ვითარდება კბილის ქვები.

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**



იტალიური საჭმელი

აშშ-ს მდინარე და შტატი

გრიგოლ აბაშიძის რომანი

დიოგენეს ქალაქი

ყირგიზეთის ქალაქი

ორმაგის წინსართი

პარკოსანი

იაპონიის ქალაქი

ფილიას ფოგის მსახურ.

სახლი ქალაქგარეთ

(......) ტაილერი

შხამი

იბსენის დრამა / მარიფათი

ესპანელი მხატვარი

ბატკანი

ფიფას 1-ლი პრეზიდენტ. ჟიულ.....

სენაკის კურორტი

ქალაქი ბოლივიაში

ჩვენი არაბი ჭაბუკი

„ჟიზელის" კომპოზიტორი

ქაოსის შექმნა

ფეხბურთის მეფე

დიპლომატი / ბალზაკი

ხშირად ებრაელ ქალებს ჰქვიათ

კიდობანის მშენებელი

უიღბლო

ჩეხეთის ქალაქი

ბოლო მატჩი

პოეტური გამოცანა

ლიტ. კომისარი

პეტროვის კოლეგა

თიანეთის სოფელი

ფისო / ღმერთ. დედა ინდუიზმი

აზიის მდინარე

მიხოს ცოლი

იაპონ. კუნძული

მოგების ჯილდო

ცხოველი კერპი

კაცის ჩეხური სახელი

ჩვილს აქვს

ინდოეთის ქალაქი

ინერტული აირი

პატრისია

მაჯნუნის სატრფო

სამსონის სატრფო

ვენეციის ხიდი

ურიელი

ჩვენი ქალაქი

ძვირფ. ბეწვიანი

ნახატიანი ქვა

ავსტრალიის ტბა

I ს ქართლ. მეფე

ინგლ. თანხმობა

სახელარი

მთლად შიშველი

ლოცვის ლექსები

პარიზის მდინარე / მე-7 ნოტი

იტალ. მაფია / ჩვენი ტბა

ფულადი დახმარება

1-ლი მფრინავი

ვულკანური პროდუქტი

ძვ.ფინური ლექსი

ფრანგი მოქანდაკე

დას. აფრიკის სახელმწიფო

(.....) ჰეიერდალი

კანფეტი

ქსოვილის ზოლი

დარიც, ავდარიც

დიდი ფასის / ცხენის კიბე

დიდი ჯამი

ჩხიკვაძე

ხაიამის ლექსი

მე-11 ჩვენს ანბანში

ყველგან უნდა ეძებო

რუსი ქალების სახელი

ინდოეთის დედაქალაქი

შივას ცოლი ინდუიზმში

დიდი იტალიელი პოეტი

შალვა (........)

დათოს ცოლი

დას. ქართველთა ღმერთი

რელსი

ქალაქი საფრანგეთში

დახვეწილობა

ჰო, დიახ

თურქ. მაწონი

არაფატს ერქვა / ჯოხი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 1 | | | | | | | | | | | | |
| | 8 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 2 | 4 | 4 | | | 1 | 2 | 1 | 2 | | | | | |
| | 1 | 11 | 1 | 4 | 3 | 3 | 4 | 10 | 1 | 12 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 7 | 4 | 3 | 4 | 3 | 3 | 4 | 2 | 2 | 2 | 1 | |
| 14 | 4 | 6 | 8 | 4 | 3 | 3 | 4 | 8 | 6 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 6 | 8 | 4 | 3 | 3 | 4 | 8 | 6 | 4 | 1 | 9 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 |
| | | | | | 1 |
| | | | | | 18 |
| | | | | 1 | 1 |
| | | 1 | 7 | 7 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 3 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 |
| | 3 | 1 | 1 | 3 | 1 |
| | | 9 | 9 | 3 | 4 |
| | 3 | 1 | 1 | 1 | 8 |
| 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 9 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 3 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 4 | 1 | 1 | 4 | 1 |
| 2 | 6 | 1 | 2 | 6 | 1 |
| | 8 | 1 | 1 | 8 | 1 |
| 4 | 4 | 5 | 4 | 4 | 1 |
| | | 3 | 3 | 3 | 5 |
| | | | 3 | 13 | 3 |
| | | 4 | 4 | 4 | 4 |
| | | | | 8 | 8 |
| | | | | 6 | 6 |
| | | | | 4 | 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | 7 | 1 | | 3 | | 2 | 4 |
| 2 | | 5 | | 6 | | 9 | | |
| | 4 | | | | 9 | | 7 | 5 |
| 3 | 1 | 9 | 6 | 8 | | 2 | | |
| | | | 3 | | 4 | | 5 | 6 |
| 4 | 5 | 6 | | 7 | | 8 | | |
| | 7 | | 9 | 4 | 6 | 5 | 8 | 2 |
| 5 | | 2 | | 1 | | 4 | | |
| 9 | 8 | 4 | 5 | | 2 | 7 | 6 | 1 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | 5 | | 7 | | |
| | 9 | | 4 | | 8 | | 6 | 3 |
| 3 | | 2 | 7 | 6 | | 4 | | |
| | | | | | 2 | | 4 | 6 |
| 2 | 8 | 5 | | 7 | | 9 | | |
| | | | 9 | | 5 | | 8 | 7 |
| 1 | | 4 | | | | | | |
| | 2 | | 1 | | 6 | | 7 | 5 |
| | | | | 9 | 7 | | | |

# გაიცინე საკუთარ თავზე!

*თუ შეგიძლიათ, გაიცინოთ საკუთარ საქციელსა და ნაკლოვანებებზე, ესე იგი, პოზიტიური ადამიანი ბრძანდებით და ცხოვრებაც პოზიტიური გაქვთ. თვითირონია საკმაოდ დახვეწილი ხელოვნებაა და მხოლოდ ინტელექტუალურ ადამიანებს ხელეწიფებათ.*

*გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს და პასუხებიდან შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ვარიანტი.*

**1. მეგობრები გთხოვენ, დაასახელოთ თქვენი სამი ნაკლი:**

ა) გავერთობი და ვიხალისებ, რატომაც არა;

ბ) დავასახელებ, მაგრამ მეწყინება;

გ) ხუთს დავასახელებ, რა პრობლემაა.

**2. მეგობარი თავისი პარტნიორის ღირსებებს აქებს:**

ა) ჩუმად ვარ და მშურს;

ბ) გამაღიზიანებს მისი პათოსი;

გ) ვეტყვი, რომ გაუმართლა.

**3. რას ფიქრობთ, როცა რამე არ გამოგდით?**

ა) „ასეც ვიცოდი“;

ბ) „არ გამიმართლა“;

გ) „არა უშავს, კიდევ ვცდი და გამომივა“.

**4. თვითიუმორი გეხმარებათ იმაში, რომ...**

ა) შევნიღბო საკუთარი ნაკლოვანებები;

ბ) ადამიანებით მანიპულირება შევძლო;

გ) ყურადღება მივიპყრო.

**5. ადვილად გწყინთ?**

ა) დიახ, ძალიან;

ბ) ზომიერად მწყინს ის, რაც საწყენია;

გ) საერთოდ არა.

**6. ფოტოზე საშინლად გამოხვედით:**

ა) მომენტალურად დავხევ;



ბ) ახლობლებთან ერთად კარგად ვიცინებ და გავერთობი;

გ) ეგრევე გავასაჯაროვებ და ვიხალისებ.

**7. კოლეგა, მეგობარი ცუდად გაგეხუმრათ...**

ა) უარესად ვუპასუხებ, ვალში არ დავრჩები;

ბ) ვეცდები, ყურადღება არ მივაქციო;

გ) მერე რა მოხდა, არ არის პრობლემა.

**8. რას უნდა ფიქრობდეს ადამიანი საკუთარ თავზე?**

ა) „მგონი, ასატანი ვარ;"

ბ) „ძალიან საყვარელი ვარ;"

გ) „მე უნდა მიყვარდეს საკუთარი თავი."

**ნახეთ შედეგები**

***პასუხების უმრავლესობაა „ა“:*** *თქვენს თვითირონიას თვითგანადგურებამდე მიჰყავხართ. ან საკუთარ თავში არ ხართ დარწმუნებული, ან ზედმეტად ხართ დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე. აუცილებელია, დაინახოთ და დააფასოთ საკუთარი ღირსებები, რომლებიც ცოტა არ გექნებათ.*

***პასუხების უმრავლესობაა „ბ“:*** *მეტისმეტად სერიოზულად უყურებთ ცხოვრებას და საკუთარი თავისგანაც ზედმეტს მოითხოვთ. ირონია საერთოდ არ მოგწონთ და, მით უმეტეს, თვითირონია თქვენს თავმოყვარეობაზე ცუდად მოქმედებს. არადა, ცხოვრება ძალიან სასიამოვნოა, როცა მას იუმორით უყურებ.*

***პასუხებში ჭარბობს „გ“ ვარიანტი:*** *ფანტასტიკური იუმორის გრძნობა გაქვთ და საკუთარ თავს ისე ოსტატურად დასცინით, ყველა იხიბლება. რა უნდა გითხრათ, ასე განაგრძეთ!*

## აქლემები ძველ აღთქმაში – საეჭვო ფაქტია

თელ-ავივის მეცნიერებმა მოსეს ხუთი წიგნის ზოგიერთი პოსტულატი ეჭვის ქვეშ დააყენეს. საქმე ეხება აქლემებს, რომლებიც ჰყავდათ აბრაამს, იოსებსა და იაკობს. ებრაელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მოშინაურებული აქლემი პალესტინის ტერიტორიაზე მხოლოდ ჩვენს ერამდე მეცხრე საუკუნეში გაჩნდა, ანუ, ძალიან შორს არის იმ ეპოქისგან, როცა ბიბლიური პერსონაჟები ცხოვრობდნენ.

როგორ შეიძლება, ვენდოთ აქლემებსო, – აღშფოთდნენ ბიბლიის დამცველები. საქმე ისაა, რომ წერილობითი ვერსია მოსეს ხუთწიგნისა გაცილებით გვიან გაჩნდა და, შესაძლოა, მისმა დამწერებმა ეს პატარა ნიუანსი ვერ გაითვალისწინეს. აქლემები შესაძლოა, მათი ფანტაზიის ნაყოფია.

## ბარბაროსების განძი



გერმანია განთქმულია განძის მაძიებელთა რაოდენობით. ახლახან ქალაქ რიულცჰაიმის მიდამოებში ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების დიდი მარაგი აღმოაჩინეს. განძეული მეხუთე საუკუნით თარიღდება. საგანძური იშვიათი ნივთებითა და მონეტებით არის სავსე. ნაპოვნის საერთო ღირებულება 1 მილიონი ევროა. თუმცა, შეიძლება, აუქციონებზე მეტიც ღირდეს.

განძეული არქეოლოგებმა მიითვალეს შემდგომი კვლევების ჩასატარებლად. თავდაპირველი ვერსიის თანახმად, ყველა ეს ნივთი ეკუთვნოდა წარჩინებულ ადამიანს, თუმცა, რომელი ტომისას, სწორედ ეს დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. იმ პერიოდისთვის გერმანიის მიწაზე ბინადრობდნენ ალემანების, გოთებისა და კიდევ რამდენიმე ხალხის ტომობრივი გაერთიანებები. ახლა არქეოლოგები თავს იმაზე იმტვრევენ, კონკრეტულად რომელ კულტურას განეკუთვნება საგანძური, რომელშიც სკამისა და ლანგრის ნაწილებიც კია...

## სერიალების სამყაროში

***სერიალების ბუმია – უყურებს ყველა, თუმცა აღიარებენ ერთეულები. ასეა თუ ისე, საინტერესოა, სად არის გადაღებული ბევრისთვის საყვარელი სერიალები.***

დავიწყოთ თურქული **„დიდებული საუკუნით“** – თითქმის მთელი სერიალი გადაღებულია სტამბულში, თოფქაფის სასახლეში. იქვე გაკეთდა რამდენიმე პავილიონი და თქვენ წარმოიდგინეთ, ომის რამდენიმე ბატალური სცენის გადაღებაც კი მოხერხდა სასახლის ეზოში.

**„შერლოკი“** – დიდი ბრიტანეთი. „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლის“ თანამედროვე სატელევიზიო ვერსია. „შერლოკ ჰოლმსი, ბეიკერ-სთრითი 221B“ – ეს წარწერა მიამაგრეს სახლზე, რომელიც მდებარეობს ნორთ ჰოვერის ქუჩაზე, ლონდონის ცენტრში. პავილიონებიც იქვე, ამ სახლის ახლოს მდებარე საკმაოდ პოპულარულ კაფე „სპიდიში“ მოაწყვეს.

**„გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“** – ძველი და ბევრისთვის ლამის მშობლიური სერიალი. ყველამ იცის, რომ მოქმედება სერიალში გერმანიაში ხდება. გადაღებები კი ლატვიაში მიმდინარეობდა. შვეიცარიაც კი რიგის ერთ-ერთ ქუჩაზე – იაუნიელაზე მოაწყვეს. მაყურებელი, ბუნებრივია, ვერც ვერაფერს მიხვდა. დღეს იქ ბუმიკოტელი და ფეშენებელური რესტორანია გახსნილი.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# სიზმარში ჯობდა

## მანდიარგ დე ანდრე

ფლორინა ბრაზილიელებმა დაპატიჟეს წვეულებაზე. მოსაწვევი კომივოიაჟორმა მოუტანა და ფლორინა ძალიან გაახარა ამ ამბავმა. ესე იგი, სრულიად უცხო ადამიანებიც სცნობდნენ და აღიარებდნენ მის კეთილშობილ წარმომავლობას. მამამისმა ყველაფერი გააკეთა, რომ ქალიშვილს უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდა. თუმცა, ცოტა ძუნწი კი იყო, მაგრამ ფლორინას ეს არ აღელვებდა. მოვიდოდა დრო, როცა მამამისის მილიონების ერთადერთი განმკარგავი თავად იქნებოდა...

ფლორინას გაუკვირდა, რატომ მაინცდამაინც ამ ძველისძველ სახლში გადაწყდა წვეულების გამართვა? კიბე რკინის იყო და ისეთი ხვეული, იფიქრა, ეს კოშმარი არასოდეს დამთავრდებოდა. დაჟანგულ სახელურზე წითელი ლენტი გადაეხვიათ და საფეხურებიც წითელი ფარდაგით დაეფარათ. თუმცა, ცუდ განათებაში ამას დიდი ეფექტი არ ჰქონია. ფლორინას ძალიან ლამაზი კაბა ეცვა. მართლაც ლამაზი, თანაც ძვირფასი... ფორთოხლისფერი ატლასის და ნახევრად ძვირფასი ქვებით მოქარგული. ფეხსაცმელიც შესაფერისი შეარჩია – ოქროსფერი, წვრილ, გრაციოზულ ქუსლზე... და ამ ქუსლებით უსასრულო, ხვეულ კიბეზე ასვლა ძალიან უჭირდა... აქა-იქ, ბაქანზე მეზობლების ბინების კარი იღებოდა და იხურებოდა. ისინი წვეულებაზე არ მიიპატიჟეს და ახლა ცნობისმოყვარეობა ჰკლავდათ. ფლორინას პატივმოყვარეობა სრულიად იყო დაკმაყოფილებული... აბსოლუტურად უცნობმა ადამიანებმა დააფასეს... ბრაზილიელები – ცოტა უჩვეულოდ და ეგზოტიკურად ჟღერდა შუაგულ ამერიკაში, მაგრამ დენდი ყველგან დენდია, სადაც უნდა დაიბადოს და გაიზარდოს... ნეტავ, ის სიმპათიური ახალგაზრდა თუ იქნება იქ, რამდენიმე დღის წინ კაფეში რომ გაეცნო... არც ეს იყო გამორიცხული... მუსიკის ხმა, რომელიც აქამდე შორიდან ისმოდა, გაძლიერდა და თითქოს შუქიც გამოჩნდა... კიბე მაინც არ მთავრდებოდა. ფლორინას ფეხები დაუმძიმდა... თავბრუც დაეხვა და სიცივე იგრძნო... თითქოს საიდანღაც ქარმა დაუბერა... მერე ისევ მუსიკამ მიიპყრო მისი ყურადღება... ბრაზილიურს ნამდვილად არ ჰგავდა... ფლორინა ერთბაშად აღმოჩნდა გაღებულ კართან. აქეთ და იქით თეთრ ქურთუკებში გამოწყობილი მაჟორდომები იდგნენ და ქურთუკებს ოქროსფერი, მბრწყინავი ღილები უმშვენებდათ. მათ მდაბლად დაუკრეს ფლორინას თავი და თითქოს ხელიც გაუწოდეს პალტოს ჩამოსართმევად. ფლორინას პალტო არ ეცვა და... აქედან დაიწყო მისი იმედგაცრუებაც... მისაღები ოთახის მაგივრად ვიწრო გალერეაში აღმოჩნდა, რომელიც ორი პატარა ოთახის გაერთიანებით მიეღოთ და საკმაოდ უხეშად ჩანდა, შპალერშერჩენილი, დანგრეული კედლის ნარჩენები. ძირითადად, ქალები იყვნენ. რამდენიმე ცუდად ჩაცმული მამაკაცი იატაკზე მიყრილ პუფებზე იჯდა და რაღაც მყრალ ნახარშს სვამდა...



ეს აღარ იყო ბომონდური წვეულება. ფლორინა მოცეკვავეებს დააშტერდა. ქალები ერთმანეთთან ცეკვავდნენ... ერთმა ვულგარული გარეგნობის, თუმცა საკმაოდ ვნებიანმა ქალიშვილმა ფეხზე მაგრად დააბიჯა... მერე ცეკვა შესთავაზა. ფლორინას გაუკვირდა და იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ წვეულებამ იმედები გაუცრუა. ქალიშვილს ძალიან მაგარი მუცელი ჰქონდა და ფლორინას მჭიდროდ ეკვროდა. რიტმიც საშინელი იყო. თითქოს გადატრიალებულ ბიდონებზე აბრახუნებდნენ... ფლორინას არწევდა და ფეხქვეშ თითქოს მიწა ერყეოდა... და უცებ, კოშმარული გამოღვიძება: მთვარიანი ღამე და მდინარის ცივი ჰაერი... ფლორინა ახლაღა მიხვდა, რომ სიზმარი ნახა და ყველაფერი გაახსენდა. ანუ, გაახსენდა რეალობა, რომელშიც ის იმყოფებოდა... გაახსენდა სიმპათიური ბიჭი კაფედან. თავაზიანი გასაუბრება და მერე, აბსოლუტურად მოულოდნელი გატაცება. მთელი დღე, თავზე ტომარაჩამოცმულს, გამტაცებლები არ დაუნახავს. მხოლოდ წუთით გამოახედეს, რომ რაღაც წერილზე ხელი მოეწერა... როგორ მოუნდა, რომ ისევ დაეძინა და თუნდაც იმ საზიზღარ, სიზმრისეულ წვეულებაზე დაბრუნებულიყო. ხელფეხშეკრული და პირზე სკოჩგადაკრული ნავის ფსკერზე იწვა... ხელები ზურგზე ჰქონდა შეკრული. ნავი არცთუ თანაბრად ქანაობდა და დროდადრო ფლორინას მუხელბზე ეხეთქებოდა ქვიშით გატენილი პატარა ტომარა... ნიჩბების ხმაური თან ერთვოდა ქარის უცნაურ სტვენას და ფლორინას ახსენებდა, რომ აღარ ეძინა. თვალები დახუჭა... ტომარას მუცლით ცოტა უბიძგა, იმ იმედით, რომ ამ კოშმარული სიზმრიდან გამოვიდოდა, მაგრამ აშკარად არ ეძინა... სკოჩი მაინც რომ მოეხსნათ პირიდან, სთხოვდა, არ მოეკლათ... მამამ შეიძლება, შემთხვევით დააგვიანა გამოსასყიდი, მაგრამ გადაიხდიდა, აუცილებლად გადაიხდიდა. ფლორინამ არ იცოდა, რა თანხა ეწერა იმ წერილში და როგორ გაიქცა მამამისი პოლიციაში... ცარიელი ბიდონები და ყუთები, რომლებიც ასევე ნავში ეყარა, საზიზღარ ხმას გამოსცემდა... ის ორნი, რომლებიც ფლორინასგან ზურგით ისხდნენ, მდუმარედ მართავდნენ ნავს, მისკენ არც გამოუხედავთ.. ფლორინამ მეხსიერებას ძალა დაატანა და შეეცადა, გაეხსენებინა, როგორ მოიტაცეს... თუმცა, ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა... ფლორინამ თვალები მაგრად დახუჭა და ისევ გაახილა... არაფერი შეცვლილა... ის არც თავის რბილ და კომფორტულ საწოლში დაბრუნდა, არც იმ საზიზღარ წვეულებაზე... მხოლოდ იმ ორმა შეაჩერა ნიჩბების მოსმა. შემობრუნდნენ.... ერთი ნელა წამოდგა და ფლორინას მეორე მხრიდან მიუჯდა. ტომარა წელზე მიაბეს და მთვარის თეთრ შუქზე ფლორინამ დაინახა ორი აელვარებული დანა... მათი ბასრი პირები თითქმის ერთდროულად შეცურდა მის სხეულში. იმ ორს ქალიშვილისთვის არც ფეხები გაუხსნია, არც ხელები და პირიდანაც კი არ მოუხსნიათ სკოჩი. ამის საჭიროება არ იყო. როგორც ჩანს, ყველაფერზე წინასწარ შეთანხმდნენ. იმიტომ, რომ ერთი სიტყვაც კი არ წარმოუთქვამთ... ფლორინამ იგრძნო, როგორ შეაღწია ჰაერმა მის ნეკნებს შორის მარცხენა და მარჯვენა მხრიდან... ვერაფრის გაფიქრება ველარ მოასწრო... მხოლოდ გაუელვა – ყველაფერი დამთავრდა... მისი სხეული მძიმედ დაეშვა მდინარის ფსკერზე... დგაფუნის ხმა ქარის ყრუ გუგუნში ჩაიკარგა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**


**დავეხმაროთ 3 წლის ლიზი ყაველაშვილს უმძიმესი სენის დამარცხებაში!**



3 წლის ლიზი ყაველაშვილს ექიმებმა მცირე მენჯის ღრუს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც მის ჯამრთელობასა და სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

ლიზის სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია ისრაელში.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლიზის მძიმე გასაჭირი და ერთად ვიზრუნოთ მისი ლამაზი სიცოცხლის გადასარჩენად.

„მაგთი," „ბილაინი," „ჯეოსელი": 0901 70 00 84.
„საქართველოს ბანკი" GE40BG0000000774324900.

# ქალური შურისძიება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-16(695)**

ნანიტას ძალიან ეძინებოდა, მაგრამ, ისეთი დაძაბული იყო მთელი დღის განცდებისა და ნერვიულობისგან, თვალი ვერ მოხუჭა. მისი ფიქრი ისევ დიმიტრის, გუგას და თავის გადაწყვეტილებას დასტრიალებდა. მიუხედავად მომხდარისა, შინაგანად გრძნობდა, რომ ქმრის ბოლო სიტყვები და



საქციელი გულწრფელი იყო და სწორედ ამის შეგრძნება ურბილებდა მრისხანებას, რაც მაინცდამაინც არ მოსწონდა, რადგან, ეშინოდა, ამის გამო ბოლო მომენტში არ ეთქვა უარი თავის ჩანაფიქრზე და დამცირებულს არ გაეტარებინა დარჩენილი სიცოცხლე.

ნანიტა იწვა და თვალწინ დიმიტრის სახე ეხატებოდა – დამორცხვებული, შეწუხებული და სინანულის ბეჭედდასმული. რამდენიმე წამით დაავიწყდა კიდეც ის საშინელებები, რაც წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი ბოლო დღეებში გადაიტანა და გულიც კი აუჩქილდა, მაგრამ, უცებ დალურჯებულ ხელებზე დაიხედა და სისხლი მოაწვა სახეზე.

– ნამდვილი დებილი ვარ, – თქვა ხმამაღლა, რომ გულჩვილობა უკეთ დაეთრგუნა, – სულელი, იდიოტი, კრეტინი! ამ ყველაფრის შემდეგ მისმა თავის მოკატუნებამ ასე როგორ გამომათაყვანა? არა, ხვალვე თუ არ დავურეკე გუგას, შეიძლება, მერე უფრო გამიჭირდეს. დილითვე დაურეკავ! – უბრძანა საკუთარ თავს, თუმცა, მიხვდა, რომ ჯერჯერობით არ იყო მზად ყოფილ საქმროსთან დასალაპარაკებლად, მით უმეტეს – ასეთ თემაზე და, გადაწყვიტა, ხვალ, შედარებით დასვენებულსა და გონზე მოსულს მოეფიქრებინა მოქმედების ზუსტი გეგმა.

გადაქანცულმა და აფორიაქებულმა, რამდენიმე საათის მცდელობის შემდეგ ძლივს ჩათვლიმა ერთი-ორი საათით და ეს მცირე დროც კოშმარებში გაატარა, მაგრამ დილით მაინც შედარებით მოღონიერებულმა გაიღვიძა. მაშინვე აბაზანაში შევიდა და კარგა ხანს იდგა გრილი შხაპის ქვეშ. კარგად რომ გამოფხიზლდა, თმა გადაივარცხნა, ხალათი მოიცვა და სამზარეულოს მიაშურა – საშინლად მოუნდა მაგარი, უშაქრო ყავის დალევა, მაგრამ, სამზარეულოში რომ შევიდა, სახტად დარჩა – მაგიდა გაწყობილი იყო და დიმიტრი მონდომებული სახით ასხამდა ქაფქაფა ყავას ფინჯნებში. კარში გაჩერებული ცოლი რომ დაინახა, მორჩილად გაუღიმა და სუფრასთან მიიპატიჟა:

– მობრძანდით, ქალბატონო, ყველაფერი მზად არის!

დიმიტრი აშკარად ტყავიდან ძვრებოდა, რომ მაქსიმალურად დაენახვებინა ცოლისთვის მონდომება და სწორედ ამან გააღიზიანა ქალი. თითქოს განსაკუთრებული არც არაფერი უთქვამს, მაგრამ, ქმრის ერთგვარად თეატრალურმა მიპატიჟებამ ისე საშინლად გააღიზიანა, რომ არც მაგიდას მიუჯდა, არც მის დასხმულ ყავას შეხედა, თვითონ მოიდუღა ყავა, დაისხა და ყავიანად გავიდა სამზარეულოდან. გაოცებული დიმიტრი უკან გაჰყვა და ცოტა მლიქვნელური ღიმილით ჰკითხა:

– არ გშია? გემრიელი რაღაცეები მოგიმზადე.

– შენ რა, მზარეულობა გეხერხება? პირველად მესმის, – მისკენ არც კი გაუხედავს, ისე თქვა ნანიტამ, ყავა მოსვა და თან ტელევიზორის პულტი მოიმარჯვა.

– ჰო, – მორჩილად უპასუხა ქმარმა, – არ გაინტერესებს, ჩემი ნახელავი გასინჯო?

– არა, – ცივად თქვა ნანიტამ და ახლა მობილური ტელეფონი აიღო, ვითომ სადღაც აპირებდა დარეკვას. რატომღაც, ძალიან აღიზიანებდა ასეთი დამთმობი და მზრუნველი დიმიტრის დანახვა; იმ დონეზე აღიზიანებდა, რომ თავი ძლივს შეიკავა ცინიკური კომენტარისგან.

დიმიტრი რამდენიმე წუთს ჩუმად იდგა კარში და ელოდა, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ ნანიტა მასთან სიტყვიერ დაკონტაქტებასაც აღარ აპირებდა, უხმოდ გავიდა სამზარეულოში. ცოტა ხანში კი ისევ გამოაკითხა ცოლს და მხიარული სახით უთხრა:

– გინდა, ბავშვებს დავურეკავ და ყველანი ერთად ქალაქგარეთ გავიდეთ?

– ქალაქგარეთ რა გვინდა? – უემოციოდ ჰკითხა ქალმა.

– პიკნიკი მოვაწყოთ. გზაში სამწვადეს და რაღაცეებს ვიყიდი...

– არა, – სიტყვა შეაწყვეტინა ნანიტამ და ფინჯანი ჟურნალების მაგიდაზე დადგა. დიმიტრიმ მაშინვე აიღო და თვალებში შეხედა.

– სად მიგაქვს? – ჰკითხა გაოცებულმა ცოლმა.

– ბარემ ამასაც გავრეცხავ, – ლამის კუდი გაუქიცინა დიმიტრიმ და ერთგული ფინიასათვის შეაცქერდა თვალებში, – რამე ხომ არ გინდა, აქ გამოგიტანო?

– არა, – ისევ მოკლედ და ცივად მიუგდო ნანიტამ და მიხვდა, რომ ისტერიკამდე ბევრი აღარაფერი უკლდა და, კივილი რომ არ დაეწყო, არც კი შეუხედავს ქმრისთვის, ისე უთხრა: – გადი, მარტო მინდა ყოფნა.

დიმიტრი გავიდა. ნანიტამ შვებით ამოისუნთქა და თვალები დახუჭა. უცებ იგრძნო, რომ ეს ხელოვნური ურთიერთობა უფრო თრგუნავდა, ვიდრე ქმრის უხეშობა და უტიფრობა. შეიძლება, თავაზიან მოპყრობასა და მზრუნველობას რომ არ იყო მიჩვეული, ამიტომაც ემართებოდა ასე, მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, გრძნობდა, რომ ამას დიდხანს ველარ გაუძლებდა. მით უმეტეს, მალე საშობაო არდადეგები დაიწყებოდა, ბავშვები სულ სახლში იქნებოდნენ და მათი თანდასწრებით ველარ ითამაშებდა ბედნიერი ცოლის როლს, თან, არც ნუცასთვის და თორნიკესთვის იქნებოდა ჩვეულებრივი მოვლენა მამის ასეთი მეტამორფოზა, რასაც აუცილებლად შესაბამისი კომენტარით აღნიშნავდნენ, გა-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.............................

მარიკა 599 24 28 31

ნსაკუთრებით – თორნიკე.

ნანიტა იჯდა ჩართულ ტელევიზორთან, უაზროდ მიშტერებოდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, სახლიდან გასულიყო, მაგრამ, არც სიარულის თავი ჰქონდა და არც ვინმესთან ურთიერთობის ნერვები. ბოლოს გადაწყვიტა, ისევ დაწოლილიყო და ცოტა მაინც წაეძინა ბავშვების მოსვლამდე, ადგა კიდეც და ამ დროს მობილურმა დარეკა.

– გისმენთ! – ისე უპასუხა, ნომრისთვის არც კი დაუხედავს.

– როგორ ხარ? – შეშფოთებული ხმით ჰკითხა ელენემ, – ხომ არაფერი მომხდარა?

– არაფერი, – გაეცინა ნანიტას, – ცუციკივით დამდევს კუდში და მელაქუცება.

– ეგებ მართლა მიხვდა ყველაფერს და გამოსწორების გზას დაადგა? აცადე და დააკვირდი, იქნებ მართლა ნანობს და შეიცვალოს?

– აზრი არა აქვს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ეს გამოსწორებული და გაწესიერებული დიმიტრი კიდევ უფრო მაცოფებს და მაღიზიანებს.

– რატომ გაღიზიანებს? შენი ვერაფერი გამიგია.

– იმიტომ, რომ, სინამდვილეში, ეს დიმიტრი არ არის, უბრალოდ, ვიღაც სხვა კაცის როლს თამაშობს და, თან, საკმაოდ უნიჭოდ.

– ახლა შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. როცა დაგჭირდე, დამირეკე. რომელი საათიც არ უნდა იყოს, არ მოგერიდოს, გაიგე?

– გავიგე, – თქვა ნანიტამ და ტელეფონის გათიშვა დააპირა, მაგრამ ელენემ მოასწრო და ჰკითხა:

– ხომ არ გადაიფიქრე?

– პირიქით, – ნანიტა მიხვდა, რაზეც ეკითხებოდა დაქალი, – ახლა უფრო დავრწმუნდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში

– უკვე დაურეკე?! – აღელდა ელენე.

– ჯერ არა, მაგრამ, აუცილებლად დავურეკავ, – საკმაოდ მშვიდად უპასუხა ნანიტამ.

– იქნებ, გადაგედო მაინც? მანამდე კიდევ უფრო კარგად დაფიქრდები, – ბოლოჯერ გაიბრძოლა ელენემ.

– ელენე, შემეშვი, შენ მაინც ნუღარ მიშლი ნერვებს, – შეუტია ნანიტამ, – რომც ვიცოდე, რომ აუცილებლად ვინანებ, მაინც დავურეკავ. ახლა კი, არ გეწყინოს, უნდა გავთიშო.

– კარგი, დროებით, – ელენემ და ნანიტამ ერთდროულად გათიშეს ტელეფონები. ნანიტა საძინებელში შევიდა, ისევ გადაკეტა კარი, საწოლზე ჩაცმული წამოწვა და იმაზე დაიწყო ფიქრი, მართლა გამოუსწორებელ შეცდომას ხომ არ სჩადიოდა და, რაც მეტს ფიქრობდა, მით უკეთ ხვდებოდა, რომ, თუ ახლა, ამ წუთას არ დაურეკავდა გუგას, მერე ველარასოდეს შეძლებდა ამის გაკეთებას. ამიტომ სასწრაფოდ მოძებნა ფურცელი, რომელზეც მისი ტელეფონის ნომერი ეწერა.



– გისმენ! – პირველივე ზარის შემდეგ აილო გუგამ ყურმილი.

ნანიტა ისე აღელდა, ხმა ველარ ამოიღო.

– გისმენ, – გაიმეორა გუგამ.

– მე ვარ, – როგორც იქნა, გაბედა ქალმა.

– ვიცი, – გუგაც არანაკლებ ღელავდა, – არ მეგონა, ასე მალე თუ დამირეკავდი.

– არც მე, – უპასუხა ნანიტამ და გაჩუმდა.

– გისმენ, – გაიმეორა გუგამ. ეს უკვე სხვა რამის შეხსენება იყო. ნანიტამ იგრძნო ეს და ჯერ გაწითლდა, მერე კი საშინლად გაბრაზდა საკუთარ თავზე, მაგრამ, უკან დახევა აღარ უნდოდა.

– ამ საღამოს შენი ნახვა მინდა, – ქალი შეეცადა, თამამი და თავხედი ტონი ჰქონოდა, თუმცა, ვერ მიხვდა, გამოუვიდა თუ არა ეს.

– რომელ საათზე?

– შვიდზე.

– სად?

– სადმე კაფეში. შენ თვითონ ამოირჩიე.

– კარგი, მოვიფიქრებ და 7 საათამდე დაგირეკავ, – გუგა საკუთარ ყურებს არ უჯერებდა, ეგონა, სიზმარში ხედავდა ამ ყველაფერს.

ნანიტას მოულოდნელად რაღაცნაირი ბოროტი სიმშვიდე დაეუფლა, ოღონდ, ვერ მიხვდა, ეს გაბოროტება ვისგან იყო გამოწვეული: ქმრისგან, გუგასგან თუ საკუთარი თავისგან. აღარც ახსოვდა, მერამდენედ იგრძნო ამ ბოლო დღეების განმავლობაში, რომ არაადეკვატური რეაქციები ჰქონდა, მაგრამ, უკვე ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მთავარი ის იყო, რომ პირველი ნაბიჯი გადადგა, დანარჩენს კი სიტუაცია უკარნახებდა.

***

ემოციებით დაღლილ ნანიტას ჩაეძინა. ისე გაითიშა, სიზმარიც კი არ უნახავს, თითქოს ბანგი ჰქონდა დალეული.

დიმიტრი რამდენჯერმე ფეხაკრეფით მივიდა საძინებლის კართან და მიაყურადა – აინტერესებდა, რა ხდებოდა მის მიღმა. ფრთხილად მოსინჯა სახელური და, როცა დარწმუნდა, რომ კარი ისევ შიგნიდან იყო ჩაკეტილი, სამზარეულოში დაბრუნდა, – რატომლაც, იქ უფრო მშვიდად გრძნობდა თავს.

– ისევ ჩაკეტა, – ჩაილაპარაკა თავისთვის, – მაინც არ მენდობა, ეშინია, რომ ისევ შევუვარდები... – უცებ რაღაცნაირი წყენა იგრძნო, ცოლის უნდობლობით გამოწვეული წყენა და გული ეტკინა, რომ მის გულწრფელ მცდელობას ჯერჯერობით არანაირი შედეგი არ მოჰყვა. მერე გაიფიქრა, კარი ღია რომ დახვედროდა, თვითონ რას იზამდა, როგორ მოიქცეოდა. კარგა ხანს იფიქრა ამაზე და საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ ვერაფერსაც ვერ იზამდა – ვერ გაბედავდა შესვლას კი არა, ოთახში შეხედვასაც კი. იგრძნო, რომ ძველი რიხი და სითამამე აღარ ჰქონდა და ამ შეგრძნებამ გააღიზიანა. რაღაც მომენტში მასში ისევ გაიღვიძა ძველმა დიმიტრიმ – მრისხანებამ იფეთქა მის გონებაში, დაუმორჩილებლობით (და არა უნდობლობით) გამოწვეულმა მრისხანებამ, მაგრამ ეს აფეთქება წამიერი იყო – მაშინვე ჩაქრა და ჩაინავლა, როგორც უმწეო ალი დასველებულ ასანთის ღერზე. დიმიტრი უცებ მიხვდა, რომ ცოლისგან ბევრს ითხოვდა – ამდენი ტკივილისა და შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ, ერთდღიანი, თუნდაც ერთთვიანი მზრუნველობის მცდელობით ქალის გულს ვერ მოალბობდა, არადა, მართლა უნდოდა ნანიტას შემორიგება. როგორც არასდროს, ისე მოუნდა მასთან სიახლოვე, არა მარტო როგორც ქალთან, არამედ, როგორც თავისიან ადამიანთან, რომელსაც გულს გადაუშლიდა, რომლისგანაც თანადგომასა და თანაგრძნობას დაინახავდა. თვითონაც მზად იყო, მოესმინა ცოლისგან ნებისმიერი აღსარება და ყველანაირად გაეგო მისთვის... დიმიტრიმ ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ მარტო იყო, ერ-


**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**



თგული გულშემატკივრის გარეშე დარჩენილი და ისე აუჩუყდა გული, კინაღამ ცრემლები გადმოყარა. იცოდა, რომ ამ სიმარტოვეს დიდი ხნის წინ თვითონვე ჩაუყარა საძირკველი, მაგრამ, ეს ცოდნა არაფერში შველოდა. ვინ დარჩა მის გვერდით? არც არავინ, დათოს გარდა – ერთადერთი ძმაკაცი შემორჩა და იმასაც ისე მოაბეზრა თავი, რომ რამდენჯერმე პირდაპირ მიიღო მისგან საკმაოდ სერიოზული შენიშვნა და საყვედური, უფრო სწორად, გაფრთხილება – უკვე ყელში ამომიხვედიო. დათოზეც ბევრი იფიქრა და ვერც ის გაამტყუნა – თვითონ ნამდვილად ვერ აიტანდა თავისნაირ მეგობარს.

„დღეს, ეტყობა, მიტევების ხასიათზე ვარ, – გაიფიქრა და თვითონვე გაეცინა, – მე და – მიტევება?! ალბათ, მართლა რაღაც ხდება ჩემს შიგნით, საკუთარ თავს ველარ ვცნობ და, ვერც იმას ვხვდები, მომწონს თუ არა ეს ცვლილება, მაგრამ, ფაქტია, რომ წინააღმდეგობას ვერ ვუწევ, ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით“...

ტელეფონის ზარმა დიმიტრის ფიქრები გააწყვეტინა.

აიღო ყურმილი და ჩუმად თქვა:

– გისმენთ!

– რა გჭირს, ბიჭო, რას ჩურჩულებ, ხომ არ გაგაღვიძე?

დიმიტრის გაუხარდა დათოს ხმის გაგონება, ადგა, სამზარეულოს კარი მიხურა და მხოლოდ ამის შემდეგ გასცა პასუხი:

– არა, რა გამაღვიძე, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. პრაქტიკულად, არც კი მიძინია, სავარძელში წავთვლიმე ცოტა.

– რატომ ჩურჩულებ? – ჰკითხა დათომ და დიმიტრიმ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ისევ ჩუმად ლაპარაკობდა.

– ნანიტას სძინავს და, არ მინდა, გავაღვიძო.

– ოჰო, – გაუკვირდა დათოს, – ეს მართლა შენ ხარ თუ...

– მართლა მე ვარ, – გაეცინა დიმიტრის, – რა იყო, რატომ გაგიკვირდა?

– არა... რა ვიცი, რაც გიცნობ, ასეთი მზრუნველი ქმრის როლში არ მახსოვხარ... რა არ ხდება ქვეყანაზე!..

– ჰო, კარგი, გეყო ღადაობა! რა ვთქვი ამისთანა გასაოცარი?

– თავისთავად სიტყვები კი არ იყო გასაოცარი, არამედ, ის ფაქტი, რომ ეს ფრაზა სხვა, ნაკლებად სასიამოვნო სიტყვების წარმოთქმას ჩვეულმა შენმა ბაგეებმა წარმოთქვა, – განაგრძო ქილიკი დათომ.

– ამდენი სიტყვის მარაგი თუ გქონდა, არ ვიცოდი, – არ დაუთმო დიმიტრიმაც.

– ჰო, კარგი, გეხუმრე, არ გეწყინოს, – უკან დაიხია დათომ, – რა ხდება შენთან, მშვიდობაა?

– პრინციპში, კი.

– კიდევ რამე სისულელე ხომ არ გააჩალიჩე?

– არა, რა სისულელე! რომ მნახო, ვერ მიცნობ, ისე ვიქცევი.

– ნახვა არც კი მინდა, რომ გისმენ უკვე ველარ გცნობ და მიხარია.

დიმიტრის გული აუჩუყა ძმაკაცის თანადგომამ და გულახდილობის ხასიათზე დააყენა.

– ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები, რა იდიოტი ვიყავი...

– სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, – შეაწყვეტინა დათომ.

– შენ იხუმრე და, მართლა ასეა. რას ვერჩოდი ამ ქალს, რატომ გავუმწარე ცხოვრება ან ნანიტას, ან ჩემს შვილებს?

– ამას მე მეკითხები? – ისევ „წაუიაზვა“ დათომ.

– შენ კი არა, საკუთარ თავს ვეკითხები.

– მერე, რაო, რას გპასუხობს ეგ შენი საკუთარი თავი?

– ხომ გითხარი უკვე, – იდიოტი იყავიო.

– მარტო იდიოტიო? და, ახლა აღარ ხარო? – ისევ „უიაზვა“ დათომ, – მეტი არაფერი გითხრა საკუთარმა თავმა?

– კიდევ ძალიან ბევრი რამ მითხრა, თან – ისეთები, თავმოყვარე კაცი რომ ვერ მოითმენს, მაგრამ, ვაპატიე და ყველაფერში დავეთანხმე, იმიტომ, რომ მართალი იყო.

– ანუ, მე მაპატიე და დამეთანხმე ყველაფერში, იმიტომ, რომ მართალი ვარ? – მიუხვდა დათო.

– ჰო, – დაეთანხმა დიმიტრი, – შენი ძალიან მადლობელი ვარ.

– მე რა გაგიკეთე ასეთი? – გაუკვირდა დათოს.

– შენ შემანჯღრიე, შენ შემომილაწუნე და გამომაფხიზლე; შენ მომიყვანე აზრზე.

– რომელ შემოლაწუნებას გულისხმობ? – გაეცინა დათოს.

– ორივეს, – დიმიტრიმ ხელი მოისვა გახეთქილ ტუჩზე და, ისევ რომ ეტკინა, გაუხარდა კიდეც, – ტუჩი ისევ მტკივა, ხომ იცი...

– ნაკაწრები? – „შემოლაწუნება“ განაგრძო დათომ.

– ნაკაწრებიც. მაგრამ, გაგეცინება და, შენ წარმოიდგინე, რაღაცნაირად, მსიამოვნებს ეს ტკივილი; ის კი არა, მიხარია კიდეც, ფიზიკურ ტკივილს რომ ვგრძნობ. ალ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | კ | ს | ე | რ | ფ | | | | | | | | | | |
| | ა | | ნ | | ა | | მ | ე | ნ | ი | | | | | |
| მ | ი | ლ | ი | | ი | ს | ი | პ | ა | | | | | | |
| ა | ს | ი | რ | ტ | ქ | ე | ს | ი | ბ | | | | | | |
| ხ | ა | რ | ი | | ი | დ | ი | კ | ა | ს | | | | | |
| ა | | ი | | ა | | ა | მ | ა | დ | უ | | | | | |
| თ | | კ | | დ | ი | ნ | ა | რ | ი | | | | | | |
| ა | კ | ო | ფ | ა | | ი | | დ | | ყ | | ს | ო | ს | |
| | ი | ს | ი | ნ | ა | | ს | ი | კ | ო | კ | უ | | უ | |
| ა | ნ | ი | დ | ა | მ | | კ | | ი | რ | ა | ბ | ა | რ | გ |
| | ო | | ე | | | | ა | ი | მ | ა | ხ | ა | რ | ა | |
| ს | | კ | | ა | ს | ა | მ | | ი | ნ | ა | რ | ი | მ | ა |
| ტ | ე | ლ | ე | ვ | ი | ზ | ი | ა | | ი | თ | ი | მ | ი | ჯ |
| რ | | ი | ბ | გ | ა | რ | | | ი | | ი | | ა | | |
| ი | კ | ნ | ა | ი | | ი | გ | რ | ო | ბ | | ა | ნ | ი | მ |
| ქ | | ი | რ | ა | კ | | | ა | რ | ი | დ | ნ | ი | | ა |
| ნ | ე | კ | ი | | ი | ნ | ო | მ | ი | ლ | | გ | | | რ |
| ი | | უ | | მ | | ა | მ | ე | | წ | | ი | რ | დ | ო |
| ნ | ა | რ | ი | ყ | ა | ლ | ა | | ა | ი | ტ | ო | | რ | |
| ი | | ი | | ო | | ი | რ | ნ | ა | | ა | | ო | ა | ხ |
| | ე | | ა | ფ | რ | ა | | ა | რ | ე | პ | ო | | კ | |
| ი | გ | ა | მ | ა | | | ი | ნ | ო | | ი | ლ | დ | უ | შ |
| კ | ო | რ | ი | დ | ა | | ა | ი | ნ | ი | რ | ე | | ლ | |
| ა | | ა | რ | ი | პ | ა | რ | | ი | ლ | ი | გ | რ | ა | მ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 6 | 8 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 5 | 4 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 7 | 4 | 2 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 3 | 4 | 8 |
| 2 | 4 | 3 | 7 | 8 | 6 | 5 | 9 | 1 |
| 8 | 3 | 2 | 9 | 7 | 4 | 1 | 6 | 5 |
| 6 | 1 | 9 | 3 | 5 | 2 | 8 | 7 | 4 |
| 5 | 7 | 4 | 1 | 6 | 8 | 9 | 3 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 7 | 2 | 1 | 6 | 8 | 5 | 4 |
| 4 | 8 | 1 | 9 | 7 | 5 | 3 | 2 | 6 |
| 2 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 |
| 5 | 7 | 9 | 1 | 6 | 4 | 2 | 3 | 8 |
| 8 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 | 6 | 1 | 9 |
| 1 | 2 | 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 4 | 5 |
| 9 | 1 | 8 | 4 | 3 | 7 | 5 | 6 | 2 |
| 7 | 5 | 4 | 6 | 2 | 1 | 9 | 8 | 3 |
| 6 | 3 | 2 | 5 | 8 | 9 | 4 | 7 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** 1. რომელიც თანამებრძოლს სიკვდილისგან იხსნიდა. 2. ბალისტიკა. 3. ვადას წინ მძიმე დამცავი ნაწილი გაუკეთდა, რაც ბალანსირებას უკეთებდა ხმლის სიგრძეს. 4. მათ შორის არანაირი ნათესაური კავშირი არ არსებობდა. 5. ალბერტ აინშტაინი. 6. ქრისტეფორე კოლუმბს. 7. 7-UP („სევენ აფ”) – 7 კომპონენტით. 8. ნებისმიერი ალკოჰოლიანი სასმელი და ყავა. 9. მოდაში ახალი შემოსული იყო ნეილონის ტანსაცმელი, ხელოვნური ქსოვილებით კი პარაშუტებს ამზადებდნენ. 10. შეიძინა სუეცის არხი.

ბათ, ეს მინეიტრალებს სულიერ ტკივილს.

— შენ სულიერი ტკივილის განცდაც შეგიძლია? — „გაიოცა“ დათომ, — ეს უკვე რაღაც ძალიან ახალია. ისე, თუ ასეთი მარტივია შენთვის სიხარულის მონიჭება, როგორც კი ოდნავ მიგიყუჩდება ტკივილი, მითხარი და, ძმობას გეფიცები, არ დაგამადლი.

— ჯერჯერობით სიტყვებითაც კარგად ახერხებ, მაგრამ, გეფიცები, არ მწყინს, პირიქით, უფრო კარგად ვგრძნობ, რომ შენ მყავხარ — ერთადერთი ერთგული ადამიანი.

— ჰო, კარგი, მეც ძალიან გავრეკე. ახლა ის მითხარი, ნანიტა რას შვრება, როგორ არის... შემოირიგე?

— მგონი, ჰო.

— „მგონი“ რას ნიშნავს? ახლა, არ გამაგიჟო და არ მითხრა, მაპატიაო, — მართლა ძალიან გაუკვირდა დათოს.

— ეტყობა, მაპატია, რადგან, გაყრა გადაიფიქრა და, თან, ისეთი ყურადღებიანი იყო, სიმართლე გითხრა, დავიბენი.

— რა?! — თვალები შუბლზე აუვიდა დათოს, — აღარ გეყრება?

— ჰო, ასე მითხრა.

— და, თანაც, ჩვეულებრივად დაგელაპარაკა?

— უფრო ვიტყოდი, რომ — არაჩვეულებრივად, — გაეღიმა დიმიტრის.

— კონკრეტულად რაში მდგომარეობს ეს არაჩვეულებრიობა?

— კონკრეტულად იმაში, რომ, ღიმილით შემხვდა, ჩემი საყვარელი კერძი დამახვედრა და ასჯერ შემომთავაზა — თუ გშია, გასადილებო.

— მერე?

— რა — „მერე“?

— შენ რა ქენი?

— რა უნდა მექნა? სანამ სახლში შევიდოდი, ლამის ინფარქტი დამემართა შიშით, რადგან, არ ვიცოდი, რა მოხდებოდა და, პრაქტიკულად, ყველაფრისთვის მზად ვიყავი, გარდა იმ სიტუაციისა, რაც დამხვდა. თან, დაქალი რომ ჰყავს, ელენე, ისიც აქ იყო და, ასეთ ვითარებაში საჭმლის ჭამა შემეძლო?

— მერე რა მოხდა?

— ზუსტად აღარც კი მახსოვს. მგონი, ყავა დავლიეთ, მერე ნანიტა და ელენე სადღაც წავიდნენ.

— სად?

— არ ვიცი, არ მიკითხავს. საქმე გვაქვსო, მითხრა.

— მერე?

— მერე, დაახლოებით თერთმეტ საათზე დაბრუნდა სახლში.

— მარტო მოვიდა?

— ჰო.

— ის მაინც თუ იცი, ვინ მოიყვანა?

— გამოძახებული ტაქსით მოვიდა. მანამდე დავურეკე და შევთავაზე, მოგაკითხავ-მეთქი, მაგრამ, ძალიან ჩვეულებრივი ხმით მითხრა, ნუ შეწუხდები, ტაქსით მოვალო.

— რომ მოვიდა, როგორ ხასიათზე იყო?

— შენ რა, დაკითხვას მიწყობ? — უცბად გაღიზიანდა დიმიტრი, — ნორმალურზე. შემიძლია, ვთქვა, ცოტა მხიარულზეც კი.

— დაკითხვას კი არ გიწყობ, რაღაცის გარკვევას ვცდილობ.

— რის გარკვევას? — ვერ მიხვდა დიმიტრი.

— მერე გეტყვი. რომ დაბრუნდა, როგორ მოგექცა? ისევ ისე თბილად და ყურადღებიანად, როგორც თავისი დაქალის თანდასწრებით?

— ჰო. მგონი, უფრო მეტადაც კი. ძალიან ცოტა ხანს ვისაუბრეთ, მერე კი მითხრა, დაღლილი ვარო და დასაძინებლად წავიდა.

— ერთ ოთახში გეძინათ?

— არა. საძინებელში რომ შევიდა, კარი შიგნიდან ჩაკეტა.

— მდაა... ესე იგი, არ გენდობა, არ სჯერა შენი, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით. უფრო კი, მგონია, რომ ეშინია...

— ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ, მაინც მივაღწევ ჩემსას — ბოლომდე შემოვირიგებ.

— მთლად ასე დარწმუნებულიც ნუ იქნები, — ეჭვი შეეპარა ხმაში დათოს.

დიმიტრიმ იგრძნო ეს და დაიძაბა:

— რატომ? რამე შემეშალა?

— არა, ჯერჯერობით არაფერი შეგშლია, მაგრამ, რატომღაც, არ მომწონს ეს ყველაფერი.

— ევრ გავიგე, რა არ მოგწონს? — გაღიზიანდა დიმიტრი, — ნანიტამ გაყრა რომ გადაიფიქრა და მაპატია?

— არა. ის არ მომწონს, ასეთი საშინელი დამცირებისა და მიწასთან გასწორების შემდეგ, ასე სწრაფად რომ გადაიფიქრა გაყრა და ასე ადვილად რომ შეგირიგდა.

— ვერ გავიგე, რას გულისხმობ, — აღელდა დიმიტრი.

— იმას ვგულისხმობ, რომ ასეთი საქციელი არაბუნებრივად მიმაჩნია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ასე არ ხდება.

— ვერ გავიგე, რა არ ხდება ასე. თუ მეუბნები, ბოლომდე მითხარი სათქმელი, პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე! — უცებ გაბრაზდა დიმიტრი.

— კარგი, გეტყვი. ის, რაც შენ არაერთხელ ჩაიდინე ცოლთან, საპატიებელი რომ არ არის, ალბათ, დამეთანხმები; ბოლო „გმირობა“ ხომ, საერთოდ, კულმინაციაა. ამიტომ, აბსოლუტურად დაუჯერებელია, რომ ფსიქიკურად ნორმალურმა ქალმა ასეთი რამ აპატიოს ვინმეს.

— მე „ვინმე“ ხომ არ ვარ, მისი ქმარი ვარ, რომლისგანაც ორი შვილი ჰყავს, — აღშფოთდა დიმიტრი.

— მით უმეტეს, ქმარს არ აპატიებს, — განაგრძო დათომ, — თუნდაც ათი შვილი ჰყავდეს მისგან და, თუნდაც იმის საშიშროება ელოდეს, რომ ქმრის გარეშე შვილები მშივრები ეყოლება.

— რამდენიც გინდა, იმდენი ქალი ვიცი, რომ უარესებს პატიობენ ქმრებს, — გააპროტესტა დიმიტრიმ, — საქართველოში, საქართველოში კი არა, აქ, თბილისში, ყოველი მესამე ქალი მაინც ასე ცხოვრობს და ეგუება, არ ანგრევს ოჯახს.



— მთელი შენი უბედურება, იცი, რაში მდგომარეობს? — პირდაპირ მიახალა დათომ, — ამდენი წელია, ერთად ცხოვრობთ და ვერ მიმხვდარხარ, რომ შენი ცოლი ყოველი მესამე და, თუნდაც, ყოველი მეათე ქალი არ არის. არ გეწყინოს, რასაც ახლა გეტყვი, შეიძლება, ეს პირდაპირი ჩარევაა შენი ოჯახის და პირადად შენს ცხოვრებაში, მაგრამ, ხომ მითხარი, ბოლომდე თქვი სათქმელიო, ამიტომ, ამ ერთხელ გეტყვი და ამ თემაზე მეტად აღარ დაგელაპარაკები... — დათო გაჩუმდა და ცოტა სული მოითქვა.

— გისმენ. თქვი, ყველაფერს მივიღებ და ავიტან, — მორჩილად უპასუხა დიმიტრიმ, — ვგრძნობ, რომ ახლა ჰაერივით მჭირდება შენი სიტყვები, როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს.

— იმას გეუბნებოდი, რომ შენ ნანიტა ვერ შეიცანი ვერც როგორც ქალი, ვერც როგორც პიროვნება, — განაგრძო დათომ, — და ექცეოდი ისე, როგორც მეძავს, ცხადია, იშვიათი გამონაკლისის გარდა...

— მე არ... — რაღაცის თქმა დააპირა დიმიტრიმ, მაგრამ დათომ ცივად შეაწყვეტინა:

— დამასრულებინე სათქმელი. ამ ყველაფრის პარალელურად, იყავი ძალიან ცუდი მამა. კარგი მამობა მაინც რომ გაგეწია შვილებისთვის, შეიძლება, ნანიტას ყველაფერი დანარჩენი ეპატიებინა კიდეც, მაგრამ, ერთ პიროვნებაში გაერთიანებული ორი მთავარი რამ — ღვირახსნილი ქმარი და უვარგისი მამა — ეს ის მიზეზებია, რომლებსაც ნორმალური ქალი არასდროს აპატიებს მამაკაცს.

— ანუ?

— ანუ, ჩემი აზრით, შენს ცოლს არ უპატიებია შენთვის.

— აბა, რატომ გადაიფიქრა გაყრა, რატომ მექცევა კარგად?

— იმიტომ, რომ... — ვეღარ დაასრულა დათომ.

— იმიტომ, რომ — რა? — აღელდა დიმიტრი.

— არ ვიცი, მტკიცებას ვერ დავიწყებ, მაგრამ, ასე მგონია, რაღაც სხვა აქვს ჩაფიქრებული.

— რა „რაღაც სხვა“?

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-16(695)

## სიცრუის თეორია

თიკომ ზანტად ასწია დამძიმებული ქუთუთოები. თავი სტკიოდა და ყურებშიც თითქოს ზარები გუგუნებდნენ... ერთბაშად ვერ გააცნობიერა, სად იყო და რა ხდებოდა მის თავს. გიგის დანახვაზე ჯერ გაშტერდა, მერე მთელი ხმით აყვირდა. გიგიმ მინერალური წყლის ბოთლი იატაკზე დადგა და ტუჩებზე გამაფრთხილებლად მიიფარა გაშლილი ხელისგული.

– რა გაყვირებს. გინდა, მთელი კორპუსი ფეხზე დააყენო? გაგიჟდი?

– აქ რა მინდა? ღამით აქ ვიყავი? შენთან?

– ჰო. ნუ ყვირი, ძალიან გთხოვ... ისლა მაკლია, მეზობლებმა იფიქრონ, ვილაც ძალით მოვიყვანე აქ და ვძალადობ.

– იმის თქმა გინდა, რომ ჩემი ფეხით მოვედი შენთან?

გიგიმ გაიცინა:

– სად გქონდა ფეხზე დგომის თავი, თორემ კი... ისე, გვარიანად მძიმე ყოფილხარ, წელი ახლაც მტკივა.

ტკივილის გაგონებაზე თიკოს თავისი პრობლემა გაახსენდა და თავზე მაგრად შემოიჭირა ორივე ხელი.

– აუ, ლამისაა გამისკდეს...

– მაგას „პახმელია" ჰქვია... მინერალური დალიე, ცოტას გიშველის, მერე ყავასაც შემოგიტან.

თიკომ თვალები მაგრად დახუჭა, გაახილა და ოთახი ყურადღებით მოათვალიერა.

– ეს შენი ოთახია?

– უჰ, მგონი, ნელ-ნელა აზრზე მოდიხარ. ბარემ ყველაფერი გაიხსენე...

თიკოს მინერალური გადასცდა და ხველა აუტყდა.



– დაიხრჩვი-მეთქი, არ მითქვამს.

– კი მაგრამ, რა უნდა გავიხსენო? ძალიან გთხოვ, პირდაპირ მითხარი, რას გულისხმობდი.

– რა უნდა მეგულისხმა, რას სულელობ? – ჩაეღიმა გიგის, – შენი ჭკუით, რაში უნდა გამომტეხო?

– არ ვიცი. მართლა არაფერი მახსოვს და ძალიან მეშინია. აქ როგორ აღმოვჩნდი? შენს სახლში რა მინდოდა?

– იძულებული გავხდი, აქ მომეყვანე. სახლში როგორ წაგიყვანდი, როცა საშინლად მთვრალი იყავი? ისეთი მთვრალი, რომ მისამართიც ვერ გათქმევინე. მე კი წარმოდგენა არ მაქვს, სად ცხოვრობ.

– ღმერთო! – აღმოხდა თიკოს, – როგორ მრცხვენია. დედაჩემი გაგიჟდება, არც კი ვიცი, რა უნდა ვუთხრა.

– ამ მხრივ, შეგიძლია მშვიდად იყო, – სიამაყით განაცხადა გიგის და გაიბადრა.

– მშვიდად? რა ჩაიდინე? – ეჭვმა სუნთქვა შეუკრა თიკოს.

– შენს მობილურში მოვძებნე „დედა" და მივწერე მესიჯი, – გოგოები შევიკრიბეთ, ვერთობით და, შეიძლება, ამაღამ არ დავბრუნდე-მეთქი. შემაქე, რას ელოდები?

– კარგი, ვაღიარებ, რომ კარგად მოიქეცი. მაგრამ, მთავარს რატომ არ მეუბნები?

გიგიმ მხრები აიჩეჩა:

– ვერ ვხვდები, რას მეკითხები, რა მთავარი გაინტერესებს?

თიკო შეყოყმანდა:

– მე რომ მაგარი მთვრალი ვიყავი და შენთან, სახლში რომ მომიყვანე, ფეხსაცმელები რომ გამხადე და დივანზე დამაწვინე... მერე რა მოხდა?

– მეც დავწექი და დავიძინე. ოღონდ, მაგ დივანზე არა, ჩემს საწოლში და, იმდენი მოვახერხე, რომ შარვალი და პერანგიც გამეხადა.

– ანუ, არაფერი მომხდარა? არ მატყუებ? – ფრთხილად ჰკითხა თიკომ.

– ნუ ფეთდები. ვერ ვიტან მთვრალ ქალებთან სექსს.

– დიდი მადლობა ასეთი პირდაპირობისთვის, – ამოიოხრა თიკომ, – მაინც შემომიტყუე, ხომ, შენს ბუნაგში!

გიგიმ შეურაცხყოფილი ადამიანის გამომეტყველებით აქცია ზურგი გოგოს და ოთახიდან გასვლა დააპირა. თიკო მიხვდა, უსაფუძვლოდ რომ აწყენინა და სწრაფად მოუბოდიშა:

– კარგი, ვაღიარებ, რომ შემეშალა. მინდა ყავა და მომიყევი, სად და რამდენი დავლიე.

– შენ რა გგონია, მე ფხიზელი ვიყავი? თუმცა, შენგან განსხვავებით, სახლს მივაგენი და საკუთარ ფეხებზეც მყარად ვიდექი.

– გეყოფა, მრცხვენია-მეთქი, ხომ გითხარი. პირველად დავლიე ამდენი.

– რა ვიცი, ჭიქას ჭიქაზე კი ცლიდი გამოცდილი ლოთივით, თანაც, ლიმონიან არაყზე გადახვედი... მაგარი გოგო ხარ, ძალიან მაგარი... შენთან ძმაკაცობა ღირს და ამიერიდან აღარასოდეს გაგაბრაზებ.

თიკომ თვალები მოჭუტა.

– ამის მოსასმენად ნამდვილად ღირდა გამოთრობა. მაგრამ, მინერალურმა აშკარად არ მიშველა – თავი ისევ ძალიან მტკივა.

– არაყი მოგიხდებოდა, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ არ დალევ.

გოგოს ზიზღით შეაჟრჟოლა:

– არც კი გამახსენო... მძულს...

– ვიცი და მესმის... ამიტომ, ყავას მოგიტან, მერე კი სამსახურში წავიდეთ.

– სამსახურში? – თიკო დაიჯღანა, – ვერა, გამორიცხულია, ვერ წამოვალ. ასეთი სიფათით ვერავის დავენახვები. ვახოს დავურეკავ და ვეტყვი, რომ... არა, ვერ დავურეკავ. შენ უთხარი, რომ ცუდად ვარ... ძალიან ცუდად...

– აუ, კარგი რა, ვახო მკითხავს, რა სჭირსო და მერე რა ვუპასუხო?

– რაც გინდა.

– სიმართლე რომ ვუთხრა?!

თიკომ ხელი ჩაიქნია.

– რაც გინდა-მეთქი, ოღონდ ახლა თავი დამანებე და ყავა მომიტანე...

გიგი რომ გავიდა, თიკომ თავი მკლავზე ჩამოდო და ჩაფიქრდა...

***

ლიზამ ფრთხილად შეაღო საძინებლის კარი...

– შემოდი, არ მძინავს, – ნინიმ ღამის ნათურა აანთო და წამოჯდა, – რატომ დარჩი შენთან? სახლში რატომ არ წავედი?

– იმიტომ, რომ მე არ გაგიშვი, ცუდად იყავი.

– ჰო, მაგრამ, მაინც წასვლა სჯობდა. მერიდება შენი და ლევანის.

ლიზამ ხელი ჩაიქნია და საწოლზე ჩამოუჯდა მეგობარს.

– ეგ არაფერია. შენ ის მითხარი, როგორ გეძინა?

– ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანის პირობაზე, ნორმალურადაც კი.

– ნუ სულელობ. რა მდგომარეობა შენ გაქვს? ნუ ამძიმებ სიტუაციას.

– არ ვამძიმებ, უბრალოდ, უნდა დავივიწყო ეგ ადამიანი. რატომ ვერ ვახერხებ?

– მოახერხებ. დასასრული ყველაფერს აქვს. ეს აქსიომაა. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, დავაჩქაროთ ან შევაფერხოთ ამ დასასრულის მოახლოება.

– ჰო, მესმის. მე ვაფერხებ ამ დასასრულს.

– შეიძლება. იმიტომ, რომ მამაკაცებთან მოქცევა არ იცი, – ნიშნისმოგებით დაუქნია თითი ლიზამ.

ნინიმ მხრები აიჩეჩა:

– იცი, კარგად არ მესმის, რას ნიშნავს მამაკაცებთან მოქცევის არცოდნა – ეს რა, ქცევის სპეციალური კოდექსია? ბოლოს და ბოლოს, არც ცხოვრებაა ცირკი და არც ჩვენ ვართ მომთვინიერებლები – ქალებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა.

– აბა, რა... მამაკაცი ან უნდა გიყვარდეს, ან უნდა იმეგობრო მასთან. – სისულელეა, მიეცი საკუთარ თავს იმის უფლება, რომ არჩევანი თავად გააკეთო. მამაკაცებთან მეგობრობა კი ჩემთვის არ არსებობს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არ მჯერა. ასეთი ურთიერთობა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიდის კონკრეტულ კონდიციამდე და პატარა ნაპერწკალიც კი საკმარისია სიტუაციის ას-

აფეთქებლად. ყველაზე მაგარი და მტკიცე მეგობრობაც კი, „მყარი და მტკიცე“ მეგობრული სექსით მთავრდება ხოლმე.

– ეგ შენ ფიქრობ ასე, მე მჯერა, რომ ქალისა და მამაკაცის უბრალოდ მეგობრობა ძალიანაც შესაძლებელია.

– ნუ მეჯიუტები. ნაკლებად საინტერესოა, რას ამბობენ თეორიები, მთავარი პრაქტიკაა... ჩვენი დღევანდელი საზოგადოების მთავარი პრობლემა სტერეოტიპებია. შენც სტერეოტიპების ტყვეობაში ხარ, თორემ, ასეთ ამბავს არ ატეხდი.

– რაო?! – თვალები გაუფართოვდა ნინის, – რა ამბავი ავტეხე?

– ჰო, სწორედაც რომ ამბავი ატეხე, ქარიშხალი ცარიელ ჭიქაში. წარმოდგენა არ გაქვს, ვინ იყო ის გოგო...

– სულაც არ მაინტერესებს მათი ურთიერთობის ინტიმური დეტალები, – გააფთრებით შეაწყვეტინა ნინიმ, – რაც დავინახე, სრულიად საკმარისია...

– საკმარისია რისთვის, ხელები რომ ჩამოუშვა და არ იბრძოლო შენი სიყვარულისთვის?

– ამას ახლა მეუბნები?

– ჰო. რა გაოცებული მიყურებ? დიახ, უნდა იბრძოლო შენი სიყვარულისთვის, თუკი ხვდები, რომ გიგის იქით გზა არ გაქვს.

– ვაიმე, ვინ გითხრა, რომ გიგის იქით გზა არ მაქვს? ან, ეს ორმაგი სტანდარტი რა უბედურებაა?

ლიზამ მხრები აიჩეჩა:

– რა ორმაგი სტანდარტი. უფრო მარტივი ენით მელაპარაკე.

– ვერ ხვდები? ხან მიმტკიცებ, სიყვარული სისულელე და ჩერჩეტი ადამიანების ფანტაზიის ნაყოფიაო, ხან კიდევ – სიყვარულისთვის უნდა იბრძოლოო... გამაგებინე, რეალურად რას ფიქრობ, ოღონდ, სერიოზულად.

ლიზამ გადაიკისკისა:

– რატომ გგონია, რომ არასერიოზულად ვამბობ? ჩემს პრინციპებს, შეიძლება, ეწინააღმდეგება, მაგრამ, ახლა მთავარი შენ ხარ და ის, რაც შენ გინდა.

ნინიმ ამოიოხრა:

– პრობლემა ისაა, რომ, არ ვიცი, რა მინდა. გიგისთან ურთიერთობაზე ლაპარაკიც რომ აღარ შეიძლება, ამას ვხვდები. კარგი იქნებოდა, თომას გავყოლოდი ცოლად და ეგ იდიოტი სამუდამოდ დამევიწყებინა, მაგრამ, შევძლებ კი?!

– კარგი, აღარაფერს გკითხავ, თვითონ გადახარშე. ადგები? სამსახურში არ მიდიხარ?

ნინი უკმაყოფილოდ დაიჯღანა;

– ძალიანაც არ მინდა წასვლა, მაგრამ, არ გამოვა. მეც ორსულად კი არ ვარ, რომ მაპატიონ. არადა, ყველაფერი მირჩევნია დღეს თომას ნახვასა და მასთან ლაპარაკს.

– ხედავ? – ნიშნისმოგებით გაუცინა ლიზამ, მაგრამ ნინიმ იქვე გააპროტესტა:

– არაფერიც. რაც შენ იგულისხმე, ეგ არაფერ შუაშია. უბრალოდ, შემეტყობა უგუნებობა და თომას ჯვარედინ დაკითხვას ვერ გავუძლებ. ლევანი წავიდა?

– რა ხანია. მითხრა, დღესაც არ გაუშვა სახლში, ეგ რომ აქ არის, თავს გაცილებით მშვიდად ვგრძნობო.

– შენთან ხომ არ გადმოვსახლდე?

– დიდი სიამოვნებით. რამხელა სახლია, ხომ ხედავ? კიდევ ორი საძინებელი გვაქვს ისეთი, სადაც საერთოდ არავის სძინებია... ადექი, ყავა დავლიოთ.



ნინიმ თავი დაუქნია და მოულოდნელად ჰკითხა:

– ზუკა აღარ გამოჩენილა?

ლიზას მაშინვე შეეცვალა გამომეტყველება: მზერა დაეძაბა და თვალები გაუდიდდა. მუცელზე ინსტინქტურად მოისვა ხელი და თავი გადააქნია:

– არა, არ გამოჩენილა და, გუშინაც ვფიქრობდი, რომ ეს კარგის ნიშანი არ უნდა იყოს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არაადეკვატური და სულელია. მისგან ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი.

– გეშინია? – თანაგრძნობით ჰკითხა ნინიმ. ლიზამ ირონიულად ჩაიცინა:

– მე?! რა სისულელეა! ზუკასნაირი მეოცნებეები მე ვერასოდეს შემაშინებენ. მაგრამ, ჩემს მდგომარეობაში ნეგატიური ემოციები არ მჭირდება. ორსულად რომ არ ვიყო, მაგრად ვიკაიფებდი ამ ყველაფერზე. ახლა ბევრ რამეს ისე ვერ ვაკეთებ, როგორც მინდა და საჭიროდ მიმაჩნია.

– იცი, რა ვიფიქრე? იქნებ გეთქვა ლევანისთვის, საერთოდ გადაედო წვეულება? ნუ, სანამ ბავშვს გააჩენ, მანამდე მაინც.

– არავითარ შემთხვევაში! ჯერ ერთი, ეს ჩემი წვეულება და ჩემი ბიზნესია და ვიღაც ხუშტურებიანი ზუკას გამო ზეიმს არ გადავდებ.

– მგონია, რომ რისკზე მიდიხარ.

– მე?! ვერაფერს გამიბედავს, თორემ ნახავ.

– წელან არ ამბობდი, მისგან ნებისმიერ სიურპრიზს უნდა ელოდოო?

– ჰო, მაგრამ, არც მე ვიჯდები გულხელდაკრეფილი.

– გიგი... ზუკა... უჰ, რა საზოგადოება შეიკრიბება?! – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ნინიმ.

– არა უშავს, ეგ მათი პრობლემა იქნება. ანუ, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, რომ მათი პრობლემა იყოს და არა ჩვენი. ჰო, მართლა... ქეთის უნდა დავურეკო – „მტრის ბანაკს“ დავაზვერინებ.

– რანაირად?

– ქეთის ქმარია ის ვახო, მაგ კომპანიის დირექტორი და, შესაბამისად, ზუკასა და გიგის უფროსიც.

ნინი გაფითრდა:

– უჰ, საქმე იმაზე გაცილებით რთულად ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა. აღარ მინდა წამოსვლა, მართლა...

– ხომ არ გაგიჟდი! მეორედ აღარ თქვა ეგ! – აღშფოთდა ლიზა.

– გიგის ის გოგო ეყოლება გვერდით, თორემ, ნახავ.

– არც შენ იქნები მარტო, ასე რომ, გიგიც მიიღებს თავისას.

– როგორ არ მომწონს ეს ყველაფერი! უფრო მეტიც – ძალიან მაწუხებს და მაღიზიანებს.

ლიზას თვალები აუციმციმდა:

– მე კი მომწონს „ტრუსის სუნი“ – ნესტოებს მიღიზიანებს და ადრენალინს მიმატებს.

– გიჟი ხარ, – უნებლიეთ გაეღიმა ნინის.

– ქალი ცოტათი გიჟიც უნდა იყოს, თორემ, ქალურობის უტრირება კაცსაც შეუძლია, – თვალი ჩაუკრა ლიზამ...

***

ქეთი მშვენიერი განწყობით მივიდა სამსახურში... ვახომ მართლა ყველაფერი გააკეთა მისი გულის მოსაგებად. ორი საათის განმავლობაში ხმისამოუღებლად და წარბშეუხრელად დაჰყვებოდა მაღაზიებში და არც მაშინ უწუწუნია, როცა ქეთიმ საკმაოდ ძვირიანი ფეხსაცმელი და კოსტიუმი შეარჩია. მხოლოდ ის იკითხა, შარვალს, მე მგონი, კაბა გერჩივნაო და მეტად აღარ უცდია ცოლისთვის თავისი აზრი მოეხვია. ცოლმაც დაუფასა და ახლა თავს ახალდაქორწინებული ბედნიერი პატარძალივით გრძნობდა.

კლინიკის კარი ნატომ გაუღო და უკმაყოფილო გამომეტყველებით სწრაფად შეაქცია ზურგი, მაგრამ ქეთიმ მკლავზე მოჰკიდა ხელი და შემოაბრუნა:

– სალაპარაკო მაქვს შენთან... უნდა მომისმინო...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ქუდით დაიწყეთ ჩარლი ჩაპლინის ხატვა



2. მიახატეთ თავი



3. შემდეგ — თმა



4. ულვაშიც არ დაგავიწყდეთ



5. მიახატეთ თვალები



6. დაასრულეთ ნახატი



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თაბუკაშვილის №36

# იპოვეთ ათი განსხვავება



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## ჩაწერე „<“ და „>“



# აქლემი, სპილო და მაიმუნი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ ცხოველებმა განიზრახეს, მეფე აერჩიათ. აქლემი და სპილო წაეკიდნენ, იფიქრეს, ყველა ცხოველზე დიდები ვართ, ჩვენში რომელიმეს აირჩევენო. მაიმუნმა თქვა:

– მეფედ არც ერთი არ ივარგებსო. აქლემი ისეთი უნდილია, უსამართლობაზე არასდროს აღელდება. სპილო კი რა სამეფოა, თუ სადმე ღორი და ათასი ოხრობაა, ყველას მას ათრევინებენ ზურგითო.

შეგონება: ხშირად დიდ საქმეს მცირე მიზეზი უშლის ხელს.

## რიცხვრებუსი

, , 300, ,   , , 300, ,   , , 0



# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-16(695)

პლაცზე შეკრებილი ქურდები საკნებში დაგვაბრუნეს. რობო ცალკე საკანში მოათავსეს, მანამდე კი „ატკაზნიკობაზე“ (ქურდობაზე უარის თქმა) წერილობითი განცხადება დააწერინეს და მეორე დღესვე საქართველოში დააბრუნეს – „გუბერნსკში“, ორადგილიან საკანში ჩასვეს და სასათბურე პირობები შეუქმნეს. ექვსი თვის შემდეგ კი რობო პატიმრობიდან გაათავისუფლეს და მან მართლაც პატიოსან ცხოვრებას მიჰყო ხელი, ოჯახს მოეკიდა და ფოტოგრაფობა დაიწყო. ჩვენ კი, როსტოვის გამანაწილებელ ციხეში შეკრებილი ქურდები, სამი დღის შემდეგ სპეცეტაპით ციმბირის სხვადასხვა ზონაში გაგვიშვეს. მე ნოვოსიბირსკის „კრიტში“ ამოვყავი თავი, სადაც უკვე მეორედ მოვხვდი და მისი უფროსი კვლავ პოლკოვნიკი ხოხლოვი იყო. ის მე კარგად მიცნობდა და ციხეში რომ მიმიყვანეს, პირადად დამხვდა და დამცინავად მითხრა:

– ეს ვინ გვესტუმრა – თავად კობრა! კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს სამფლობელოში.

– მე მეგონა, დაგაწინაურეს და ერთმანეთს აღარ შევხვდებოდით, – მივუგე ხოხლოვს.

– ახლა დამაწინაურებენ, მას შემდეგ, რაც ქურდობაზე უარს გათქმევინებ.

– ვერ მათქმევინებ.

– გათქმევინებ, გათქმევინებ...

– ვერ მათქმევინებ. მაშინაც ასე მემუქრებოდი, მაგრამ არ გამოგივიდა, – ვუთხარი ხოხლოვს, მან კი მიპასუხა:

– მაშინ მხოლოდ ექვსი თვე იყო ჩემს განკარგულებაში. ახლა კი მთელი ერთი წელი მაქვს და არამც თუ ქურდობაზე აგაღებინებ ხელს, ანტიქურდულ აგიტაციასაც დაგაწყებინებ.

– ხშირ-ხშირად იმეორე, რომ არ დაგავიწყდეს, – დამცინავად ვუთხარი ხოხლოვს. მან კი ზედამხედველებს უბრძანა:

– ჯერ ერთკვირიანი კარცერი აკმარეთ და თუ ორ დღეში დაჩოქილმა ხვეწნა არ დამიწყო, შემიწყალეო, დანარჩენი მერე იყოს.

„ერთკვირიანი კარცერი“ ნოვოსიბირსკის ციხეში ფაქტობრივ სიკვდილს თუ არა, ჯანმრთელობის ძლიერ მოშლას ნიშნავდა. ხოხლოვი არ აჭარბებდა, როცა ამბობდა, ორ დღეში დამიჩოქებსო. რადგან ორ დღეზე მეტს იმ კარცერში ვერავინ ძლებდა. იქ ზაფხულშიც კი ყინავდა. თანაც, ზედამხედველები დაწოლის და დაძინების საშუალებას არ გაძლევდნენ. ან კი სად უნდა დაწოლილიყავი, როცა კარცერში ნარი არ იყო. ბეტონის იატაკზე კი ათი სანტიმეტრის სიმაღლეზე წყალი ესხა და ვერ დაწვებოდი. ერთადერთი, შეგეძლო, კედელს მიყრდნობოდი და ისე დაგეძინა, თუმცა, შეიძლება, გაყინულიყავი და ამიტომ უნდა გემოძრავა. მიუხედავად ყველაფრისა, კარცერში ერთი კვირა დავყავი და ნადზორებმა რომ იქიდან გამომიყვანეს, ფეხზე დგომა აღარ შემეძლო. სხეული კი საშინლად მიხურდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძალიან მაღალი სიცხე მქონდა. ლაპარაკი ბუნდოვნად მესმოდა. თავად კი სიტყვის წარმოთქმა მიჭირდა.

– ჩქარა, ბალნიჩკაზე გავაქანოთ, ცხელება აქვს და კვდება, – უთხრა ერთმა ზედამხედველმა მეორეს, რომელმაც უპასუხა:

– ხოხლოვის გარეშე?

– ხოხლოვს მერე შევატყობინოთ. ჩქარა წავიყვანოთ, თორემ ჩვენს ხელში დალევს სულს და დიდ ცოდვაში ჩავვარდებით.

ზედამხედველებმა ციხის საავადმყოფოში ამიყვანეს. ექიმმა შემხედა თუ არა, თქვა:

– ორმოცდაორი აქვს სიცხე. ჩქარა ნემსი, თორემ მოკვდება!

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ციხის ექიმმა იყოჩაღა და სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა ჩემი თავი. ჩემ გადარჩენაში ზედამხედველებსაც მიუძღოდათ წვლილი და მოგვიანებით, მათ მადლობა ვუთხარი. მხოლოდ პოლკოვნიკი ხოხლოვი ვერ იყო გუნებაზე. მას ეგონა, აუცილებლად მომტეხავდა, თუმცა არ გაუმართლა და ციხის ექიმმა მას უთხრა:

– კიდევ ერთი კარცერი პატიმარს სიცოცხლეს მოუსწრაფებს და იმედი ნუ გექნებათ, რომ თქვენ გამო ტყუილს ვიტყვი.

მართალია, ხოხლოვს სველ კარცერში აღარ ჩავუსვივარ, მაგრამ ერთადგილიან საკანში გამომამწყვდია და თექვსმეტი თვე იქ გამატარებინა, რადგან დანარჩენი ორი თვე კარცერსა და „ბალნიჩკაზე“ გავატარე, გათავისუფლების წინ კი მითხრა:

– ნახვამდის, კობრა. იმედია, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და მესამედ უკვე შევძლებ, შენს გატეხვას.

– ტყუილად გაქვს ამის იმედი. ჩემს გატეხვას მესამედაც ვერ შეძლებ, – მივუგე ხოხლოვს და დავამატე, – ბევრი მტერი გყავს და გირჩევ, თავს გაუფრთხილდე.



ხოხლოვი თავს ვერ გაუფრთხილდა. ჩემი გათავისუფლებიდან ოთხი თვის შემდეგ, ნოვოსიბირსკის ციხის პატიმრები აჯანყდნენ. ხოხლოვს კაბინეტში შეუვარდნენ, ცოცხლად დაანაწევრეს და მისი სხეულის ნაწილები ეზოში გადაყარეს. პატიმრებმა ციხის „არუჟეიკა“ (იარაღის საწყობი) გატეხეს, განსაკუთრებით საძულველი ზედამხედველები, ქათამი და აგენტი პატიმრები დახვრიტეს. ადამიანები მძევლებად აიყვანეს და საბჭოთა კავშირის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სისხლიანი გაქცევა მოაწყვეს.

– სწორედ რომ, დროზე გაასწარი, კობრა, ამ საშინელებას, – მიყვებოდა მოგვიანებით ერთი ჩემი ნაცნობი, რომელიც იმ სისხლიანი მოვლენების დროს ციხეში იჯდა და ყველაფერი საკუთარი თვალით იხილა.

– შენ როგორ გადაურჩი ამ სისხლისღვრას, – ვკითხე ჩემს ნაცნობს.

– სულ რაღაც ერთი თვე მქონდა დარჩენილი გათავისუფლებამდე და გიჟი ვიყავი, მეაქტიურა? შუმოკი რომ დაიწყო, ნარიდან არ ჩამოვსულვარ. კამერების კარებები რომ გააღეს, გარეთ ფეხი არ გამიდგამს. რეშკაზე ვიყავი მიკრული და იქიდან ვუყურებდი, ეზოში რაც ხდებოდა. ხოხლოვის დაჩეხილი სხეულის ნაწილები ეზოში რომ გადმოყარეს, მთელი ციხე სიხარულისგან აგუგუნდა.

– ვეუბნებოდი, თავს გაუფრთხილდი-მეთქი, მაგრამ არ გამოუვიდა, – ვთქვი მე. ჩემმა ნაცნობმა კი განაგრძო:

– ვინ აპატიებდა. იცი, რამდენი კარგი კაცი შეეწირა მის სადიზმს?

– მე, რა, ძლივს არ გადავრჩი? ნადზოებს და ექიმს რომ არ ეშუსტრათ, არც მე ვიქნებოდი ცოცხალი.

– ყოჩაღ შენ. ერთკვირიანი კარცერისთვის შენ გარდა არავის გაუძლია. მაინც როგორ მოახერხე?

– სიმართლე გითხრა, თვითონაც არ ვიცი. კარცერში საშინლად ყინავდა, სულ ვმოძრაობდი. ძილი რომ მომერეოდა, კედელს ვეყუდებოდი და თვალებს ვხუჭავდი, მაგრამ ვინ გაძინებდა? თანაც, კოჭებამდე წყალში ვიდექი და რომ წავქცეულიყავი, ველარ ავდგებოდი. სამი დღის განმავლობაში მაგრად ვიყავი. არც მხედველობა მიჭირდა და არც სმენა. მეოთხე დღეს თვალები დამებინდა. დანარჩენი სამი დღე კი თითქმის აღარაფერი მესმოდა და ინსტინქტებით ვმოქმედებდი. დღეში ერთ „ბუხანკა“ პურს მაძლევდნენ და ნახევარ ლიტრ წყალს. კარცერიდან რომ გამოვყავდით ნადზორებს, სმენა და მხედველობა ერთი წუთით დამიბრუნდა, მათი სახეები დავიმახსოვრე და ბაზარიც მოვისმინე. კაროჩე, ღმერთმა გადამარჩინა.

ჩემს ნაცნობს ჩაეცინა, თავი გააქნია და თქვა:

– როსტოვის პერესილკაში რობოს მაგრად ჩაუსვრია და შენ წარმოიდგინე, ნოვოსიბირსკის ციხეში რა დაემართებოდა.

– ნუ იტყვი. რობომ თავი მოგვჭრა ქურდებს.

– აბა, რა ეგონა. ორი სროკი, „გუბერნსკში“, სულ ბაირამობაში გაატარა და ნამდვილი პატიმრობა არ გამოუცდია.

– სროკიდან გამოსულა და მუშაობა დაუწყია, ხომ? – ჩამეცინა მე.

– ცოლი მოიყვანა და სადღაც, შავიზღვისპირეთში ფოტოგრაფობს. ბიჭებს უნახავთ და უკაიფიათ.

– ერთი, რობოს დედაც... – ხელი ჩავიქნიე და რობოზე ლაპარაკს ამით მოვრჩი. გადაწყვეტილი მქონდა, თუკი ოდესმე, სადმე შემხვდებოდა რობო, ქურდულად გამელანძღა და მიწასთან გამესწორებინა.

მრავალი წლის შემდეგ, სოჭში ვიმყოფებოდი და ჩემს ნაშასთან ერთად სასტუმრო „მოსკვას“ წინ ვსეირნობდი. საღამო ხანი იყო.

რესტორან „მოსკვას“ რუსულ დარბაზში მაგიდა გვქონდა შეკვეთილი და შესასვლელად ვემზადებოდით. შებინდდა. მუსიკალური შადრევანი აინთო და მოსეირნე ხალხმა იმატა. მე და ჩემი ნაშა შადრევნის წინ შევჩერდით და მათი ცქერით ვერთობოდით.

– ახალგაზრდებო, აქეთ გამოიხედეთ, – მოგვესმა ვიღაც კაცის ხმა და რომ შევტრიალდით, მან შადრევნის წინ ფერადი სურათი გადაგვიღო. ასეთ ტრიუკს ხშირად მიმართავდნენ კურორტებზე მომუშავე ფოტოგრაფები და შეიძლება ითქვას, ძალით გილებდნენ სურათს და ფულს ამ გზით შოულობდნენ. ასიდან ერთი წყვილი თუ იტყოდა უარს ფულის გადახდაზე, მაგრამ ეს არაფერი იყო ფოტოგრაფისთვის. ის ამ სურათს, უბრალოდ, აჩუქებდა „ურჩ“ წყვილს. როგორც კი ფოტოგრაფმა „ჩაგვაკარტოჩკა“, ჩვენთან ღიმილით მოიჭრა, „კოდაკის“ მზა ფოტო გამომიწოდა და მითხრა:

– თქვენზე სამი მანეთია. ნახეთ, რა მშვენიერი კადრი გამოვიდა.

ფოტოგრაფს ალმაცერად შევხედე და ირონიულად ვუთხარი:

– ფოტოგრაფობა დაიწყე, რობო?

რობოს ფოტოსურათიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა და მითხრა:

– კობრა, შენ? აქ – საიდან?

– ციმბირიდან. ციმბირში კი როსტოვიდან.

ციმბირის ხსენებაზე, რობოს სახე დაელრიჯა, ღრმად ამოისუნთქა და ამოილუღლუღა:

– ქურდობა საჩემო საქმე არ იყო და დროზე მივხვდი ამას.

– ვა, მართლა? – დამცინავად მივუგე რობოს და დავამატე, – სარფიანი საქმე დაგიწყია. კლიენტებს ჩუმად აკარტოჩკებ და სურათებს ტენი. მშვიდად ხარ და მაძღრად. კარგია, რა, ჩემმა მზემ.

– გაბოზებას და გაქათმებას ის ჯობდა, რაც მე გავაკეთე. ასე არაა?

– რაც გააკეთე, შენ გააკეთე და ჩემგან ითხოვ დადასტურებას? ჩემთვის ყველა „ატკაზნიკი“ ერთია. ან ქურდი ხარ ბოლომდე, ან არაქურდი. არაქურდს კი ქურდთან არაფერი აქვს საერთო... გარდა ერთი შემთხვევისა, თუკი ქურდი ქურდობაზე უარს ამბობს ღვთის მსახურობის გამო. შენ კი ფოტოგრაფობ.

– აბა, რა ვქნა? ცოლ-შვილი მყავს და რჩენა ხომ უნდა?

რობოს სურათი გამოვართვი, ხელში ხუთმანეთიანი შევაჩეჩე და ვუთხარი:

– შენი საქმისა შენ იცი. მე შენი არც მტერი ვარ და არც მსაჯული. მე ქურდი ვარ და ჩემი ცხოვრება მაქვს. შენ კი შენი გზით იარე. მშვიდობით.

მე ჩემს ნაშას ხელი მოვხვიე და რესტორნისკენ ავიღე გეზი. რობო კი, ხუთმანეთიანით ხელში, გაშეშებული იდგა მუსიკალური ფანტანის წინ და ხმას არ იღებდა.

წლების მერე, თბილისის მეშვიდე იზოლატორში ჯდომის დროს, „ფოტოგრაფი რობო“ გამახსენდა და შემეცოდა, მართალია, მის საქციელს დღემდე ვგმობ, მაგრამ ის კი სწორი თქვა: გაბოზებასა და გაქათმებას, ქურდობაზე უარის თქმა ჯობდაო. რობო და რობოსნაირების ქურდული სტატუსი სხვა არაფერია, თუ არა „გაუგებრობაში მოხვედრა“. რობოს მართლაც გაუმართლა, დროზე „დატორმუზდა“ და პატიოსან შრომას მიჰყო ხელი. „პატიოსანი ქურდი“ მისგან არ შედგა და კიდევ კარგი, ფოტოგრაფობაში მაინც გაუმართლა და ოჯახს მოეკიდა...

რას იზამ, ასეთი ჭრელია ეს ცხოვრება. ყველა ვერ ინარჩუნებს ადგილს ქურდულ ოჯახში. ზოგიერთი, რობოსი არ იყოს, ნებაყოფლობით ტოვებს მას. უარესია, როდესაც აიძულებენ ამის გაკეთებას. ასეთ შემთხვევაში, განდევნილს ხშირად ფოტოგრაფობის პერსპექტივაც კი არ რჩება და ბოლომდე ეფლობა ჭაობში. მახსოვს, ყაზანის „სტროგაჩეზში“ შემდგარ „სხოდკაზე“ როგორ ჩამოვართვით ქურდობა ერთ ჩვენს კოლეგას და რა გაგრძელება მოჰყვა ამას. მაშინ ჯერ კიდევ ქურდს „კრისობაში“ სდებდნენ ბრალს. ანუ, ერთ-ერთი საქმის დროს მან ბრილიანტის ბეჭედი წინდაში დამალა და „პაძელნიკებს“ არ უთხრა. ამ ამბიდან ორიოდე თვის შემდეგ ეს ფაქტი გაირკვა. მისმა პაძელნიკებმა სუფთად დაუმტკიცეს ნაქურდალი ნივთის დამალვის ფაქტი და იძულებულები გავხდით, მისთვის ქურდის ტიტული აგვეყარა.

– ძმებო, დამნაშავე ვარ და მაპატიეთ, მხოლოდ არაქურდად ნუ დამტოვებთ, – ტირილით გვევედრებოდა ტიტულაყრილი ქურდი. ჩვენ კი მას ჯერ გამოვუცხადეთ, რომ ქურდი აღარ იყო, რაც ქურდის ტიტულის აყრას ნიშნავდა. შემდეგ კი წავარტყით, გინებ-გინებით პანღური ამოვკარით და საკნიდან გავაგდეთ.

ჩვენი გადაწყვეტილება სამართლიანი იყო და აბსოლუტურად შეესაბამებოდა ქურდულ კანონებს. თუმცა, ტიტულაყრილისთვის ეს ვერავითარი შეღავათი გახლდათ. ის დაიბოღმა. თავის ყოფილ ძმებზე შურისძიება გადაწყვიტა და შეიძლება ითქვას, განახორციელა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ უკვე „პრაშლიაკი“ იყო, თავის დონეს მაინც ინარჩუნებდა და ვერავინ ვერაფერს უბედავდა. „სროკი“ რომ ალასრულა და გათავისუფლდა, თავისი ცხოვრება მოინანია. შემდეგ მილიციაში დაიწყო მუშაობა, ქურდებს დევნიდა და საკმაოდ წარმატებული კარიერა გაიკეთა. ის დღესაც ცოცხალია, პენსიაზეა, პოლკოვნიკის ჩინს ატარებს და მემუარებს წერს, თუ როგორ ებრძოდა კანონიერ ქურდებს. სხვათა შორის, მისი უშუალო მონაწილეობით, არაერთი ჩვენი ძმა იქნა „დამუშავებული“ და ზოგს ქურდებმა აყარეს ტიტული, ზოგმაც თავად თქვა მასზე უარი. ასე გადაუხადა მან თავის ყოფილ კოლეგებს სამაგიერო. ყაზანის „სტროგაჩეზში“ შემდგარ „სხოდკაში“, თორმეტი ქურდი ვმონაწილეობდით. აქედან ოთხი ქურდებმა „გააფუჭეს“, ხუთმა ქურდობაზე თავად თქვა უარი, ორი ქურდად გარდაიცვალა და ერთადერთი, მე ვარ ცოცხალი და ქურდულ სტატუსში. ის ჯერ კიდევ მოქმედი ოპერი იყო, როდესაც მასთან შეხვედრა მომიწია. მაშინ მოსკოვში დამიჭირეს. როგორც ყოველთვის, ძებნილი ვიყავი და „მურმა“ კონსპირაციულ ბინაში ამიყვანა. ერთ ჩემს ძველ ნაშასთან ვცხოვრობდი და დედამისმა ჩამიშვა. მიზეზი კი ის იყო, რომ იმ ძუკნას უარი ვუთხარი სქესობრივ კავშირზე. ერთი სიტყვით, „მურში“ მიმიყვანეს და დასაკითხ ოთახში დამტოვეს. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და ზღურბლზე ჩემი ძველი კოლეგა გამოჩნდა, რომელსაც ყაზანის „სტროგაჩეზში“ ტიტული ჩამოვართვით.



– კობრას ვახლავარ, ჩემს ნაძმაკაცარს! – ირონიულად მითხრა ყოფილმა, – გაები ბოლო-ბოლო ჩემს ქსელში?

– ჰო, სულ შენი აღმოჩენილი ვარ, – ირონიულადვე მივუგე მე.

– ჩემთან შენმა ეგრეთ წოდებულმა წესიერმა საქციელმა მოგიყვანა. გაგეჟიმა ის ძუკნა და იქნებოდი ახლა ტკბილად და მაძღრად, ფაშასავით. ხომ ხედავ, ნამეტანი წესიერებაც საზიანოა, ისევე, როგორც არასწორი საქციელი.

– კრისობა, – დავაზუსტე მე, რაზეც ჩემს ოპონენტს წამით თვალები აენთო, მაგრამ უმალვე დაიოკა ვნება და მითხრა:

– ერთიღა დამრჩი ოთხში ამოსაყვანი და შენც მოგაყომარებ.

– ქურდობაზე მათქმევინებ უარს თუ ამას სხვას გააკეთებინებ? – ირონიულად ვკითხე, მან კი მომიგო:

– როგორც გამოვა, ისე.

– ფეხი არ ჩაგივა. ეგ საქმე არ გამოგივა, – მტკიცედ ვთქვი მე.

– ეს, რა თქმა უნდა, იოლი საქმე არაა, მაგრამ გარწმუნებ, მასეა.

– შენ უფრო საკუთარ თავს არწმუნებ და გგონია, რომ კობრას გატეხავ, მაგრამ ვერ გატეხავ.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.



ჩემი ყოფილი კოლეგის წინააღმდეგ განხორციელებული ინტრიგა უფრო ხუჭუჭას სტილი იყო, მაგრამ იმ შემთხვევაში სიკვდილს გადამარჩინა და ეს ამბავი რომ ბოცმანისგან არ მცოდნოდა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი. ჩემმა წელიწადნახევრიანმა პატიმრობამ, ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებში ჩაიარა, ვიდრე სხვა „სროკებმა", რადგან ჯერ მოსკოვში, ბუტირკის ციხეში ვიჯექი, შემდეგ კი თბილისში გადმომიყვანეს და „სვაბოდაზე" ჩემს მშობლიურ ქალაქში გამოვედი. „გუბერნსკის" ბოლო კარი რომ გავიარე და ქუჩაში გამოვედი, იქვე მდგომი „ჟიგულიდან" ბერძენა გადმოვიდა, ჩამეხუტა და მითხრა:

– როგორ ხარ, ძმაო, ძალიან მომენატრე. ოთხი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს.

სანამ მე დამიჭერდნენ, ბერძენა მანამდე გაუშვეს სროკზე და ამდენი წელი იმიტომ არ გვენახა ერთმანეთი. ბერძენას მხარზე ხელი მოვუთათუნე და ვუთხარი:

– მეც ძალიან მომენატრე. შენ როგორ ხარ?

– ძველებურად, ძმაო, ძველებურად. წამოდი, მაგარი რაღაც უნდა განახო.

– რა უნდა მანახო?

– წამოდი და თვითონ ნახე, – მითხრა ბერძენამ, „ჟიგულის" კარი გამიღო და ჯერ მე შემიშვა, მერე თვითონ ჩაჯდა და მძღოლი გამაცნო:

– გაიცანი, ეს ჩვენი მომავალი ძმაა, კოტე, შინაურებში კი „ჩიპოს" ვეძახით.

ჩიპო დღეს ცოცხალი აღარაა. ის ახალი ფორმაციის ქურდების შეკვეთით მოკლეს მოსკოვში, რადგან ნეპმანური ტრადიციების უმწიკვლო მიმდევარი იყო და ვილაც-ვილაცეებს ყელზე დაადგათ. მაშინ კი ის ჯერ კიდევ ქურდული ტიტულის მაძიებელი, ძალიან ახალგაზრდა კაცი გახლდათ, მაგრამ უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენს წრეში. მასზე მეც ბევრი რამ მსმენოდა, ხელი გავუწოდე და ვუთხარი:

– კობრა.

– ჩიპო, ძმაო...

– კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

– კეთილი იყოს, – გაიმეორა ჩიპომ, ძრავა აამუშავა და „ჟიგული" ადგილიდან დაძრა.

მე და ბერძენა უკანა სავარძელზე ვისხედით და ვსაუბრობდით, ჩიპო კი ხმას არ იღებდა.

– მაინც, ისეთი რა უნდა მანახო, – ინტერესს ვერ ვმალავდი მე, ბერძენამ კი მითხრა:

– მოითმინე და ნახავ. ძალიან მაგარი რამეა, – შემდეგ ჩიპოს უთხრა:

– ხომ მართლა მაგარი რაღაცაა ჩიპოჯან?

– უმაგრესი, – მიუგო ჩიპომ.

ჩვენ ბერძენას ეზოში გავაჩერეთ მანქანა, სადარბაზოში შევედით და კიბეებს ავუყევით. ბერძენა თან კარს აღებდა, თან მეუბნებოდა:

– სულ მალე საოცრებას იხილავ.

როგორც იქნა, ბინაში შევედით, სასტუმრო ოთახში შევაბიჯეთ და ბერძენამ მუხის ორსართულიანი მაგიდისკენ გაიშვირა ხელი, რომელზეც „სონის" ფირმის უზარმაზარი ტელევიზორი იდგა.

– ვაა, რამხელა ტელევიზორია, – ვთქვი მე, რადგან ამხელა ზომის ტელევიზორს პირველად ვხედავდი.

– რა ტელევიზორი, შენ პრისტავკა უნდა ნახო, – მითხრა ბერძენამ.

– ეგ რაღაა?

– აი, ტელევიზორის ქვემოთ რომ დევს. კრესლოში ჩაჯექი და მოემზადე, – მითხრა ბერძენამ. შემდეგ ტექნიკის საოცრება ამოქმედდა და უზარმაზარ ეკრანზე ბრიუს ლის ერთ-ერთი ფილმის კადრები გამოჩნდა. მანამდე, მსგავსი რამ არასოდეს მენახა და თვალებგაფართოებული ვუყურებდი ეკრანს. ვიდეომაგნიტოფონი ახალი ხილი იყო და მის შესახებ არც კი მსმენოდა. ყურებამ ძალიან გამიტაცა და ვცდილობდი, უმცირესი წვრილმანიც არ გამომპარვოდა. უცებ კადრი გაჩერდა. მე ბერძენასკენ მივბრუნდი და ვკითხე:

– რა მოხდა?

– არაფერი, უბრალოდ, კადრი გავაჩერე. ხომ მაგარი რაღაცაა? – მითხრა ბერძენამ.

– ჩართე, რა, ჩართე! – ვთქვი მე. ბერძენა კი მაგიდის უჯრასთან მივიდა, იქიდან ათიოდე ვიდეოკასეტა ამოიღო და მითხრა:

– აი, ამეებზე სულ კინოებია ჩაწერილი. დაჯექი და უყურე, რამდენიც გინდა. იცი, რა მაგარი ფილმები მაქვს?

– მაგ მოწყობილობას რა ჰქვია? – ვკითხე ბერძენას.

– ვიდეომაგნიტოფონი. ახალი გამოგონებაა და საიუზში (საბჭოთა კავშირი) ძალიან ცოტას აქვს. ოცდაათი ათასი მანეთი ღირს, სამი „ვოლგის" ფასი.

– შენ საიდან?

– ვერცხლის ქუჩელმა ანზორამ მიგრევა. ერთი გაყიდა, ერთი თავისთვის აქვს და ერთის გაქირავება უნდოდა, რომ მაყუთი გაეკეთებინა, მაგრამ პირველივე ზახოდზე ვორონცოველებმა დაითრიეს, ახევა მოუნდომეს და მე ჩამრია. როდესაც ვორონცოველებს მოვატანინე და ანზორას შევუთვალე: მოდი და წაიღე-მეთქი, ანზორამ ხუთი ცალი კასეტა მომიტანა და მითხრა:

– შენი იყოს, ბერძენ-ჯან, გჩუქნი. აი, ეს კასეტებიც გქონდეს.

მოკლედ, ჩვენია, რა, და გავერთოთ.

– ესმის საგანი ანზორას, – გამეცინა მე, – ეს ვიდეომაგნიტოფონი კი მართლა მაგარი შტუკაა. რას არ გამოიგონებს ადამიანი?

ისე გამიტაცა ვიდეოფილმების ყურებამ, რომ ეკრანს თვალს ვერ ვწყვეტდი, ღამეებს ვათენებდი. მაგრამ, ორკვირიანი გადაბმული ვიდეოსეანსის შემდეგ ფილმების ყურება ყელში ამომივიდა და მოვეშვი. მხოლოდ იშვიათად, იმ შემთხვევაში მივუჯდებოდი ხოლმე, როცა ვინმე ახალ კასეტას მოიტანდა. სულ მალე, ვიდეომანიამ მასიური ხასიათი შეიძინა. თბილისში ბევრმა შეიძინა ვიდეომაგნიტოფონი და საკმაოდ ძვირად. ვისაც მისი ყიდვა არ შეეძლო, ვიდეოს ქირაობდა და ფილმების ჩვენების სეანსებს აწყობდნენ. ძალიან მალე თბილისი ერთ დიდ ვიდეოკინოთეატრად გადაიქცა და ყოველღამე ათასობით ადამიანი იკრიბებოდა სხვადასხვა ბინებში და ნაქირავებ ვიდეოს პერმანენტულად უყურებდნენ. ვიდეობიზნესი იმ პერიოდში ძალიან სარფიან საქმედ გადაიქცა და გამქირავებლებმა დიდი ფული იშოვეს.

ვიდეობუმი პიკში იყო. ერთ დღეს, მე და ბერძენა მის სახლში ვიმყოფებოდით და „ნათლიმამას" ვუყურებდით. ამ დროს ჩიპო მოვიდა და გვითხრა:

– ერთი ნაკოლი მაქვს და თუ ამ საქმეს

ყოფილ კოლეგას ჩემს სიტყვებზე ჩაეცინა, ალმაცერად შემომხედა და მითხრა.

– ქვემოთ, კაპეზეში სამი პიდარასტი მყავს მოყუჩებული. ახლა მათთან შევგადებ და რომც არაფერი გიქნან, უკვე მათთან ერთად ჯდომისთვის აგყრიან იმ წოდებას, რომლითაც აგრერიგად ამაყობ. ჰა, როგორი აზრია?

ჩემი ყოფილი კოლეგის წინააღმდეგ ერთი ნაღდი სვლა მქონდა მომზადებული და დარწმუნებული ვიყავი, აუცილებლად გაჭრიდა. ამიტომ მშვიდად მივუგე:

– ძალიან ცუდი აზრია.

– გეთანხმები. მაგრამ, რას იზამ.

– ცუდია შენთვის, – დავაზუსტე მე.

– ჩემთვის?

– ჰო, შენთვის, – გავიმეორე და განვაგრძე, – ერთი კითხვა უნდა დაგისვა.

– მიდი.

– მეხსიერებას ხომ არ უჩივი?

– არა.

– „ბოცმანი" თუ გახსოვს, შენი ყოფილი პაძელნიკი?

ბოცმანი ძველი მომპარავი იყო, იმ პერიოდისთვის უკვე გარდაცვლილი. ყოფილი ქურდი და ბოცმანი ძველი პაძელნიკები იყვნენ და ჩემმა ოპონენტმა მითხრა:

– ბოცმანს რა დამავიწყებს, რატომ მეკითხები?

– სწორედ ბოცმანისგან ვიცი, რომ შენი უშუალო უფროსის, გენერლის ვაჟი სინამდვილეში შენი შვილია და როგორ ფიქრობ, ამას გენერალი რომ შეიტყობს, რას გიზამს? გაპატიებს, რომ მის ცოლთან დადიოდი და დაარსულე? – ხმადაბლა ვუთხარი ჩემს ყოფილ კოლეგას, რომელსაც სახეზე ცარცისფერი დაედო. ტუჩზე თითი მიიდო და მითხრა:

– ჩუმად. მართალი ხარ. ხელებს ვწევ და გნებდები.

კარგად ვიცოდი, რომ ყოფილი ჩემი კოლეგა ამ სიტყვების შემდეგ მოსისხლე მტრად გადავიკიდე და ის ჩემს მოკვლასაც არ მოერიდებოდა. ამიტომ ვუთხარი:

– მე რომ თავიდან ერთი ბეწვიც კი ჩამომივარდეს, ამ ამბავს გენერალი შეიტყობს.

– გამორიცხულია. მეც სუ და შენც სუ, – მითხრა ჩემმა ოპონენტმა და დაამატა, – თამაშიდან გავდივარ. მორჩა. შენს წინააღმდეგ ყოველგვარი მოქმედებისგან ხელს ვიღებ. ოღონდ, შენც ენას კბილი დააჭირე.

– მოსულა, – ვთქვი მე, – ახლა კი ისე მოაწყვე საქმე, რომ მინიმალური მომისაჯონ.

– ბაზარი არაა. მაქსიმუმ, ორწლიანზე გაგიშვებენ, – მითხრა ყოფილმა კოლეგამ, რომელმაც ისე შეკერა ჩემი საქმე, რომ სასამართლომ წელიწად-ნახევარი მომისაჯა, თანაც საერთო რეჟიმით.



გავაკეთებთ, დიდ „ფოსტას“ წამოვიღებთ.

– აბა, თქვი, – უთხრა ჩიპოს ბერძენამ.

– ავლაბარში ერთი ჯემალა ცხოვრობს, ადრე შმოტკებით ბარიგობდა, ახლა კი ვიდეოებს აქირავებს. ძალიან დიდი მაყუთი იშოვა. ექვსი თვეა, რაც ამ საქმითაა დაკავებული და მინიმუმ, ასი ათასი მანეთი ისე ექნება მოყუჩებული, როგორც მე თქვენ გიყურებთ, – თქვა ჩიპომ.

– მაიცა, რა, ვიდეოს გაქირავებით ამდენ ფულს საიდან იშოვიდა, – თქვა ბერძენამ.

– რას არ იშოვიდა, ყოველდღე სამი ვიდეო აქვს გაქირავებული თითქმის ოცდაოთხი საათის განმავლობაში და ერთი გაქირავება ორასი მანეთი ღირს.

– თუ ასეა, მართლა ექნება, – ვთქვი მე, – უბრალო არითმეტიკაა: თვეში თვრამეტი ათასი, ექვს თვეში კი ას რვა ათასი გამოდის.

– კი, მასეა, – თქვა ჩიპომ.

– სტო ტისჩი მაგარი მაყუთია, – თქვა ბერძენემ.

– თანაც, ძალიან იოლი გასაკეთებელი, – დაამატა ჩიპომ.

– იოლი რატომ? – ჰკითხა ბერძენამ.

– იმიტომ, რომ ჯემალას სახლში ცოლი და ორი ბიჭი ჰყავს. ვიდეოებს რომ აქირავებენ, თან მიჰყვებიან კლიენტებს, სახლში კი მარტო ცოლი რჩება.

– თუ ცარიელი არ იქნა, ისე ბაითში ვერ შევალთ, ხომ იცი?

– ვიცი, – თქვა ჩიპომ.

– აბა, როგორ გამოიტყუებ იმ ქალს სახლიდან?

– ძალიან ადვილად, – გაეცინა ჩიპოს, – ვინც ეს ნაკოლი მომცა, ის კაცი იმ ქალის საყვარელია და სახლში აკითხავს ხოლმე. საქმის გაკეთებას რომ დავაპირებთ, იმ დღეს ქალს გარეთ გამოიტყუებს, ჩვენც შევალთ და ვიჩალიჩებთ.

– ქალი რომ მიხვდეს და თავის საყვარელზე მიიტანოს ეჭვი? – თქვა ბერძენამ.

– ქმარს იმას ხომ არ ეტყვის, ეს კაცი ჩემი საყვარელიაო? – გაეცინა ჩიპოს.

– ტყუილად გეცინება. როცა ამხელა მაყუთზეა ბაზარი, შეიძლება, თქვას კიდეც, – მიუგო ჩიპოს ბერძენამ, – იმ კაცს და ქალსაც ალიბი უნდა გავუკეთოთ.

– ალიბი?

– ჰო. ალიბი. ნაკოლშჩიკს – თავის საყვარელთან, იმ ქალს კი – ქმარ-შვილთან, – თქვა ბერძენამ და მკითხა: – მართალს არ ვამბობ?

– ასპროცენტიანი ხარ. რამე ხეირიანი კომბინაცია თუ არ მოვიფიქრეთ, შეიძლება, გავიშიფროთ, – ვთქვი მე.

– რამე იდეა გაქვს? – მკითხა ბერძენამ.

– კონკრეტული არაფერი, მაგრამ, ის კი ზუსტად ვიცი, რომ ქალმა ნაკოლშჩიკზე ეჭვი არ უნდა აიღოს და სუფთად გამოიტყუოს ბაითიდან.

ჩიპო ერთხანს ჩაფიქრდა, შემდეგ თვალები გაუბრწყინდა და თქვა:

– რა აუცილებელია, რომ ის ქალი მისმა საყვარელმა, ანუ ნაკოლშჩიკმა, სახლიდან გამოიტყუოს?

– შენ, გეტყობა, სხვა გეგმა გაქვს, – ვუთხარი ჩიპოს.

– კი, მაქვს.

– თქვი, გისმენთ.

– ქალს მე დავურეკავ, ვეტყვი, ვიცი, რომ საყვარელი გყავს-მეთქი და მის ვინაობასაც დავუსახელებ. შემდეგ ვეტყვი, რომ მოვიდეს შეხვედრაზე და ხუთასი მანეთი მომიტანოს, თუკი არ უნდა, რომ მის ქმარ-შვილს შევატყობინო ყველაფერი. დარწმუნებული ვარ, მოვა და ჩვენც სწორედ ამ დროს დავუბომბავთ ბაითს. ამით ნაკოლშჩიკს სუფთა ალიბი ექნება და ქალი მასზე ეჭვს არ მიიტანს, – თქვა ჩიპომ.

– ცუდი არაა. თავად ქალის ალიბი? – ვუთხარი ჩიპოს, – ბაითს რომ დავუბომბავთ და გაირკვევა, ქალი სახლში არ იყო, ქმარშვილს რას ეტყვის, რატომ არ ვიყავიო?

– ვითომ ვიღაცამ დაურეკა და უთხრა, შენი ქმარი ავარიაში მოყვა და საავადმყოფოში მოდიო. ამით ქმარ-შვილთან სათქმელი ექნება – ქურდებმა გამიტყუესო და მშვენიერი ალიბია, – მითხრა ჩიპომ.

– ჰო, მაგრამ, ამ ქალს ამ ვერსიას ვინ მიაწვდის? – ვკითხე ჩიპოს. მერე გამეცინა და დავამატე: – ვინ და, საკუთარი თავი. თვითონ მოიფიქრებს ასეთ რამეს, დარწმუნებული ვარ. ისეთი გაიძვერა ჩანს, არ შეეშლება.

ჩიპო და ბერძენა დამეთანხმნენ. დანიშნულ დღეს ჩიპომ ქუჩის ტელეფონიდან ჯემალას ცოლს დაურეკა და ბოხი ხმით უთხრა:

– დიანა მინდა!

– დიანა ვარ, – უპასუხა ქალმა.

– კუკლა-ჯან, ახლა კარგად მომისმინე და სწორად გადაწყვიტე ყველაფერი, ისტერიკაში არ ჩავარდე, თუ არ გინდა, რომ თავი დაილუპო, გაიგე?

– ვინ ხარ და რა გინდა? – ხმის კანკალით იკითხა ქალმა.

– ვინ ვარ, მნიშვნელობა არა აქვს. რა მინდა და, ხუთასი მანეთი.

– ვა, მართლა? ოქროს გასაღებიც ხომ არ გინდა?

– შენს ადგილზე არ ვიხუმრებდი და კარგად დავფიქრდებოდი, ქმრისთვის რა მეთქვა, როცა მკითხავდა, ბესო ვინ არისო?

ბესო ქალის საყვარელი, ანუ, ჩვენი, ნაკოლშჩიკი იყო. მისი სახელის ხსენებაზე ქალს ენა ჩაუვარდა და ჩიპომ უთხრა:

– ენა გადაყლაპე?

– რა გინდა? – ხმის კანკალით იკითხა ქალმა.

– ხომ გითხარი, რაც მინდა – ხუთასი მანეთი.

– თანახმა ვარ.

– თანაც, ახლავე.

– ახლავე?

– ნახევარ საათში დიდუბეში გელოდები, მეტროს ამოსასვლელთან. მაგრამ, იცოდე, არავინ დამაყენო თავზე, დადექი და დამელოდე, მე თვითონ მოვალ. იცოდე, არავინ მოიყვანო.

– ვინ უნდა მოვიყვანო?

– აბა, მე რა ვიცი.

– მარტო მოვალ, – თქვა ქალმა და ყურმილი დაკიდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL



***კითხვებზე პასუხობს „ჰეალაინის“ დერმატო-კოსმეტოლოგი მაკა დოლოზაშვილი.***

**კითხვა: ძალიან მინდა ბიორევიტალიზაციის გაკეთება. ბევრი მეუბნება, რომ ეფექტურია, მაგრამ არ ვიცი, წინასწარ უნდა მოვემზადო, სისხლის ანალიზი უნდა ჩავაბარო, თუ პირდაპირ მოვიდე პროცედურაზე?**

**პასუხი**: ბიორევიტალიზაცია ნამდვილად ძალიან ეფექტური გამაახალგაზრდავებელი პროცედურაა. ამ დროს კანში მიკროინიექციის გზით, შეიყვანება ჰიალურონის მჟავა. შედეგად, კანი ხდება ელასტიკური, მკვრივი, სწორდება წვრილი ნაოჭები, მკვეთრად უმჯობესდება ფოტოდაბერების ნიშნები, ფერმკრთალდება პიგმენტური ლაქები. პროცედურა არ ტარდება: ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში, აუტოიმუნური დაავადებების, ანტიკოაგულანტების მიღების დროს. წინასწარი მომზადება საჭირო არ არის, თუმცა პროცედურის ჩატარებამდე, უმჯობესია, სპეციალისტის კონსულტაცია გაიაროთ.

**კითხვა: მინდა გავიკეთო ბოტოქსი, მაგრამ ვიცი, რომ სამჯერ მეტად მისი გამოყენება არ შეიძლება. როცა ველარ შევძლებ გაკეთებას, მერე რაღა უნდა ვქნა, ხომ უფრო მეტი ნაოჭი გამიჩნდება?**

**პასუხი**: მიმიკური ნაოჭების კორექციის საუკეთესო საშუალება ბოტოქსის ინიექციებია. მისი მოქმედების ეფექტი 4-8 თვის განმავლობაში ნარჩუნდება. ამიტომ, მუდმივი ეფექტის მისაღებად წელიწადში 2-3 ინიექცია სრულიად საკმარისია, ეფექტის შესანარჩუნებლად მომდევო წლებში ბოტულინოთერაპიის გაგრძელება თავისუფლად შეგიძლიათ, თუ ამის უკუჩვენება არ არსებობს. უფრო მეტი ნაოჭი არც ერთ შემთხვევაში არ გაგიჩნდებათ, რადგან მიმიკური კუნთების თუნდაც დროებით მოდუნებს გამო, კანზე არსებული ნაოჭები სწორდება და სადავდება. ბოტოქსის ინიექციების მიმართ უკუჩვენების შემთხვევაში, თქვენი ექიმის მიერ შესაძლებელია, დაიგეგმოს სხვა გამაახალგაზრდავებელი პროცედურების კომპლექსი.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**საქართველოს ეკლესია ყოველთვის მრავალ სიწმიდეს ფლობდა და დღემდე ფლობს. უდიდეს სიწმიდედ მიიჩნევა უფლის კვართი, რომელიც თავისი შინაარსით ყველა სიწმიდეს აერთიანებს. საქართველოში უფლის კვართის შემოსვლა გაიაზრება ქრისტიანობის შემოსვლასთან, რადგან შემდეგში ამ კვართზე, როგორც ქრისტეს განუყოფელ სხეულზე, დაარსდა ქართული ეკლესია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მაცხოვრის კვართამდე საქართველოში ყოფილა ძველი აღთქმის სიწმინდე – „ელიას ხალენი“, რომელიც ებრაელებმა შემოიტანეს ჩვენს ქვეყანაში და მცხეთაში დაფლეს. პირველ საუკუნეში კი მის მახლობლად დაფლეს მაცხოვრის კვართი. იმის შესახებ, თუ რა სიწმიდეები ინახება საქართველოში, რომელიც მაცხოვრის სახელს უკავშირდება, გვესაუბრება ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი:**

# რა ბედი ეწია საქართველოში დაცულ მაცხოვრის სისხლს, ღრუბელსა და წვერის სამ ღერს და რა სასწაულებს ახდენდნენ ჩვენთან დაცული სიწმიდეები

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წმიდა ნაწილებად მიიჩნევა წმიდანის სხეულის ცალკეული ნაწილები, თმა, ტანსაცმელი; ასევე, წმიდანის საცხოვრებელი სახლი, ყველა ის ნივთი, რომელთანაც მას ჰქონდა შეხება. ეკლესიაში წმიდა ნაწილებს ყოველთვის დიდი დანიშნულება და, რაც მთავარია, კურნების უნარი გააჩნდა. როდესაც ერეკლე მეორის შვილი, მირიანი, ცუდად გახდა, გახსნეს სიონში დაცული სიწმიდეები და მირიანი განიკურნა. ასე რომ, საქართველოში წმიდა ნაწილებს აგროვებდნენ როგორც საეკლესიო პირები, ასევე, ქართველი მეფეები, ცალკეული ადამიანები. მეოთხე საუკუნეში, როდესაც მირიან მეფემ და მისმა სამეფო კარმა მიიღო ქრისტიანობა, იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოში საჩუქრად გამოგზავნა მაცხოვრის ფეხთაფიცარი, ძელიცხოვლის ჯვრის ნაწილები, რომელზეც ქრისტე გააკრეს და ორი სამსჭვალი. კონსტანტინე იმპერატორმა გამოგზავნილ პიროვნებებს დაავალა, სადაც პირველად შეხვალთ, იქ ააშენეთ ეკლესია და შეინახეთ ისინიო. მათაც ერუშეთში დატოვეს ფეხთაფიცარი, ხოლო მანგლისში ააშენეს ეკლესია, სადაც დატოვეს სამსჭვალი.

**– როდის გაიტანეს ეს სიწმიდეები საქართველოდან?**

– 627 წელს, როდესაც ჰერაკლე კეისარმა საქართველოში ილაშქრა, მან სამსჭვალი და ფეხთაფიცარი საქართველოდან გაიტანა. მეთერთმეტე-მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების ცნობებით კი სამსჭვალი ისევ საქართველოშია. მის შემოტანას უკავშირებენ ბაგრატ მეოთხის ბიზანტიელი მეუღლის საქართველოში შემობრძანებას. სამსჭვალი მეთექვსმეტე საუკუნეშიც გვხვდება საქართველოში. 1639 წელს სამურზაყანოში ჩამოდის ფედოტი ელჩინი და ამბობს, რომ ერთ ეკლესიაში ინახება უფლის სამსჭვალიო. ზუსტად ამ პერიოდში და ცოტა მოგვიანებით, მეჩვიდმეტე საუკუნეში, თბილისის სიონის ტაძარში არის დაფიქსირებული კიდევ ერთი სამსჭვალი, რომელიც მანგლისიდან იყო წამოღებული. როდესაც აფხაზეთის ტერიტორია თურქებმა დაიკავეს, ქართველებმა იქიდან სიწმიდეები, წმიდა ნაწილები წამოიღეს, რის შემდეგაც ისინი ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში ინახებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს არჩილ მეფემ, რომელსაც დასავლეთ საქართველოში ძალიან გართულებულ პირობებში უწევდა მეფობა, გადაწყვიტა რუსეთში წასვლა, სასულიერო პირებს სთხოვა, სამსჭვალს თან წავიღებო და ასეც მოიქცა. როდესაც მიდიოდა, მას ქალაქის კარიბჭესთან დაეწია კათოლიკოს-პატრიარქი და სთხოვა, პატარა ნატეხი მაინც დაგვიტოვეო. მაშინ ამ სამსჭვალს მოაჭრეს წვერი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეშიც ინახებოდა გელათში და ახლა დაკარგულად მიიჩნევა. დღეს საქართველოს საპატრიარქოში შენახული სამსჭვალი სწორედ ამ სამსჭვალის ჩამონაჭერია, წვერი კი დაკარგულია. მეცნიერებს ეგონათ, რომ ეს სამსჭვალი გაიტანა არჩილ მეფემ რუსეთში. როგორც ირკვევა, არჩილ მეფეს ეს სამსჭვალი კი არ გაუტანია, არამედ ის, რომელიც თბილისის სიონის ტაძარში ინახებოდა. სამწუხაროდ, გარდა ქრისტეს სამსჭვალისა, როგორ შემოვიდა საქართველოში სხვა წმიდა ნაწილები, ჩვენთვის უცნობია. საერთოდ, მათი დიდი ნაწილი ჩვენს ქვეყანაში შემოვიდა ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ. ზოგიერთი მათგანი ჩუმად შემოდიოდა, ზოგს კი ყიდულობდნენ. ხშირად, როდესაც ესა თუ ის ეკლესია ფლობდა წმიდა ნაწილებს, მონასტრის ძმობა ასაიდუმლოებდა მათ ადგილსამყოფელს. უფრო მეტსაც გეტყვით, ქუთაისში ინახებოდა წმიდა გიორგის თავის ქალა და ეს ბევრისთვის უცნობი იყო. მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც რუსი სასულიერო პირები ჩავიდნენ ილორში, მათ არ გაუხსნეს ზანდუკი, რომელიც დალუქული იყო იმერეთის კათოლიკოსისა და გურიის მთავრის ბეჭდით და რომელშიც ბევრი წმიდა ნაწილი ინახებოდა. სასულიერო პირები ხშირად ცნობასაც არ აძლევდნენ არავის. საერთოდ, ყველა ტაძარში იყო სამალავები, გვირაბები. 1983 წელს სიონშიც იყო საიდუმლო კედელი. ამით სიწმიდეებს განადგურებისა და წაბილწვისგან იცავდნენ ხოლმე.



**– მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული კიდევ რა წმიდა ნაწილი ინახებოდა საქართველოში?**

– საქართველოში ასევე ინახებოდა იმ ღრუბლის რამდენიმე ნაწილი, რომელიც ქრისტეს სისხლი მოსწმინდეს. მეჩვიდმეტე საუკუნეში რუსი ელჩები ასახელებენ, რომ ეს ღრუბელი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზაგემში ინახება, მეორე ღრუბელი კი ილორის ტაძარში უნდა ყოფილიყო. მაგრამ, კავკასიური ტომების მოწოლის შემდეგ, ის გადმოიტანეს დასავლეთ საქართველოში და გელათში ინახებოდა. დღესდღეობით კი, როგორც აღმოჩნდა, ის ინახება ქუთაისის მუზეუმში. ათეისტურ პერიოდში ქუთაისის საეკლესიო სიწმიდეები შეინახა ტრიფონ ჯაფარიძემ და ისინი განადგურებისგან, საქართველოდან გატანისგან იხსნა. საქართველოში ასევე ინახებოდა ქრისტეს წვერის სამი ღერი.

**627 წელს, როდესაც ჰერაკლე კეისარმა საქართველოში ილაშქრა, მან სამსჭვალი და ფეხთაფიცარი საქართველოდან გაიტანა. მეთერთმეტე-მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების ცნობებით კი სამსჭვალი ისევ საქართველოშია**

**– სად ინახებოდა?**

– ჩვენ გვაქვს 1899 წლის სვეტიცხოვლის ტაძრის აღწერა, რომლის თანახმადაც, სვეტიცხოვლის მარცხენა და მარჯვენა კანკელების მხარეს, თურმე, დიდი სანაწილე ხატები ეკიდა. ამ ხატებში ჩასვენებული იყო წმიდა ნაწილები თავისი წარწერებით. ერთ-ერთში ინახებოდა სწორედ მაცხოვრის წვერის სამი ღერი, თუმცა, ამ ხატებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერმაკოვის მიერ გადაღებული ამ ხატის ფოტო. ცნობების თანახმად, მასში ჩაბრძანებული ყოფილა 102 სხვადასხვა წმიდა ნაწილი, ერთ-ერთი კი იყო ქრისტეს სისხლი, რომელიც გამჭვირვალე ჭურჭელში ესხა. გადმოცემის მიხედვით, ხახულის კარედის ხატის ფიცარი არის იმ ბაგიდან, სადაც ქრისტე დაიბადა. ხახულის კარედის ხატს ამშვენებდა შემოწირული ოქრო, ცნობების თანახმად, ის ოქრო იყო, რომელიც მოგვებმა ბაგაში მაცხოვრის სანახავად მისვლისას მიიტანეს. სამწუხაროდ, 1853 წელს, როდესაც გელათის ტაძარი გაიქურდა, ეს ოქრო და ხატი დაიკარგა.

**– საუკუნეების განმავლობაში, გავრცელებულია ცნობა სვეტიცხოველში მაცხოვრის კვართის არსებობის შესახებ. რა გვაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ კვართი მართლაც საქართველოშია?**

– ეკლესიურ ტრადიციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ბაგრატიონები იწოდებოდნენ „იესიან, დავითიან, სოლომონიან, კვართიანად“. ჩვენ, ასევე, გვაქვს საუფლო კვართისადმი მიძღვნილი ლოცვები, სპეციალური ლიტურგიკა. 1150-1177 წლებში კათოლიკოს-პატრიარქი იყო ნიკოლოზ გულაბერიძე, რომელმაც დაწერა ლიტურგიკული ნაშრომი – „საკითხავი სვეტიცხოვლისა, უფლის კვართისა და კათოლიკე ეკლესიათა“. ამ ნაშრომში ჩამოთვლილია ყველა ის სასწაული, რაც მცხეთაში კვართის შემოსვლის შემდეგ მოხდა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც ნახსენებია, რომ საქართველო „არს უფლის კვართის მფლობელი“ და ამას კათოლიკე მისიონერებიც ადასტურებენ. ძალიან საინტერესოა ის სვეტი, რომლის ქვეშაც დაფლულია კვართი – ეს სვეტი წლების განმავლობაში მირონმდინარე იყო. ეს ყველაფერი კი ძალიან ბევრ რამეს ამტკიცებს და ბევრ რამეზე მიუთითებს. „მოქცევაი ქართლისაიში“ პირდაპირ წერია, უფლის მეორედ მოსვლის ჟამს უფლის კვართი გამოჩინდებაო. ასე რომ, როგორც „მოქცევაი ქართლისაი“ გვეუბნება, უფლის კვართს მცხეთაში მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე ვერავინ ნახავს. თუმცა, გერმანიაში, კერძოდ კი

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

**ტელევიზიით, დღეს ადამიანს დიდი არჩევანი აქვს ნახოს ის ფილმები, გადაცემები თუ შოუები, რომელიც მათ გემოვნებას აკმაყოფილებს ან უბრალოდ, დაინტერესებას იწვევს. თუმცა, არხიდან არხზე გადართვისას, ისეთ ფილმებსა და გადაცემებს ვაწყდებით, რომელიც გაღიზიანებას იწვევს და ბავშვებისთვის მათი ნახვა არარეკომენდებული და აკრძალულია. რასაკვირველია, ასეთი გადაცემების ნახვა ადამიანის სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა კანონის მიხედვით, არსებობს დრო, როცა ამა თუ იმ ფილმის, გადაცემის გაშვება ტელევიზიით არ შეიძლება. მით უმეტეს, თუ ტელეეკრანის მარცხენა, ქვედა მხარეს, სპეციალური მინიშნება არ არსებობს. როგორ დავიცვათ ბავშვები ტელევიზიის მავნე ზემოქმედებისგან, რატომ არ იცავენ ქართული ტელეარხები კანონით დასაშვებ ნორმებს და ზოგადად, როდის რჩება ქართველი მაყურებელი მოტყუებული, ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება ქალბატონი სალომე რამიშვილი, რომელიც წლებია, თვალს ადევნებს, კანონით გათვალისწინებული, ქართული თუ უცხოური ტელევიზიების პროგრამების გაშვების დროს და ამის მიხედვით, საკმაოდ შემაშფოთებელ და დასაფიქრებელ დასკვნებს აკეთებს.**

# როგორ დავიცვათ შვილები ტელეეკრანიდან წამოსული მავნე ზეგავლენისგან და რატომ გადის უხამსი, ეროტიკული სცენების შემცველი ფილმები, სერიალები საბავშვო სატელევიზიო დროს

**სალომე რამიშვილი**: პრობლემა, რომელზეც მინდა გესაუბროთ, ყოველდღე და ყოველწამს ჩვენი თვალთახედვის არეშია, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ვერ ვამჩნევთ. კონკრეტულად, არსებობს სფერო, რომელთანაც აქტიური შეხება გვაქვს ჩვენ და რაც მთავარია, ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს – არასრულწლოვნებს. აი, აქ არის მთავარი პრობლემა. ვგულისხმობ, თითქმის ყველა ქართულ არხზე მოზღვავებულ უხამსობას, რომელსაც განმკითხავი არ ჰყავს. უფრო კონკრეტულად კი, ვგულისხმობ დღის სატელევიზიო ეთერს, რომელიც მთელ მსოფლიოში მიჩნეულია, რომ საოჯახო ჩვენებისთვისაა განკუთვნილი და დროის ამ მონაკვეთში, არასრულწლოვნები უხამსობისა და ძალადობის შემცველი სცენებისგან დაცულები უნდა იყვნენ. მართალია, არავის ახსოვს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მეხუთე მუხლი შეიცავს ტერმინს – საბავშვო დრო. ის კი შემდეგნაირად იშიფრება: დროის ისეთი მონაკვეთი, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა, არასრულწლოვნები, ოჯახის ზრდასრული წევრებისგან დამოუკიდებლად უყურებდნენ სატელევიზიო ტელეპროგრამებს. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვფიქრობ, ქართველი მშობლები, ევროპელი, ამერიკელი, ახლა უკვე ბალტიის ქვეყნებისა და უკრაინელი მშობლებისგან განსხვავებით, ბავშვის მარტო ეკრანთან დატოვების ფუფუნებას, საკუთარ თავს ვერ მისცემენ.

**– შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად დაასაბუთოთ, რას გულისხმობთ?**

– რასაკვირველია, დაგისაბუთებთ და ამისთვის, მოგიყვანთ მაგალითებს, რომლის მიხედვითად მიხვდებით, რომ დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, საქართველოში სხვა სიტუაციაა. ტელეპროდუქცია მრავლისმომცემი ცნებაა და ამის გამო, შეუძლებელია პრობლემის მთლიანად წარმოჩენა. ამიტომ, იმის დასტურად, რომ ქართული ტელეკომპანიები არ ერიდებიან, არასრულწლოვნებისთვის შეუფერებელი მასალის დღის საათებში ჩვენებას, ამჯერად ფილმების, ტელესერიალებისა და უხამსი რეკლამების მაგალითების მოყვანით შევეცდები. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ მე არ ვლახავ ტელემაყურებლთა იმ კატეგორიის უფლებებს, რომლებსაც მოსწონთ ტელესერიალები, მხოლოდ და მხოლოდ ვსვამ კითხვას: შეესაბამება თუ არა ესა თუ ის კინოპროდუქცია, მისთვის დაწესებულ ასაკობრივ შეზღუდვას და ტელედემონსტრირების დროს? ერთ-ერთი პოპულარული ქართული არხის მეშვეობით, მაყურებელმა ნახა ფრანგული სერიალი „სიყვარულის საიდუმლოება". ფილმი გადიოდა შეუზღუდავი კატეგორიის აღმნიშვნელი ნიშნით. მოგეხსენებათ, ფილმს, რომლის ჩვენება არ იზღუდება, ტელედემონსტრირების დროს, კუთხეში ახლავს ცნობილი ლათინური ასო წრეწირში. ამ სერიალის ჩვენების დრო გახლდათ 17 საათი, ხოლო ტელეპროდუქცია გაჯერებული იყო უხამსი სცენებით თუ შინაარსის დიალოგებით, უცენზურო სიტყვებით. გეკითხებით, რამდენად დასაშვებია, ნებისმიერი ასაკის მაყურებლისთვის, ვგულისხმობ, არასრულწლოვნებისთვის, ბოძთან ცეკვისას შესაბამისად შემოსილი ქალების მიერ შესრულებული უხამსი მოძრაობების ყურება. სულ ცოტა ხნის წინ, წავაწყდი ინფორმაციას უცხოეთის საიტზე სათაურით – „თექვსმეტ წლამდე აიკრძალოს ბიონსე". საუბარია ამერიკელ მეგა-ვარსკვლავზე, რომელიც „გრემის" ცერემონიალზე, სცენაზე სექსუალურ, შავ კაბაში გამოწყობილი გამოვიდა. კრიტიკოსებმა კი დაასკვნეს, რომ „გრემის" ცერემონიალის ყურება, 16 წლამდე მოზარდებს უნდა აეკრძალოს. ქართულ სინამდვილეში კი, ბოძთან ცეკვის სცენა ამ არხის ანონსშია დატრიალებული. იმავე სერიალში, ქალბატონი მეგობარს გამუდმებით უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ. კერძოდ, მის მეგობარ მამაკაცს როგორი გასაგიჟებელი სხეულის ერთ-ერთი ნაწილი აქვს. ორიგინალში ისმის უცენზურო სიტყვა, რომლის გამეორებასაც მოვერიდებოდი. რაც შეეხება, როგორ იცავენ ჩვენში მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვნებს, ეს ცალკე სასაუბრო თემაა. ასევე, ერთ-ერთ ქართული არხის ეთერში გავიდა ფილმი „წარმატებას გისურვებ, ჩაკ". ეს ფილმი, ანალოგიურად, გადიოდა შეუზღუდავი კატეგორიის აღმნიშვნელი ლოგოთი. ჩვენების დრო კი გახლდათ დილის 11 საათი. ფილმის ხანგრძლივობაა საათი და 45 წუთი. ამ ხნის განმავლობაში, გაგიჭირდებათ დაგამახსოვრდეთ სცენა თუ დიალოგი, რომელშიც უხამსობა არ არის. ფილმში, 4-წუთიანი მონაკვეთია, სადაც სექსუალური ურთიერთობების ამსახველი სცენები ნატურალისტურადაა წარმოჩენილი, ახლო ხედით ნაჩვენები შიშველი სხეულით და თანდართული უხამსი გახმოვანებით. ფილმის სიუჟეტის ზეუხამსობისა და არაესთეტურობის გამო, მეტ დაკონკრეტებას მოვერიდები, რადგან ზოგიერთი სცენის გადმოცემა შეუძლებელია. და რაც, ყველაზე მთავარია, ყოველი ასეთი სცენის დროს, ტელეეკრანის კუთხეში, უტიფრად ჩნდებოდა შეუზღუდავი კატეგორიის აღმნიშვნელი ნიშანი. სამწუხაროდ, აღნიშნული ფილმი, აღნიშნულ არხზე გამონაკლისი არ არის და რაც მთავარია, როგორც მე მითხრეს, ამ არხის ყველაზე მრავალრიცხოვან აუდიტორიას, სწორედ არასრულწლოვნები შეადგენენ. და ბოლო მაგალითი, დედაქალაქში მაუწყებელ, ერთ-ერთ რეგიონულ არხზე გავიდა ფილმი, რომლის სახელწოდება გახლდათ „უცნაური წყვილი". ჩვენების დრო – 15 საათი. ამ ფილმზე ბევრს არ ვისაუბრებ, უბრალოდ, აღვნიშნავ ერთ მონაკვეთს, კერძოდ, კომპიუტერში კრეფენ გეი პორნო ვებ-გვერდს, რომელზეც გამოტანილი მასალა და გვერდის მისამართი მსხვილი ასოებით, მთელს ეკრანზეა ნაჩვენები. ეს იყო, ჩემი აზრით, უკიდურესი უხამსობა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენების დროს. 15 საათი ის დროა, როცა ჩვენი შვილები სკოლიდან შინ მოდიან, სადილობენ და ტელევიზორს რთავენ.

**– როგორ დავიცვათ ჩვენი შვილები მსგავსი უხამსობის მავნე ზეგავლენისგან? ამის კონტროლი, მშობლის მხრიდან, ხომ პრაქტიკულად შეუძლებელია?**



**ადამიანი იმახსოვრებს წაკითხულის 10 პროცენტს, მოსმენილის 20 პროცენტს, ნანახის 30 პროცენტს და 50 პროცენტს იმისა, რასაც ნახულობენ და ისმენენ ერთდროულად**

– უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე, კონტროლი და ზედამხედველობა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ეკისრება. ფილმებისთვის დადგენილი კატეგორიების მისანიჭებელი კრიტერიუმები განისაზღვრება, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, მაუწყებლობის შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილი ქცევის კოდექსით. რეალობა კი, სულ სხვაა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროცესები თვითდინებაზეა მიშვებული. გაუგებარია, რა მოსაზრებით ანიჭებენ ფილმებს კატეგორიებს და მათ აღმნიშვნელ ნიშნებს. ერთი კითხვით მივმართავ იმ არხის მესვეურებს, რომელზეც ზემოხსენებული ფრანგული სერიალი გავიდა: დროის იმ მონაკვეთში, სადაც ქალბატონი მეგობარი მამაკაცის სხეულის ერთ-ერთ ნაწილზე აღფრთოვანებით საუბრობს, რატომ არ იქნა უზრუნველყოფილი, სათანადო თარგმანი? რატომ ითარგმნა ამ სიტყვის ყველაზე ვულგარული ფორმა, რომელიც სატელევიზიო სივრცეში იხშობა? ამის შემდეგ, ტელეპროდუქცია შეუზღუდავი კატეგორიის აღმნიშვნელი ნიშნით უნდა გასულიყო ეკრანზე? სანამ ფილმს მაყურებელი იხილავდა, ვინმემ ნახა და შეაფასა, თუნდაც თარგმანი? იცით რა? პრობლემას ნურავინ აღიქვამს მარტივად. როცა აღნიშნულ სფეროში ქაოსია, ის ყოველდღიურობაზე აისახება. ჩემს მიერ მოყვანილი მაგალითები, ამ ქაოტური სიტუაციის და განუკითხაობის მხოლოდ ნაწილია. ეს, როგორ ფიქრობთ, მომავალი თაობის ფსიქიკაზე არ აისახება?

**– თქვენი აზრით, ძალადობა, რომელმაც მოზარდებში საკმაოდ იმატა, არის ამ სიტუაციის გაუაზრებელი შედეგი?**

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

**„X ფაქტორის" შესარჩევ ტურში თამუნა შავერდაშვილის გამოსვლამ, მისმა არაჩვეულებრივმა და ულამაზესმა ხმამ, არავინ დატოვა გულგრილი. 20 წლის ნიჭიერი მომღერალი ცხოვრებაში ძალიან ენერგიული, ხალისიანი და თბილი ადამიანია, უზარმაზარი დადებითი ენერგიით.**

# რის გამო გადააბიჯა საკუთარ თავს თამუნა შავერდაშვილმა და რატომ ეხსნება მას სიყვარულის დაწყებისას და დამთავრებისას მუსიკალური მუზები

**თამუნა შავერდაშვილი**: ვსწავლობ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობაზე, მესამე კურსზე. თუმცა, არა მგონია, მომავალში ამ პროფესიას გავყვე, რადგან, საკუთარ თავს პოლიტიკაში ვერ ვხედავ, ჩემი სპეციალობა კი, ძირითადად, ამ სფეროს მოიცავს.

**– აბა, რატომ გადაწყვიტე ჩაბარება, მშობლების რჩევით?**

– თეატრალურში მინდოდა ჩაბარება, სამსახიობოზე. როდესაც ეს განვუცხადე მშობლებს, მათი მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ მქონია, მაგრამ, მითხრეს: საქართველოა მაინც და, ჯობია, სხვა სპეციალობა აირჩიოო. დავუჯერე, მაგრამ სურვილი რომ არ მქონოდა და ეს მხოლოდ მშობლების აზრი ყოფილიყო, მაშინ თეატრალურში წავიდოდი. თუმცა, არ ვნანობ, არც არაფერზე მწყდება გული, რადგან, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ არაფერია ადრე და არაფერია გვიან. ბავშვობაში ისეთი „პოზიორშა" ვიყავი... მიყვარდა ჭრელი ფერები, ხატვა. ჩემს სულთან განსაკუთრებით ახლოს არის სიურეალისტური სამყარო.

**– როგორია შენი სამყარო?**

– ძალიან დიდია, ყველაფერს იმაზე მეტად ვუღრმავდები, ვიდრე ეს საჭიროა. მიყვარს ხალხი, მათთან ურთიერთობა. გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და ყოველთვის მჯერა, რომ მართლა ყველაფერი კარგად იქნება. ჩემი ცხოვრებაც ზუსტად ასეა – რისიც მწამს, ისე ვითარდება ყველაფერი. ჩემს სამყაროში ძალიან ბევრი მუსიკა და ენერგიაა.



ყველაფერს იმაზე მეტად ვუღრმავდები, ვიდრე ეს საჭიროა

**– თქვი, ყველაფერს უფრო მეტად ვუღრმავდები, ვიდრე საჭიროაო. ეს ზოგჯერ არ გიქმნის დისკომფორტს, არ გხვდება სირთულეები?**

– არის რაღაც საკითხები, რასაც შეიძლება, რთულად ვუყურებდე, უფრო მეტად განვიცდიდე, მტკიოდეს, ვიდრე ეს რეალურად ხდება. ძალიან დიდი ბრძოლა მიწევს საკუთარ თავთან, რომ ეს ყველაფერი გადავლახო. იმდენად კარგი ადამიანებით ვარ გარშემორტყმული, რომ სულ ვამბობ, ღმერთს ძალიან ვუყვარვარ-მეთქი. მარტივად კი ვუდგები პრობლემებს, მაგრამ, შინაგანად სულ სხვა რაღაცეები ხდება. კონკურსის შემთხვევაშიც ასე იყო. როდესაც „X ფაქტორზე" გამოვედი, გარკვეული შიში მქონდა, უფრო სწორად, ამ შიშს პასუხისმგებლობას დავარქმევდი. როდესაც შენ უკან დგას ძალიან ბევრი შენთვის უსაყვარლესი ადამიანი, რომლებსაც შენი წარმატების უფრო მეტად სჯერათ, ვიდრე შენ; შენი სიხარული უფრო მეტად უხარიათ, ვიდრე თავად შენ, ამ დროს ძალიან დიდი წნევის ქვეშ ხარ, გინდა გამოხვიდე და ზუსტად ის თქვა, რასაც შენგან ელოდებიან.

**– თვითკრიტიკული ხარ?**

– საზიზღარი თვითკრიტიკოსი ვარ. როცა გვერდში გყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც უფრო მეტად გაჩვენებენ შენს რეალურ სახეს, მაშინ გიქრება ყველა წინალობა, რაც ცხოვრებაში გხვდება. იმისთვის, რომ აქამდე მოვედი, კონკურსზე გამოვსულიყავი, არ იცი, როგორ გადავაბიჯე საკუთარ თავს. არც ერთ კონცერტზე არ ვინერვიულებდი ასე; არანაირ სახალხო გამოსვლაზე არ მაქვს ოდნავი ღელვაც, მაგრამ, როგორც კი კონკურსი დაერქვა, მაშინვე ავღელდი,რადგან, გაფასებენ, შენზე წერენ რაღაცეებს, ხდები საზოგადოების განსჯის ობიექტი. საბედნიეროდ, ცუდი არაფერი ყოფილა. შეიძლება, სოციალურ ქსელებში ერთი-ორი ნეგატიური შეფასება დაიწეროს, მაგრამ, იმდენი პოზიტივი წამოვიდა, რომ იმას აღარ ვაქცევ ყურადღებას. როდესაც ყველაფერს კარგს ამბობენ და მერე ერთმა რომ დაწეროს, არ არის კარგიო, შეიძლება, ამაზეც ძალიან ვინერვიულო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს. ამ დროს, შეიძლება, საკუთარი თავის წინაშე ვინერვიულო და არა იმის წინაშე, ვინც ამას წერს, რადგან, მისი პრობლემა ჩემი პრობლემა არ არის.

**– ამ გამოსვლის შემდეგ დარჩი საკუთარი თავით კმაყოფილი?**

– კმაყოფილი დავრჩი-მეთქი, რომ ვთქვა, ეს არ არის შესაფერისი სიტყვა. მე, უბრალოდ, გახარებული ვარ, რომ ეს გავაკეთე. სამაგიეროდ, ის ადამიანები არიან კმაყოფილები, ვინც მირჩია ამ პროექტში გამოსვლა. მე ჯერ სხვაგან ვიხედები.

**– როდის დაიწყო შენი ურთიერთობა მუსიკასთან?**

– ჩემი მუსიკალური განვითარება ბავშვობიდან დაიწყო. ძალიან დიდი ხელშეწყობა მქონდა დედიკოსგან, რომელიც რუსია. მამამ გაიცნო მოსკოვში და წამოიყვანა, ფანტასტიკური წყვილია. დედა კარგად მოერგო ქართულ რეალობას, ყველაფერს; თავად გაიგო, სად უნდა მივეყვანე პედაგოგთან, სად შეიძლებოდა მიმეღო განათლება. ძალიან აქტიური ბავშვი ვიყავი, პოეზია მიყვარდა, ვმღეროდი და დედა მატარებდა ყველგან. ფორტეპიანოზე დაკვრასაც ვსწავლობდი, ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, მაქვს ამის მონაცემები, თუმცა შუა გზაზე მივატოვე. დღეს ამას ძალიან ვნანობ. მაგრამ ჩემს რეალურად განსახორციელებელ სურვილთა სიაში არის ის, რომ გავაგრძელო ფორტეპიანოზე დაკვრა, პროფესიონალურად ვისწავლო. მელოდიურ ხაზს როდესაც ვწერ, ამისთვის მყოფნის ის განათლება, რაც გამაჩნია.

**– შენი რეალური სურვილების სია გრძელია?**

– გრძელია, თუმცა, სიმართლე, რომ გითხრათ, ძალიან ცოტა რამ მინდოდა ბედნიერებისთვის. ახლა კი, ეს ცოტა რამ ძალიან დიდად მეჩვენება, რადგან, ცხოვრებაში ბევრი საფეხური მაქვს გასავლელი. აქამდე მოსასვლელადაც ძალიან ბევრი საფეხურის ავლა დამჭირდა. ჩემს ცხოვრებაში იყო კლუბები, ბარები, სადაც მე გამოვდიოდი, პუბლიკას ვეჩვეოდი. სკოლის პერიოდშიც მიმყავდა საღამოები და ამ ყველაფერს უსასყიდლოდ ვაკეთებდი, ფინანსებს არასდროს ვაქცევდი ყურადღებას. ჩემთვის პრიორიტეტი იყო არა ფული, არამედ, საკუთარი თავის, სტილის პოვნა, რათა უფრო კარგად გავცნობოდი საკუთარ „მეს". ოჯახიდან სასტიკი წინააღმდეგობა მქონდა – არ უნდოდათ, ბარში მემღერა და ამის გამო დიდი ჩხუბებიც მქონდა – იყო ასეთი დროც, თუმცა, ძალიან მეგობრული ოჯახი მაქვს. რამდენიჯერმე კი თქვეს – არ გააკეთო, იქ არ წახვალო, მაგრამ, კარგია, რომ მერე ეს გადათქვეს, რადგან, ხედავდნენ ჩემს განვითარებას, წინსვლას.

**– ალბათ, ისევ ძიების პროცესში ხარ, ბოლომდე არ გიპოვია საკუთარი თავი.**

– ადამიანი სულ ვითარდება და, ამიტომ, იმისკენ უნდა ილტვოდეს, რომ რაღაც კარგი განავითაროს საკუთარ თავში. ბარში სიმღერა უფრო იყო წინასიტყვაობა ჩემს კარიერაში, პატარა მასწავლებელი. იქ რომ ხარ და მღერი, ბედნიერებას გრძნობ. ამიტომ, ეს უკვე იყო ბედნიერება და ძალიან დიდი სიხარული. მე ბარში საკუთარი სიამოვნებითვის გამოვდივარ და არა იმისთვის, რომ ვიღაცამ ფული გადამიხადოს. ზოგადად ვოკალურად ვარ საკუთარ თავში დარწმუნებული, მაგრამ, ემოციურად – არა. ჯერჯერობით არ ვიცი, რაზე როგორი რეაქცია მექნება. ის ტკივილი, რა თქმა უნდა, ტკივილი მსუბუქ ფორმებში, რაც, შეიძლება, შოუ-ბიზნესმა მოგიტანოს, ჯერ არ მიგრძნია. თუმცა, აბსოლუტურად ყველაფრისთვის მზად ვარ. რაც უფრო დიდია სცენა, მით უფრო კარგია; რაც უფრო მეტი ადამიანი გისმენს, გინდა, კიდევ უფრო მეტმა მოგისმინოს – ეს არაჩვეულებრივი გრძნობაა და მე შინაგანად ვმშვიდდები. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს გარეგნულად გაგიჟებული, გახარებული ვარ, შინაგანად სიმშვიდეს განვიცდი – რაღაც სიხარულს, ალბათ, მოაქვს სულიერი სიმშვიდე და ახლა ამას ვგრძნობ. მაგრამ, როცა შინაგანად აფორიაქებული ვარ, მირჩევნია, ამ დროს არავის დაველაპარაკო. ვერ ვიტან, როდესაც ჩემს პრობლემებს სხვას ვახვევ თავს, თუმცა, ჩემი მეგობრები ყოველთვის მზად არიან, გვერდში დამიდგნენ და თავიდან ბოლომდე მომისმინონ.

**– გამარჯვების ამბიციაც გექნება.**

– თუ გავიმარჯვებ, დედას მაგრად გაუხარდება, მამას, ბებოს, ძმას, ყველას. მეც გამიხარდება, რადგან, ეს ჩემი შრომის დაფასება იქნება, თორემ, ყველაფერი მაინც თამაშია, ფორმალურია, თუნდაც ის, რომ გაგდებენ ან რჩები. მეც ჩავები ამ თამაშში და, ჩემი მთავარი მიზანია, ხალხს ვაჩვენო ის თამუნა, როგორიც რეალურად ვარ, ოღონდ – სცენაზე; სცენის მიღმა არ მინდა, თუმცა, ცხოვრებაშიც ასეთი ვარ.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– როცა სიყვარული მოდის, მაშინ მეხსნება მთელი მუზები და, როდესაც მიდის, მაშინ კიდევ უფრო მეტად მეხსნება. შუაში სტაბილურად არის, მე კი სტაბილური არაფერი მომწონს. სპონტანურობა მიყვარს ძალიან. რომანტიკა ჩემში დიდი დოზით არის, მაგრამ, რაც უფრო მეტად სპონტანური და უბრალოა ყველაფერი, მით უფრო მეტად მიყვარს. თუკი რამე ტექსტი დამიწერია, მელოდიური ხაზი შემიქმნია, ყველაფერი ემოციურ ფონზე ყოფილა. ასეთ დროს ყველაფერს ისე აღვწერ ხოლმე, როგორც რეალობაშია. მიყვარს ალეგორიები, შედარებები, ასოციაციები. ჩემი სიმღერაც ყოველთვის ასოციაციური თამაშებია. სერიოზულ ურთიერთობაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ, თუმცა, ზოგადად, ურთიერთობაში ძალიან მიყვარს კომფორტი. ვერ ვიტან, როდესაც რაღაცას მიკრძალავენ ან თავს მახვევენ – შენ ამას არ იზამ. თუკი ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, ყველაფერი შეგნებაზეა დამოკიდებული და არა იმაზე – მე შენ რაღაც უნდა აგიკრძალო, რომ არ მიღალატო, სხვასთან არ წახვიდე. თუ ადამიანი მიდის, ესე იგი, მას შენთან აღარ უნდა. ზოგადად, ურთიერთობაში ერთგული ვარ, მაგრამ, როცა ასეთ უაზრო რაღაცეებს ვხედავ, მაშინვე ვწყვეტ ურთიერთობას და იმის იქით არ მივდივარ. მე მიყვარს ურთიერთობაში მრავალფეროვნება, მეგობრობა, როდესაც ადამიანები ერთმანეთს უგებენ.

**ნათია უტიაშვილი**

**პროექტ „ერთი ერთში“ მომღერალ ქეთი ორჯონიკიძის გამოჩენისთანავე მაყურებელს ძალიან დიდი მოლოდინის გრძნობა გაუჩნდა. ქეთიმ შეძლო და პირველივე კონცერტზე გაამართლა მოლოდინი, როცა მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გენიალური მომღერალი პრინცი განასახიერა. მისი პრინცი ვიზუალურადაც და ტემბრალურადაც ერთი ერთში იყო. „ყველაზე რთული მიმიკებთან ბრძოლაა,” – ამბობს ქეთი, რომელმაც ძალიან ბევრი იმუშავა და უამრავი დრო დახარჯა იმაზე, რომ ყველასგან განსხვავებული, ინდივიდუალური მომღერალი ყოფილიყო თავისი საოცრად დამახასიათებელი მანერებით. ახლა კი ამ ყველაფრის ნგრევა უწევს.**

# რისი დამსხვრევა უწევს ქეთი ორჯონიკიძეს და რა არ შეუძლია მას სიყვარულის გარეშე

**ქეთი ორჯონიკიძე**: როდესაც „ერთი ერთში” მონაწილეობის მიღება – შემომთავაზეს, მარტივად დავთანხმდი, რადგან, ვიფიქრე, რომ ეს არის გასართობი შოუ, რომელში მონაწილეობით მეც გავერთობოდი და მაყურებელიც. მაგრამ, პროცესში მივხვდი, რომ საკმაოდ რთული ყოფილა ეს ყველაფერი. ყველა მომღერალი და, მათ შორის, მეც, ყოველთვის ვცდილობ, არავის ვგავდე, ვიყო ინდივიდუალური, დამახასიათებელი მანერებით, რაც უკვე შენს ხელწერად იქცევა და რითაც გიცნობს მაყურებელი. ამ დროს კი გიწევს ამ ყველაფრის დამსხვრევა და ამდენი ხნის ნაშენებ საკუთარ თავთან დამშვიდობება, ანუ, უნდა დაივიწყო ყველაფერი და გახდე სხვა ადამიანი.

**– ერთი შეხედვით, ეს იოლი ჩანს გრიმის, კოსტიუმების, ხმის მიბაძვის შედეგად, მაგრამ, ძნელია, მოშალო და არ გამოაჩინო ქვეცნობიერიდან წამოსული შენი მიმიკები, ჟესტიკულაცია და კიდევ უამრავი რამ, რაც რეფლექსურ დონეზე ხდება.**

– რა თქმა უნდა და, თანაც, ასე მოკლე დროში ეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია. უბრალოდ, უამრავი ვარჯიშითა და რეპეტიციით ვსწავლობთ, ერთი ნომრის შესრულებისას ეს როგორ გავაკეთოთ. საერთოდ, სიმღერის შესრულებისას უდიდეს სიამოვნებას განიცდი, მაგრამ ამ დროს ეს არ ხდება, პირიქით, დაძაბული ხარ და ნერვიულობ ყველა ელემენტზე: თავი როგორ გიჭირავს, ხელი როგორ გიჭირავს, მიმიკა არ გაგექცეს... მოკლედ, ფიქრობ იმაზე, რომ იმ მომენტში შენ – შენ არ იყო. აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი სიამოვნება იკლებს, თუმცა, იმატებს გართობის სიამოვნება და ის სიამოვნება, რომელიც თან ახლავს ახალ-ახალ გამოწვევებსა და ახალი პერსონაჟების შექმნას.

**– შენ გაქვს მიუზიკლებში, პროექტებში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილება, მათ შორის ისეთებშიც, სადაც უცხოური ვარსკვლავებიც გაგისახიერებია.**

– მაგრამ, არასდროს მქონია გარდაქმნის მცდელობა. ვასახიერებდი, მაგრამ, არ ვიყავი ის. ყოველთვის, ესა თუ ის მომღერალი ჩემზე, ჩემს იმიჯზე უნდა მომერგო და არ უნდა გავმხდარიყავი ის. როცა თეატრზეა ლაპარაკი, ეს კიდევ სულ სხვა ფენომენია და სხვა სირთულეებთან გაქვს საქმე.

**– რა არის ყველაზე რთული პროცესში?**

– ბევრი რამ, პირველ ყოვლისა კი – საკუთარ თავზე უარის თქმა. საბოლოო შედეგი უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული და ყველა ამ ფაქტორზე პროფესიონალი მუშაობს, იქნება ეს ქორეოგრაფია, ვოკალი, გრიმი და ასე შემდეგ. შეიძლება, რომ რაღაცა ძალიან კარგი გამოვიდეს, რაღაცა – არც ისეთი კარგი. ამ ორი გამოსვლიდან პრინცი უფრო კარგი იყო, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, ლედი გაგას მერჩივნა. მაგრამ, ლედი გაგაში ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველაფერი ერთად იყო აღებული. დადგმაში გამოყენებული იყო ელემენტები მისი სრულიად სხვადასხვა შოუდან და, ამან, ვფიქრობ, ერთიანობაში ნომერი დატვირთა, უამრავი რაღაც ხდებოდა. მოკლედ, ცოტა ბევრი მოგვივიდა *(იცინის).* მთლიანობაში ნომერი საინტერესო იყო, თუმცა, პრინცით უფრო კმაყოფილი ვარ.

**– სტიმულის თვალსაზრისითაც კარგია, რომ არავინ ვარდება.**

– სტიმულიც არის, მაგრამ, გართობის ელემენტი თუ არ დაამატე, გლადიატორების ბრძოლას დაემსგავსება, რომელსაც მიზანი არ აქვს. ამ შემთხვევაში აქ არის ჩემი და სხვისი მიქსი. და, ცდილობ, ეს მიქსი და ჯამი იყოს შენი და იმ მომღერლის საუკეთესო, რაც გაქვთ. შეიძლება, რაღაც გაგექცეს, მაგრამ, ბევრად უკეთესი რაღაც დაიჭირო. ძალიან სახასიათო მანერები მაქვს, მათ შორის – სცენაზე დგომისა და სიმღერის. მუშაობის დროს, უხეშად რომ ვთქვათ, მუღამში რომ შევდივარ, ვეღარ ვაკონტროლებ ვერაფერს; მავიწყდება, ვინ ვარ და რა ვიზუალით ვდგავარ სცენაზე. ანუ მემართება ის, რაც სცენაზე ქეთი ორჯონიკიძედ დგომის დროს მომდის ხოლმე და ეს ამ შოუში კარგი არ არის.



**ყოველთვის რისკზე მივდივარ, უბრალოდ, უნდა დავინახო, რომ პროცენტულად ამ რისკს რაღაც გამართლების შანსი აქვს**

**– მაყურებელი შენზე სერიოზულ ფსონს დებს და დიდი მოლოდინი აქვს. რას ფიქრობ, შენთვის რა იქნება ეს პროექტი?**

– ყველა შოუ არის ჩემი შემოქმედებითი განვითარების კიდევ ერთი, ახალი საფეხური, რადგან ამით არაფერი მთავრდება,

**მუღამში რომ შევდივარ, ვეღარ ვაკონტროლებ ვერაფერს, მავიწყდება ვინ ვარ და რა ვიზუალით ვდგავარ სცენაზე**

პირიქით, ყველაფრით რაღაც ახალი იწყება. წინსვლისთვის მხოლოდ საკუთარ თავზე მუშაობა არ გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შემთხვევაში ეს უწყვეტლივ ხდება და არასდროს ვჩერდები მიღწეულზე, მაინც რთულია, სულ ასე დამოუკიდებლად, შენით იმუშაო. არაჩვეულებრივია, როცა ასეთ პროფესიონალებთან გაქვს კონტაქტი და მათგან ამდენს სწავლობ, ძალიან ბევრს ნიშნავს ეს ჩემთვის. რაც შეეხება შოუს, შანსები არც ისე დაბალი მაქვს. თქვენც აღნიშნეთ ახლა, რომ მაყურებელს აქვს მოლოდინი ჩემთან. თავად მაქსიმალურს ვეცდები, რომ გავაკეთო ყველაფერი, რაც საჭირო და შესაძლებელია.

**– პარალელურად რა ხდება შენს კარიერაში? უკვე დიდი ხანია, ველოდებით, რომ ვეღარ გაძლებ და გაარღვევ ამ ლოკალურ სივრცეს, რასაც საქართველო ჰქვია.**

– სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. არის უამრავი ხელის შემშლელი პირობა. სამწუხაროდ, ხელშემწყობი ფაქტორები საერთოდ არ არის. არ მახასიათებს შიში, ყოველთვის რისკზე მივდივარ, უბრალოდ, უნდა დავინახო, რომ პროცენტულად ამ რისკს რაღაც გამართლების შესაძლებლობა აქვს. სულელივით ვერ გადავეშვები სადმე. რაღაც მომენტში, შეიძლება, ძალიან დიდ რისკზეც წავიდე, უბრალოდ, გააჩნია, ფონს. იმ სიყვარულს, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში მაქვს მოპოვებული, ვერავინ წამართმევს და არ დაიკარგება, ამიტომ, რაღაც ახლის მცდელობა შეიძლება. უპირველესად, ჩემი განვითარებისთვის არის კარგი, რომ რაღაც ახალი გავაკეთო. ადრე ჩემს მეგობართან ერთად გავაკეთე გამოფენა – თაბაშირის, სკულპტურებისა და ფოტოსურათების სინთეზის. ეს გამოფენა ძალიან კარგი გამოვიდა და უკვე მეორეს ვგეგმავთ. ასევე, იგეგმება ჩემი პოეზიის საღამო, სადაც აუცილებლად დაგპატიჟებ. ვცდილობ, გავიმრავალფეროვნო არა მხოლოდ მუსიკალური, არამედ, შემოქმედებითი მხარე მთლიანად. ყოველთვის ახალი ენერგიით ვიმუხტები, როცა ახალს ვაკეთებ და, შემდეგ უკვე პროფესიონალებისგან მესმის, რომ, შეიძლება, ეს იდეალურად შესრულებული არ არის, მაგრამ, მინიმუმ, საინტერესოა. ახალი და საინტერესო – ასეთ შეფასებებს ხშირად ვისმენ, რაც ეხება არა ჩემს სიმღერას, არამედ, პოეზიასა და სხვა სფეროებს.

**– მოკლედ, არ იშრიტება შენგან მომავალი წყარო.**

– *(იცინის)* არა, არა. ეს ყველაფერი ის არის, რაც სიმღერაშიც მეხმარება.

**– არ გიფიქრია, რომ შენს ლექსებზე შეგექმნა სიმღერები, რაღაც განსხვავებული ალბომი გაგეკეთებინა? თუ, ეს დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული?**

– არ არის მხოლოდ ფინანსებში საქმე. პოეზია, როგორც ასეთი, არსებობს. ვფიქრობ, ლექსი უნდა იქმნებოდეს მუსიკაზე და არა პირიქით – ეს, უბრალოდ, ჩემი დამოკიდებულებაა. რა თქმა უნდა, ორივე კარგი უნდა იყოს. ვფიქრობ, მუსიკისთვის შექმნილი ლექსი უფრო ქმნის ერთ მთლიანობას, ვიდრე პირიქით. სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სიმღერას არ უხდება ის ასოები, რომელიც ქართულშია, მაგალითად, ღ, ხ და ასე შემდეგ.

**– რას ამბობ, სიტყვის – „მიყვარხარ“ – გარეშე რამე სიმღერა წარმოგიდგენია?!**

– „მიყვარხარ” – თვითონ არის ისეთი სიტყვა, რომ მის გარეშე საერთოდ არაფერი ხდება *(იცინის).* ამ სიტყვის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური მდგომარეობაც და ცხოვრებისეული მდგომარეობაც. შესაბამისად, ეს სიტყვა ყველაფერს აიტანს და მის გარეშე საერთოდ არაფერს აქვს აზრი.

**სალომე გველესიანი**

# რა საკრალური რიცხვები აერთიანებდა დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს

ყველა ქვეყანაში ჰყავთ განსაკუთრებულად საყვარელი მეფე, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ძლევამოსილი და დამსახურებული.

დავით აღმაშენებლის მემატიანეს ის ყველა მეფეზე აღმატებულად მიაჩნია. ასე ფიქრობენ ქართველი ისტორიკოსებიც, ასევე ფიქრობს ყოველი ქართველი და, ალბათ, ყველა ერის წარმომადგენელს ასეთივე დამოკიდებულება აქვს თავისი ქვეყნის საუკეთესო მეფისადმი.

საინტერესოა, რომ ჩვენს სათაყვანებელ დავით აღმაშენებელს, ცხოვრების ქრონოლოგიითა და თავისი ქმედებებით, რალაცნაირად წააგავს რუსეთის იმპერატორი პეტრე პირველი.

დავით აღმაშენებელი 16 წლის ასაკში გამეფდა, 1089 წელს, ესე იგი, უნდა დაბადებულიყო 1072 ან 1073 წელს.



პეტრე პირველი დაიბადა 1672 წელს, ზუსტად 600 წლის მერე.

ჩვენ ვიცით, რომ 16 წლის ჭაბუკი დავითის გასამეფებლად მისი მამა, მეფე გიორგი მეორე, რომელიც ქვეყანას სათანადოდ ვერ მართავდა, გადააყენეს, თუმცა მეფეთ-მეფის წოდება შეუნარჩუნეს (ეს როგორც ვთქვით, მოხდა 1089 წელს). გიორგი მეფის გარდაცვალებამდე ქვეყანას ფორმალურად ჰყავდა ორი მეფე.

პეტრე პირველი ფორმალურად გამეფდა 1682 წელს, თავის უფროს, სუსტი ჯანმრთელობის მქონე ნახევარძმასთან, იოანესთან ერთად. სინამდვილეში პეტრემ ძალაუფლება ხელში ჩაიგდო 1689 წელს, 16 წლის ასაკში, როცა თავისი ნახევარდა, სოფია, რომელიც მართავდა ქვეყანას, მონასტერში გამოკეტა. ამის შემდეგ, იოანეს გარდაცვალებამდე (1696) რუსეთს ფორმალურად ჰყავდა ორი მეფე.

ეს მოხდა დავით მეოთხის გამეფებიდან ზუსტად 600 წლის მერე...

ამგვარად, ორივე 16 წლისა გამეფდა და ორივე შიდა სამეფო გადატრალების მაგვარი ქმედებით.

ორივე მეფე გამოირჩეოდა დიდი ენერგიით, შრომისმოყვარეობით და ცნობისმოყვარეობით. დავით აღმაშენებელს ძალიან უყვარდა წიგნები, ფილოსოფიისა და რელიგიის საკითხები, სამხედრო საქმე, მშენებლობა...

პეტრე სიყმაწვილიდან ცდილობდა არაერთი საქმის შესწავლას, მათ შორის – სამხედრო გემების მშენებლობის, არტილერიის, არქიტექტურის... მან 14 ხელობა იცოდა.

დავით აღმაშენებელი, თურმე, გელათის მშენებლობაში მონაწილეობდა და დიდ ქვებს ეზიდებოდა. პეტრეც მშრომელი ადამიანი იყო, გემებისა და ქალაქის მშენებლობაზე მუშაობდა ხოლმე.

ორივე ფიზიკურად ძლიერი იყო, ორივეს უყვარდა უბრალო ადამიანები. დავით აღმაშენებელი თავად უვლიდა სნეულებს. პეტრე პირველი მოკვდა უბრალო ჯარისკაცების გადარჩენის გამო, რომელთა ნავიც იძირებოდა. ისედაც დასნეულებული იმპერატორი წყალში გაცივდა, გაურთულდა დაავადება და გარდაიცვალა.

დავით აღმაშენებელმა 1099 წელს ხარკი შეუწყვიტა თურქ-სელჯუკებს და დაიწყო ხანგრძლივი ომი მათთან, რომელიც 20-21 წლის შემდეგ დიდგორის გამარჯვებით, თბილისის დაბრუნებითა და საქართველოს გაერთიანებით დაგვირგვინდა... ამას მიაყოლა შირვანი, დარუბანდი და საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოვიდა დარუბანდის (კასპიის) ზღვისპირეთი...

1700 წელს პეტრე პირველი შეუერთდა ჩრდილოეთის კავშირს "ჩრდილოეთის ოცდაერთწლიან (ზოგი 20-წლიანს უწოდებს) ომში" შვედებთან (და სხვებთან), რომელიც მისი გამარჯვებით დამთავრდა. 1721 წელს ფინეთის ქალაქ ნიშტადტში დადებული შეთანხმებით, რუსეთმა „გაჭრა სარკმელი ევროპისკენ" და იქცა საზღვაო სახელმწიფოდ, მის შემადგენლობაში შევიდა ბალტიის ზღვისპირეთი.

დავით აღმაშენებელმა დიდგორის გადამწყვეტი ბრძოლის შედეგად დაიბრუნა თბილისი. მანამდე მისი სამეფოს სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი. შემდეგ ქვეყანას შემოუერთა შირვანი (დღევანდელი აზერბაიჯანი), დარუბანდი და ანისის სომხეთი. ეს მოხდა 1122-1124 წლებში. ამგვარად, საქართველო გახდა სამი ზღვის სახელმწიფო. ჩვენი სამეფოს გავლენა ვრცელდებოდა აზოვისა და შავი ზღვებიდან „დარუბანდის (კასპიის) ზღვამდე", „ზღვებიდან ზღვამდე". ამით იგი იქცა მეფედ-მეფედ, იმპერატორად.

600 წლის შემდეგ იმპერატორად გამოაცხადა თავი პეტრე პირველმა. მანაც შეცვალა სატახტო ქალაქი და მოსკოვიდან სანკტ-პეტერბურგში გადაიტანა.

პეტრე პირველსაც ჰქონდა ინტერესი კასპიის ზღვის მიმართულებით და კასპიისკენ ილაშქრა 1622-1623 წლებში, ზუსტად 600 წლის მერე (აქვე მოკლედ ვახსენოთ, რომ პეტრე პირველს აზოვის ზღვის მიმართულებითაც ჰქონდა ინტერესი).

ორივე მეფე რეფორმატორი იყო – ორივემ ბევრი რეფორმა გაატარა სახელმწიფოს მართვის საქმეში; ორივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშენებლობას, განათლებას, კომუნიკაციებს, უსაფრთხოებას, არმიას...

დავით აღმაშენებელმა შექმნა მუდმივი ჯარი – მონა სპა; ასევე, დაიქირავა ყივჩაღები, დაასახლა საქართველოში და შექმნა მუდმივმოქმედი არმია.



პეტრე პირველმა შემოიღო სარეკრუტო გაწვევა, ანუ, მუდმივი არმია შექმნა.

დავით აღმაშენებელმა რეფორმა ჩაატარა სამეფოს მმართველობაში, პეტრე პირველმა ქვეყნის სამართავად შექმნა კოლეგიები...

დავით მეოთხის დროს წინაურდებოდნენ ნიჭიერი და პატიოსანი ადამიანები, მიუხედავად სოციალური წარმოშობისა.

პეტრე პირველმა შემოიღო „ტაბელი ჩინებისა", რომლის მიხედვით, ყველა მოქალაქეს, სოციალური წარმოშობის მიუხედავად, შეეძლო დაწინაურება სამსახურში. სამოქალაქო პირები მე-8 ტაბელის მერე შთამომავლობით იღებდნენ „დვორიანსტვოს" (თავად-აზნაურთა წოდებას – რუსეთში აზნაურთა და თავადთა შორის უფლებრივი განსხვავება არ იყო), ხოლო სამხედროები ამავე პრივილეგიას იღებდნენ მე-12 ტაბელიდან (სულ 14 ტაბელი იყო).

დავით აღმაშენებელმა დააარსა სნეულთა სამკურნალოები, გელათისა და იყალთოს აკადემიები...

პეტრე პირველმა შექმნა რუსეთის საზღვაო, სამედიცინო აკადემიები, საფუძველი ჩაუყარა მეცნიერებათა აკადემიას.

ორივე მეფემ შექმნა იმპერია: დავით აღმაშენებელმა – ქართულ-კავკასიური, პეტრემ – რუსულ-აღმოსავლური (თუმცა, ცდილობდა მის ევროპულ ყაიდაზე გადაკეთებას).

ორივეს ჰყავდა ორი ცოლი, პირველი ცოლები მონასტერში წავიდნენ...

დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს, მისი ხსენების დღე აღინიშნება 26 იანვარს ძველი სტილით, ახალი სტილით – 8 თებერვალს.

პეტრე პირველი გარდაიცვალა 1725 წლის 28 იანვარს, ახალი სტილით – 8 თებერვალს.

ეს არის ზოგიერთი მსგავსება, დამთხვევა თუ პარალელი დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს შორის, თუმცა, წმიდანად შერაცხულ მეფე დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს შორის არის უდიდესი განსხვავებაც – მათი ზოგიერთი ქმედება არსობრივად ძალიან განსხვავებულია.

დავით აღმაშენებელი იყო მართლმორწმუნე ქრისტიანი, ეკლესიური პიროვნება. იყო მკაცრი, მაგრამ შემდწონი, სიკვდილით არ სჯიდა მოღალატეებსაც კი. იყო მშვიდი.

მან ქრისტიანობას დაუმორჩილა სახელმწიფო, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან დააახლოვა სახელმწიფო და ეკლესია და, ფაქტობრივად, გააერთიანა საერთო მიზნისთვის – შექმნა ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო. ეს მოხდა ქართული ეკლესიის მთავარეპისკოპოსის, გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობართუხუცესად დანიშვნით, ამ სახელოს (თანამდებობის) შემოღებით, ანუ, მეფემ ეკლესიის წარმომადგენელს მისცა დიდი საერო ხელისუფლება, თანამედროვე პრემიერ-მინისტრის რანგის მაგვარი... დავით აღმაშენებლის დროს, ხშირ შემთხვევაში, საეკლესიო ლიტერატურა, რა თქმა უნდა, დოგმატიკისა და რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, სამეფო სასახლიდან ურიგდებოდათ ეკლესია-მონასტრებს.

პეტრე პირველი იყო ხან ძალიან მხიარული და მოსიყვარულე, ხან – ახირებული ან ფსიქიკურად აშლილი გამოხდომებით, ამასთან – დაუნდობელი. ხანდახან თვითონ ასრულებდა ჯალათის მოვალეობას. ის აშკარად დასცინოდა ეკლესიას...

პეტრე პირველმაც ჩაატარა „საეკლესიო რეფორმა", თუმცა, პირიქით მოიქცა: მან გააუქმა პატრიარქობა რუსეთში, სინოდი კი დაუქვემდებარა თავის დანიშნულ ობერ-პროკურორს. ამგვარად, პეტრემ რუსული ეკლესია დაუქვემდებარა სახელმწიფოს, საერო მმართველობას.

ეს, ფაქტობრივად, იყო რუსული ავტოკეფალიის უარყოფა, ან, მინიმუმ, შეზღუდვა მაინც.

ამის გამო, პეტრე პირველი ბევრ რუსს არ მოსწონს, მათ შორის – გამოჩენილ რუს ისტორიკოსებს. „მან რუსეთი მართლმადიდებლობის გზას ააცილა და ხელოვნურად გაევროპულა, რის გამოც ქვეყანა ველარ განვითარდა ბუნებრივად და რუსეთში მომხდარი ბევრი კატაკლიზმი ამის ბრალია" – ამბობენ ისინი. თუმცა, რუსეთში პეტრე პირველს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს და ის უდიდეს მეფედ ითვლება.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელს კი ყველა ქართველი ეთაყვანება.

აქ გვახსენდება ჭორი იმის შესახებ, რომ პეტრე პირველი ერეკლე ბაგრატიონის, კახთა ბატონიშვილის (მომავალში ერეკლე პირველი, ნაზარალიხანი, რომელსაც რუსეთში „ცარევიჩ ნიკოლაის" უწოდებდნენ) უკანონო შვილი იყო.

ერეკლე ბაგრატიონი რუსეთში იყო სიყმაწვილიდან. იგი გახლდათ რუსეთის მეფის, ალექსი რომანოვის უახლოესი ადამიანი, მისი აღზრდილი „საყვარელი ძე", როგორც მას უწოდებდნენ.

ქართველმა ბატონიშვილმა მეფე ალექსი რომანოვის მომავალი მეორე მეუღლე, ნატალია ნარიშკინა გაიცნო მანამ, სანამ ნატალია მეფის კანონიერი თანამეცხედრე გახდებოდა. მეფე ალექსი თავის საცოლეზე 22 წლით უფროსი ყოფილა. შემდეგ ერეკლე ბაგრატიონი ხელისმომკიდე იყო მეფე ალექსისა და ნატალია ნარიშკინას ქორწილში და, ასევე, ქორწილის მესტუმრე. ქორწინების დროს რუსეთის მეფე უკვე დაავადებული იყოო, ამბობენ.

1773-1774 წლებში ერეკლე ბატონიშვილი ცივად გამოისტუმრეს მოსკოვიდან.

თუ ეს ჭორი მართალია, რაც ძნელი დასამტკიცებელი მგონია, მაშინ, დიდი დანაშაული ჩაუდენია ერეკლეს – მან უღალატა პატიოსნებას, მეგობრობას, ქრისტიანობას და ჩაიდინა დიდი ცოდვა.

და, მეორე – ერეკლე ბაგრატიონის ცოდვიანად დაღვრილმა თესლმა საფუძველი ჩაუყარა იმპერიას, რომელიც მას მერე ჩვენი ქვეყნის ჩაყლაპვას ცდილობს.

**გიორგი მახოზაშვილი**

# რა ბედი ეწია საქართველოში დაცულ მაცხოვრის სისხლს, ღრუბელსა და წვერის სამ ღერს და რა სასწაულებს ახდენდნენ ჩვენთან დაცული სიწმიდეები

(68-ე გვერდიდან)

ტრინში, ხილული სახით არის სიწმიდე, რომელსაც უფლის კვართად მიიჩნევენ და მისი სახელობის დღესასწაულიც არსებობს. საფრანგეთშიც, პატარა ქალაქ არჟანტოიშიც ხილული სახით აქვთ სიწმიდე, რომელსაც ასევე უფლის კვართად მიიჩნევენ; გარდა ამისა, 66 ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას, რომ მათთან ინახება კვართის ცალკეული ნაწილები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რუსეთი აცხადებს პრეტენზიას, რომ თითქოს იქ ინახება უფლის კვართი, რომელიც შაჰ-აბასმა მათ გადასცა. რუსული დოკუმენტების თანახმად, შაჰ-აბასმა ერთ-ერთი ლაშქრობისას მცხეთიდან წაიღო კვართი და გადასცა რუსეთს. დღეს რუსები ხატს „ეკლესიის დიდება" სიდონიას გარეშე ხატავენ და ამით მიანიშნებენ იმაზე, რომ საქართველო კვართის მფლობელი აღარ არის. ისტორიული დოკუმენტების თანახმად, შაჰ-აბასმა საქართველოდან წაღებული კვართი საჩუქრად გადასცა ირანში სტუმრად მყოფ რუს ელჩებს, რომლებმაც ჩაიტანეს რუსეთში, დააწესეს კვართობის დღესასწაული და ხატიც დაწერეს. თუმცა ამის შემდეგ თავად რუსებშიც გაჩნდა ეჭვი – საქართველოში ჩამოსულ რუს ელჩებს თან მოჰყვებოდნენ სასულიერო პირები, რომლებსაც უნდა გამოეკვლიათ, თუ რამდენად რეალური იყო შაჰ-აბასის მიერ მაცხოვრის კვართის საქართველოდან წაღება. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში საქართველოში ნამყოფი სასულიერო პირები წერენ, რომ კვართი კვლავ საქართველოშია. რუსების აღწერით, უფლის კვართი იყო ლაჟვარდოვანი ფერის. მათ ჰქონდათ პატარა ქსოვილი, რომელიც შემდეგში კიდევ დაანაწილეს და რომ სამი ნაწილი ინახებოდა კრემლის სხვადასხვა ტაძარში და იაროსლავშიც. რუსებს ტრადიციად ჰქონდათ – ტახტის მემკვიდრის გულზესატარებელ ჯვარში კვართის ნაწილს დებდნენ. არადა, რუსებმა კარგად იცოდნენ, რომ კვართის დაყოფა არ შეიძლებოდა, ის არის განუყოფლობის სიმბოლო, უკერველია და ამიტომაც წარმოადგენს ქრისტიანობის ერთიანობის სიმბოლოს. მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში საქართველოში ჩამოვიდნენ იერუსალიმის პატრიარქი მაკარი და მისი შვილი – პავლე ალეპოელი. შემდეგ პავლე რუსეთში გაემგზავრა და მას დაავალეს, რომ ჩამოსულიყო საქართველოში და ენახა კვართი. ის წერს, რომ საქართველოში მართლაც ინახება უფლის კვართი, ხოლო ის, რაც შაჰ-აბასმა აქედან წაიღო, კვართი კი არ არის, არამედ, ქრისტეს სახელთან დაკავშირებული ქსოვილია, რომელსაც ძველად სასულიერო და საერო პირები ცხვირიდან ოფლის ან სისველის მოსაწმენდად იყენებდნენ, კვართი კი ნამდვილად ინახება აღმოსავლეთ საქართველოშიო. თანაც, შაჰ-აბასს სვეტიცხოველი არ აუოხრებია. ცნობები გვაქვს, რომ ის შევიდა სვეტიცხოველში, გაშალა ხალიჩა, ილოცა, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქს მიწის მფლობელობისა და ქონების დამტკიცების სიგელი მისცა. ასე რომ, მას საქართველოდან კვართი არ წაუღია.

ახლა, რაც შეეხება სხვა ქვეყნებს. როგორც უკვე აღვნიშნე, გერმანიაში კვართი ხილული სახით არის დაცული. პირველად ტრინის კვართის შესახებ 1910 წელს გამოაქვეყნა ცნობები მიხეილ თამარაშვილმა. ის წერდა, რომ უფლის კვართი საქართველოში მეშვიდე საუკუნემდე ინახებოდა და არაბების შემოსევების შემდეგ უნდა მოხვედრილიყო ტრინში. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ის, რაც ტრინში კვართად მიაჩნიათ, ქრისტეს სახელთან იყო დაკავშირებული, მაგრამ, ის ქრისტეს კვართი არ არის. თანაც, ჩვენ ყოველთვის უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან ქრისტეს კვართი და პერანგი – ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. შესაბამისად, შეიძლება, ტრინში იყოს არა კვართი, არამედ – პერანგი.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ დავიცვათ შვილები ტელეეკრანიდან წამოსული მავნე ზეგავლენისგან და რატომ გადის უხამსი, ეროტიკული სცენების შემცველი ფილმები, სერიალები საბავშვო სატელევიზიო დროს

(69-ე გვერდიდან)

– რასაკვირველია, ეს ასეა. არა მარტო დასავლეთის არამედ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების სივრცეშიც, არასრულწლოვანთა შეუფერებელი მასალის გაშვებაზე უმკაცრესი კონტროლია დაწესებული. ჩვენი ტელეკომპანიები კი არ ერიდებიან დღის საათებში, არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი სცენების გაშვებას. ერთ-ერთ რეგიონულ არხზე, რომელსაც დედაქალაქშიც ვუყურებთ, შუადღის 16 საათზე გავიდა, ღამის ჩვენების, ესპანელი რეჟისორის, პედრო ალმადოვარის ფილმიდან რეკლამა, რომელიც უხამს სცენებს შეიცავდა. გაიკითხეთ, უცხოეთის ქვეყნებში, ვინმე ალმადოვარის ფილმიდან უხამს სცენებს შუადღის ეთერში უშვებს? ჩვენი, ქართული კანონმდებლობაც კრძალავს, რომელსაც არავინ ითვალისწინებს. ქართულ სინამდვილეში, ევროპული რეგულირების მოდელმა, რაც გულისხმობდა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ, მაუწყებელთა დაჯარიმებას, უხამსობისა და არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი სცენების დღის საათებში ჩვენებისთვის, მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა. ვფიქრობ, მასმედიის თავისუფლების დაცვის საბაბმა და ჯარიმების უგულებელყოფამ, წარმოშვა გარკვეულწილად, დაუსჯელობის სინდრომი. რაც, მთავარია, გააუქმეს ცენტრი ახალგაზრდობის დეპარტამენტში, სადაც ხდებოდა, მხატვრული ფილმების ასაკობრივი კლასიფიკაცია. ამათ, ჩემი აზრით, ტელეკომპანიათა კომერციულმა ინტერესებმა, დაჯაბნა საზოგადოებრივი ინტერესები.

**– თუმცა, ისიც ვაღიაროთ, რომ კომერციული საკითხი ქართული ტელეკომპანიებისთვის უმთავრესია?**

– კი, ბატონო, ამაშიც გეთანხმებით, მაგრამ აქვე გეტყვით ამის მაგალითსაც, კერძოდ, ერთ-ერთი არხის ხელმძღვანელი, მეზობელი ქვეყნის ტელესერიალებს განიხილავს, როგორც კომერციულ პროექტს, რომლის მიზანიცაა არხის ფინანსურად წელში გამართვა. მაგალითად, ისეთ ტელეპროდუქციას, რომელიც ძალადობის უმძიმეს სცენებს შეიცავდა, თორმეტ წლამდე ასაკობრივი კატეგორია ჰქონდა მინიჭებული. ფილმში ნაჩვენები იყო, ბავშვების ცხოვრება ციხის კედლებში, მის ფარგლებს გარეთ ცივი იარაღით ადამიანის ფიზიკური დასახიჩრების სცენები და ასე შემდეგ. მისი ყურება ზრდასრულ ადამიანებსაც გაუჭირდათ. მაინტერესებს, რა მოსაზრებით მიანიჭეს ამ ტელესერიალს 12-წლიანი ასაკობრივი შეზღუდვა და რატომ არის დასაშვები მისი ნახვა 13 წლის მოზარდისთვის?

**– კანონში არის მუხლი, ტელევიზიების მხრიდან არასრულწლოვანზე მავნე ზეგავლენისა და ძალადობისგან დაცვის შესახებ?**

– მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, კანონის მესამე მუხლი შეიცავს ტერმინს – ძალადობის ამსახველი სცენა. ეს არის კადრი, სადაც განსაკუთრებული სისასტიკით შესრულებული მკვლელობა, სხეულის თვითდაზიანება, წამება, დასახიჩრებაა. რაც მთავარია, აღნიშნული სერიალი გადიოდა, ყოველდღე 19 საათზე. დროის ამ მონაკვეთს, მაუწყებლის შესახებ კანონმა მოუძებნა ტერმინი – საუკეთესო დრო, როცა მაუწყებლის ტელეპროგრამას, მისი მომსახურების ზონის აუდიტორიის პიკური რაოდენობა უყურებს. შაბათ-კვირას კი მთელი კვირის მასალა, მთელი დღის განმავლობაში გადიოდა განმეორებით. მე იმის თქმა მინდა, რომ ქართული ტელესივრცე, ფაქტობრივად, 24 საათის განმავლობაში, მოშიშვლებულია, გაჯერებულია უხამსობისა და ძალადობის შემცველი სცენებით. მიკვირს, რატომ არ ძრავს არავინ ამ პრობლემაზე სიტყვას, როცა საუბრობენ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმასა და ისტორიაზე? ამ დროს, არ ახსენდებათ ტელევიზია – ადამიანის და მით უმეტეს, არასრულწლოვნის ცნობიერებაზე მოქმედი, ეს უმძლავრესი იარაღი. ზოგადად, ადამიანი იმახსოვრებს წაკითხულის 10 პროცენტს, მოსმენილის 20 პროცენტს, ნანახის 30 პროცენტს და 50 პროცენტს იმისა, რასაც ნახულობს და ისმენს ერთდროულად. ანუ, წაკითხულზე მეტად, ადამიანი ვიზუალს იმახსოვრებს. ასეთი სექსუალური, უხამსი და ძალადობრივი კადრების ტელეეკრანზე ასე ხშირად ჩვენება, დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენი მომავალი თაობის ფსიქიკაზე არ აისახება? იქნებ მოსახლეობამ უფრო გამახვილებული თვალით შეაფასოს ეკრანზე ნანახი, ხელისუფლება კი მაუწყებლის რეგულირების საკითხის წინ წამოწევის აუცილებლობაზე ჩაფიქრდეს. კითხვაზე, რა შეიძლება დაუპირისპირდეს უხამსობას, ერთ-ერთი პროფესიონალისგან ასეთი ფორმულირება მოვისმინე: უხამსობის აკრძალვას პირდაპირ არ ავალდებულებს სახელმწიფოს არც კონსტიტუცია და არც საერთაშორისო ხელშეკრულებები. ამიტომ, სახელმწიფოს გადასაწყვეტია, დასჯის უხამსობას თუ არა. მოსახლეობას კი მივმართავ, ერთი კვირის განმავლობაში მოახდინეთ, უკრაინული და თუნდაც რუსული არხების მონიტორინგი. ნახავთ, რომ იქ ტელეპროგრამები სწორადაა დაგეგმილი და დღის განმავლობაში იოტისოდენა უხამსობას და ძალადობას ვერ ნახავთ. იქ ბავშვის ეკრანთან დასმა მშობელს არ უქმნის საშიშროებას. ჩვენთან კი, სრული განუკითხაობაა. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერზე კამათობენ, მართავენ დისკუსიებს, გარდა ზნეობრივი ნორმების დაცვისა. ფაქტია, რომ მოზრდილებმა დავკარგეთ რიდი არასრულწლოვნების მიმართ. ეს კი ანომალიაა, რომლის გამოსწორებაზეც დროულად უნდა დავფიქრდეთ.

**ნონა დათეშიძე**

**„ორი ვარსკვლავის“ ყველა შოუს ლიდერი წყვილი – ლევან ჯავახიშვილი და ნინი წიკლაური წინსვლას განაგრძობენ. ჩემი სუბიექტური აზრით, ლიდერობა მხოლოდ იმაზე არ არის დამოკიდებული, რომ ვილაცეები გამოდიან და კარგად მღერიან. მთელი საიდუმლო იმაშია, რომ მათი დამოკიდებულება სიმღერისადმი სუპერპროფესიონალურია. ისინი არ მღერიან სიმღერისთვის, მათ სტკივათ და ეს სატკივარი მაყურებლამდე მიაქვთ. ლევან ჯავახიშვილის შესახებ ითქვა, რომ ის პროფესიულ დონეზე მღეროდა და ჩვენც საუბარი ამ თემით დავიწყეთ.**

# რაში ეხმარება ნინი წიკლაურის განცდა და ტკივილი ლევან ჯავახიშვილს

**– ლევან, არ ვიცი, გახსოვს თუ არა, მაგრამ წლების წინ, ია ჩანტლაძის სახლში ინტერვიუ გვქონდა შენთან, იასთან, დათო გოგოლაშვილთან და სხვებთან, სადაც თქვენს ჯგუფს იხსენებდით – ჯაზ-სექსტეტს, რომელშიც ერთად მღეროდით. კიდევ ერთხელ მოგვიყევი, როგორი იყო შენი მუსიკალური გზა?**

– როგორც ყოველი მეორე ბავშვი ან სიმღერაზე დადის, ან ცეკვაზე, ასე დავიწყე მეც სიმღერა. მივედი „მართვეში“, სადაც ვმღეროდი 1986-1994 წლებში. 1988 წელს გავხდი „მართვეს“ სრულუფლებიანი წევრი, რაც მაშინ საკმაოდ პრესტიჟული იყო. ამ ანსამბლის შექმნით ანზორ ერქომაიშვილმა უდიდესი საქმე გააკეთა, რადგან, მაშინ ფოლკლორი ბავშვებში პრაქტიკულად არ არსებობდა. ძირითადად, ყველა საბავშვო ანსამბლი საესტრადო მუსიკაზე იყო გადასული. ანზორმა გააკეთა უდიდესი საქმე, რადგან დღეს მართვე უკვე გადაიქცა არწივად და ამ არწივს პატარა მართვეები ჰყავს. მაგრამ, ჩემი ცხოვრება ისე არ აეწყო, ან, მეც არ მქონდა ამის დიდი სურვილი – სასიმღერო კარიერა არასერიოზულად მიმაჩნდა.

**– ფოლკლორიდან გადახვევის პერიოდიც გქონდა.**

– დიახ, დათო გოგოლაშვილმა, ჩემმა ძალიან ახლო მეგობარმა, დამირეკა და მითხრა, რამე რომ იყოს, ჯგუფში იმღერებო? თან, სოული ახლაც არ არის ჩემთან ძალიან ახლოს.

**– რას უსმენ ზოგადად?**

– როკ-მუსიკას, მეტალს...

**– როგორი უცნაურია საინფორმაციოს წამყვანისგან?**

– რას ამბობ?! მეტალი და მძიმე როკია სწორედ საინფორმაციო. საქართველოში – განსაკუთრებით. ეგ კიდევ უფრო მძიმე – დესმეტალია. მეტალსაც ხომ თავისი მიმართულებები აქვს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სოული არ მიყვარს, მომწონს „ბოიზ თუ მენი“, „თეიქ სიქს“, ისეთი ჯგუფები, რომლებიც უკვე კლასიკად იქცა. ვგიჟდები ფრენკ სინატრაზე. მოკლედ, ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი და გავაკეთეთ ჯგუფი. დათოსთან ვიყავი ბანი – დუ, დუ, დუ ***(იცინის)...*** სოულს მელიზმები ხომ ახასიათებს და ძირითადად, ვახვევდი კახურად ან ვუქცევდი გურულად. ახლაც ასე ვარ. ფოლკლორი იმდენად გამჯდარი მაქვს, რომ ახლაც მეუბნებიან პედაგოგები, სუფთა ლურსმანა ხარო. ხანდახან ქართლურად დავაჯახებ ან კახურად ჩავახვევ...

**– ახლა რას მღერით?**

– როკის ტურია, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ტურია.

**– „ნაქ, ნაქ ონ ჰევენს დორ“ – ესეც თქვენი სიმღერა იყო.**

– ბობ დილანის შემდეგ ეს სიმღერა უამრავმა მომღერალმა შეასრულა. ისეთი გამჯდარია ყურში, რომ, დაძინებული რომ გააღვიძონ ნებისმიერი ადამიანი, იმღერებს ***(იცინის).*** სიმღერას ყოველთვის მამაჩემთან ვამოწმებ ხოლმე: წავიმღერებ, ვასმენინებ და, თუ მან თქვა – კიო, ვიცი, მაგარია, ესე იგი, იმ სიმღერის შესრულება ღირს.

**– ანუ, ყოველთვის ასეთ ცნობილ ჰიტს არჩევთ?**

– რა თქმა უნდა. მსმენელმა ის კარგად უნდა იცოდეს და თავიდანვე ლოიალურად იყოს განწყობილი. ამ ორშაბათს ვმღერით „ნირვანას“ „სმელს ლაიქ თიინ სფირით“.

**– რომელიც ათწლეულების განმავლობაში იყო თინეიჯერების ჰიმნი.**

– მე და ჩემი თაობა „ნირვანაზე“ გავიზარდეთ. ეს არ არის მხოლოდ სიმღერა, ეს დამოკიდებულებაა ცხოვრების მიმართ, უდიდესი პროტესტია გარემოს მიმართ. თუ მსმენელის მიმართ გზავნილი არ გაუშვი, რაღაც სათქმელი თუ არ თქვი, მაშინ, სიმღერა სიმღერად დარჩება და დამთავრდა. ეს სიმღერა პროტესტის უმაღლესი ფორმა იყო და, შეუძლებელია, ისე შეასრულო რომ ემოცია არ წამოვიდეს. არ არსებობს ეპოქა, დრო, ადგილი, სადაც რამის მიმართ პროტესტი არ გაქვს და ამ პროტესტს ხელოვანი არ გამოხატავს. იქიდან გამომდინარე, რომ საინფორმაციოს წამყვანი ვარ, არ მაქვს უფლება, რომ რაღაც ჩარჩოებს გავცდე და ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ. ის, რომ ჟურნალისტს, მით უმეტეს, საინფორმაციოს წამყვანს არ უნდა ეტყობოდეს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ თემის მიმართ, ჯერ კიდევ არ არის კარგად გათავისებული საქართველოში. ისღა დამრჩენია, რასაც განვიცდი, სიმღერით გამოვხატო.



**ეს სიმღერა პროტესტის უმაღლესი ფორმა იყო და, შეუძლებელია, ისე შეასრულო, რომ ემოცია არ წამოვიდეს**

**– როგორც მივხვდი, ეს პროექტი შენთვის სცდება გართობისა და კონკურსის მასშტაბებს.**

– დიახ, ვინც უყურა „ნაქს“, როგორ იყო ის შესრულებული ან როგორი დადგმა იყო, ყველა მიხვდება, რას ვაპროტესტებდით ამით. აქ არ ვგულისხმობ არც ვიწყო პოლიტიკურ თემებს, „ნაციონალურ მოძრაობას“, „ქართულ ოცნებას“ ან „ჯავახას სიზმრებს“. ყველაზე მეტად, რაც პირადად მაწუხებს, ოკუპირებული ტერიტორიებია. პირადად მე ამის მიმართ მაქვს გამძაფრებული ემოციები. ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული, ამ თემამ უკვე ძალიან დამღალა და არასდროს არ დამთავრდა. შეიძლება, რომელიმე პოლიტიკოსს ეს არ ესიამოვნოს და ძალიან ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ, ეს სულ არ მაინტერესებს – ამ შემთხვევაში, პირადად ჩემთვის მიუღებელია ის, რაც ხდება ცხინვალში, აფხაზეთში. დანარჩენი საერთოდ არაფერი მაინტერესებს, ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, ვინ მოიგებს, ვინ მეტს ხმას მიიღებს. ეს როგორც საქართველოს მოქალაქეს, არ მაინტერესებს.

**– შენი ვიზუალი, იმიჯი, ანუ, კლასიკურ პიჯაკში გამოწყობილი წამყვანი „ცისფერი ეკრანებიდან“ არანაირიად არ პროგნოზირებდა იმას, რომ სცენაზე ასეთ ცეცხლს დაანთებდი და ასე ამოხეთქავდა ის, რაც შიგნით გაქვს.**

– ეჭვი მაქვს, ორშაბათს უფრო დიდ შოკს მიიღებთ.

**– როგორც თქვი, კობეინის სული გყავს გამოძახებული...**

– ***(იცინის)*** ასეთ ხუმრობებს მაყურებლისგან და მკითხველისგან ისეთი რეაქციები მოჰყვება ხოლმე, რომ, ვგიჟდები. ერთხელ ერთ ფოტოზე როკის ნიშანი მქონდა გაკეთებული ხელებით. ვილაცეებმა მიაწერეს – ეს სატანისტებიო და რაღაც სისულელეები. გავგიჟდი. გაუნათლებლობა გაუნათლებლობად, მაგრამ, რაზეც ილანძღები, იმაზე ინფორმაცია მაინც ხომ უნდა მიიღო? რას ნიშნავს ეს ჟესტი, ხომ უნდა იცოდე?! ერთი სიტყვით, საინფორმაციოს წამყვანის უკან არის სხვა ლევანი, რომლის გაცნობის პერიოდშიც იმყოფება ახლა მაყურებელი. თუ სიმღერა საშუალებას მაძლევს, ვცდილობ, დავამსხვრიო ჰალსტუხიანი წამყვანის იმიჯი, რადგან, მართლა სხვანაირი ვარ. იმ ადამიანის უკან, რომელიც ეთერში ზის, იმალება რეალური ლევანი და, მადლობა ამ პროექტს, რომ მისი წარმოჩენის საშუალება მომცა.

**– რას ნიშნავს ის, რომ სწორედ ნინი წიკლაურია შენი მეწყვილე?**

– რომ არა ნინი, არ ვიცი, ვინ შემხვდებოდა და როგორი იქნებოდა ჩვენი გზა. პროექტში ვინც ვართ, ყველა ვმეგობრობთ და, მგონია, დიდი ხანია, ვიცნობ. მაგრამ, რაც შეეხება ნინი წიკლაურს, ის მუსიკალურად აზროვნებს. მუსიკალური აზროვნება არ გამოიხატება რაღაც ფრაზის მაღალ დონეზე სიმღერაში ან მელიზმის გაკეთებაში. როდესაც ადამიანი ლაპარაკობს, მას უკვე ეტყობა, მათემატიკურად აზროვნებს, ფილოსოფიურად თუ სხვა. ზოგადად, ვინც მუსიკალურად აზროვნებს, მას ყოველთვის რაღაც სტკივა, რაღაცას განიცდის; ცდილობს, რომ ეს თავისი ისტორია და განცდილი სიმღერით მოყვეს. არ ვიცი არც ნინის განვლილი ცხოვრება, ამაზე არც გვილაპარაკია, მაგრამ, ეს ყველაფერი ნინის ეტყობა სცენაზე და ზუსტად ეს მაძლევს მუხტს. სხვა ტიპის კონკურსი რომ ყოფილიყო და სცენაზე მარტო ვმდგარიყავი, შეიძლება, შემშინებოდა. თანაგანცდა ძალიან მნიშვნელოვანია. სცენაზეც დიალოგია, რომელიც, თუ არ შედგა, ამას მაყურებელი ძალიან მარტივად გრძნობს.

**– ვინ არის შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი?**

– მშობლები, შვილები, მეგობრები, მარი – ადამიანი, რომელიც ჩემ გვერდით არის და ძალიან მიყვარს. ერთ ამბავს მოგიყვებით: მამაჩემი მეუბნება, ესემესები მინდა გამოგიგზავნოო და ავუხსენი, ეს როგორ უნდა გაეკეთებინა. მომივიდა მესიჯი, წერია – „თენგო” (მამაჩემი) და წერია ჩვენი ნომერი ***(იცინის)*** – მე მიგზავნიდა ნომრებს. მოკლედ, ასეთი გულშემატკივრები მყავს და, ვნახოთ, რა გამოვა.

**სალომე გველესიანი**

**მიუხედავად იმისა, რომ „პალიტრაTV“ და რადიო პალიტრის ეთერში გადაცემა „გვეთამაშე ჩვენ“ სრულიად უწყინარი და პოზიტიურია, ის მაინც იქცა სანახაობრივად ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ შოუდ ტელე და რადიოსივრცეში. არ ვიცი, ეს საქართველოშია ასე, თუ სხვა ქვეყნებშიც იგივე პრობლემაა, მაგრამ ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობა ყოველთვის გარკვეულ უხერხულობასთანაა დაკავშირებული. მით უმეტეს, რომ მსგავსი შოუ მსახიობ გიორგი მეგრელიშვილს მიჰყავს და ცდილობს, მარტივი კითხვა, რომელზეც პასუხი „ღამე რომ გაგაღვიძონ, მაინც იცი“, ისე მოგაწოდოს, საკუთარ თავში ეჭვი შეგეპაროს. გადაცემა საკმაოდ სახალისო გამოდის და მონაწილეებიც კიდევ ერთხელ ამოწმებენ ერუდიციის ხარისხს.**

# ვის ეშინია მეგრელასი და როგორ აბნევს ის ცნობილ ადამიანებს

**გიორგი მეგრელიშვილი:** უამრავ სატელევიზიო პროექტზე მიმუშავია მაკა ლომიძესთან ერთად, რომელმაც ამ გადაცემის წამყვანობა შემომთავაზა. მაკა და ის გუნდი, ვისთანაც ახლა ვმუშაობ, მართლა საუკეთესოა – ისეთი, თვალდახუჭული რომ ენდობი. ჩვენ, მსახიობები სატელევიზიო პროექტებს მეტ-წილად თანხის გამო ვთანხმდებით. ჩემს შემთხვევაში, ხელფასზე დიდი მიზეზი იყო წიგნები და გადაცემა, რომელიც წიგნებზეა. შიგნით უამრავი საინტერესო რაღაცეები ხდება. ეს გადაცემა ჩემთვის ძალიან კარგია, მაგრამ შენ უნდა ნახო, ისინი, ვინც გადაცემაში მოდიან.

**– როგორია გადაცემის ფორმატი?**

– გადაცემაში მოდის სტუმარი, ცნობილი ადამიანი, რომელსაც ვუსვამთ თხუთმეტ კითხვას. პირველი ხუთი კითხვა მეტ-ნაკლებად ადვილია და შემდეგ რთულდება. ხუთ კითხვაზე პასუხის გაცემის შემთხვევაში, გამომცემლობა „პალიტრა ელისგან“ საჩუქრად წიგნს იღებს და ყველა ეტაპის გავლის შემდეგ, ბიბლიოთეკას ამდიდრებს. წიგნს იმდენი რამ სჭირდება, იმხელა გზა უნდა გაიაროს, რომ საჩუქრად იქცეს და შენ თაროზე დაიდოს... მაგრამ, ეს შეიძლება ბევრმა არ იცის. მაგალითად, ზოგმა ისიც კი არ იცის, რა დღეა, როდესაც ერთმანეთს ატყუებენ. პირველი აპრილი ონისე ონიანს პირველი იანვარი ეგონა. ვკითხე, როდის ატყუებენ ადამიანები ერთმანეთს და პირველი რომ თქვა, გამოიცანი-მეთქი, მაგრამ მერე იანვარიო რომ დაამატა, მივხვდი, სხვაგან იყო.

**– ანუ, ასეთი მარტივი კითხვებით იწყება.**

– კი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვიღაცეებისთვის არც ისე მარტივია. მაგრამ, ჯერ არ მყოლია სტუმარი, ვისაც ამ ხუთი კითხვისთვის პასუხი ვერ გაეცეს.

**– საიდან უჭირთ ხოლმე?**

– იცი სად უჭირთ?! აი, თვალებში ყურებას რომ მიწყებენ, მაშინ. კითხვას ვუსვამ და იბნევიან. მაგალითად, გია ბეროშვილი იყო, მანქანაზე შეხვდა კითხვა და მიყურებს თვალებში, გამამეორებინა ორჯერ. მერე მითხრა, მეგონა, რაღაცას მატყუებდიო. ზოგჯერ, ისეც ხდება, იმდენად მარტივი ეჩვენებათ პასუხი, თქმისგან თავს იკავებენ. დავაკვირდი, რომ, რაც უფრო დარწმუნებულია ადამიანი, მით მეტად ამოწმებს თავს. მოდი, ახლა შენ მომიყევი, როგორ ისვენებდი გონიოში და ანეკდოტებიც მიაყოლე – ასეთი გადაცემა არ არის. აქ ერუდიციასთან გვაქვს საქმე და ვაი და ერუდიციაში ჩაიჭრას?! ეს, არ უნდა. არადა, თავი მამლაყინწად მოჰქონდეს და აქ დაინახონ მისი ერუდიციის დონე... ჩვენი სტუმრების ძირითადი ნაწილი ათის ფარგლებში იჭრება.

**– რა ტიპის კითხვა შეიძლება, იყოს?**

– მაგალითად, რომელია სამგლოვიარო ფერი ჩინეთში – ასეთი სირთულის. მაია ბარათაშვილმა მითხრა, რა ხდებაო, დაბნეული იყო. სხვათა შორის, ახლა დავნერგეთ ახალი ტრადიცია და ვაკეთებთ წიგნების სიას, რომლის წაკითხვასაც ჩვენი სტუმრები ურჩევენ მაყურებელს. ძალიან გამიკვირდა მაიას პასუხი. მისგან უფრო ველოდი რომანტიკულ, ლირიკულ ავტორებს და უცებ მითხრა ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, რომელიც მისი სამაგიდო წიგნი აღმოჩნდა. საინტერესო სია შედგა, სადაც არის დოჩანაშვილი, მაქს ვებერი, ვაჟა-ფშაველა, ილია. „რას კითხულობენ ცნობილი ადამიანები” – ასეთი კრებული შეიძლება გამოვიდეს. მერე კი – „რა არ აქვთ წაკითხული ცნობილ ადამიანებს“... *(იცინის).*



ზოგიერთს სულ სხვა იმიჯი აქვს მორგებული – აი, რა კარგია, რომ დებილი ვარ. ზოგს მოსწონს კიდეც ეს

**– სტუმრების ძირითად ნაწილთან მეგობრობ და არ გთხოვენ ხოლმე: აი, ეს არ მკითხო, რა კითხვები იქნება?**

– დაბნეულობაა უფრო, ვიდრე რაიმეს თხოვნა: ვაიმე, ახლა რომ ვერაფერი გამოვიცნო, რა იქნება და რა მოხდება; აუ, ეს ამოჭერი და ამ კითხვაზე პასუხი მითხარიო, – ჯერ ეგეთი შემთხვევა არ მქონია. იმდენად ნერვიულობენ და ღელავენ, რომ პირიქით, გადაცემის დაწყებამდე ყველანაირად ვცდილობ, დავამშვიდო.

**მინდა, მოვიწვიო თემურ ქეცბაია, რომელსაც ფეხბურთზე დავუსვამდი შეკითხვებს და კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია**

**– შეგიძლია, გვითხრა, ვისი ნახვა გინდა გადაცემაში შენთან პირისპირ ყველაზე მეტად?**

– ასეთი ადამიანი ბევრია. გამოვყოფ თემურ ქეცბაიას, რომელსაც ფეხბურთზე დავუსვამდი შეკითხვებს და კულტურის მინისტრს, გურამ ოდიშარიას.

**– როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია მაყურებლისთვის იმის ცოდნა, ამა თუ იმ ცნობილ ადამიანს ელემენტარული ერუდიცია რომ აქვს? ადამიანი შეიძლება კინოში ბრწყინავს, არაჩვეულებრივი მომღერალი ან ტიტულოვანი სპორტსმენია, იმოქმედებს ეს მათ იმიჯზე?**

– არ ვიცი, გააჩნია ინდივიდუალურად მაყურებელს. ვიღაც იტყვის, რომ ეს რა არის; ვიღაც იტყვის: უფ, ეს ისეთი მაგარი მომღერალია, რად უნდა რამის ცოდნაო. მაგრამ, მეორეც არის. ზოგიერთს სულ სხვა იმიჯი აქვს მორგებული: აი, რა კარგია, რომ დებილი ვარ. ზოგს მოსწონს კიდეც ეს. ირგებს ამ სისულელეს და ამბობს, იცით, მე არც კი ვკითხულობ სცენარს, მიყვებიან და ისე ვთამაშობ. ალბათ, ეს ვიღაცაზე მუშაობს. ორჯერ ორი ჩემთვის შვიდია და ეს უკვე კარგია, ნახეთ, როგორი სულელი ვარ, როგორი განსხვავებული. მთავარია, განსხვავებული ვიყო, რა მნიშვნელობა აქვს რითი ვიქნები განსხვავებულიო. მაყურებელი კი ამით ერთობა, მას მხოლოდ გართობა სჭირდება.

**– შენთვის აქვს ამას მნიშვნელობა?**

– შეიძლება, ნიჭმა დაფაროს მისი ნაკლი.

**– ანუ, ეს ნაკლია?**

– ნაკლი არა, უფრო მისი პრობლემაა. „არ ვიცის“ თქმა, ტრაგედია და სირცხვილი არ არის, მაგრამ არის რაღაც მინიმუმი, რისი ცოდნაც აუცილებელია, სირცხვილია, რომ არ იცოდე.

**– პოლიტიკოსებს, ალბათ, კიდევ უფრო უჭირთ მოსვლა.**

– არა, სხვათა შორის. დავით ზურაბიშვილი გვყავდა. საქართველოს ისტორიაზე კითხვა მქონდა, რომლითაც მინდოდა, დამებნია, მაგრამ იმ დინასტიაზე ისე მოყვა და ისე ჩავიდა შვილიშვილზე, რომ მოდი, კიდევ ერთხელ გკითხავმეთქი, ვუთხარი. როდესაც ადამიანს კითხვას უმეორებ, ის ფიქრობს, რომ პასუხში შეცდომას უშვებს, მაგრამ მასზე ამას არ უმოქმედია. პოლიტიკოსებს, ალბათ, ეს უკვე გამჯდარი აქვთ ინსტინქტის დონეზე. თუ იციან, რომ მართლები არიან, ბოლომდე იმ ჩვენებას აწვებიან.

**– როდესაც არ იციან, რომ მართლები არიან, მაშინაც...**

– მაშინ უკვე შვიდჯერ იმეორებენ.

**– შენთვის თუ შემოუბრუნებიათ კითხვა და შენ ერუდიციას თუ ამოწმებენ გაბრაზებულები?**

– კი, ყოფილა ასე. მაგრამ ვცდილობ, მინიშნების მიცემისგან თავი დავიზღვიო. იმ დღეს „კალაშნიკოვზე“ იყო კითხვა და ვირტუალურად, თითით თითქოს იარაღს ხელი გამოვკარი და ამ დროს მიხვდა, რაზე იყო საუბარი. თხუთმეტიდან თხუთმეტივეს, პასუხს ვერც მე ვცემ, მაგრამ შვიდ-რვა კითხვამდე ავდივარ *(იცინის).*

**სალომე გველესიანი**

# თუ გაგიოცნოთ

1. ყველასთვის ცნობილია დაფნის გვირგვინის დანიშნულება, მაგრამ, ძველ რომში არსებობდა ეგრეთ წოდებული „სამოქალაქო გვირგვინიც," რომელსაც მუხის ფოთლებისგან წნავდნენ და ჯარისკაცებს უმკობდნენ თავს. **რომელ ჯარისკაცებს?**

2. დღეს უკვე დავიწყებული ამ იარაღის გამოგონებამ თავის დროზე ძლიერი იმპულსი მისცა ფიზიკისა და მათემატიკის განვითარებას, რაც ფიზიკის ერთ-ერთი დისციპლინის სახელშიც აისახა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია როგორც სამხედრო გათვლები, ასევე კრიმინალური კვლევები. **დაასახელეთ ეს იარაღი.**

3. ხმლები ანტიკური ეპოქიდან იყო ცნობილი, თუმცა, ადრეულ შუასაუკუნეებში მათი მოხმარება გაცილებით ადვილი გახდა, რამაც გაზარდა ამ იარაღის პოპულარობა, ეს კი ხმლის ვადის (ტარის) გაუმჯობესებამ გამოიწვია. ამ გამოგონების მნიშვნელობაში დარწმუნება ნებისმიერს შეუძლია, თუ ანტიკურ მოკლე ხმალს რაინდების ეპოქის დიდ და მძლავრ ხმალს შეადარებს. **როგორ გაუმჯობესდა ხმლის ვადა?**

4. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 715 წელს კაცობრიობის ისტორიაში პირველი პრეცედენტი მოხდა: აბსოლუტურად მშვიდობიანი გზით, მეფე რომულუსმა ტახტი გადასცა ნუმა პომპილიუსს და ამით საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიას. **რა იყო ერთი მეფის მეორით მშვიდობიან შეცვლაში განსაკუთრებით უჩვეულო?**

5. ცნობილი ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი ალბერტ ბრუქსი ბავშვობაში საშინლად ვერ იტანდა ფიზიკას. ამიტომ აილო ფსევდონიმი ბრუქსი, რომ წასულიყო კინოში და არ გაჰყოლოდა ფიზიკას, რის ვალდებულებასაც არა მარტო სახელი, არამედ, გვარიც აკისრებდა. **დაასახელეთ ბრუქსის ნამდვილი სახელი და გვარი.**

6. კათოლიკური ტრადიციით, ამ წმიდანს 12 ფუტი სიმაღლის გიგანტად გამოსახავდნენ, რაც სულაც არ არის გასაკვირი – მას შეეძლო, ნებისმიერ მდინარეზე გადაებიჯებინა. ის მოგზაურთა მფარველია და, საოცარი დამთხვევაა, რომ ერთ-ერთ ცნობილ მოგზაურს სწორედ მისი სახელი ერქვა. **რომელ მოგზაურს?**

7. ერთ-ერთი ვერსიით, ამ პოპულარულმა სასმელმა სახელწოდება მისი შემადგენელი კომპონენტებით მიიღო. ეს ინგრედიენტებია: წყალი, შაქარი, დექსტრინი, ლიმონის მჟავა, ნატრიუმის ციტრატი, არომატიზატორები ლიმონისა და ლაიმის სუნით. **დაასახელეთ, რომელი სასმელია ეს.**

8. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ამ ორ სასმელს თანამედროვე ევროპულ კულტურაში ურთიერთსაწინააღმდეგო დანიშნულება აქვს, შესაბამისად, მნიშვნელობაც: ერთი – სამუშაოდან დასვენებაზე გადასვლის სიმბოლოა, მეორე, პირიქით – დასვენებიდან სამუშაოზე გადასვლის. **დაასახელეთ სასმელები.**

9. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში გამოიცა მიმართვა ქალებისადმი. მათ მოუწოდებდნენ სამხედრო მფრინავთა დასახმარებლად ჩაებარებინათ მოდური ტანსაცმელი და წინდები. **რაში სჭირდებოდათ მოკავშირეებს ქალის ტანსაცმელი?**

10. ინგლისის ისტორიაში ყველაზე ცნობილი პრემიერ-მინისტრი ბენჯამენ დიზრაელი იყო, ეს პატივი მან ქვეყნის პოლიტიკისთვის სასარგებლო მხოლოდ ერთი ოპერაციით დაიმსახურა, რომელიც 1875 წელს გაატარა. **რა გააკეთა მან?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

# ბრძნული აზრები

**თორო**: სიმდიდრე არის უნარი, ბოლომდე გამოსცადო ცხოვრება.

**პიკასო**: მე მომწონს ცხოვრება ღარიბივით, რომელსაც ბევრი ფული აქვს.

**დოსტოევსკი**: ადამიანი საიდუმლოებაა. თუ თქვენ მთელ ცხოვრებას მის ამოცნობაზე დახარჯავთ, არ თქვათ, რომ დრო უქმად დაკარგეთ. მე დაინტერესებული ვარ ამ საიდუმლოებით იმიტომ, რომ მინდა, ადამიანი ვიყო.

**თაგორი**: ადამიანმა ცრემლი უნდა დაღვაროს, რომ ცხოვრება შეიცნოს.

**განდი**: მე ვეწინააღმდეგები ყოველგვარ ძალადობას, რადგან ძალადობის შედეგად მიღებული სიკეთე დროებითია, ხოლო ბოროტება – მუდმივი.

**დეკურსელი**: უფლება წამოსასხამია, რომელიც სხვის მხრებზე მეტად გონიერი და ფართო გვგონია და საკუთარზე კი მეტად ვიწრო.

**გორკი**: კარგი ადამიანისთვის ცხოვრება ძნელია, სიკვდილი კი – ადვილი.

**ურიხტი**: ზოგიერთი ადამიანი იმ პაწია სავაჭრო დუქანსა ჰგავს, რომლის საუკეთესო საქონელიც ფანჯარაშია გამოფენილი.

***

ადამიანი ის ცოცხალი არსებაა, რომელიც დროს კლავს, ვიდრე ეს უკანასკნელი შურს იძიებდეს.

**ჩესტერფილდი**: ადამიანთა უმრავლესობას ისეთი დიდი სურვილი აქვს, გამოხატოს თავისი უპირატესობა მეორის მიმართ, თუნდაც ერთი წუთის განმავლობაში და სულ უმნიშვნელო რამეში, რომ მზად არიან, გვიამბონ ისეთი რამ, რაც არ უნდა მოეყოლათ და არასგზით არ შეუძლიათ დუმდნენ იმაზე, რაც მათ იციან, შენ კი – არა.

**როლანი**: ავი თესლი სწრაფად ხარობს.

**ჰერაკლიტე**: ადამიანის ხასიათი მისი ბედისწერაა.

**ჩეხოვი**: ტანჯვას ადამიანი სრულყოფილებამდე მიჰყავს.

**სტენდალი**: ადამიანი თავის გულს იშვეღიებს, როცა რამე სისულელეს სჩადის.

**სოკრატე**: საუკეთესო ის ადამიანია, რომელიც ყველაზე მეტად ცდილობს, გასრულქმნილდეს, უბედნიერესი კი ის არის, ვინც ყველაზე მეტად გრძნობს, რომ ის ნამდვილად სრულქმნილდება.

**სენეკა**: იცოდე, დიდი საქმეა, მუდამ ერთი და იგივე ადამიანი იყო.

**როზაქიძე**: ტყუილია, ვითომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისგან... უფრო მართალია ჰიპოთეზა, რომ თვითონ ადამიანი გადაგვარდა მაიმუნად...

**ნიცშე**: ის ვინც მონსტრებს ებრძვის, უნდა დააკვირდეს, რომ ამ ბრძოლის პროცესში თვითონ არ გახდეს მონსტრი და როდესაც თქვენ უფსკრულში იხედებით, უფსკრული თქვენ გიყურებთ.

**ვოვენარგი**: ჩვევაა ყველაფერი, სიყვარულიც კი.

**ბელინსკი**: ვინც არ ესწრაფვის, ვერ მიაღწევს; ვინც ვერ გაბედავს, ვერც მიიღებს.

**ბერნე**: დიადი ადამიანის შეცდომები უფრო ყურადსაღებია, ვიდრე უფერული ადამიანის შეუმცდარობა და როდესაც პირველი ასცდება ხოლმე გზას, ის გვიჩვენებს სწორ გზას, მაგრამ მხოლოდ სხვა საშუალებით.

**შოუ**: მამაკაცის ან ქალის აღზრდის შემოწმება კამათის დროს მათი ქცევის მიხედვით შეიძლება.

**ზვევო**: როცა ქალები ერთმანეთს კოცნიან, ორთაბრძოლის წინ მოკრივეთა მისალმება მახსენდება.

# გამოჩენილი ადამიანების უკანასკნელი სიტყვები და ეპიტაფიები საფლავებზე

**კონფუცი** – დიდი ჩინელი ფილოსოფოსი. მოწაფეებმა დიდი მოძღვარი დაასაფლავეს იქ, სადაც რამდენიმე დღით ადრე, სიკვდილამდე თვითონ შეარჩია. ეპიტაფია საფლავზე: „ყველაზე წმინდა და შემოსილი შორსჭვრეტის სიბრძნით – კონფუცი. ადგილი მისი სულის სიმშვიდისა".

**ჯონ ლოკი** – დიდი ინგლისელი ფილოსოფოსი. ჯონ ლოკმა მისი საფლავის ეპიტაფია თვითონვე დაწერა: „მგზავრო შეჩერდი, აქ განისვენებს ჯონ ლოკი... შენ თუ იკითხავ, ვინ იყო ის? იცოდე, ის კმაყოფილი იყო თავისი მოკრძალებული ხვედრით, ის იყო აღზრდილი, როგორც სწავლული, მან მთელი ცხოვრება და შრომები მიუძღვნა ჭეშმარიტების დადგენას. ყოველივე ამას შენ შეგიძლია გაეცნო თხზულებებში".

**ჩიმაბუე** – დიდი იტალიელი მხატვარი: ეპიტაფია საფლავზე: „მხატვართა ბანაკს ეგონა, რომ ჩიმაბუე მუდამ მისი იქნებოდა, ის იქ იყო, როცა ცოცხალი იყო, ახლა იგი ვარსკვლავთა ქალაქშია".

**ამადეო მოდილიანი** – სიცოცხლის ბოლო დღეებში იწვა სიცივეში, გაყინულ ოთახში, იატაკზე ეყარა კონსერვის ქილები, ცარიელი ბოთლები, მოლბერტზე შრებოდა მისი უკანასკნელი ნამუშევარი. იგი გარდაიცვალა უპატრონოთა და ბოგანოთა საავადმყოფოში „შარიტეში". მისი საფლავის ეპიტაფია: „სიკვდილმა მას დიდების კარიბჭესთან უწია". მისმა ცოლმა ჟანა ებიუტერნმა ვერ გადაიტანა მისი სიკვდილი და თავი მოიკლა (მეხუთე სართულიდან გადმოხტა). ეპიტაფია საფლავზე: „ამადეო მოდილიანის ერთგული თანამგზავრი, რომელმაც მასთან განშორების შემდეგ სიცოცხლე არ ინდომა".

**თომ გეინსი** – დიდი ინგლისელი მხატვარი. ეპიტაფია საფლავზე: „ჩვენ ყველანი წავალთ ცაში და ჩვენთან ერთად ვან-დეიკიც".

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ეტg8-g1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ჩვენს ქალებს სულაც არ აქვთ მაღალი თვითშეფასება. აბა, აკოცოს ნებისმიერმა უცნობმა მამაკაცმა?! მაშინვე დაიყვირებს: „თქვენ გიჟი ხართ?“, ან – „თქვენ მთვრალი ხართ?!“ სერიოზულად ფიქრობენ, რომ ისინი მხოლოდ გიჟს ან მთვრალს მოეწონებათ...

***

ტიპი ღამით ბარში შევიდა და ლუდი შეუკვეთა. ბარმენმა მოუტანა.




– ერთი თეთრი.

– ასე იაფი? მაშინ, ბიფშტექსი, ხიზილალიანი ბუტერბროდი, კონიაკი, ანანასი...

– ეს ოთხი თეთრი დაგიჯდებათ.

– მე მომწონს! ბარის მფლობელი ვინ არის?

– შეგიძლიათ, გაიცნოთ – ის ზემოთ ჩემს ცოლთან ერთადაა...

– და, იქ, თქვენს ცოლთან ერთად, რას აკეთებს?

– რასაც მე – მის ბიზნესთან...

***

– მართალია, ერთი წუთი სიცილი სიცოცხლეს 5 წუთით ახანგრძლივებსო?

– გააჩნია, ვისზე იცინი – შეიძლება, გაცილებით მეტად შეამციროს...

***

ქალის ისტერიკამდე მიყვანა ნებისმიერ წვრილმანს შეუძლია, მამაკაცის კი – მხოლოდ ქალს.

***

ეძღვნება ყველა გოგონას, რომელიც ამბობს, რომ ყველა ბიჭი ერთნაირია – წესიერი გოგო რომ იყო, ყველა ბიჭი არ გეცოდინება.

***

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს:

– გოგო, რა უნდა გავაკეთო, კაცი თუ გაცივდა?

– უნდა დამარხო... სხვას რას იზამ?

***

ქორწილის დროს ფიქრობ, რომ მასზე უკეთესი არავინაა, გაყრისას კი ფიქრობ, რომ მასზე უარესი არავინაა, არადა, ორივეჯერ ცდები.

***

– გაზკანტორაა? შვილო, ჩაის ადუღება მინდა... რამდენი ხანია, გაზის ჩამრთველი გადავწიე და არ ინთება...




– ბებო, ასანთი თუ აანთე?

– უი, დამავიწყდა, ახლავე....

***

ჟურნალ „პირსინგის“ ახალგაზრდა კორესპონდენტი ქუჩაში მამაკაცს აჩერებს:

– თუ შეიძლება, მითხარით, უფრო ადვილად რით შეძლებთ ქალის მიზიდვას?

– სხვების არ ვიცი, მაგრამ, თქვენ – მაგნიტით...

***

ზარი. კარს ახალგაზრდა ქალი აღებს.

– მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ, – ეუბნება მამაკაცი.

– ზემოთ თუ ქვემოთ?

– ასე უცბად და პირდაპირ?!.

***

ავტობუსი გაჩერებიდან დაიძრა.

– შემდეგი გაჩერება „5 დეკემბერი“!..

– აუ, ჩემი, რა პრობკაა...

***

– როგორ ვიშოვოთ ფული?

– აიღეთ სკამი, დადეთ მასზე რამე ნომინაციის დოლარი, დააჯექით ზედ, შემდეგ ადექით და აიღეთ ფული... ვარჯიშის აზრი ის არის, რომ ფულის საშოვნელად ტრ...ის განძრევაა საჭირო...

***

– რა გჭირს, ყოველთვის ასე ჩალურჯებული, გაერთიანებული სახით რომ მოდიხარ? – ეკითხება ახალგაზრდა პაციენტს ექიმი.

– მერიდება, მაგრამ, გეტყვით: გათხოვილ ქალებთან დავდივარ და ქმრები მცემენ...

– ერთ რამეს გირჩევ – ჯარში წადი და გეშველება..

კარგა ხნის შემდეგ ექიმი შემთხვევით ხვდება იმ ახალგაზრდას.

– დიდი მადლობა, ექიმო, კარგი რჩევა მომეცით....

– უკვე აღარ დადიხარ ქმრიან ქალებთან?

– როგორ არა, მაგრამ, 45 წამში ჩაცმაც ვისწავლე, ფანჯრიდან ხტომაც და კედლებზე ცოცვაც...

## ცნობილ ადამიანთა ინამახვილური გამონათქვამები

სოლომონ მეფეს გაექცა ხუმარა თარხანი და ქართლის მეფეს შეეკედლა. მეფე სანადიროდ წაბრძანდა და თან იახლა თარხანი და კიდევ თხუთმეტი სხვა მონადირე. ვერაფერი ინადირეს და ხის ძირში დაისვენეს. მეფემ უბრძანა მონადირეებს და თანაც თარხანს, თითო კვერცხი უნდა დადვათ და ახლავე მომიტანოთო. თარხანი დაფიქრდა, მეფემ ეს რა ბრძანა, კვერცხი რანაირად უნდა დავდვაო. მერე იფიქრა, როგორც სხვანი იზამენ, მეც ისე მოვიქცევიო და გაჰყვა მონადირეებს უკან. მეფე და მონადირენი წინდაწინვე განდობილნი იყვნენ თურმე და მონადირეებისათვის თან წამოელებინებინა კვერცხები თარხანთან სახუმაროდ. ცოტა ხნის დაყოვნების შემდეგ მონადირეები მივიდნენ და კვერცხები მიართვეს მეფესა.

– შენ რატომ ვერ დასდე კვერცხი? გლახა ჰყოფილხარო, უბრძანა მეფემ თურმე თარხანს.

– ბატონო, ამდენ დედალს ერთი მამალი არ უნდოდაო, – მოახსენა თარხანმა.

***

აკაკი ერთ ლხინს დაესწრო, სადაც გახურვებული სმა იყო. ჯერ პირველად კარგი, მაგარი ღვინოები შემოჰქონდათ სუფრაზე, მაგრამ ბოლოს კი, როცა მასპინძელმა გაივლო გუნებაში, სტუმრებს ბევრი აღარა გაეგებათ რაო, მდარე, თხლე ღვინოებიც მოაყოლეს და, მართლაც, ყურადღება არავის მიუქცევია. მაგრამ ბოლოს, მასპინძლის სადღეგრძელოს რომ სვამდნენ, აკაკიმაც აივსო იმ მდარე ღვინით ჭიქა და მასპინძელს უთხრა:

– შენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო ანტიქრისტე!

მასპინძელს ეწყინა და ჰკითხა:

– რა მიგავს ანტიქრისტესო?




– სასწაულთმოქმედებაო, – მიუგო პოეტმა, ქრისტემ წყალი გადააქცია ღვინოდ და შენ კი ღვინო – წყლად!

# როგორ გააჩუმა ნოდარ დუმბაძემ სუფრას შემოსწრებული „ცეკას“ ინსტრუქტორი

„არ დავიწყება მოყვრისა“ – იტყოდა ჩვენი პოეტი და ძალიან სამართლიანადაც. ჩვენი ვალია, წინამორბედნი არ დავივიწყოთ, იმათი „მოქნილი“ იუმორი მივაწოდოთ მომავლებს, რამეთუ „მომავალი ჩვენი საყრდენია“.

ამ პათეტიკური შესავლის შემდეგ, ნება მიბოძეთ, ერთი მივიწყებული ამბავი შევახსენო ჩვენს მომავალ თაობას (ხანდაზმულებმა ისედაც იციან), რომლებიც მხოლოდ კომპიუტერში „ეძებენ შვებას“. თუმცა, მოვა დრო და ის იუმორი, ისევე როგორც მოდა მეორდება, მალე აქტუალური გახდება.




თავყრილობაა. საქართველოს ნაღები საზოგადოება (ახლა – ელიტა) ქეიფობს. ინტელიგენციის წარმომადგენლები... რამე...

ნოდარ დუმბაძე თავკაცობს (თამადობს) სუფრას.

მაგიდას უსხედან „ცეკა-ტეკას“ წარმომადგენლები საქართველოს მასშტაბით. მეორე სადღეგრძელოს ამთავრებს კორიფე იუმორისტი მწერალი და სუფრას შეგვიანებული „ცეკას“ ერთი ინსტრუქტორი შემოემატა.

ღვთის წინაშე, ბოდიში მოიხადა, მაპატიეთ, დაგვიანებიზაო და ჩაეკვეხა იქეთ-აქეთ მიწეულ-მოწეულ სკამში.

ეს არაფერია. ბატონ ნოდარ თამადას სადღეგრძელოს თქმა კი აცალა, მაგრამ მყისვე წამოხტა და დაიწყო:

– მანქანა გაგვიფუჭდა, ძვირფასო მაგიდის წევრებო, და იმიზა დამაგვიანდა. ბელზინი ჟონავდა და ვაკეთებდითო.

მხოლოდ მაშინ მიხვდნენ მაგიდის წევრები, რატომ დადგა „ზალაში“ უსაშველოდ მძაფრი ქიმიური ხსნარის სუნი, რომელსაც კაცობრიობა ბენზინს ეძახის.

„ბელზინის“ სუნი აშკარად შემოსწრებულის კოსტიუმიდან მოდიოდა. მაშინდელ საზოგადოებას თავშეკავების გასაოცარი უნარი ჰქონდა. რომც არ ეთქვა, ისედაც ხმას არავინ ამოიღებდა, მაგრამ ამან (შემოსწრებულმა) ჭიქა ზე შემართა და დაიწყო.

– ძვირფასებო, მართალია, დავაგვიანე, მაგრამ მე მსურს, შევსვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავარსარდლის, ამხანაგ... და ასე შემდეგ.

გულის გულში, გრძნობით და სევდით ნათქვამი სადღეგრძელოს შემდეგ, ასეთი რიხიან-პადხალიმური (ვითომ ახლა არ იყოს!) სადღეგრძელოს წარმოთქმას არავინ ელოდა და მოიწყინეს. ზოგი აღშფოთდა, ზოგი საინს ჩააშტერდა. ამ კაცმა, როგორც იქნა, დაამთავრა და ტაშს რომ ელოდა, სამარისებურ სიჩუმეში გამოცალა ჭიქა.

გამოცალა და დაჯდა.

უხერხული სიჩუმე შემოიპარა ოდნავ მოღიავებული ფანჯრიდან. ყველაფერს ელოდნენ ამის გარდა. გაფუჭდა სუფრა. თამადამ მყისვე შეაფასა მდგომარეობა და ფეხზე წამოდგა.

ნოდარ დუმბაძე წამოდგაო! – გაიტრუნა სუფრა. შემოსწრებულის პიჯაკიდან წამოსული ბენზინის სუნიც უფრო საგრძნობი გახდა. საგრძნობი კი არა, თვალებიც აეწვათ მანდილოსნებს.

– ძვირფასო მაგიდის წევრებო, ძვირფასო საზოგადოებავ, – დაიწყო დუმბაძემ, – ჩვენ შემოგვესწრო „ცეკას“ ნომენკლატურული პიროვნება, რომელსაც თურმე დაგვიანებია. მადლობა ვუთხრათ პატივცემულს, რომ მოახერხა და დაგვაფასა. მართალია, მას ბენზინის მძაფრი სუნი ასდის პიჯაკზე, მაგრამ მისი ბრალი არაა, მანქანა გაფუჭებულა და რა ექნა კაცს? ბენზინია დამნაშავე!

ქართველები უსაშველოდ მიმტევებელი ხალხი ვართ.

ატყდა ოვაციები და „პადხალიმური“ ტაშისკვრა.

– ა, რა თქვა, არაა კაცი?!

– ნოდარი – ნოდარია, ძამა! – ულვაშზე ხელი გადაისვა „ცეკას“ ერთმა ინსტრუქტორმა, რომელიც სულ იძახდა, გურულებისაა აი „ცეკაო“.

ნოდარმა თავისებური, მადლიანი ენითა და იუმორით მდგომარეობა საგრძნობლად განმუხტა და ქეიფიც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, რომ არა ერთი...

გათამამებული „შემოსწრებული“ წამოხტა, ჭიქა მოიმარჯვა, ჰალსტუხის კვანძი ხელით შეისწორა და რიხიანად დასჭექა:

– გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, გაუმარჯოს დიდ ბელად სტალინს და ნიკიტა ხრუშჩოვს, ამხანაგებო! – აიქნია ხელი და იღლიიდან ისევ წამოვიდა ბენზინის სუნი.

ნოდარ დუმბაძეს მიტკლის ფერი დაედო.

– რას გეტყვი, ძამა, შენ, თუ იცი? – მოსხლეტით მიმართა ქადაგად დავარდნილ „შემოსწრებულს“.

– გისმენთ, ბატონო ნოდარ! – ჭიქა ნელ-ნელა დაუშვა ძირს კაცმა.

– დაქოქე ახლა შენი კოსტიუმი და „დაგაზენ“ საიდანაც მოხვედი!

***P. S. ზოგი იფიქრებს, უჰ, რა იუმორიაო...***

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს პროექტს, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო სექტორში **C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული 10 ათასი მოქალაქის სამკურნალო მედიკამენტების 60%-ნი ფასდაკლებით შეძენის შესაძლებლობას.**

რეგისტრაციისათვის პაციენტმა უნდა წარადგინოს ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № IV-100/ა.

ქართულ-ფრანგული ერთობლივი ჰეპატოლოგიური კლინიკა „ჰეპა" 2014 წლის 1 მარტამდე, **პაციენტებს სთავაზობს მაღალკვალიფიციურ კონსულტაციას და რეგისტრაციისათვის აუცილებელი მინიმალური გამოკვლევების პაკეტს -HCV რნმ თვისობრივი და HCV გენეტიკური ტიპის განსაზღვრა, ღვიძლის ფიბროზის ხარისხის შესაფასებელი კვლევა- 20%-ნი ფასდაკლებით.**

მისამართი:
ქ. თბილისი, ლიუბლიანას ქ. №18/20;
(აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის შენობა,მე-3 სართული).
ტელეფონი: (+995 32) 2 54 08 50/55

HAIRLINE INTERNATIONAL

პროფესიონალები ზრუნავენ თქვენს გარეგნობაზე...



## სამედიცინო ცენტრი "ჰეალაინი"

www.hairline.ge

**გთავაზობთ:**

- სახის და ტუჩის კონტურული პლასტიკა
- ბოტოქსი
- ბიორევიტალიზაცია
- მეზონიდლინგი
- პლაზმოლიფტინგი
- მეზოთერაპია
- აპარატურული კოსმეტოლოგია
- ქიმიური პილინგი

**დეა პაპასკირი**
პლასტიკური ქირურგი
მედიცინის დოქტორი

2 30 00 30    ქავთარაძის ქ. 16 ( DKC - სამკურნალო კომბინატი )



გვ. 12

რა ტრაგედია გადაიტანა გიორგი ლაცაბიძემ, როგორ იპოვა ბედნიერება და რა სკანდალური ფილმი გადაიღეს მასზე ნიუ-იორკში



გვ. 2

რა რისკს ვერ აკონტროლებდა ნიკა ხომასურიძე, როგორ გადაიღო მან ერთ უწყვეტ კადრად 105-წუთიანი ფილმი და დაამყარა რეკორდი



გვ. 47

როგორია გაბრაზებული თამუნა ნიკოლაძე და რატომ სურს მას დეტექტიური ჟანრის სერიალში თამაში

ISSN 1987-569X

9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯ... თბილისი - ...ული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * ...აპრილი – 4 მაისი * №17 ფასი 1,50 ლარი